

ბავშვის ზემოკლება

(უმცროსი სასკოლო ასაკი)

სახელმწიფო გამომცემლობა

ბათუმი — 1960

კომპიუტერული პროფ. ვლ. ნორაკიძე

წინასიტყვაობა

ადამიანის ურთიერთობა გარემოსთან რთული ბუნებისაა. იგი დამოკიდებულია როგორც გარემოს, ასევე სუბიექტის თვისებებზე. ამიტომ ეს ურთიერთობა, ადამიანის აქტივობა, რიგი თავისებურებებით ხასიათდება და შეიძლება მეტ-ნაკლები ადექვატურობით მკლავდებოდეს როგორც იმპულსური, ასევე ცნობიერ-ნებისმიერი ფსიქიკური აქტივობის შემთხვევაში. სუბიექტის იმპულსური ფსიქიკური აქტივობის თავისებურებათა დახასიათებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს ტემპერამენტს, რომელიც იმპულსურა ფსიქიკის დინამიკური თავისებურების განმსაზღვრელია და მასში მკლავდება. განვითარების უფრო მაღალ საფეხურზე — ცნობიერ-ნებისმიერი აქტივობის საფეხურზე — გარემოსთან პიროვნების ურთიერთობის წარმმართველ ფაქტორთა შორის წამყვანია ხასიათი; იმპულსური ფსიქიკა დაქვემდებარებულია ნებისყოფისადმი. ხოლო ტემპერამენტი — ხასიათისადმი.

სკოლამდელ და უმცროს სასკოლო ასაკშიც, განსაკუთრებით პირველ-მეორე კლასებში, როდესაც ხასიათისეული თვისებები ჯერ კიდევ მნიშვნელოვანი სიმტკიცის არაა, გარემოსთან ბავშვის ურთიერთობის დინამიკურ თავისებურებათა განმსაზღვრელია ტემპერამენტი. იგი აქ მკლავდება შედარებით შეუცვლელ, გადაუკეთებელ ფორმაში. ამიტომ დავისახეთ მიზნად შეგვესწავლა დაწვებითი სკოლის მოსწავლეთა ტემპერამენტი.¹

სხვა ფსიქიკურ თვისებებთან ერთად, აუცილებელია მოსწავლეთა ტემპერამენტის თვისებათა გათვალისწინება სასწავლო-სა-აღმზრდელო მუშაობაში. რათა მოსწავლისადმი ინდივიდუალური მიდგომა ეყრდნობოდეს მეცნიერულ საფუძველს. ინდივიდუალური მიდგომისას უნდა ეხელმძღვანელობდეთ არა მარტო არსებული მიდგომარეობით, არამედ პიროვნების განვითარების პერსპექტივის გათვალისწინებითაც. ასეთი მიდგომა მაშინ განხორციელდება, როდესაც ყოველი პედაგოგი ცოდნითა და მზრუნველობით მოეკი-

¹ შრომა იბეჭდება შემოკლებით.

დება თითოეული მოსწავლის დადებითი თვისებების განვითარებისა და უარყოფითის აღმოფხვრის საქმეს.

წინამდებარე შრომა მიზნად ისახავს გააშუქოს მოსწავლეთა ერთ-ერთი ფსიქიკური თვისების — ტემპერამენტის თავისებურებების ზოგიერთი საკითხი.

თემის დამუშავებისას სამეცნიერო ხელმძღვანელობას მიწევდა პროფ. ვლ. ნორაკიძე: იგი მეტად გულისხმიერად მეხმარებოდა აღნიშნულ ნაშრომზე ჩემი მუშაობის მთელ პერიოდში. მისგან ვღებულობდი მეტად საჭირო რჩევა-დარიგებებს როგორც თემის საერთო ხასიათის შესახებ, ასევე ცალკეულ საკითხებზე. ასეთი გულისხმიერებისათვის მას უღრმეს მადლობას მოვახსენებ.

მადლობის გრძნობით აღვნიშნავ, რომ ამ ნაშრომის დაწერისათვის ყოველგვარ პირობას მიქმნიდა რუსთაველის სახელობის ბათუმის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ხელმძღვანელობა. ჩემი ნაშრომისადმი დიდ ინტერესს იჩენდა და მის მაღალხარისხოვნად შესრულებაზე ზრუნავდა პედაგოგიკა-ფსიქოლოგიის კათედრის გამგე დოც. ვლ. ჭანტურია, რისთვისაც გულწრფელ მადლობას ვუძღვნი.

დიდად დავალებული ვარ ქ. ბათუმის ლენინის სახელობის № 1 ქართული საშუალო სკოლის დირექციისა და პედაგოგთა კოლექტივისაგან, რომლებმაც ფასდაუდებელი დახმარება გამიწიეს როგორც ექსპერიმენტული მუშაობის ორგანიზაციის, ასევე მოსწავლეთა დახასიათების. მოსწავლეთა ქცევის შესახებ ზოგიერთი მასალის მოწოდების მხრივ.

გულწრფელ მადლობას ვუძღვნი აგრეთვე ჩვენს პატარა ცდის პირებს.

აბბორი

ტემპერამენტის პრობლემა

ტემპერამენტის შესახებ მოძღვრების ისტორია

მოძღვრებას ტემპერამენტის შესახებ დიდი ხნის ისტორია აქვს. ამის მიუხედავად, ტემპერამენტის ცნების საყოველთაოდ აღიარებული ისეთი განსაზღვრება, რომელსაც ყველა, მეტად თუნაკლებად გამოჩენილი, მკვლევარი ეთანხმებოდეს, დღესდღეობით არა გვაქვს, ამიტომ არ იქნება ინტერესს მოკლებული განვიხილოთ ტემპერამენტის შესახებ მოძღვრების შემუშავებისა და განვითარების ისტორია, მიმოვიხილოთ სხვადასხვა ავტორის მიერ მოცემული ტემპერამენტის ცნების განსაზღვრებანი, ტემპერამენტის თეორიები, ბოლოს, ვუჩვენოთ ტემპერამენტის ცნების ის გაგება, რომელიც, ჩვენი აზრით, უკეთესად ასახავს მის შინაარსს.

მართალია, ჩვენი შრომის შინაარსი მოითხოვს, პირველ რიგში განვიხილოთ ბავშვთა ტემპერამენტის შესახებ არსებული ლიტერატურა, მაგრამ იმის გამო, რომ შრომები ამ საკითხზე მეტად მცირეა, ჩვენ გადავწყვიტეთ განვიხილოთ ტემპერამენტის შესახებ მოძღვრების ისტორია საერთოდ, მათ შორის ის შრომები, რომლებიც ბავშვთა ტემპერამენტის შესწავლისადმია მიძღვნილი. ამ მოსაზრების გამართლებას იმაშიც ვხედავთ, რომ ქართულად ჯერჯერობით არა გვაქვს ისეთი ნაშრომი, რომელშიც ცოტად თუ ბევრად დამაკმაყოფილებლად იყოს გადმოცემული თეორიები ტემპერამენტის შესახებ.

ჩვენს მიმოხილვაში სრულად ვერ იქნება დაცული სხვადასხვა თეორიის ქრონოლოგიური თანმიმდევრობა. ისინი უმთავრესად დავაჯგუფეთ ძირითად შეხედულებათა ერთიანობა-მსგავსების მიხედვით.

1. ჰუმორული მოძღვრება. მოძღვრებას ტემპერამენტის შესახებ საფუძველი ჩაეყარა ძველ საბერძნეთში. მეხუთე-მეოთხე საუკუნეებში (ძვ. წ.). ბუნებრივია, საკითხის ისტორიაც აქედან უნდა დავიწყოთ. ანტიკური საბერძნეთის მედიცინას, კერძოდ, მის ფუძემდებელს ჰიპოკრატეს მიაჩნდა, რომ ორგანიზმის არსებობას განა-

პირობებს ოთხი სახის მკვებავი სითხე (ჰუმორი), რომელიც ორგანიზმში გარკვეული პროპორციით არის შერწყმული. ამ პროპორციულობის დარღვევა იწვევს ავადმყოფობას, ხოლო თუ პროპორციულობა დაცულია, ორგანიზმი ჯანმრთელია. მკვებავი სითხე შედგება სისხლის, ნღველისა (ორი სახის) და ლორწოსაგან. ცნობილია, რომ ჰიპოკრატეს ამ შეხედულებების შემუშავებაზე გავლენა მოახდინა ბერძნულმა ნატურფილოსოფიამ, კერძოდ, ემპედოკლეს კონცეფციამ. სამყაროს ოთხი ელემენტისაგან (მიწა, წყალი, ცეცხლი და ჰაერი) შედგენის შესახებ.

საგულისხმოა, რომ ჰიპოკრატე, როგორც ექიმი, ძირითადად ყურადღებას აქცევდა ორგანიზმის ავადმყოფურ მდგომარეობას, მის ნორმიდან გადახრის შემთხვევებს. ავადმყოფობის მიზეზს, როგორც აღვნიშნეთ. იგი ხედავდა ორგანიზმის მკვებავი ჰუმორების (სითხეების) პროპორციულობის დარღვევაში. მისი აზრით, ცვლილება მკვებავ ნივთიერებათა შეფარდებაში იწვევდა შესაბამის ცვლილებას ადამიანის განცდასა და მოქმედებაში. ჰიპოკრატე პირდაპირ ამბობს: „იციოდე, რომ ყველაფერი ის, რაც ადამიანს ავნებს, ზედმეტი ძალისაგან მომდინარეობს. აი, მაგალითად, რომ გადმოიღვაროს რომელიღაც მწარე სინოტივე, რომელსაც ჩვენ ყვითელ ნღველს ვუწოდებთ, როგორი მოუსვენრობა, სიცხე და სისუსტე გვეუფლება მაშინ“.¹

ამრიგად, ცვლილებანი მოქმედებაში, გარეგან სიმპტომებსა და შინაგან განცდაში ჰუმორების პროპორციის დარღვევითაა გამოწვეული. სითხეების კონსტიტუცია, მათი შეზავების პროპორცია თუ დისპროპორცია, ქცევისა და განცდის განმსაზღვრელი პირობაა. მკვებავი ჰუმორის (სითხის) შეზავება-შეფარდებას, რაც გარკვეულ შეფერილობაში მქლავდება, ბერძნებმა უწოდეს „კრასის“. ანტიკური კულტურის ცენტრის რომში გადანაცვლების შემდეგ ჰუმორების ეს შეფარდებითობა („კრასის“) შეიცვალა ლათინური ტერმინით „ტემპერამენტუმ“ (temperamentum), რაც ზომიერს, ზომიერებას ნიშნავს.

რაც შეეხება ტემპერამენტთა კლასიფიკაციას, იგი ჰიპოკრატეს არ მოუცია, მაგრამ მისი მოძღვრების საფუძველზე (იმის მიხედვით, თუ რომელი ჰუმორი სჭარბობდა მკვებავ სითხეში), აღიარებულ იქნა ოთხი ტემპერამენტი: სანგვინიკური, ფლეგმატიკური, ქოლერიკული და მელანქოლიკური.

¹ Гиппократ. О плечей медицине. Избранные кнчгл. Перевод проф. В. И. Руднева. М., 1936, стр. 161.

ტემპერამენტთა სახელწოდების წარმოშობის შესახებ საინტერესო მიმოხილვა აქვს ა. ლ. საპერს.¹ საპერის მიხედვით ძველ ბერძენთა შეხედულებით, ჰუმორების რაოდენობა და თვისებები დაკავშირებული იყო სამყაროს ელემენტების რაოდენობასა და თვისებებთან. სამყაროს ელემენტთა რაოდენობა ოთხით განისაზღვრებოდა, მაგრამ ემპედოკლე პირდაპირ კი არ ასახელებს ოთხ ელემენტს, არამედ იხსენიებს ღმერთებს, რომლებიც წყალს, ცეცხლს, მიწასა და ჰაერს გამოხატავენ. ღმერთების, სამყაროს ელემენტების, ოთხი ძირითადი სითხის, მათი გამომჟღავნებელი ორგანოებისა და ტემპერამენტების სახელწოდებათა დალაგების საფუძველზე ა. ი. საპერი შემდეგ სქემას ადგენს:

ძველ ბერძენთა ღმერთები	ოთხი ძირითადი ელემენტი	ოთხი ძირითადი სითხე	ძირითად სითხეთა ბერძნული სახელწოდება	სითხის წარმოშობი ორგანოები	ტემპერამენტების დასახელება
ზევსი	ცეცხლი	ყვითელი ნალველი	ქოლე	ღვიძლი	ქოლერიკი
ჰერა	ჰაერი	სისხლი	სანგუის (ლათინ.)	გული	სანგვინიკი
ნესტის	წყალი	ლორწო	ფლეგმა	თავი (ტვინი)	ფლეგმატიკი
ჰადეს	მიწა	შავი ნალველი	მელანქოლე	ელენთა	მელანქოლიკი

ტემპერამენტის შესახებ ჰიპოკრატეს ჰუმორალურ დოქტრინაში ერთგვარი ცვლილება შეიტანა ანტიკურობის ენციკლოპედისტმა — არისტოტელემ. მას რამდენადმე სხვანაირად აქვს გაგებული ტემპერამენტის საფუძვლები. არისტოტელე დასახელებული ოთხი სითხიდან ერთ-ერთს, კერძოდ სისხლს და მის თვისებებს (შედღებობის უნარი, სისხლში წყლის რაოდენობა), აძლევს გადამწყვეტ მნიშვნელობას ტემპერამენტის ფორმირებისას.

არისტოტელეს აზრით, სისხლის შედგენების უნარი დამოკიდებულია მასში მაგარი, მიწისეული ელემენტების რაოდენობაზე. ასეთი ელემენტების სიჭარბე წარმოქმნის მკვნიბარე, ცეცხლოვან ანუ ქოლერიკულ ტემპერამენტს. მიწისეული (მაგარი) ელემენტების ნაკლებობა კი ასუსტებს შედგენების უნარს. სისხლის სითბო დამოკიდებულია მასში წყლის სიმცირეზე, ხოლო ცივისხლიანო-

¹ А. Л. Сапер, Истоки учения о темпераменте, журн. „Природа“, № 6, 1938 г.

ბას განაპირობებს სისხლში წყლის დიდი რაოდენობა. თხელი, წყლიანი სისხლი ცივია და იწვევს შიშს. ასეთი ტემპერამენტის ადამიანი მხდალია. საგულისხმოა, რომ არისტოტელეს მიერ აღიარებული სისხლის ტემპერამენტისეული თვისებები — თბილსისხლიანობა და ცივისისხლიანობა — ფაქტიურად გაიმეორა ი. კანტმა.

ტემპერამენტის შესახებ ჰიპოკრატეს ჰუმორალური მოძღვრება, არისტოტელეს მიერ მოდიფიცირებული, თავის უფლებაში აღადგინა ცნობილმა რომაელმა ექიმმა კლავდიუს გალენმა.¹ მან ჰუმორული ელემენტების თვისებათა განცალკევება-გამოყოფითა და ურთიერთკომბინაციით ჩამოაყალიბა ცხრა ტემპერამენტი, რომელთაგან ერთი იყო ნორმალური (გალენი, ალბათ, ყველა ჰუმორული ელემენტის ჰარმონიულ შეზავებას გულისხმობდა ამ ტემპერამენტში), ოთხი — მარტივი. თვითეული ტემპერამენტის ოთხი თვისებიდან (სითბო, სიცივე, სინოტივე, სიმშრალე) ერთ-ერთი ქარბობდა მასში, ხოლო დანარჩენი სამი ელემენტი სხვადასხვა დოზით იყო მოცემული. და ბოლოს, იგი სცნობდა აგრეთვე ოთხ კომბინირებულ ტემპერამენტს, რომელთაც საფუძვლად ედოთ სითბო-სიმშრალე, სითბო-სინესტე, სიცივე-სიმშრალე, სიცივე-სინესტე. ხასიათისა და ტემპერამენტის ისტორიულ მიმოხილვაში რობეკი აღნიშნავს, რომ გალენის კლასიფიკაციით დამკვიდრდა ცნობილი ოთხი ტემპერამენტი², თუმცა ნათელია, რომ ჰუმორების თვისებათა დაწყვილებული კომბინაციის გარეშეც გალენი აღიარებს ხუთ ტემპერამენტს: ოთხს მარტივს და ერთს ნორმალურს.

ტემპერამენტის შესახებ მოძღვრების შემუშავებაში გალენის სხვა დამსახურებასთან ერთად აღსანიშნავია მის მიერ მკვეთრა ზღვარის გავლება ქოლერიკულ და მელანქოლიკურ ტემპერამენტებს შორის.

მეცნიერების განვითარების შემდგომ საფეხურზე ჰუმორული დოქტრინა უარყოფილ იქნა და, ამის შესაბამისად, ტემპერამენტის საფუძვლიც სხვა შინაარსს ღებულობს. მართალია, ჰუმორები იმ მნიშვნელობით, როგორადაც იგი ანტიკურ დროში ესმოდათ, უარყოფილია, მაგრამ ორგანიზმის სითხეთა, კერძოდ, ჰორმონების როლი უსათუოდ მნიშვნელოვანია. საკმარისია მივეთითოთ შინაგა-

1 Ruback, The Psychology of character, გვ. 43.

2 Roback, The Psychology of character, გვ. 43.

ნი სეკრეციის ჯირკვლებზე, რომელთა პორმონები სცვლიან სისხლის ქიმიურ შემადგენლობას. ამიტომ გასაკვირი როდია, რომ დღესაც დიდი მნიშვნელობა ენიჭება პორმონულ ფაქტორებს გარემოსთან ადამიანის ურთიერთობის თავისებურ მიმდინარეობათა განსაზღვრისას, კერძოდ, ტემპერამენტის ფორმირებისათვის. პორმონული ფაქტორების მნიშვნელობაზე მიუთითებენ სამოილოვი, უზნაძე, შტერნი და სხვ.

2. სისხლის მიმოქცევის თავისებურება და ტემპერამენტი. ადამიანთა ცოდნა-გამოცდილებისა და მეცნიერების განვითარების შესაბამისად სახეს იცვლიდა მოძღვრება ტემპერამენტის შესახებ. იგი ძირითადად ეხებოდა ტემპერამენტის საფუძვლებს, ხოლო პიპოკრატე-გალენის კლასიფიკაცია თითქმის უცვლელი რჩებოდა.

პარვეის მიერ სისხლის მიმოქცევის აღმოჩენის შემდეგ მიჩნეული იქნა, რომ ტემპერამენტის საფუძველი დადგენილიყო მეცნიერების ამ ახალი მონაპოვრის შესაბამისად.¹ სისხლის მიმოქცევის თავისებურებას თანდათან განსაკუთრებული მნიშვნელობა მიეცა პიროვნების ტემპერამენტის ტიპის განსაზღვრის საქმეში. მკვლევარები იმ შეხედულებამდე მივიდნენ, რომ ადამიანის ტემპერამენტი ჰუმორზე და მისი ერთ-ერთი სახის — სისხლის თვისებებზე კი არ უნდა იყოს დამოკიდებული ძირითადად, არამედ სხეულის იმ მაგარი, მკვრივი ნაწილის ნივთიერებაზე (ამ ნივთიერების თავისებურებაზე), რომელშიც სისხლმა უნდა გაიაროს. მაგალითად, პალერი ამტკიცებს, რომ სისხლის თვისებათა და ტემპერამენტის კავშირი არაა ერთადერთი კავშირი, რომ განსაზღვრული ტემპერამენტის ჩამოყალიბებისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს იმ მკვრივი ნაწილების თვისებას, რომლებშიც სისხლმა უნდა გაიაროს თავისი ცირკულაციის დროს. ამ მკვრივი, მაგარი ნაწილების თავისებურებაზეა დამოკიდებული ტემპერამენტის კონსტიტუტური განსხვავებულობა. ასე, მაგალითად, ქსოვილის სიმკვრივე და ვალიზიანების უნარი წარმოშობს ქოლერიკულ ტემპერამენტს, ძნელი აგზნებადობის სუსტი ქსოვილები — ფლეგმატიკურს, გაღიზიანების უნარის მქონე ასეთივე ქსოვილები — მელანქოლიკურს.²

1 Roback, The Psychology of character, გვ. 47

2 იქვე, გვ. 48.

შტალი იყო პირველი, რომელმაც სისხლის მიმოქცევის თავი-სებურებათა განსაზღვრისას ყურადღება მიაქცია სამ ფაქტორს: 1) სისხლის შედგენილობას (სისხლის სითხელე-სისქელეს), 2) ქსოვი-ლების პორიანობას (მის სიმკიდროვეს) და 3) სისხლძარღვების დიამეტრს. შტალის აზრით ამ სამი თვისების კომბინაციით მიიღება სხვადასხვა ტემპერამენტი.¹

დაახლოებით ამავე თვალსაზრისზე დგას ცნობილი რუსი მეც-ნიერი პ. ლესგაფტი. მას მიაჩნია, რომ ტემპერამენტის სახეობა ძირითადად დამოკიდებულია სისხლძარღვების დიამეტრსა და მისი კედლების სისქეზე: რამდენადაც ვიწროა სისხლსადენი მილები, იმ-დენად სწრაფია სისხლის დინება და, პირიქით, რაც უფრო ფართოა მილი. იმდენად ნელია დინება.

სისხლძარღვების ამ თვისებათა კომბინაციით ვლდებულობთ შემდეგ ტემპერამენტებს:

1) ვიწრო დიამეტრი, სქელი კედლები, ძლიერი და სწრაფი დინება სისხლისა — ქოლერიკული ტემპერამენტი;

2) ვიწრო დიამეტრი, თხელი კედლები, სწრაფი და სუსტი დინება სისხლისა — სანგვინიკური ტემპერამენტი;

3) დიდი დიამეტრი, სქელი კედლები, სისხლის ნელი და ძლი-ერი დინება — ფლეგმატიკური ტემპერამენტი.

4) დიდი დიამეტრი, სქელი კედლები, სისხლის ნელი და სუს-ტი დინება — მელანქოლიკური ტემპერამენტი;

5) ნორმალური დიამეტრი, სისხლძარღვების ზომიერი სისქე, სისხლის ნორმალური სიძლიერითა და სისწრაფით დინება — ნორ-მალური ტემპერამენტი.

ლესგაფტი ამბობს: „...გულის და სისხლძარღვების აგებულება და ფორმა უეჭველ გავლენას უნდა ახდენდეს ყოველი ადამიანის მოქმედებისა და სურვილების სისწრაფესა და სიძლიერეზე, აგრე-თვე მისი გრძნობიერების განვითარებაზე, ანუ ტემპერამენტზე. ვლდებულობთ რა მხედველობაში ზემოთქმულს ტემპერამენტისა და მისი გამოვლინების შესახებ, ძნელი არაა ყველაფერი ეს დავაკავ-წიროთ სისხლძარღვების შემდეგ აგებულებასთან:

¹ Roback, The Psychology of character, გვ. 48.

სისხლის ღინება

	ძლიერი	სუსტი
სწრაფი	ვიწრო სადინარი სქელი კედლები. ქოლერიკული ტემპერამენტი.	ვიწრო სადინარი თხელი კედლები. სანგვინიკური ტემპერამენტი.
ნელი	ფართო სადინარი სქელი კედლები. მელანქოლიკური ტემპერამენტი.	ფართო სადინარი თხელი კედლები. ფლეგმატიკური ტემპერამენტი.

საშუალო სისქე და დიამეტრი.
ნორმალური ტემპერამენტი.¹

ლესგაფტი ტემპერამენტის კლასიფიკაციას საფუძვლად უდებს სისხლის მიმოქცევის თავისებურებას, რაც ახალს არაფერს მატებს საკითხის ისტორიას, მაგრამ საგულისხმოა ის ფაქტი, რომ მას კანტისა და სხვა იდეალისტების საწინააღმდეგოდ ტემპერამენტი მიაჩნია გარეგამაღიზიანებლებზე ორგანიზმის რეაქციის თავისებურებათა გამოვლინებად. ყურადღებას იპყრობს, აგრეთვე, მისი კლასიფიკაციის ორიგინალობაც. ლესგაფტი, ტრადიციული ოთხი ტემპერამენტის ნაცვლად, ცნობს ხუთ ტემპერამენტს, რომელთაგან ერთი ნორმალურია, დაფუძნებული სიხლსადენი მილების ნორმალურ დიამეტრსა და კედლების სისქის ზომიერებაზე, რაც განაპირობებს სისხლის ნორმალურ მიმოქცევას. ეს კლასიფიკაცია, ისე როგორც წინანდელი კლასიფიკაციები, მიღებულია ჰერეტის გზით და არა ექსპერიმენტით. ამის მიუხედავად, მაინც მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ გალენის შემდეგ ლესგაფტმა აღიარა ნორმალური ტემპერამენტის არსებობა. გაკვირვებას იწვევს ის, რომ ტემპერამენტის ისტორიის მიმოხილვაში ა. ლაზურსკი², ლესგაფტის შეხედულების გადმოცემისას, აღნიშნავს მხოლოდ ოთხ ტემპერამენტს, მაშინ როდესაც ლესგაფტი ხუთი ტემპერამენტის სქემას იძლევა და გარკვევით ასახელებს ნორმალურ ტემპერამენტს.

1 П. Лесгафт, Семейное воспитание ребенка и его значение, СПб, 1906 г.
2 А. Лазурский, Очерк науки о характере.

3. სისტემატიკურ-კონსტიტუციური შეხედულებანი. ფრენოლოგები ადამიანის ნიკისა და უნარის შესახებ (შემდგომ ხასიათისა და ტემპერამენტის შესახებაც) დასკვნას აკეთებენ თავის ქალას ფორმის მიხედვით. რომელიც, მათი აზრით, ტვინის სტრუქტურის ზუსტ გარეგამოხატულებას წარმოადგენს. ამგვარად თავის ქალას ფორმის შესწავლა და კლასიფიკაცია, ფრენოლოგიის მიხედვით, ადამიანის სულიერ თავისებურებათა შეცნობის გასაღებია.

ფრენოლოგიამ გარკვეული ცვლილება შეიტანა ტემპერამენტის მოძღვრებაში. გალის მოწაფეები, ხელმძღვანელობდნენ რა ანატომიური თვალსაზრისით, ინდივიდის კონსტიტუციაში, მისი სხეულის აგებულების თავისებურებაში ხედავენ ტემპერამენტის სხვადასხვაობის მიზეზს. საერთოდ, ფრენოლოგიაში ტემპერამენტი განხილულია: პირველი, როგორც ძვრადობა, დამოკიდებული კუნთოვანი სისტემის განვითარებაზე, მეორე, როგორც სასიცოცხლო მოქმედება, გამოხატული კვების ფუნქციის უპირატესი განვითარებით, მესამე, როგორც გონების ტემპერამენტი, რომელიც თავის საფუძველს იღებს ნერვული სისტემიდან.¹ ამ შეხედულებაში უკვე მოცემულია იმის წინამძღვრები, რომ ტემპერამენტი განხილულ იქნას ორგანიზმის სხვადასხვა სისტემის — კუნთოვანი, საჭმლის მომნელებელი და ნერვული სისტემების ურთიერთდამოკიდებულების თვალსაზრისით. აქედან გამომდინარე, ტემპერამენტის ტიპი იმაზე უნდა იყოს დამოკიდებული, თუ რომელი სისტემა უპირატესად განვითარებული კონკრეტულ ორგანიზმში.

მიმდინარე საუკუნის დამდეგს რუსმა ექიმმა და საზოგადო მოღვაწემ ა. ვირენიუსმა საკმაოდ გაბედული და ამასთან გულუბრყვილო აზრი გამოთქვა ფსიქიკური თვისებებისა და ორგანიზმის აგებულების (სხვადასხვა სისტემის) ურთიერთდამოკიდებულების შესახებ. ერთი მხრივ, ქსოვილთა გარკვეულ ჯგუფსა და, მეორეს მხრივ, ტემპერამენტს, ხასიათსა და ნიჭიერებას შორის იგი აღიარებს კანონზომიერ დამოკიდებულებას.

„სხეულის აგებულება მიუთითებს ტემპერამენტის, ხასიათის, ნიჭიერების თავისებურებაზე; ტემპერამენტი — სხეულის აგებულებასა და ხასიათის თვისებებზე და ა. შ.“²

¹ Roback, The Psychology of character, გვ. 56.

² А. Вирениус, Характеристика ребенка, СПб. 198, стр. 38.

ამ შეხედულების შესაბამისად ა. ვირენიუსი ადგენს შემდეგ ცხრილს:

აღნაგობა	ტემპერამენტი	ხასიათი	გონებრივი უნარი
1. უჯრედოვანი	ფლეგმატიკური	ინდიფერენტული	მეხსიერება
2. ეპითელიური	სანგვინიკური	ემოციური	ინტერესი
3. კუნთოვანი	ქოლეოიკული	აქტიური	ყურადღება
4. ნერვული	მელანქოლიკური	ისტელექტური	გაგება ¹

ამ ურთულესი საკითხის მიმართ ვირენიუსის ასეთი ზერელე და ვულგარული დამოკიდებულების გამო სავსებით სამართლიანად მიგვაჩნია ა. ლაზურსკის შენიშვნა, რომლის მოტანითაც შემოვიფარგლებით ა. ვირენიუსის ამ შეხედულებათა შეფასებაში. ლაზურსკი წერს: „არ შეიძლება უარყოფილ იქნას ის, რომ სხეულის აგებულებას შეუძლია გარკვეული ხარისხით გავლენა მოახდინოს ადამიანის ფსიქიკურ წყობაზე, მაგრამ ის მკაცრი პარალელიზმი, რომლის დადგენასაც ავტორი ცდილობს, ერთი მხრივ, სხეულის აგებულების გვარეობასა და, მეორე მხრივ, ფსიქიკურ (მაგალითად, გონებრივ) თვისებებს შორის, ჩვენ ნაკლებ დამარწმუნებლად მიგვაჩნია. საერთოდ კლასიფიკაციის ნაკლია, ჩვენი აზრით, უმთავრესად ხელოვნურობა. რაც დაკავშირებულია იმასთან, რომ ავტორი ყველგან ცდილობს შეინარჩუნოს თავისი ოთხწევრიანი დაყოფა“.²

მე-18 საუკუნის შუა ხანებში ექიმები ტემპერამენტს განიხილავდნენ ორგანიზმის ზოგად ფიზიოლოგიურ ფუნქციასა და ცალკეულ ორგანოთა მოძრაობა-მოქმედებასთან კავშირში. ამ მხრივ მეტად საინტერესოა ფრანგი ექიმის პალეს შრომა, რომელშიაც ავტორი ერთმანეთისაგან განასხვავებს ზოგადსა და, ნაწილობრივ, პარციალურ ტემპერამენტს. ზოგად ტემპერამენტში იგი გულისხმობს სამი სისტემის — სისხლძარღვოვანი, ნერვული და მოძრაობის სისტემების მონაწილეობას, განსაკუთრებით ნერვული სისტემის გავლენას. რაც შეეხება ნაწილობრივ ტემპერამენტს, იგი ორი სახისაა და სხეულის სხვადასხვა ნაწილს მოიცავს: 1) თავს, გულმკერდს და მუცელს, 2) შინაგანი სეკრეციის ჯირკვლებს, განსაკუთრებით ჰიპოფიზსა და ნაღველს. გვხვდება უფრო მარტივი დაყოფაც. მაგალითად, თავის, გულმკერდისა და მუცლის ურთიერთშედარდების მიხედვით (როდესაც ერთ-ერთი მათგანი ძლიერაა განვითარებული). აგრეთვე გამოყოფენ შერეულ ტიპებს, ამ შემთ-

¹ А. Вирениус. Характеристика ребенка. СПб., 1906. стр. 5.

² А. Лазурский, Очерк науки о характере. СПб. 1908. стр. 33.

ხვევაში სამი წევრიდან არც ერთი არაა გამოკვეთილად წარმოდგენილი. ამრიგად, ტემპერამენტის შესახებ მოძღვრების განვითარება უახლოვდება კონსტიტუციის ცნების ჩამოყალიბებას.

ამგვარად, საჭიროა განვიხილოთ კონსტიტუციისა და ტემპერამენტის ურთიერთმიმართების საკითხი. კონსტიტუციონალისტების საერთო შეხედულებას შეესაბამება ტემპერამენტის ის განმარტება, რომელიც მოცემულია სამედიცინო ლექსიკონში ლიტრესა და რიბოს მიერ:

„ტემპერამენტი არის ის საერთო ეფექტი, რომელსაც უპირატესად ერთი ორგანო ან სისტემა ახდენს ორგანიზმზე სხვა ორგანოსთან ან სისტემასთან შედარებით“¹ აქ უკვე აშკარადაა გამოხატული კონსტიტუციის, ორგანიზმის აგებულების მნიშვნელობა ტემპერამენტის განსაზღვრაში. როსტანი (Rostan), აგრძელებს რა სისტემატიკური სკოლის ხაზს, ავითარებს მას ლოგიკურ დასკვნამდე და აფუძნებს ტერმინს „კონსტიტუციას“, როგორც ტემპერამენტის საფუძველს, ამასთან ადგენს კონსტიტუციის ექვს სახეს. მაგალითად, საკმლის მომნელებელი ტრაქტი შეადგენს ერთ კონსტიტუციას, როცა ეს სისტემა სხვასთან შედარებით მძლავრადაა განვითარებული; მეორე სახის კონსტიტუცია განსაზღვრულია სისხლის მიმოქცევისა და სუნთქვის სისტემების ჭარბი განვითარებით; მესამე სახის კონსტიტუცია გაპირობებულია ტვინისა და ნერვული სისტემის უპირატესი განვითარებით; მეოთხეში ჭარბობს მოძრაობის ანუ კუნთური სისტემა; მეხუთეში — მწარმოებელი ორგანოები, მეექვსეში — ყველა სისტემის ატონური მდგომარეობა, რომელიც შეესაბამება ლიმფატიკურ ტემპერამენტს.²

კონსტიტუციის მოძღვრება ფართოდ გავრცელდა ფსიქოლოგიასა და ფსიქიატრიაში. ადამიანის სულიერ თვისებებზე მსჯელობდნენ იმის მიხედვით, თუ როგორი აგებულების ორგანიზმი ჰქონდა მას და რა ადგილი ეჭირა მასში ამა თუ იმ სისტემას.

იტალიელმა დე-ჯიოვანიმ ჩამოაყალიბა ეგრეთწოდებული „დეფორმაციის კანონი“, რომელშიაც მთავარი მნიშვნელობა აქვს ადამიანის ტანის სიმაღლისა და სისქის ურთიერთდამოკიდებულებას.³ ამ კანონის მიხედვით, წელწვრილ ადამიანებს მიდრეკილება აქვთ სიმაღლისაკენ, რაც თავის მხრივ განაპირობებს ტუბერკულოზურ ჰაბიტუსს; მსხვილწელიანი ადამიანები ჩვეულებრივ დაბალნი

1 ციტირებულია წიგნიდან Roback, The Psychology of character, გვ. 58.

2 Roback, The Psychology of character, გვ. 86.

3 იქვე, გვ. 86-87.

არიან და მიეკუთვნებიან აპოპლექსურ ჰაბიტუსს; ნორმალური წელის ადამიანებს ტანის ნორმალური აღნაგობა უჭიფარდებათ.

ჯიოვანის მოწაფეებმა ამოსავალ პუნქტად აიღეს კონსტიტუციის ეს სამი სახეობა და მოგვეცეს სხეულის ფორმათა შემდეგი კლასები:

1. როცა სხეულის სიმაღლე მის ჰორიზონტალურ განივთან შედარებით ჭარბადაა განვითარებული (The microsplanchnic); 2. როცა წელი უკიდურესად მსხვილია, ტანი შედარებით დაბალი (The macrosplanchnic); 3. როცა ტანის სიმაღლესა და სისქეს შორის მყარი პროპორციულობაა (The normosplanchnic).

სხეულის აგებულების ეს ტიპები დაკავშირებულია სუბიექტის ემოციებსა და აქტივობასთან. პირველი ჯგუფის ადამიანები უფრო ემოციური არიან, მეორენი კი — ინსტინქტური.

ფრანგმა ექიმებმა¹ იტალიელებზე უფრო გვიან, მაგრამ მათვან დამოუკიდებლად შეიტანეს თავისი წვლილი ადამიანის მორფოლოგიის შესწავლაში. მათი მთავარი წარმომადგენელია სიგო, რომელიც აქცენტირებას აკეთებს რა ორგანიზმის ზოგიერთი სისტემის განვითარების უპირატესობაზე, როგორც ტიპების კლასიფიკაციის საფუძველზე, საფუძვლით ეთანხმება თავისი ფრანგი წინამორბედები მოძღვრებას და ტემპერამენტის განმსაზღვრელად აღიარებს ორგანიზმის კონსტიტუციას. წინამორბედებთან შედარებით სიგო უფრო თანმიმდევრულია ადამიანის აგებულებაზე დაკვირვებაში, იგი მიმართავს ექსპერიმენტულ მეთოდს და ამ გზით აგროვებს რაოდენობრივ მონაცემებს. ამ მეცნიერის აზრით, გარემოსა და ორგანიზმის ურთიერთობის დახასიათებას საფუძვლად უნდა დაედოს ორგანოთა სისტემის თავისებურებანი; ორგანიზმის ყოველი სისტემა მჭიდრო ურთიერთობაშია გარემოსთან და განუწყვეტლივ განიცდის მის გავლენას. ორგანიზმზე გარემოს ზემოქმედება კი რეაქციების წყაროა. მაგალითად, ატმოსფერული გარემო იწვევს რესპირატორულ რეაქციებს, საკვები ნივთიერების ზემოქმედება — საჭმლის მომნელებელი სისტემის რეაქციას, ფიზიკური გარემო — კუნთურ რეაქციას, ხოლო სოციალური გარემო განაპირობებს გონებრივ რეაქციას. ამ სისტემათა ურთიერთდამოკიდებულების მიხედვით სიგო ადგენს ადამიანთა ოთხ ტიპს: 1) რესპირატორულს, 2) დიგესტიურს, 3) კუნთოვანს და 4) გონებრივს. სიგოს მოწაფეებმა განავითარეს ადამიანის მორფოლოგიის მოძღვრება და მთავარი

¹ Roback. The Psychology of character. გვ. 58-59.

ყორადლება დაუთმეს თითოეული ტიპის გარეგნული ნიშნების აღწერა-დახასიათებას. ისინი ადამიანთა ტიპოლოგიას უკავშირებენ გეოგრაფიულსა და ეკონომიურ გარემოს. ამ თვალსაზრისის მიხედვით, მდიდარ, ნაყოფიერ ქვეყანაში დიგესტიური ტიპი უნდა სპარბობდეს. მთიან და მშრალ ადგილებში — რესპირატორული, ხოლო იქ, სადაც დიდი ფიზიკური დაძაბულობაა საჭირო — კუნთოვანი სისტემის უპირატესობის ადამიანები. რაც შეეხება ცერებრულ ტიპებს, ისინი, მათი აზრით, ქალაქის ნაყოფია.¹

კონსტიტუციის მოძღვრება ყველაზე დასრულებული სახით მოცემულია ერნსტ კრენშერის შრომაში „სხეულის აგებულება და ხასიათი“. მისი წინამორბედი კონსტიტუციონალისტებისაგან განსხვავებით, კრენშერი ადამიანის სულიერ თვისებებზე დასკვნას ცალკეული სისტემების მიხედვით კი არ აკეთებს. არამედ სუბიექტის მთლიანი ორგანიზმის შესწავლის საფუძველზე. კრენშერი საყვედურს გამოთქვამს ფრანგი კონსტიტუციონალისტების (უფრო სწორად სისტემატიკოსების) მისამართით ტიპების არამეცნიერული და არა ემპირიული გზით დადგენის გამო. უკანასკნელ ხანებში, — ამბობს კრენშერი, — გერმანიაშიც დაიწყო გავრცელება ტვინის, სუნთქვის, კუნთოვანი და საჭმლის მომწელებელი ტიპების ფრანგულმა ნომენკლატურამ. ფრანგული ტიპები ბევრ კარგ ინტუიციანზე მეტყველებს. ჩვენ ვფიქრობთ, რომ კუნთოვან და საჭმლის მომწელებელ ტიპებს საფუძვლად უდევთ ბევრი ისეთი თვისება, რომელთაც დაწვრილებით გადმოვცემთ ათლეტური და პიკნიკური კონსტიტუციის ტიპების აღწერისას. ფრანგული კლასიფიკაციის ძირთადი შეცდომა იმაში მდგომარეობს, რომ მისი ცალკეული სწორი დაკვირვებები ძალითაა მომწყვდეული სპეკულაციით აგებულ სქემათა ჩარჩოში. ეს სქემა შეიძლება ასე წარმოგიდგინოს: 1) აზრის ადამიანებს დიდი თავი უნდა ჰქონდეთ, 2) ჰამა-სმის მოყვარულთ — დიდი სტომაქი, 3) გიმნასტებს — ჩამოქნილი კუნთები, 4) მორბენალთ — მძლავრი ფილტვები. ასეთი დედუქტიური მსჯელობა შეიძლება უსასარულოდ ვაწარმოოთ. ვფიქრობთ, აქ თავს იჩენს იდეა, რომელიც ლათატერიდან მომდინარეობს და ჩაქედინია ფიზიოგნომისტებისა და რასათა შემსწავლელი პოპულარული ბიოლოგების თავებში. ამ იდეის მიხედვით, მძლავრად განვითარებული ქვედა ყბა გორილას მემკვიდრეობის ნიშანს წარმოადგენს და უმთავრესად იმ ადამიანებს გააჩნიათ, რომელთაც მორალური

¹ Roback, The Psychology of character, გვ. 20

თვისებები სუსტად აქვთ განვითარებული.¹ მაგრამ კრეჩმერი არ უარყოფს ფიზიკურისა და ფიზიოლოგიურის ფსიქიკურთან კანონზომიერ დამოკიდებულებას. იგი ამბობს: „სხეულებრივი თვისებანი არავითარ ლოგიკურ კავშირში არაა იმავდროულად შენიშნულ ფსიქიკურ ნიშან-თვისებებთან. ეს კავშირი შეიძლება დადგინდეს მხოლოდ ემპირიულად.“² იგი ფრანგ კონსტიტუციონალისტებს უსაყვედურებს, რომ მათ მიერ დადგენილი ტიპები მჭკრეტელობის, გონების, სპეკულაციის შედეგია და არა ცდის, ამიტომ იგი მოკლებულია მეცნიერულ საფუძველს. სხვა, პრინციპულად საწინააღმდეგო მოსაზრება მათ მიმართ კრეჩმერს არა აქვს. იგი თვითონ ცდილობს ამ ხარვეზის შევსებას და გამოცდილების საფუძველზე ეძებს შესაბამისობას სხეულის აგებულებასა და ფსიქიკურ თავისებურებას შორის. კრეჩმერი ბოლომდე იცავს ემპირიულ მეთოდს. მრავალმხრივი კვლევა-ძიების შედეგად იგი ადგენს გარკვეულ შესაბამისობას ადამიანის სხეულის აგებულებასა (მორფოლოგიას) და ფსიქიკურ თვისებებს შორის. კრეჩმერი ფსიქიკას განიხილავს როგორც ბიოლოგიურ ფუნქციას, რომელიც მკიდრო კავშირშია სხეულთან. ამ მთლიანი ფსიქო-ფიზიკური ორგანიზაციის აღსანიშნავად იგი ხმარობს ტერმინს „კონსტიტუცია“, რომელიც ორი კომპონენტისაგან — სხეულისა და ფსიქიკისაგან შედგება. სხეულის აგებულების თავისებურებათა დეტალური შესწავლის საფუძველზე კრეჩმერი ადგენს სამ ტიპს: ასთენიკურს, ათლეტურსა და პიკნიკურს, რომლებიც ერთმანეთისაგან განსხვავებული ფსიქიკური თვისებების არიან. თვით ფსიქიკურიც არაა ერთნაირი ბუნების. უპირველესად აღსანიშნავია ფსიქიკის მემკვიდრეობითი და შექმნილი თვისებების სხვადასხვაობა. კრეჩმერს მემკვიდრეობით ფსიქიკურ ნიშნად მიაჩნია ტემპერამენტი. შენაძენად — ხასიათი. იგი დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ტემპერამენტს, როგორც მემკვიდრეობით ფსიქიკურ თვისებას, რომელიც პირველადს ფუძემდებელ კავშირშია ორგანიზმთან. ტემპერამენტი ფსიქიკურის იმ ნაწილს შეადგენს. რომელიც, ალბათ, ჰუმორების საშუალებით არის კავშირში სხეულის აგებულებასთან. ტემპერამენტი. შეაღწევს რა ფსიქიკურ აპარატში. გრძნობად ტონს აძლევს ფსიქიკას. შეაკავებს ან აამოქმედებს მას.³ ამ მეცნიერის აზრით, ტემპერამენტი ფსიქიკური

¹ Э. Кречмер. Строение тела и характер. 1930, стр. 17—18.

² იქვე, გვ. 19.

³ Э. Кречмер. Строение тела и характер, стр. 295.

თვისება და, როგორც ფსიქიკა მთლიანად. იგი კანონზომიერ კორელაციაშია სხეულის აგებულებასა და იმ სულიერ გარდაქმნასთან, რომელსაც გარკვეული კონსტიტუციის ადამიანი განიცდის. ასეთი გარდაქმნა, აზრობის აზრით. ორგანოა: ციკლოთიმიკური და შიზოთიმიკური. არსებობენ აქის შესაბამისი ტემპერამენტებიც, რომლებიც თავის მხრივ შეიცავენ რამდენიმე ქვესახეს.¹ მაგალითად, ტემპერამენტთა კრეჩმერისეული დაყოფა ასეთია:

1) ციკლოთიმიკური, ა) ჰიპომან იაკალური, მხიარული, მოძრავი, ბ) სინტონური, ზომიერი, მხიარული, პრაქტიკული რეალისტი, ზომიერი იუმორისტი, გ) მელანქოლიკური, რბილი;

2) შიზოთიმიკური, ა) ჰიპერესთეტული, ნაზი, შიგნით მიმართული ადამიანი, აგზნებადი, ნერვული, იდეალისტი. ბ) შიზოთიმიკური საშუალო მდგომარეობა, ცივი, ენერგიული, სისტემატური, თანმიმდევარი, მშვიდი, არისტოკრატიული. გ) უგრძნობელი, გულცივი, ცივი, ნერვული, უცნაური, სუსტი აფექტების, ჩლუნგი, უსაქმური. ციკლოთიმიკები უმთავრესად პიკნიკები არიან და მათი ტემპერამენტი მერყეობს ჭარბად მხიარულსა და დეპრესიულს შორის. შიზოთიმიკები არიან ასთენიკები, ათლეტები, დისპლასტიკები და მათი კომბინაციები. შიზოთიმიკების ტემპერამენტი მერყეობს ძლიერი მგრძნობიარობისა და გულცივობის პოლუსებს შორის. ასეუია ძირითადად ტემპერამენტის განსაზღვრა გრძნობათა ტონის მიხედვით. მაგრამ კრეჩმერი ტემპერამენტს მარტო გრძნობის სფეროთი როდი შემოფარგლავს, იგი აღიარებს მის გავლენას მოქმედებაზე და ფსიქიკურ ტემპზე. მისი აზრით ტემპერამენტი გავლენას ახდენს ფსიქესთეზიაზე, გუნება-განწყობილების ტონზე (ფსიქიკური შინაარსისათვის სიამოვნება-უსიამოვნების ელფერის მიცემა), ფსიქიკურ ტემპზე (საერთოდ, ფსიქიკური პროცესებისა და მათი სპეციალური რიტმის დაჩქარება ან შეკავება-შენელება), ფსიქო-მოტორულ სფეროზე (ყერძოდ, საერთო მოძრაობის ტემპზე).²

ჩვენ არ შევუდგებით კონსტიტუციის შესახებ კრეჩმერის მოძღვრების დაწვრილებით კრიტიკას, მიუვთითებთ მხოლოდ ზოგიერთ პრინციპული ხასიათის მცდარ დებულებაზე:

1) კრეჩმერი ფსიქო-ფიზიკური პარალელიზმის თვალსაზრისზე დგას. მისი აზრით, გარკვეული ფიზიკური ორგანიზაცია ხასიათდება

1) Э. Кречмер. Строение тела и характер, 1930, стр. 155-175

2) იქვე, გვ. 295.

გარკვეული ფსიქიკური თვისებებით, შეიძლება ორგანიზმის მორფოლოგიით აიხსნას ფსიქიკური და პირიქით. დიალექტიკური მატერიალზმის მეთოდოლოგიურ საფუძველზე აგებული საბუნებისმეტყველო მეცნიერებანი უარყოფენ ასეთ პირდაპირ დამოკიდებულება-განპირობებულობას ორგანიზმის მორფოლოგიურსა და ფსიქიკურ წყობას შორის. ადამიანის ფსიქიკის განხილვისას უპირველესად მხედველობაში უნდა მივიღოთ ფსიქიკის მატერიალურა სუბსტრატის, ნერვული სისტემის (ტვინის) ფიზიოლოგიური (და არა მარტო ანატომიური) თვისებები. ფსიქიკურ პროცესებს ტვინის ფიზიოლოგიური პროცესები უღევს საფუძველად და არა თავის ქალას ფორმა, სახის მოყვანილობა, ბეჭების სიფართო, კუნთოვანი სისტემა და ა. შ. მაგრამ ერთმნიშვნელოვანი დამოკიდებულება მაინც არაა ტვინის ფიზიოლოგიურ პროცესებსა და ფსიქიკის ობიექტებს შორის.

2) კრეჩმერის კონსტიტუციური მოძღვრების შეფასებისას უნდა გავითვალისწინოთ ის გარემოება, რომ მისი მოძღვრების ამოსავალი პრინციპია სუბიექტის ავადმყოფური მდგომარეობა. პათოლოგიური პირების შესწავლის შედეგები განზოგადებული და გავრცელებულია ჯანსრთელ ადამიანებზე. პათოლოგიური მდგომარეობანი არაა გამოყოფილი ნორმალური მდგომარეობისაგან. სწორედ აქედან მომდინარეობს კრეჩმერის დასკვნა. რომ „ყოველ ადამიანში არის გარკვეული მიდრეკილება ფსიქიკური დაჯაოებისაკენ“.¹

კრეჩმერის ამ შეხედულების შესახებ აკად. ი. პავლოვი ამბობს:

„...კრეჩმერის ნერვული ტიპების კლასიფიკაცია, რომელმაც თითქმის საყოველთაო აღიარება პპოვა; განსაკუთრებით ფსიქიატრებს შორის. მცდარად ან არასაკმარისად უნდა მივიჩნიოთ კრეჩმერის ტიპები აღებულია კლინიკურ ავადმყოფთაგან და განა არ არიან სრულიად ჯანსალი ადამიანები, განა ყველა ადამიანა უსათუოდ ნერვული და სულიერი დაავადების ჩანასახის მატარებელი უნდა იყოს“.²

კრეჩმერს ტემპერამენტი ესმის როგორც სულის თვისება. იგი ტემპერამენტის ფორმირებაში სათანადო ადგილს არ უთმობს ნერვულ სისტემას და უპირატეს მნიშვნელობას ანიჭებს ჰუმორალურ ფაქტორებს. ტემპერამენტის არსის შესახებ კრეჩმერის გამო-

1 Э. Кречмер, Строение тела и характер, гв. 1. 2. 86.

2 ი. პ. პავლოვი, რჩელი თხზ., საქმედგამი, 1955 წ., გვ. 202.

თქმიდან ცხადია, რომ იგი ჰუმორალურ დოქტრინას არ ანიჭებს იმ მნიშვნელობას, რომელიც მას ჰქონდა მექანიკურ მატერიალისტებთან. კრეჩმერისათვის ტემპერამენტი ისეთი ფსიქიკური თვისებაა, რომელიც სხეულისგან დამოუკიდებლად არსებობს. ასეთ მკდარ იდეალისტურ შეხედულებას ავითარებს კრეჩმერი ფიზიკურისა და ფსიქიკურის ურთიერთობის შესახებ.

კონსტიტუციის მოძღვრების გავლენა იგრძნობა ჩვენი საუკუნის 40-იანი წლების შრომებშიც. კერძოდ, ამერიკელი ფილოსოფოსი და ფსიქოლოგი შელდონი,¹ რომელიც ახლოს იცნობს მედიცინას. მიმდინარე საუკუნის 30-იან წლებში დაინტერესებულა ტემპერამენტის საკითხით და გარკვეული კვლევა-ძიებაც უწარმოებია. მან სცადა ადამიანთა განსხვავებულობის პირველადი ნიშნების დადგენა. იგი გამოდიოდა იმ შეხედულებიდან, რომ ფსიქოლოგიამ თავის ამოცანად უნდა დასახოს ცდის ჩატარება, დაკვირვების საშუალებით ადამიანთა განსხვავებულობის პირველადი, ანუ ელემენტარული კომპონენტების შეცნობა და გაზომვა. შელდონის შრომის პირველი ტომი შეიცავს სტატიკურ მასალას, რომელშიც ავტორი ავითარებს იმ ასრს, რომ ორგანიზმის ფიზიკური აგებულება შედარებით მტკიცე და სტატიკურია. ამიტომ პირველ რიგში ეს ნიშნები უნდა იქნას დადგენილი. მრავალი ადამიანის სხეულის ფოტოგრაფიული სურათების ანალიზის საფუძველზე მან ადამიანის ორგანიზმის აგებულების (სომატოტიპის) შემდეგი დაჯგუფება აღიარა: 1) ენდომორფი (როდესაც სხეულის შინაგანი ნაწილი უფრო ძლიერაა განვითარებული. ხოლო სომატური სტრუქტურა შედარებით სუსტად), 2) მეზომორფი (როდესაც უპირატესად განვითარებულია სომატური სტრუქტურა: ძვლები, კუნთები და შემადგენელი ქსოვილები), 3) ეკტომორფი (სუსტი, ბრტყელი, ჩაწეული, განუვითარებელი გულ-მკერდი და წვრილი, მალალი ტანი).

ასეთია შელდონის აზრით ადამიანის სხეულის აგებულების ძირითადი. პირველადი ტიპები. მაგრამ ამის გარდა არსებობს მათი ვარიაციებიც. მაგალითად. ცალკე ვარიანტს შეადგენს ე. წ. დისპლაზია, რომელიც წარმოიქმნება სხეულის სხვადასხვა ნაწილში პირველადი კომპონენტების კომბინაციის შედეგად.

ვარიაციის ამ სტატიკური კომპონენტების დადგენის შემდეგ ავტორი განიხილავს დინამიკურ კომპონენტებს. შელდონს მიაჩნია, რომ ტემპერამენტი შედგება სტატიკური და დინამიკური კომპონე-

¹ Sheldon W. H. The varieties of temperament. New-York and London, 1942.

ნტებისაგან. რომ სტატკურ კომპონენტებს შეადგენს სხეულებრივი აღნაგობა, ხოლო დინამიკურს — თვითეული ამ მორფოლოგიური ტიპის მოძრაობაში განხილვა; მათი ფუნქცია. ტემპერამენტის დინამიკური კომპონენტების აღსანიშნავად შელდონს შემოაქვს ტერმინები ვისცეროტონია, სომატოტონია და ცერებროტონია. ავტორს თვითეული ამ ჩგუფისათვის დამახასიათებელი ნიშნების ცხრილი აქვს შედგენილი და ყოველი კონკრეტული პიროვნების შესწავლა სწარმოებს სამივე დანაყოფის (ვისცეროტონია, სომატოტონია, ცერებროტონია) კითხვების შესაბამისად. მორფოლოგიური ტიპის დადგენა წარმოებს სხეულის მთლიანი შთაბეჭდილებებით ხედავით და მიაი სხვადასხვა ნაწილის გაზომვით. ხდება თითოეული ტიპის შეიღბალიანი შეფასება ცალკეულ ნიშნებზე დაყრდნობით. ე. ი. თითოეული ნიშანი შეიძლება ინდივიდში მოცემულ იყოს ერთიდან შეიდ ერთეულამდე. მაგალითად. დადგენილია. რომ პიროვნება სომატოტიპის მიხედვით ენდომორფია ძირითადად და ცოტათი შენაერთია მეზომორფისა და ეკზომორფის. ვთქვათ თითოეული — ერთი მეშვიდედი. მაშინ ჩვენ ვლებულობთ ენდომორფიულ ტიპს. შემდეგი გამოხატულებით: 7—1—1.

საჭიროა განისაზღვროს დინამიკური კომპონენტების ხარისხი. ამისათვის ყოველი კონკრეტული პიროვნება მრავალი და ხანგრძლივი დაკვირვებით. საუბრითა და სხვა საშუალებებით მოწმდება დინამიკური კომპონენტების ცხრილის მიხედვით. ეს ცხრილი ისეა შედგენილი. რომ თითოეულ მორფოლოგიურ ტიპს შეესაბამება განსაზღვრული დინამიკური ტიპი (ენდომორფს — ვისცეროტონია. მეზომორფს — სომატოტონია. ეკზომორფს — ცერებროტონია). ცხრილის თითოეული პუნქტის შეფასებაც შეიღბალიანია. ყოველი ჩგუფისათვის ოცი ნიშანია დასახელებული. რომელთა მიხედვითაც შეისწავლება პიროვნება. ამრიგად. დინამიკური კომპონენტის უმაღლესი გამოხატველი იქნება ასორმოცი ერთეული და უდაბლესი -- ოცი. მაგრამ წმინდა ტიპები იშვიათია. თანაც შეიძლება ადამიანი ერთდროულად საწინააღმდეგო თვისებებსაც შეიცავდეს, მაგალითად. სომატოტონიის ადამიანს ჰქონდეს ზოგიერთი ნიშანი ვისცერო ან ცერებროტონიისა. შელდონის ნაშრომში ისეთი კონკრეტული პიროვნებაა აღწერილი. რომლის ვისცეროტონია 25-ია. სომატოტონია — 21, ცერებროტონია — 135. ტემპერამენტის ინდექსი არის 1—1—7, ე. ი. ცერებროტონული ტემპერამენტი.

ამგვარი შეფარდებით მრავალი ტემპერამენტი შეიძლება მივი-

დღო. რომელთაგან ცირითადი იქნება საში წმინდა და ოთხი შერეული ტემპერამენტი.

როგორც ვხედავთ. შელდონის მიერ ჩატარებული მუშაობა ინტერესს მოკლებული როდია, მაგრამ კითხვა ისმის: რას გვაძლევს ჩვენ ეს გამოკვლევა, შეეფერება თუ არა დასახულ მიზანს (ტემპერამენტის განსაზღვრას)? ვფიქრობთ. ტემპერამენტის ცნება ავტორს სწორად არ აქვს გაგებული, რამდენადაც ტემპერამენტის განსაზღვრისათვის განკუთვნილ ცხრილში მრავლად ვხვდებით ისეთ საკითხებს, რომლებიც მორალის, სოციოლოგიის და ხასიათის პრობლემებს შეეხება და არა ტემპერამენტს. გარდა ამისა. როგორც თვითონ აღიარებს, შელდონის ამოსავალი პუნქტია ფიზიკური აგებულებისა და დინამიკის ერთმნიშვნელოვანი დამოკიდებულება. ამ გზით ტემპერამენტი ფაქტიურად უკვე წინასწარ განსაზღვრულია მორფოლოგიური ფაქტორებით (ენდომორფები ვისცე-როტონურია, მეზომორფები — სომატოტონურია, ექსომორფები — ცერებროტონურია). გამოსაკვლევ იჩება მხოლოდ ტემპერამენტის ხარისხი, მისი სიწმინდე და სხვა ტემპერამენტთან შერთვა. დინამიკურ თვისებათა საკვლევი კითხვები (ცხრილი) მორფოლოგიური ტიპების დამხმარე მასალის მოსაპოვებლადაა განკუთვნილი და ამიტომ მათ დამოუკიდებელი ღირებულება არა აქვთ. შელდონის მიერ დინამიკური კომპონენტების უპირატესი მნიშვნელობის აღიარების მიუხედავად.

რადგან შელდონის ამოსავალი პუნქტი მედარია, ამდენად მისი ნაშრომი ტემპერამენტის დადგენისა და კლასიფიკაციის შესახებ მეცნიერულ ღირებულებას მოკლებულია.

4. ფსიქოლოგიურ-იდეალისტური შეხედულებანი ტემპერამენტის შესახებ. ჩვეულებრივ, ტემპერამენტის ფსიქოლოგიურ-იდეალისტური თეორიის განხილვას კანტიდან იწყებენ. მართალია, კანტმა გამოკვეთილად ჩამოაყალიბა თავისი ფსიქოლოგიურ-იდეალისტური შეხედულება ტემპერამენტის შესახებ. მაგრამ სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ ამ მხრივ მას წინ უსწრებდა იდეალისტი პლატნერი (ამ ფაქტზე მიუთითებენ ჰენლე, ა. ტოკარსკი და ა. რობეკი. რომელთა შრომებითაც ჩვენ ვსარგებლობთ პლატნერის აზრის გადმოცემისას).

პლატნერის აზრით, სულის ორგანო სულთანაა შეერთებული. სული ფარულად. უჩინრად არის მოთავსებული ნერვულ ქსოვილებში. სული შეგარძნებისა და მოძრაობის დამოუკიდებელი პრინ-

ციპია. სულის ორგანო ორი ნაწილისაგან შედგება. ერთია მხედველობის, სმენისა და შეხების შეგრძნებათა ორგანოების ნერვები. მეორე — გემოს, სუნის შეგრძნებისა და საერთო გრძნობის ორგანოთა ნერვები. სულის პირველი ორგანო უფრო არსებითი და კეთილწონილია. იგი აღვიძებს იმ იდეებს, როსლებიც ყოფიერების განსაზღვრას. აბსტრაქტულ ცნებებსა და წმინდა ქეშპარიტებას ეხებიან, სოლო მეორე ორგანო სულში აღვიძებს ცხოველური მდგომარეობის წარმოდგენას, რომელიც შედგება ბუნდოვანი შეგრძნებებისაგან. სულის პირველი ორგანოდან შემოსულ წმინდა გონებრივ წარმოდგენებს სამყაროს შესახებ მუდამ შეიერევა ხოლმე ცხოველური შეგრძნებები. რომლებიც სულის მეორე ორგანოდან მომდინარეობენ. ადამიანის გონებრივ მოქმედებაში ყველგან მქლავნდება ცხოველური ხასიათი. ასევე. მხოლოდ უფრო ნაკლები ხარისხით, ცხოველურ მოქმედებაშიც ვლინდება სულიერი ბუნება. სულის ამ ორ ორგანოთა მოქმედების შეერთებისას შესაძლებელია სხვადასხვა ურთიერთმომართება დამყარდეს: შეიძლება პირველი ორგანო იყოს ძლიერი, მეორე — სუსტი და პირიქით; ან ორივე ძლიერი ან სუსტი. ამგვარად წარმოიქმნება ოთხი ტემპერამენტი. რომელთაც პლატნერი შემდეგ სახელწოდებებს აძლევს: 1) ათიკური ანუ გონების. გონიერების ტემპერამენტი. 2) სკვითური ანუ ცხოველური, 3) რომაული ანუ გმირული. 4) ფრგვიული ანუ უმწეო. თითოეული ეს ტემპერამენტი ორ სახეობას შეიცავს იმის მიხედვით ადვილად და თავისუფლად, თუ ნელა და ძნელად ვლინდება სულის მეორე ორგანოს მოქმედება. ათიკური ტემპერამენტი იყოფა ეთეროვან და მელანქოლიკურად. სკვითური — სანგვინიკურად და ბეოტიურად. რომაული — ფიცხად და გმირულ ტემპერამენტად. ფრგვიული — ფლეგმატიკურ და ჰექტიკურად.

პლატნერის შეხედულება ტემპერამენტზე და მისი კლასიფიკაციის ძირითადი პრინციპები სპეკულატურია. ამიტომ. ცხადია. მას ნეცნიერული ღირებულება არ გააჩნია და მხოლოდ მოძღვრების განვითარების ისტორიის განხილვის თვალსაზრისით აქვს მნიშვნელობა.

ი. კანტი, ისე როგორც პლატნერი. ტემპერამენტში სკვრეტს სულის ბუნებრივი თვისების გამოვლენის სპეციფიკურობას. ხოლო ხასიათში — შენაძენ თვისებებს. კანტი განიხილავს ტემპერამენტის ფიზიოლოგიურ არსს და ამბობს, რომ როდესაც ფიზიოლოგიური გაცებით ლაპარაკობენ ტემპერამენტზე, მხედველობაში აქვთ სხეუ-

ლის კონსტიტუცია (სუსტი ან ძლიერი აგებულება) და კომპლექცია (სითხე, რომელიც სასიცოცხლო ძალის მეშვეობით კანონზომიერად მოძრაობს სხეულში). მაგრამ როდესაც საკითხი ფსიქოლოგიური თვალსაზრისით განიხილება, მაშინ ყურადღებას აქცევენ სულის ტემპერამენტებს გრძნობისა და სურვილების სფეროში. დაქტიურად არსებობს ერთგვარი პარალელური გამოვლინება სხეულებრივი ტემპერამენტისა და სულის ტემპერამენტისა. სულის ტემპერამენტის თვისებები, სურვილი და გრძნობა დაკავშირებულია სხეულებრივ მოძრაობებთან. მაგრამ აქ პირველადი, ძირითადი არის სულის თვისება, სხეული მხოლოდ მასალის როლს ასრულებს. კანტი ტემპერამენტს უნარჩუნებს გრძნობისა და სურვილების თვისებას, რომლებიც სხეულებრივ სუბსტანციასთანაა დაკავშირებული. გრძნობისა და სურვილების მიხედვით კანტი ტემპერამენტს ყოფს ორ ჯგუფად: გრძნობისა და მოქმედების ტემპერამენტებად. გრძნობის ტემპერამენტებია სანგვინიკური და მელანქოლიკური. მოქმედებისა — ქოლერიკული და ფლეგმატიკური.

კანტი ტემპერამენტს განიხილავს სისხლის თვისებებთან კავშირში. მისი აზრით, სანგვინიკური ტემპერამენტი სისხლის მსუბუქ მოძრაობასთანაა დაკავშირებული. მელანქოლიკური — მძიმესისხლანი ადამიანის თვისებაა, ქოლერიკული — თბილისისხლიანის, ხოლო ფლეგმატიკური ცივისისხლიანი ადამიანის თვისებას შეადგენს. კანტი სისხლის თვისებებს იმ მნიშვნელობას არ ანიჭებს, რომელიც მას ჰქონდა ჰუმორალურ და სისხლის მიმოქცევასთან დაკავშირებულ მოძღვრებაში. სისხლის ეს თვისებები კანტს გრძნობათა სინონიმებად აქვს მოტანილი და მათ ამხსნელი მნიშვნელობა არ ენიჭებათ.

კანტის აზრით, არსებობს მხოლოდ წმინდა ტემპერამენტები. იგი უარყოფს შერეული ტემპერამენტების არსებობას. თუ ტემპერამენტები ერთმანეთშია შერეული, მაშინ ისინი ან ეწინააღმდეგებიან ერთმანეთს (სანგვინიკური და მელანქოლიკური, ქოლერიკული და ფლეგმატიკური) ანდა მათი განეიტრალება ხდება (სანგვინიკური ანეიტრალებს ქოლერიკულს. მელანქოლიკური — ფლეგმატიკულს).მაგრამ თუ სამიდან ერთი მდგომარეობა ერთსა და იმავე სუბიექტში შერეული იქნება სხვა მდგომარეობასთან, მაშინ

მხოლოდ უცნაურობასა და კაპრიზებს მივიღებთ და არა განსაზღვრულ ტემპერამენტს“.¹

ტემპერამენტის კანტისა და პლატონისეული გაგების შესახებ უნდა ითქვას, რომ ორივე მოაზროვნე ტემპერამენტს აღიარებს სულის თვისებად და ამორებენ მას მატერიალურ სინამდვილეს.

მედარია აგრეთვე კანტის შეხედულება წმინდა ტემპერამენტების აუცილებლობის შესახებ, რადგან სინამდვილეში აღამიანთა საკმაოდ დიდ ნაწილს შერეული ტემპერამენტი აქვს.

უფრო ვიწროდ განიხილავს ტემპერამენტის ცნებას ვილჰელმ კუნდტი. მან ტემპერამენტის ძირითად ნიშნად აღიარა გრძობათა აღმოცენებისა და მიმდინარეობის მხოლოდ ფორმალური მხარეები.²

კუნდტის აზრით. ჰიპოკრატე-გალენის ჰუმორალური დოქტრინის საფუძველზე ტემპერამენტების ოთხ ჯგუფად დაყოფა. მიუხედავად ამ დოქტრინის უკუგდებისა და შეცვლისა. მაინც ძალაში რჩება, რაც იმაზე მიუთითებს. რომ ტემპერამენტთა ძველსძველი კლასიფიკაცია ღრმა დაკვირვებების შედეგი იყო. ტემპერამენტთა ოთხ ჯგუფად დაყოფა იმითაცაა გამართლებული. რომ აფექტთა ინდივიდუალური თავისებურებანი შეიძლება ორი ურთიერთსწინააღმდეგო სახისა იყოს: პირველი განსხვავება გამოიხატება აფექტის ძალაში. ხოლო მეორე — ცვალებადობის სისწრაფეში. ძლიერი აფექტებისაკენ აქვთ მიდრეკილება ქოლერიკულსა და მელანქოლიკურ ტემპერამენტებს. სუსტისაკენ — სანგვინიკურსა და ფლეგმატიკურს. სწრაფი ცვალებადობისაკენ არიან მიდრეკილნი სანგვინიკური და ქოლერიკული ტემპერამენტები. ნელსაკენ — მელანქოლიკური და ფლეგმატიკური. ამ თვისებათა ნიხედვით შეიძლება შემდეგი სქემა მივიღოთ:

სწრაფი	ძლიერი	სუსტი
	ქოლერიკული	სანგვინიკური
ნელი	მელანქოლიკური	ფლეგმატიკური

კუნდტი არ უარყოფს ტემპერამენტის სხვა თვისებებს. მაგრამ ძირითადად მას მაინც აფექტის ფორმალური მხარეები მიაჩნია. ბოლო სხვა თვისებებს მათთან კავშირში განიხილავს. რაც გარ-

¹ И. Кант, Антропология, СПб., 1900. стр. 148.

² В. Вундт, Основы физиологической психологии, стр. 735—736.

კვეულ შესაბამისობას ამტკიცებს გრძნობებსა და ფსიქიკურ თვისებებს შორის. მაგალითად, ძლიერ ტემპერაჰენტებს — ქოლერიკულსა და მელანქოლიკურს — უარყოფითი გრძნობები უფრო აღეფეროთ. ხოლო სუსტი ტემპერაჰენტებისათვის დადებითი გრძნობებია დამახასიათებელი.

კანტისაგან განსხვავებით, ვუნდტი იმ აზრისაა, რომ თითოეულ ტემპერაჰენტს აქვს დადებითი და უარყოფითი თვისებები და ამიტომ იმაში მდგომარეობს, რომ ადამიანი დაეუფლოს ტემპერაჰენტსა და ინსტინქტებს, თავის თავში შეაერთოს ყველა ტემპერაჰენტი.¹

საჭიროა ერთგვარად განვმარტოთ ეს შეხედულება. ყველა ტემპერაჰენტის ყველა თვისება შეუძლებელია მოცემული იყოს ერთ ადამიანში. ალბათ, ვუნდტს ამ შემთხვევაში მხედველობაში აქვს ტემპერაჰენტის დადებითი თვისებები. ეს მისი შემდეგი გამოთქმიდან ჩანს: „ის (ადამიანი) სანგვინიკური უნდა იყოს ყოველდღიურ წვრილმან არასასიამოვნო და სასინარულო მოვლენების წინაშე. მელანქოლიკური — ცხოვრების სერიოზულ, მნიშვნელოვან მომენტებში. ქოლერიკული — საინტერესო შთაბეჭდილების მიღების თვალსაზრისით და ფლეგმატიკური — მიღებული გადაწყვეტილების შესრულების საქმეში“.²

ჰედდინგს არასაკმარისად მიაჩნია ტემპერაჰენტის კანტისეული და ვუნდტისეული კლასიფიკაცია და ამბობს, რომ მის მიერ მოცემულ კლასიფიკაციაში მხედველობაშია მიღებული ტემპერაჰენტის ყველა არსებითი მხარე: ყოფიერებისადმი პასიური და აქტიური დამოკიდებულება, სიცოცხლის შინაგანი გრძნობის თვისება. ჰედდინგი ტემპერაჰენტს სთვლის გრძნობებისადმი თანშობილ ანდა შენაძენ წინასწარ განწყობილებად. ტემპერაჰენტის ვუნდტისეული კლასიფიკაციის პრინციპებს ჰედდინგი უმატებს ორგანიზმის წინასწარ განწყობილებას სიამოვნება-უსიამოვნებისადმი და ამ გზით ლებულობს შემდეგ რვა ტემპერაჰენტს:

1) მხიარული, ძლიერი და სწრაფი;

2) დაღვრემილი, ძლიერი და სწრაფი (თითქმის შეესაბამება „ქოლერიკულ“ ტემპერაჰენტს);

3) მხიარული, ძლიერი და ნელი;

4) დაღვრემილი, ძლიერი და ნელი (თითქმის შეესაბამება „მელანქოლიკურ“ ტემპერაჰენტს);

¹ В. Вундт. Основы физиологической психологии, стр. 737.

² იქვე, გვ. 737.

5) მზიარული, სუსტი და სწრაფი (თითქმის შეესაბამება „სან-გვინიკურ“ ტემპერამენტს);

6) დაღვრემილი, სუსტი და სწრაფი;

7) მზიარული, სუსტი და ნელი (თითქმის შეესაბამება „ფლეგმატიკურ“ ტემპერამენტს);

8) დაღვრემილი, სუსტი და ნელი.¹

თავისებური პოზიციებიდან მიუღვა ტემპერამენტის შესწავლას ნარცის ახი.² მისი აზრით, ნებისყოფის სიმტკიცის შესასწავლად ჩატარებულ ცდებში ტემპერამენტის თავისებურებაც იჩენს თავს. აღმოჩნდა, რომ ასოციაციურსა და ნებისყოფის ტენდენციებს შორის მერყეობაა: ისინი განსხვავებულად მიმდინარეობენ სხვადასხვა ინდივიდში. ეს მოვლენა ნარცის ახიმ გამოიყენა ტემპერამენტის დიაგნოსტიკისათვის. სანგვინიკური ტემპერამენტის ადამიანი ნებისყოფის სიმტკიცის ცდებში მეორე წყვილ მარცვალს (პირველის დასახელების შემდეგ) წარმოთქვამს თავისუფლად. შეუფერხებლად. ძალდატანებლად. ცდის ასეველობის პერიოდში შეინარჩუნება აგრეთვე დეტერმინაციის ტენდენციის შესუსტება.

ქოლერიკული ტემპერამენტი ხასიათდება სუსტი დეტერმინაციით. ამ ტემპერამენტის ადამიანს სჭირდება დიდი ძალისხმევა. რათა განახორციელოს ცდაში დასახული მიზნის შესაბამისი აქტიური დაძაბულობა, რომელიც ძლიერი აგზნების შედეგია. იწვევა მიზნის მიღწევის საშუალების უყურადღებოდ დატოვებას. ამ მდგომარეობას (ძლიერ აგზნებას, მიზნის მიღწევის საშუალების გაუცნობიერებლობას) თან სდევს უსამოქმედების გრძნობითი ტონი.

მელანქოლიკური ტემპერამენტიც ხასიათდება სუსტი დეტერმინაციით. მოტორული და სენსორული აგზნებადობის შეზღუდულობით. სუსტი მოტივაციით.

ფლეგმატიკურ ტემპერამენტს ახასიათებს სუსტი მოტივაცია. სუსტი აგზნებადობა. ამასთან ინტენსიური დეტერმინაციული ტენდენცია.

ახი თუმცა ეთანხმება ტემპერამენტის ჰიპოკრატე-გალენისეულ კლასიფიკაციას. მაგრამ იგი თავის მხრივ უმატებს მეხუთე. ეგრეთ წოდებულ „განმსჯელ“ ტემპერამენტს, რომელიც გაურბის ფიზიკურ აქტივობას, წყდება რეალურ სინამდვილეს, ეძლევა ფიქვონებას: მისი ყურადღების ცენტრშია წარმოდგენები და იდეები.

¹ Г. Гешлинг, Очерки психологии. СПб., 1904. стр. 332.

² Foaek, The Psychology of character, pg. 105-106

5. ნივთიერებათა ცვლის თეორია. ნე-19 საუკუნის მეორე ნახევარში ფრანგი ფილოსოფოსი ა. ფულიე შეეცადა ორგანიზმში ნივთიერებათა ცვლის თეორიის თვალსაზრისით განეხილა ტემპერამენტი. თავის ნაშრომში „ხასიათი და ტემპერამენტი“ ფულიე იძლევა ტემპერამენტის შემდეგ განსაზღვრას: „ყველა ადამიანს გააჩნია მემკვიდრეობითი ხასიათი, რომელშიც შეიძლება ორი მხარე გაეარჩიოთ: პირველ ყოვლისა, არსებობს გარკვეული მიდრეკილება, რომლითაც გამოიხატება საერთო. ორგანიზმისათვის დამახასიათებელი თავისებურება, თავისი სიცოცხლისუნარიანობის გამოვლენის. ფუნქციების თავისებურებანი, მისი სასიცოცხლო ენერჯიის ტონის, მნიშვნელობა და მიმართულება. სახელდობრ, ეს არის ის, რასაც ტემპერამენტში ვგულისხმობთ, ჩვენი ტენისა და ჩვენი ორგანოებია განსაზღვრული აგებულება განაპირობებს გარკვეული სახის მოძრაობისადმი მზადყოფნას, იმის მსგავსად, როგორც ისრის გატყორცნის თავისებურებანი გაპირობებულია შვილდის გარკვეული აგებულებით“.¹

ამიტომ ფულიე გადამწყვეტ მნიშვნელობას ანიჭებს ორგანიზმის აღნაგობის შესწავლას. ამ თვალსაზრისით იგი დიდ მოვლენად თვლის ცელურალური თეორიის შექმნას, მაგრამ იქვე აღნიშნავს, რომ მეცნიერება, რომელიც უფრო შორს წავიდა, უფრო ღრმად შეიჭრა სინამდვილეში. სწავლობს თვით უჩრდის აღნაგობას. ამის საფუძველზე იქმნება ახალი თეორია, რომელსაც შეიძლება „პროტოპლაზმატიკური თეორია“ ვუწოდოთ. ამ თეორიის თანახმად ორგანიზმის აგებულება და ფუნქცია მთლიანობაში უნდა განვიხილოთ „ყოველი ანატომიური აგებულება ერთი მხრით, და ყოველი ფიზიოლოგიური ფუნქცია -- მეორე მხრით. გაგებულ უნდა იქნას როგორც თვით ცოცხალი მატერიის შენებისა და ნგრევის ცვალებადობა“.² ფულიეს აზრით, სიცოცხლე სხვა არაფერია თუ არა განუწყვეტელი შენება და ნგრევა, ინტეგრაცია და დეზინტეგრაცია. ორგანიზმში. განსაკუთრებით ნერვულ სისტემაში, რომელსაც ტემპერამენტისათვის ძირითადი მნიშვნელობა აქვს, ინტეგრაციისა და დეზინტეგრაციის თავისებურ მიმდინარეობაზეა დამოკიდებული ადამიანის ტემპერამენტი. არსებითი მნიშვნელობა აქვს არა სხეულის აღნაგობას, არამედ იმ დინამიკური პროცესების თავისებურებას. რომელიც ნერვული სისტემის ორგანული საფუძვლის

¹ А. Фулье, Темперамент и характер. М., 1896. стр. 5.
² იქვე, გვ. 16.

(ნერვული უჯრედების) დაშლა-აღდგენის თავისებურებაში გამოი-
ხატება. ამის მიხედვით შეიძლება მივიღოთ ორი ტემპერამენტი:
1) როდესაც აღდგენის პროცესი სჭარბობს დაშლის პროცესს.
2) როდესაც დაშლის პროცესი სჭარბობს აღდგენის პროცესს.
პირველი ხასიათდება „მომჭირნეობით“, მეორე — ზედმეტი ხარ-
ჯვით, ენერჯის ფლანგვით. შესაძლებელი იყო მესამე ტემპერამენ-
ტის დადგენაც. როდესაც დაშლა-აღდგენის პროცესები წონასწო-
რობაშია, მაგრამ ფულე ამას არ აკეთებს. იგი არ მიყვება თავის
ორიგინალურ კლასიფიკაციას და ცდილობს ტემპერამენტის კანტი-
სეულ დაყოფას საფუძვლად დაუდოს ინტეგრაცია-დეზინტეგრაცია-
ციის უწყვეტი პროცესი. მას გრძნობის ტემპერამენტის წარმოშ-
ქმნელად მიაჩნია ინტეგრაცია-აღზნების კონცენტრაცია გრძნო-
ბის. აზროვნების ან კუნთური გამოსახულების სფეროში, ხოლო
მოქმედების ტემპერამენტისათვის — დეზინტეგრაცია. ე. ი. ენე-
რჯის გადასვლა მამოძრავებელ კუნთებში. ტემპერამენტის შემდ-
გომი დაყოფის პრინციპად ფულე ღებულობს რეაქციის სიძლიე-
რესა და სისწრაფეს. ამგვარად, ჩვენ ისევ ოთხ ტემპერამენტთან
გვაქვს საქმე. ფულეს შეხედულებას ინტეგრაციისა და დეზინტე-
გრაციის შესახებ, როგორც ტემპერამენტისა და მისი დაყოფის
საფუძველს, თითქმის სავსებით იზიარებს ი. პ. გუნდობინი.¹

ჩვენი აზრით, ნივთიერებათა ცვლის, კერძოდ, ნერვულ სისტე-
მაში ნივთიერებათა დაშლა-აღდგენის პროცესის თავისებურების
აღიარება ტემპერამენტის საფუძვლად, ყურადღებას იმსახურებს.
ეს თეორია სპეკულატურ ხასიათს ატარებდა და დიდხანს არ იყო
მეცნიერულად დამუშავებული.

ნერვული ფიზიოლოგიის განვითარებამ დაგვანახვა, რომ ნერ-
ვულ სისტემაში, მის უჯრედებში დაშლა-აღდგენის პროცესი უთუ-
ოდ განაპირობებს აღზნების წარმოშობას: ამასთან ყოველ კონ-
კრეტულ ორგანიზმს რამდენადმე განსხვავებული ნერვული სისტე-
მა გააჩნია და ამიტომ მათში განსხვავებულად უნდა მიმდინარეობ-
დეს ეს „ძირითადი ბიოლოგიური პროცესი“ (ი. ბერიტაშვილი).
ამ პროცესის შესწავლამ და მის საფუძველზე ჩატარებულმა კლა-
სიფიკაციამ საპატიო ადგილი უნდა დაიკავოს ნერვული სისტემის
(კერძოდ, ადამიანის ნერვული სისტემის) კლასიფიკაციის საქმეში.

ნივთიერებათა ცვლისა და აღზნების ურთიერთდამოკიდებუ-
ლების საკითხის შესახებ აკად. ი. ს. ბერიტაშვილი შემდეგ მოსაზრ-

¹ И. П. Гундобин. Темперамент и характер ребенка. СПб., 1897.

რებას გამოთქვამს: „...რთული ფერმენტული დაშლა-აღდგენის პროცესი დამახასიათებელია მხოლოდ ყველა ცოცხალი არსებისათვის. ამიტომ ამ პროცესს ბიოლოგიური პროცესი ეწოდება, ხოლო რადგან ეს პროცესი ძირითადი მნიშვნელობისაა, ის საფუძვლად უდევს ზრდას, გამრავლებას და აგრეთვე აღზნებას, ამიტომ უფრო სწორად ეს ჩვენ ძირითად ბიოლოგიურ პროცესს ვუწოდებთ.“

ამაინაირად, საზოგადოდ ცოცხალი სისტემა და კერძოდ აღზნებადი სისტემა ყოველ მომენტში იშლება და აღდგება. ცოცხალი სისტემის სხვადასხვა ნაწილში. მათი გარეგანი და შინაგანი პირობების მიხედვით. ეს პროცესები სხვადასხვა დროს და სხვადასხვა სისწრაფით და ინტენსიობით წარმოებს. ეს ორი მოპირდაპირე პროცესი ერთიმეორეზეა დამოკიდებული: ცოცხალ სისტემაში დაშლა იწყება მაშინ, როდესაც სისტემა აღდგენილია. აღდგენა კი იწყება მაშინ, როდესაც დაშლა დამთავრებულია: ერთი პროცესი განუწყვეტლივ მოსდევს მეორეს და ერთიმეორეს აპირობადებს. ამიტომ დაშლა-აღდგენა ერთ მთლიან პროცესად უნდა ჩაითვალოს. ეს დინამიკური მდგომარეობა, რომელიც საზოგადოდ ცოცხალი სისტემისთვისაა დამახასიათებელი, საფუძვლად უძევს ნივთიერებათა ცვლას. ზრდა-გამრავლებას, აღზნებას და სხვ. აღდგენისა და დაშლის პროცესები ისე მჭიდროდ არიან დაკავშირებული ერთიმეორესთან, რომ არსებითად წარმოადგენს ერთ მთლიან და განუყოფელ ფერმენტულ პროცესს“.¹

....ნერვიან ნაწილში დაშლა-აღდგენის ფერმენტული პროცესი გაცილებით მეტი ინტენსიობით წარმოებს, ვიდრე უნერვისი (ქონეზიანი)“.²

6. შეხედულებანი ნერვულ ფიზიოლოგიურ პროცესებთან ტემპერამენტის დამოკიდებულების შესახებ. ფიზიოლოგიის განვითარების შესაბამისად, სულ უფრო ნათელი გახდა ის კავშირი, რომელიც არსებობს ნერვულ სისტემასა და ფსიქიკურ აქტივობას შორის. ნერვულ სისტემასა და ტემპერამენტს შორის ამ კავშირის გამო მკვლევარები უფრო ხშირად ყურადღებას აქცევენ ადამიანის ნერვულ სისტემას. ამ მიმართულებით მკვლევართა პირველი შეხედულებანი საკმაოდ მარტივია.

ვრისბერგი³ ტემპერამენტის საფუძვლად თელის ტენისა და ნერვულ ბოჭკოებს. იგი ტემპერამენტის განსხვავებულობას მია-

1 ი. ბერიტაშვილი, კუნთოვანი და ნერვული სისტემის ზოგადი ფიზიოლოგია. თბილისი, 1955 წ., გვ. 56:

2 იქვე, გვ. 57.

3 Roback, The Psychology of character, გვ 49-50

წერს ტვინის სიდიდისა და ნერვების სიმსხვილის სხვადასხვაობას. მას ოთხი ტემპერამენტი დაჰყავს შეუღლებულ ტემპერამენტ-მდე მისი აზრით, არსებობს ორი შეუღლებული ტემპერამენტი — ქოლერიკულ-სანგვინიკური და მელანქოლიკურ-ფლეგმატიკური. ქოლერიკულ-სანგვინიკური ტემპერამენტის ადამიანებს აქვთ დიდი ტვინი და მსხვილი ნერვები, რომლებიც, ავტორის აზრით, განაპირობებენ მაღალ მგრძნობიარობას, როგორც მთელ სხეულში, ასევე ცალკეულ ორგანოებში. ამგვარი ტემპერამენტის ადამიანი მტკივნეული განცდისა და რისხვისაყენაა მიდრეკილი. ფლეგმატიკურ-მელანქოლიკური ტიპისათვის კი დამახასიათებელია ტვინის შეღარებით სიმცირე და წვრილი, დაბალი მგრძნობიარობის ნერვები, რაც განაპირობებს მოდუნებულობას და სიზანტეს.

უფრო საგულისხმო თეორია შეიმუშავა ანატომმა ჰენლემ.¹ მისი აზრით, გარემოსთან ურთიერთობის თავისებურებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს კუნთური და ნერვული სისტემის ტონუსს. ჩვენი ნერვები და კუნთები არასდროს არაა სავსებით მოდუნებული. მაგალითად, ის კუნთები, რომლებიც იჭერენ ქვედა ყბას, მხოლოდ ღრმა ძილში შეიძლება სავსებით გაიშალოს. ასევეა პირის ღრუსა და სხვა კრილების განღიბ-ჩამკეტი კუნთები. ეს უკანასკნელნი მაშინაც კი, როდესაც ადამიანი სრულიად დამშვიდებულია. განუწყვეტლივ ღებულობენ იმპულსებს ნერვული ცენტრებიდან (თუმცა არაინტენსიურს), რომლის ძალითაც მუდამ არსებობს ამ კუნთების გარკვეული ტონუსი.

იგივე ითქმის მგრძნობიარე ნერვებისა და ნერვული ცენტრების შესახებ. არის შემთხვევები, როდესაც ადამიანის ყურადღება გაფანტულია და გარკვევით ვერ ასახავს მოქმედ გამლიზიანებლებს. მაგრამ გარემოს შთაბეჭდილებანი მაინც წარმოიქმნებიან პიროვნებაში. თუმცა ისინი სუსტია და ცნობიერებამდე ვერ აღწევს. ამაზე მეტყველებენ შემდეგი ფაქტები. ზოგჯერ სმენითი და მხედველობითი გამლიზიანებლებიდან, რომლებიც თუმცა ძლიერნი, მაგრამ ნაკლებ საინტერესონი არიან და ამიტომ შეუმჩნეველი რჩებიან. უცებ გამოიყოფა ერთი, სუსტი ინტენსიობის გამლიზიანებელი. რომელიც ემთხვევა რა ჩვენს ინტერესს, აზრს. ყურადღებას იქცევს. მაგალითად, დედას სძინავს სახანძრო განგაშის პირობებშიაც კი და იღვიძებს აკვანში მწოლიარე ბავშვის ოღნაკ შერხევაზე. მამოძრავებელი და მგრძნობიარე ნერვების, ნერვული

¹ Roback, The Psychology of character. გვ. 64-65.

ცენტრების ეს არაცნობიერი მუშაობა, ნერვული სისტემის უწყვეტი ტონუსი, ჰენლეს აზრით, სხვადასხვა ადამიანში სხვადასხვაა. რამდენადაც ძლიერია ტონუსი, იმდენად ადვილად აღგზნება ადამიანი. იმდენად ნაკლები დამატებითი გამლიზიანებელია საჭირო იმისათვის, რომ მასში გამოვიწვიოთ შესაბამისი შეგრძნება და მოქმედება. სუსტი ტონუსი, რომელიც ფლეგმატიკებს ახასიათებთ. განაპირობებს სიზანტეს, მიმიკის სისუსტესა და სხვა. კუნთების ნელი შეკუმშვის გამო ქსოვილებში ადგილი აქვს მკვებავი სითხის ჰარბ ექსკუდაციას და ცხიმის მნიშვნელოვან დაგროვებას. ამ ტემპერამენტის ადამიანის ასამოძრავებლად საჭიროა ძლიერი და ხანგრძლივმოქმედი გამლიზიანებლები. სანგვინიკები და ქოლერიკები ხასიათდებიან ადვილი აღგზნებადობით, მაგრამ პირველთ აღგზნება ადვილად უქრებათ, ხოლო ქოლერიკები გამოირჩევიან აღგზნების ხანგრძლივობით. ამაზეა დამოკიდებული გრძნობათა სიღრმე. სიმტკიცე და შეუპოვრობა მოქმედებაში. მელანქოლიკური ტემპერამენტი ხასიათდება ძლიერი და ღრმა გრძნობით, მაგრამ მოქმედებისადმი სუსტი მიდრეკილებით.

ნერვული სისტემის არაცნობიერ მოქმედებას უკავშირებს ტემპერამენტის თვისებებს ცნობილი რუსი ანთროპოლოგი ნ. ლ. ზელანდი.¹ იგი ილაშქრებს ტემპერამენტის და მორალურ-ხასიათიული თვისებების აღრევის წინააღმდეგ. ტემპერამენტი მას ესმის როგორც ნერვული სისტემის ბიოლოგიური თვისება. „...მე ვფიქრობ, უფრო ბუნებრივია ვაღიაროთ, რომ სისხლის მიმოქცევა, კვება და ნივთიერებათა ცვლაში განსხვავებულობის გარდა ნერვული აენტრის ქსოვილებში. ნაწილობრივ შექცნილი. უმთავრესად კი თანშობილი განსხვავებულობაა, რომლებიც განაპირობებენ ტემპერამენტთა სხვადასხვაობაა...“²

მატერიისათვის საერთოდ და. კერძოდ. ისეთი გრძნობიარე ნატერიისათვის. როგორც ნერვული სისტემაა, დამახასიათებელია მოლეკულარული რხევები. ეს რხევები შეიძლება იყოს სპეციალური, როდესაც რომელიმე გამლიზიანებლის შეგრძნება ან აღქმა ზდება, ანუ როდესაც ცნობიერება მუშაობს, მაგრამ არის სხვა რხევებიც. „მე ვაღიარებ, — წერს ზელანდი. — კიდევ საერთო ელემენტარულის, ორგანული რხევების არსებობას, რომლებიც მაშინაც კი მოქმედებენ. როდესაც სპეციალური ფსიქიკა მძინარეა

¹ Н. Л. Зеланд. О темпераменте. М., 1902.

² Н. Л. Зеланд. О темпераменте. М., 1902, стр. 31—32.

ან მისი აქტიულობა შეტად დაქვეითებული. ისინია სწორედ ცენტრალური თვითგრძნობიერების საფუძველი, რომელიც თავის მხრივ, წარმოადგენს სულიერი ცხოვრების ზოგადსა და მარად ფხიზელ ფონს, ხოლო სუბიექტის ეს ცენტრალური გრძნობიერება არის ის, რაც შეადგენს ანა თუ იმ ტემპერამენტის საფუძველს.¹

არაცნობიერი ბიოლოგიური რხევის ფონზე წარმოშობილი თვითგრძნობა (მას ზეღანდი უსაგნო გუნება-განწყობილებას უწოდებს) შეიძლება იყოს დადებითი და უარყოფითი, ჯანსაღი და ავადმყოფური ხასიათის.

გრძნობათა წინასწარ განსაზღვრულობის (თვითგრძნობის განსხვავებულობის) მიხედვით ზეღანდი ტემპერამენტებს ასე აჯგუფებს:

1) მხიარული, ანუ სანგვინიკური ტემპერამენტი შეიცავს რამდენიმე სახეს:

- ა) მხიარული, მაგრამ პირობითად ძლიერი ტემპერამენტი.
- ბ) მხიარული, მაგრამ ძლიერი ტემპერამენტი.

2) მშვიდი ტემპერამენტი:

ა) ფლეგმატიკური, ანუ მშვიდი (თვინიერი). ნელი ტემპერამენტი.

ბ) მშვიდი (თვინიერი). მაგრამ არა ნელი ტემპერამენტი.

გ) ნათელი ტემპერამენტი — მხიარულისა და მშვიდი ტემპერამენტის შეერთება.

3) საშუალო ტემპერამენტი (ასეთი ტემპერამენტის ცნება პირველად მე შემოვიტანე — ამბობს ზეღანდი) ხასიათდება განწყობილების საშუალო ხარისხით.

4) ნევროტიკული ტემპერამენტი:

ა) მელანქოლიკური ტემპერამენტი.

ბ) ნერვული ტემპერამენტი.

გ) ქოლერიკული. ანუ ორისხანე ტემპერამენტი.

5) ლიმფატიკური, ანუ ღუნე ტემპერამენტი.²

ტემპერამენტის შესახებ ზეღანდის შეხედულებათა განხილვისას ჩვენ ყურადღება უნდა მივაქციოთ სამ გარემოებას:

1. ზეღანდი ტემპერამენტის საფუძველად აღიარებს იმ ფუნქციონალურ ცვლილებებს, რაც განუწყვეტილვ ხდება ტვინში და ნერვულ სისტემაში საერთოდ. ამით ის ბევრ მკვლევარზე მაღლა

1 Н. Л. Зеланд. О темпераменте, стр. 32.

2 Н. Л. Зеланд. О темпераменте, стр. 7—18.

დგას და. შეიძლება ითქვას, უახლოვდება უმაღლესი ნერვული მოქმედების ფიზიოლოგიას.

2. ტემპერამენტის კლასიფიკაციის ძირითად პრინციპად ზელანდი იღებს განწყობილებას, თვითგრძნობის საერთო ფონს, რითაც გვიანდელი პერიოდის მკვლევარების (პავლოვი და მისი მოწაფეები) საყვედური დაიმსახურა. ჩვენი აზრით, ზელანდის მიერ გუნება-განწყობილების თავისებურების მიხედვით ტემპერამენტთა კლასიფიკაცია გასაპირობა. სხვა ფაქტორებს გარდა, იმანაც, რომ ტემპერამენტის საკითხი ძალიან დახლართული და გაბუნდოვანებული იყო (შეიძლება ითქვას, დღესაც ასეა). მკვლევარების ღიდი უმრავლესობა გუნება-განწყობილებას აღიარებდა როგორც ტემპერამენტისეულ ფუნქციას. ზელანდი მხედველობაში იღებდა სხვა მხარეებსაც, კერძოდ, ძვრადობას, რაზედაც მეტყველებს მისი შემდეგი მოსაზრება: „გუნება-განწყობილების გარდა ტემპერამენტი კიდევ ხასიათდება ცნობილი მოვლენებით მოძრაობით სფეროში (ეს მნიშვნელოვანია და უნდა გვახსოვდეს), მაგრამ აქაც მოძრაობითი გამოვლინებანი, რომლის შესახებაც ვლაპარაკობთ, გამოირჩევიან უშუალოდ და არასაგნობრიობით, ე. ი. მათი წყაროა არა რომელიმე მოსაზრებანი, ანდა გარკვეული შეგრძნებანი, არაწედ მეტად თუ ნაკლებად ბუნდოვანი შინაგანი იმპულსები“.¹

3. თავის კვლევის მუშაობაში ზელანდი ხელმძღვანელობდა ე. წ. ანთროპოლოგიური მეთოდით (ზომავდა ტემპერატურას, პულსს, სმენისა და მხედველობის სიმახვილეს, კანის ფერს, წონას. ფიზიკურ ძალას, ფილტვების ტევადობას, ბეჭების სიფართეს, გულ-მკერდის სიგანეს და სხვა) და ამ გზით ცდილობდა გარკვეულ კანონზომიერების დადგენას ტემპერამენტის ტიპებსა და სხეულის ანატომიურ-ფიზიოლოგიურ მდგომარეობას შორის. ამგვარად, ზელანდი კონსტიტუციონალისტების, კერძოდ, კრეჩმერის წინაპრადაც შეიძლება მივიჩნიოთ. ასეთი წინააღმდეგობრივი ხასიათისაა ზელანდის შეხედულება ტემპერამენტის შესახებ, მისი კლასიფიკაცია და კვლევის მეთოდი.

7. აკად. ი. პ. პავლოვის მოძღვრება უმაღლესი ნერვული მოქმედების ტიპებზე. ჩვენ აქ გადმოგვიტოვა არა ნერვული სისტემის ტიპოლოგიის ისტორიას ი. პ. პავლოვისა და მისი მოწაფეების შრომების მიხედვით. არამედ განვიხილავთ საკითხის არსებით ნხარეს: რა პრინციპზეა აგებული ეს ტიპოლოგია და როგორ უნდა

¹ Н. Л. Зеланд. О темпераменте, стр. 5.

გავიგოთ იგი, რა ნაკლი გააჩნია ამ კლასიფიკაციას და რა მიმართულებით სწარმოებს მუშაობა ამჟამად.

აკად. ი. პ. პავლოვი, პირობით რეფლექსების კანონზომიერებათა შესწავლის პროცესში მრავალრიცხოვანი ექსპერიმენტების შედეგად დაგროვილი მასალის ანალიზის საფუძველზე მივიდა იმ დასკვნამდე, რომ პირობითი რეფლექსების შემუშავება, ჩაქრობა და გადაკეთება ყველა ცხოველში ერთნაირად არ მიმდინარეობს. ზოგ ცხოველს ადვილად უმუშავდება როგორც დადებითი, ისე უარყოფითი პირობითი რეფლექსი, ზოგს — ძნელად. სხვებს დადებითი პირობითი რეფლექსი უმუშავდება ადვილად, უარყოფითი — ძნელად და პირიქით. ცხოველთა ერთი ჯგუფისათვის შემუშავებული პირობითი რეფლექსის გადაკეთება არაა ძნელი, მეორე ჯგუფისათვის იგი დიდ სიძნელესთანაა დაკავშირებული. ი. პ. პავლოვმა დაადგინა, რომ პირობითი რეფლექსების აღმოცენებისა და მიმდინარეობის განსხვავებულობანი დამოკიდებულია დიდი ტვინის ქერქში მიმდინარე ორი ძირითადი პროცესის — აგზნებისა და შეკავების თავისებურებაზე. პირველ ყოვლისა, ცხოველები ერთიმეორისაგან განსხვავდებიან აგზნებისა და შეკავების პროცესების სიძლიერით. თუ ვიგულისხმებთ, რომ აგზნების პროცესის სიძლიერე გამლიზიანებლის სიძლიერის პირდაპირ პროპორციულია, მაშინ ნათელი იქნება, რომ ძლიერი გამლიზიანებლის ზემოქმედება ადექვატურად აისახება იმ ცხოველში, რომელსაც ძლიერი აგზნებალობის ნერვული სისტემა აქვს. ასეთ ცხოველებს ადვილად უმუშავდებათ პირობითი რეფლექსი იხტენსიურ გამლიზიანებლებზე. მაგრამ არიან ცხოველები, რომელთაც არ უმუშავდებათ პირობითი რეფლექსი ძლიერ გამლიზიანებლებზე. კიდევ მეტი, ამ ჯგუფის ცხოველები ძლიერი გამლიზიანებლების მოქმედებისას კარგავენ შემუშავებულ პირობით რეფლექსს და უვიოარდებათ ე. წ. ნეზლურბლური შეკავება. სამაგიეროდ. შედარებით ადვილად უმუშავდებათ უარყოფითი, შეკავებითი პირობითი რეფლექსი. ამრიგად, ძირითადი ნერვული პროცესების — აგზნებისა და შეკავების სიძლიერის მიხედვით ცხოველები ორ დიდ ჯგუფად იყოფიან:

1) ცხოველები, რომელთაც ახასიათებთ აგზნებისა და შეკავების სიძლიერე, ანუ ძლიერი ნერვული სისტემა, 2) ცხოველები, რომელთა აგზნება და შეკავება სუსტია — სუსტი ნერვული სისტემის ცხოველები.

გარდა ამისა, ცხოველები ერთმანეთისაგან განსხვავდებიან აგზნებისა და შეკავების პროცესების ურთიერთშეზარდებისა და

ქვრადობის მიხედვითაც. ი. პ. პავლოვმა ამ ორი უკანასკნელი პრინციპის მიხედვით მოახდინა კლასიფიკაცია მხოლოდ ძლიერი ნერვული სისტემის ცხოველებში. სუსტი ნერვული სისტემის ცხოველებში ძირითადი ნერვული პროცესების სისუსტე აუფასურებს ამ პროცესების სხვა მხარეებს. ამიტომ მათი დაჯგუფება სხვა თვისებების მიხედვით ი. პ. პავლოვს არ უწარმოებია.

აგზნებისა და შეკავების ურთიერთშეთარღება შეიძლება იყოს სამგვარი: 1) როცა აგზნება და შეკავება ძლიერია, თანასწორი სიძლიერითაა წარმოდგენილი, 2) როცა აგზნება უფრო ძლიერია, ვიდრე შეკავება, 3) როდესაც შეკავება უფრო ძლიერია, ვიდრე აგზნება. პრაქტიკულად მესამე შემთხვევა ი. პ. პავლოვის ლაბორატორიებში არ დადასტურებულა და ამიტომ ნერვული პროცესების ურთიერთშეთარღების მიხედვით აღიარებულია ორი ტიპი: გაწონასწორებული და გაუწონასწორებელი (აგზნების პროცესის უპირატესობით).

ძლიერი ნერვული სისტემის ცხოველები ძვრადობის მიხედვითაც განსხვავდებიან ერთმანეთისაგან: ერთი ჯგუფის ცხოველებში ადვილად ხდება განმტკიცებული პირობითი რეფლექსის ჩაქრობა და ახლის შემუშავება, განსაკუთრებით რეფლექსის გადაკეთება — დადებითისა უარყოფითად და პირიქით. ზოგ ცხოველში ეს პროცესი ძნელად, დუნედ მიმდინარეობს. ი. პ. პავლოვი, ალბათ, გულისხმობდა, რომ ძლიერი, გაუწონასწორებელი (აგზნების პროცესის უპირატესობით) ნერვული ტიპის ცხოველისათვის ადვილია დადებითი რეფლექსის შემუშავება და ძნელია უარყოფითისა. ადვილია უარყოფითის გადაკეთება დადებითად. მაგრამ ძნელია, ზოგჯერ საბედისწეროც, პირუკუ ოპერაცია. ამიტომ ძვრადობის მიხედვით პავლოვი ახდენს კლასიფიკაციას იმ ცხოველებისა, რომელთა აგზნება და შეკავება ძლიერია და გაწონასწორებული. აქაც ორი ტიპი გამოიყო: 1) ძვრადი, მოძრავი, ადვილად გადანაცვლებადი; 2) ძნელად გადანაცვლებადი, ინერტიული ტიპი. ამგვარად ჩვენ მივიღეთ უმაღლესი ნერვული მოქმედების 4 ძირითადი ტიპი: 1) ძლიერი, გაწონასწორებული, ძვრადი ნერვული სისტემის ტიპი; 2) ძლიერი, გაუწონასწორებელი, აგზნების პროცესის უპირატესობით; 3) ძლიერი, გაწონასწორებული, ინერტიული; 4) სუსტი ნერვული სისტემის ტიპი.

ი. პ. პავლოვი ნერვული სისტემის აღნიშნულ 4 ტიპს უფარდებს ტემპერამენტის ჰიპოკრატისეულ ტიპოლოგიას და აღიარებს მათს გარკვეულ შესაბამისობას. მისი აზრით, ძლიერი გაწონასწო-

რებული, ძვრადი ნერვული სისტემის ტიპი სანგვინიკია. ძლიერი გაუწონასწორებელი, აგზნების პროცესია უპირატესობის მქონე ტიპი — ჰიპოკრატეს ქოლერიკია; ძლიერი გაუწონასწორებული, ინერტიული ტიპი — ფლეგმატიკია; სუსტი ნერვული სისტემის ტიპი კი შეესაბამება მელანქოლიკურ ტემპერამენტს.¹

ი. პ. პავლოვის მოძღვრება უმაღლესი ნერვული მოქმედების შესახებ, რაც ძირითადად პირობითი რეფლექსების კანონზომიერების დადგენაში გამოიხატება, ფასდაუდებელი განძია საბჭოთა ფსიქოლოგიისათვის, რადგან ამ კანონზომიერების შეცნობით მიგნებულია ფსიქიკური აქტივობის ფიზიოლოგიური მექანიზმი. პირობითი რეფლექსების ექსპერიმენტებში მეცნიერულადაა დადგენილი, რომ ფსიქიკურ აქტივობას საფუძვლად უდევს დიდი ტვინის ქერქში მიმდინარე ფიზიოლოგიური პროცესები, ამ სახით ფსიქოლოგიამ ჰპოვა მატერიალური დასაყრდენი.

ცოცხალი ორგანიზმების გარემოსთან ურთიერთობა, რომელიც პირობითი რეფლექსების საფუძველზე ხდება, თავისებურად მიმდინარეობს ობიექტური სინამდვილის ცვალებადობისა და თვით სუბიექტის ნერვული სისტემის განსხვავებულობის გამო. ამის მიხედვით ი. პ. პავლოვმა დაადგინა უმაღლესი ნერვული მოქმედების ფიზიოლოგიური ტიპები. საბჭოთა ფსიქოლოგები ნერვულ სისტემის ტიპებს სამართლიანად აღიარებენ ტემპერამენტის ფიზიოლოგიურ საფუძვლად.

ი. პ. პავლოვის მიერ დადგენილი ნერვული სისტემის ტიპებში უმაღლესი ნერვული მოქმედების ფიზიოლოგიურ და ფსიქიკურ პროცესებს შორის განსხვავებულობის შესახებ მიუთითებს პ. ს. კუპალოვი, რომლის შეხედულებით ნერვული სისტემის ტიპი პავლოვთან ორგვარი მნიშვნელობით უნდა გავიგოთ: „კონსტიტუციური თვალსაზრისით. ტიპი არის აგზნებისა და შეკავების ნერვული პროცესების ძირითად თვისებათა განსაზღვრული კომპლექსი. ცხოველის უმაღლესი ნერვული მოქმედების თვალსაზრისით. ტიპი არის ცხოველის საერთო ჰიქსის დამახასიათებელი ნიშნუი“.² კუპალოვის ამ მოსაზრების მნიშვნელობა იმაშია, რომ იგი აღიარებს უმაღლესი ნერვული მოქმედების ფიზიოლოგიურ და ფსიქოლოგიურ კლასიფიკაციას. თუმცა ფსიქიკური კლასიფიკაციის გაგებაში მისი დებულება სავსებით მართებული არ უნდა იყოს.

¹ И. П. Павлов. Полное собрание трудов, III том. 1949 г., стр. 375—376 и 525—535.

² ციტირებულია წიგნიდან: Типологические особенности высшей нервной деятельности человека, М., 1956, стр. 5.

რაც შეეხება ბ. მ. ტეპლოვს, იგი განსაკუთრებით ამახვილებს ყურადღებას ტიპის ორი მნიშვნელობით გაგებაზე. მისი აზრით, „ამ მნიშვნელობათა აღრევას დაბნეულობა შეაქვს მოძღვრებაში უმაღლესი ნერვული მოქმედების ტიპების შესახებ, დაბნეულობა, რომელიც განსაკუთრებით მავნეა ფსიქოლოგიისათვის“.¹

როგორც პ. ს. კუპალოვის, ასევე ბ. მ. ტეპლოვის შეხედულება ტიპის ფიზიოლოგიური და ფსიქოლოგიური გაგების შესახებ, უსაბუთოდ მართებულია. საგულისხმოა აგრეთვე იმის აღიარება, რომ ნერვული სისტემის პავლოვისეული კლასიფიკაცია ფიზიოლოგიური კლასიფიკაციაა და არა ფსიქოლოგიური. ჩვენ ვერაერთარ შემთხვევაში ვერ დავეთანხმებით ბ. მ. ტეპლოვს, როცა იგი ამბობს, რომ „მეცნიერების განვითარების დღევანდელ ეტაპზე მეცნიერული მნიშვნელობა აქვს ტიპის ცნების ფიზიოლოგიურ კლასიფიკაციას, „ნერვული სისტემის ძირითად თვისებათა ამა თუ იმ კომპლექსს“, ხოლო მეორე გაგება — ტიპი, როგორც მოქმედების გამოკვეთილი თავისებურება, მიუხედავად მისი დიდი ფსიქოლოგიური მნიშვნელობისა, ჭერჭერობით მეცნიერულად არ შეიძლება შესწავლილ იქნას“.²

ფიქრობთ. ასეთი მომაკვდინებელი დასკვნისათვის სათანადო საფუძვლები და წინამძღვრები არ არსებობს. შეიძლება შესწავლილ იქნას ტიპი როგორც ფიზიოლოგიური, ასევე ფსიქოლოგიური თვალსაზრისით. ფსიქოლოგიური ტიპის დასადგენად არსებობს გარკვეული მეთოდი და სათანადო ცნებებიც. ასეთია დ. უზნაძის მიერ დამდგენილი განწყობის ცნება და ფიქსირებული განწყობის მეთოდი. განწყობა, როგორც ობიექტური სიტუაციის ასახვა გარკვეული მოთხოვნების სუბიექტში. როგორც მზაობა. ქცევის წინასწარ განსაზღვრულობა, განა ცოცხალი არსების ფსიქოლოგიურ დახასიათებას არ იძლევა? ეს ცნება სუბიექტის აქტივობის მიმართულებისა და მისი ფორმალური მხარეების განსაზღვრელი ფაქტორის აღმნიშვნელი ცნებაა. განწყობაში, განსაკუთრებით ფიქსირებულ განწყობაში, უნდა გამოვქაღავნდეს და მქაღავნდება კიდევ იმპულსური ფსიქიკური აქტივობის დინამიკური თავისებურება, ის ფორმალური მხარეები. რომელთა მიხედვითაც ჩვენ ვაწარმოებთ ცოცხალი ორგანიზმებს გარემოსთან ურთიერთობის ე. წ. „ფსიქოლოგიურ დახასიათებას“. ცხოველთა ტიპების მეცნიერული შესწავლა რომ სავსე-

1 Гипологические основы типологии человека, стр. 5

2 Типологические особенности ВПД человека., стр. 5.

ბით შესაძლებელია, ამაზე მიუთითებს ის ფაქტი, რომ ჩვენ შეგვიძლია კონკრეტულ ადამიანებთან და ცხოველებთან ჩავატაროთ ექსპერიმენტები, დავაგროვოთ გარკვეული მასალა და მეცნიერულად დავამუშაოთ. ამის საშუალებას იძლევა ფიქსირებული განწყობის ცდები.

ბ. მ. ტებლოვის მიერ იმის აღიარება, რომ დღეისათვის მეცნიერული კვლევა-ძიება უმაღლესი ნერვული მოქმედების ტიპებისა მხოლოდ ფიზიოლოგიური ასპექტით შეიძლება, თავისთავად ლაპარაკობს განწყობის ცნების დიდ ფსიქოლოგიურ მნიშვნელობაზე (ბ. მ. ტებლოვს განწყობის ცნება და მეთოდი არ მიუღია მხედველობაში, როდესაც ტიპების მეცნიერულ შესწავლაზე ლაპარაკობდა). ამ ცნებით და მისი ადეკვატური მეთოდით, როგორც ეს ვლ. ნორაკიძის გამოკვლევებით დამტკიცდა, სავსებით შესაძლებელია ადამიანთა ფსიქოლოგიური ტიპების დადგენა გარემოსთან ურთიერთობის იმ ფორმალურ-დინამიკური თავისებურების მიხედვით, რომლებიც ჩვეულებრივ ტემპერამენტისეულ თავისებურებადაა აღიარებული და რომლის ფიზიოლოგიურ საფუძველს უმაღლესი ნერვული მოქმედების ფიზიოლოგიური ტიპი შეადგენს.

ზემოხსენებული დებულების დასამტკიცებლად ბ. მ. ტებლოვი ამბობს: „ურთიერთობა ტიპსა, როგორც ნერვული სისტემის თვისებათა კომპლექსსა, და ტიპს, როგორც ქცევის „ნიმუშს“, „სურათს“ შორის რთულია... არ არსებობს მარტივი, ცალმხრივი დამოკიდებულება ტიპის პირველ და მეორე გაგებას შორის. ქცევის ტიპიური სურათი და ტიპი როგორც თვისებათა კომპლექსი არ შეიძლება უბრალოდ „ეფარდებოდეს ერთმეორეს“.¹ საკითხის ზოგადი განხილვის თვალსაზრისით აქ ახალი არაფერია ნათქვამი. რომ ფიზიოლოგიური და ფსიქოლოგიური სავსებით არ ემთხვევა ერთმანეთს, რომ შინაგანი და გარეგანი მუდამ ერთმნიშვნელოვნად არ არიან დაკავშირებული — ეს უბრალო ქეშმარიტებაა და ამაზე არავინ დაობს. მაგრამ აქ მოტანილ ციტატს ის მნიშვნელობა აქვს, რომ ოციან და ორმოცდაათიან წლებში იყო ცდა ფსიქიკურის მთლიანად ფიზიოლოგიურ პროცესამდე დაყვანისა, ფსიქოლოგიის ფიზიოლოგიით შეცვლისა. რა თქმა უნდა, ასეთი მცდარი შეხედულება ყალბ მეთოდოლოგიურ სფუქველზე იყო აგებული და მას წარმატება არ ხვდა. ფსიქოლოგიამ უნდა შეისწავლოს მოქმედების ფსიქოლოგიური თავისებურებანი, ფიზიოლოგიამ —

1 Типологические особенности ВНД человека, стр. 6.

ფიზიოლოგიური პროცესები. ფსიქოლოგია სწავლობს ფსიქოლოგიურ ტიპს. ფიზიოლოგია — ნერვული პროცესების კომპლექსს საკიროა აღინიშნოს, რომ ფიზიოლოგებს შორისაც არაა ერთსულენება თვით ფიზიოლოგიური ტიპის გაგების საკითხში, მაგალითად. თუ რა უნდა ვიგულისხმოთ ნერვული სისტემის ტიპში — გენოტიპი თუ ფენოტიპი.

ა. გ. ივანოვ-სმოლენსკი და მისი თანამშრომლები, რომლებიც ძირითადად ბავშვების უმაღლესი ნერვული მოქმედების ტიპებს იკვლევენ, მომხრენი არიან ფენოტიპის შესწავლისა, როგორც უმაღლესი ნერვული მოქმედების ტიპისა.

გამოითქვა ამის საწინააღმდეგო შეხედულება: ნერვული სისტემის ტიპის ცნებაში ნაგულისხმევი უნდა იქნას ნერვული სისტემის მემკვიდრეობითი თავისებურებანი, გენოტიპი და არა ფენოტიპი. ეს უკანასკნელი შენაძენი თვისებებითაა ფორმირებული და ფაქტიურად წარმოადგენს ხასიათს. გენოტიპი, ნერვული სისტემის მემკვიდრეობითი თვისებების ტიპი, იგივე ტემპერამენტია. ფენოტიპი, ნერვული სისტემის ტიპი, შენაძენი თვისებებითურთ. გარდაქმნილი გენოტიპი — ხასიათია. ასეთია ამ მეორე მიმდინარეობის ძირითადი დებულება.

ნერვული სისტემის ტიპების — გენოტიპისა და ფენოტიპის. აგრეთვე ტემპერამენტისა და ხასიათის ურთიერთობის ზემოხსენებული გაგება ჩვენს წინაშე აყენებს ორ საკითხს:

1) რა ასაკში უნდა შევისწავლოთ ცოცხალი არსება (ცხოველი, ადამიანი). რომ მისი ნერვული სისტემა გარემოს ზეგავლენისაგან შეუცვლელი სახით იქნას გამოკვლეული; ამასთან ხომ არ უნდა ვიგულისხმოთ, რომ ნერვული სისტემის ძირითადი თვისებები (აგზნების სიძლიერე, წონასწორობა, ძვრადობა) უცვლელად შემოინახება ცხოველში, ადამიანში და ცვლილებას მხოლოდ მისი მოტორული სფერო განიცდის და არა ნერვული სისტემა მთლიანად?

2) ხომ არაა იგივეობა გადაკეთებულ ნერვულ სისტემასა (ფენოტიპსა) და ხასიათს შორის?

პირველი საკითხის შესახებ არსებობს შემდეგი მოსაზრებანი. ნერვული სისტემა, როგორც გარემოსთან ურთიერთობის მექანიზმი. აწარმოებს გარეგანმოზიანებლების ზემოქმედების მიღებას, ასახვას და იძლევა სათანადო რეაქციას. ცხოველის ეს უნარი უცვლელი როდია. ხდება მისი ფუნქციონალური ფორმირება და იკვირება — რა კვანძები ცვლილებას განიცდის ანატომიურ-ფიზიოლოგიური

ჰომწიფებისა და გარემოს სისტემატიური ზემოქმედების შედეგად. როდის შეიძლება შევისწავლოთ ნერვული სისტემის ტიპი -- გენოტიპი, ანუ ტემპერამენტი (ფიზიოლოგიური გაგებით)? აქ ან ასაკობრივი ზღვარი შეიძლება იყოს, ან გამაღიზიანებელთა მოქმედების ის რაოდენობა, რომელიც გენოტიპის შეცვლას, ფენოტიპისაკენ გადახრას იწვევს. აი საკითხთა მთელი რიგი, რომელიც უნდა გადაიჭრას იმ მკვლევართა მიერ, რომელთაც ნერვული სისტემის ტიპი გაგებულნი აქვთ როგორც გენოტიპი. შეიძლება ამ შეხედულების მომხრენი აღიარებენ, რომ ნერვული სისტემის ტიპი, გენოტიპი, არსებითად არ იცვლება ნერვული პროცესების ძირითად თვისებათა (აგზნების სიძლიერე, წონასწორობა, ძვრადობა) მიხედვით. თუ ეს ასეა, მაშინ უნდა ვაღიაროთ, რომ ნერვული სისტემის ტიპი, გენოტიპი (ტემპერამენტი) უცვლელია და მის აღზრდაზე ზრუნვა ამოცანას არ წარმოადგენს. ამ შეხედულებისაკენ იხრებიან ისინი, რომლებიც ნერვული სისტემის ტიპად გენოტიპს აღიარებენ. ეს იქიდან ჩანს, რომ ბ. მ. ტეპლოვს სპეციალურად მოაქვს მაგალითები ვირეიკოვსკის, მაიოროვისა და სხვათა ცდებიდან. რომელთა მიხედვითაც ნათლად დასტურდება აღზრდის პირობების გავლენა ძაღლების ქცევაზე, მათს რეაქციაზე (პასიურ-თავდაცვითი რეაქცია, მოღუწებულობა), ხოლო ძირითადი ნერვული პროცესი, ქცევის საწინააღმდეგო ხასიათისაა. ამ შემთხვევაში ქცევის მიხედვით ცხოველი სუსტი ნერვული სისტემისაა, ხოლო მისი ძირითადი ნერვული პროცესები -- ძლიერია.

ბ. მ. ტეპლოვს მიაჩნია, რომ ნერვული პროცესების ძირითადი თვისებები (სიძლიერე, წონასწორობა, ძვრადობა) მემკვიდრეობითი ბუნებისაა. გარემოსთან ურთიერთობის პროცესში შენაძენი თვისებები ნერვული სისტემის ამ მემკვიდრეობით ნაშნებზე არ მოქმედებენ. არანელ კონკრეტულ საცხოვრებო პირობებში შემუშავებული დროებითი კავშირების სისტემა ცვლის ცხოველის რეაქციის თავისებურებას და მის ქცევას ფენოტიპურს ხდის. მაგრამ გენოტიპი უცვლელი რჩება.

ასეთი მოსაზრება გაუგებრობას იწვევს. ფენოტიპი გენოტიპის მხოლოდ ნიღაბს. გარეგან საფარველს. გენოტიპთან არსებითად დაუკავშირებელ. შემთხვევით მოვლენას წარმოადგენს. ჩვენი აზრით, საჭიროა ქცევისა და პირობით-რეფლექსური მოქმედების განსხვავებულობის უფრო ღრმა ანალიზი. ის მოსაზრება, რომ შინაგანი და გარეგანი, პირობითი რეფლექსების შემუშავების პროცესი ხელკონურ პირობებში და ცხოველის ქცევა თავისუფალ

გარემოში არსებითად განსხვავებულია, ვფიქრობთ, არაა სათანადოდ მოტივირებული. შესაძლოა ეს განსხვავება საკლასიფიკაციო პრინციპების ნაკლიდან გამომდინარეობდეს.

ჩვენი აზრით, გენოტიპის, ნერვული სისტემის ტიპის შეცვლა, გაუმჯობესება (ან გაუარესება) შესაძლებელია და ეს უნდა გამოიხატოს ნერვული სისტემის ტიპოლოგიისათვის გამოყენებული ძირითადი ნერვული პროცესების გარკვეულ ცვალებადობაში. წინააღმდეგ შემთხვევაში გენოტიპის ფენოტიპით შენიღბვასთან გვექნებოდა საქმე და არა აღზრდასთან. აღზრდილი ტემპერამენტი მაინც ტემპერამენტი (და არა ხასიათი). მაგრამ უმთავრესად გაუმჯობესებული და არა სავსებით შეცვლილი ტემპერამენტი.

მეორე საკითხის შესახებ შემდეგი შეიძლება ითქვას: ტემპერამენტი ხასიათს უკავშირდება, ხასიათის დინამიკურ კომპონენტს შეადგენს. თავის მხრივ, ტემპერამენტი იცვლება ხასიათის ზეგავლენით, მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, რომ ტემპერამენტმა თავისი ფუნქცია დაკარგა. იგი მხოლოდ დაქვემდებარებულია, მოწესრიგებულია უფრო მაღალი, წმინდა ადამიანური თვისებით — ხასიათით. ცვლილებას განიცდის ცხოველის ტემპერამენტიც. ადამიანის ტემპერამენტის შეცვლა, აღზრდა ძირითადად ხასიათით ხორციელდება. ცხოველთა ნერვული სისტემის ტიპის, გენოტიპის და, მაშასადამე, ტემპერამენტის შეცვლა ბიოლოგიური ფაქტორებითაა გაპირობებული. ანტიკომ გენოტიპი. ჩვენი აზრით. არის ტემპერამენტის ფიზიოლოგიური საფუძველი ორგანიზმის განვითარების იმ საფეხურზე, როდესაც ნერვული სისტემის მემკვიდრეობით თვისებებს სერიოზული ცვლილებები არ განუცდია, ხოლო ფენოტიპი, იგივე შეცვლილი გენოტიპი, არის გარდაქმნილი, აღზრდილი ტემპერამენტის ფიზიოლოგიური საფუძველი. ხასიათსა და ფენოტიპს შორის არის გარკვეული ურთიერთდამოკიდებულება, რაც იმპულსური ფსიქიკისა და ნებისმიერი ფსიქიკური აქტივობის ურთიერთდამოკიდებულებაში გამოიხატება.

გენოტიპისა და ტემპერამენტის, ფენოტიპისა და ხასიათის გავიკვება. ჩვენ აზრით, უმართებულო იქნებოდა და არ შეეფერება ფიზიკურისა და ფსიქიკურის ურთიერთდამოკიდებულების მარქსისტულ გაგებას. თუმცა ი. პ. პავლოვი ხშირად სინონიმებად ხმარობს ფიზიოლოგიურსა და ფსიქოლოგიურ ტერმინებს, მაგრამ ავტორს ამით, ალბათ, იმის ხაზგასმა სურდა, რომ ყოველ ფსიქიკურ პროცესს, თვისებასა და მოვლენას აქვს შესაბამისი ფიზიოლოგიური საფუძველი და ფსიქიკური მოვლენები და მათი აღმნი-

შენელი ტერმინები მატერიალური საფუძვლისაგან მოწყვეტილად არ უნდა წარმოვიდგინოთ, როგორც ეს იდეალისტებისთვისაა დამახასიათებელი. თუკი ჩვენ ი. პ. პავლოვის მოძღვრების ცალკეული დებულებიდან და გამოთქმებიდან კი არ გამოვალთ, არამედ დავეყრდნობით მის მთლიან შეხედულებებს, იმ დასკვნამდე მივალთ, რომ სახელგანთქმული მეცნიერი არავითარ შემთხვევაში არ აიგივებდა უმაღლეს ნერვულ მოქმედებასა და უმაღლესი ნერვული მოქმედების ფიზიოლოგიას. ეს რომ ასეა, იქიდანაც დასტურდება, რომ ი. პ. პავლოვი გარკვეულ შესაბამისობაში განიხილავს უმაღლესი ნერვული მოქმედების ტიპებსა (ფიზიოლოგიური კლასიფიკაციის ტიპებს) და ტემპერამენტის ჰიპოკრატისეულ ტიპებს. ფიზიოლოგიურ ტიპებს, წმინდა ფიზიოლოგიური დახასიათების გარეშად, აქლევს ფსიქოლოგიურ დახასიათებასაც.

ი. პ. პავლოვის მოძღვრების ღრმა მეცნიერული ხასიათი და მისი დიდი მნიშვნელობა როგორც საბჭოთა ფიზიოლოგიისათვის, ასევე ფსიქოლოგიისათვის, ცხადია. უმაღლესი ნერვული მოქმედების პავლოვისეულ ტიპოლოგიას დიდი მნიშვნელობა აქვს როგორც საბჭოთა ფიზიოლოგიისათვის, ასევე ფსიქოლოგიისათვის. მაგრამ ეს კლასიფიკაცია დოგმატური არაა და ზოგიერთი საკითხი შემდგომ დამუშავებასა და დაზუსტებას მოითხოვს. მაგალითად, უმაღლესი ნერვული მოქმედების ტიპოლოგიის მეორე პრინციპად ი. პ. პავლოვი იყენებს აგზნებისა და შეკავების ურთიერთმეფარდებას ძლიერი ნერვული სისტემის ცხოველებში. ამ შემთხვევაში მას მხედველობაში აქვს შეფარდებითი უწონასწორობა (წონასწორობის გვერდით). საკითხი ისმის. ხომ არ შეიძლება დაშვებულ იქნას ისეთი შემთხვევა. როდესაც აგზნებასა და შეკავებას შორის აბსოლუტური უწონასწორობაა, ისეთი მდგომარეობა, როდესაც ერთ შემთხვევაში აბსოლუტურად ძლიერია აგზნების პროცესი და სუსტია შეკავება, ან პირიქით, როდესაც აბსოლუტურად ძლიერია შეკავება და სუსტია აგზნება. ი. პ. პავლოვის ლაბორატორიაში იყო ცალკეული შემთხვევები, როდესაც ძალის აგზნების პროცესი იყო ძლიერი, შეკავება — აბსოლუტურად სუსტი. ამ საკითხის გარკვევა უსათუოდ საინტერესოა. ხშირად თეორიული მოსაზრება პირდაპირ მიგვიითობს, თუ რა მიმართულებით უნდა გაიშალოს მუშაობა. ამიტომ არაა მიზანშეწონილი ემპირიული სფეროთი შემოფარგვლა.

ი. პ. პავლოვი ნერვული სისტემის ძლიერ ჩგუფში სხვებთან ერთად ათავსებს იმ ცხოველებს, რომელთა აგზნებისა და შეკავე-

ბის პროცესები გაუწონასწორებელია (აგზნების პროცესის უპირატესობით). სავსებით მართებული არ უნდა იყოს ამ ცხოველების მოთავსება ძლიერი ნერვული სისტემის ჯგუფში. რა თქმა უნდა, ასეთი ტიპი არსებობს, მაგრამ იგი უფრო გარდამავალია გაწონასწორებულსა და აბსოლუტურად გაუწონასწორებელ ტიპებს შორის. ამასთან, საექვოა, შეკავების მხოლოდ შეფარდებით სისუსტეზე ვილაპარაკოთ, რადგან ასეთი ცხოველი თითქმის ვერასოდეს ვერ აღწევს სრულ დიფერენცირებას. უფრო სწორი იქნებოდა, თუ ძლიერი ნერვული სისტემის ჯგუფში დავტოვებდით იმ ცხოველებს, რომლებიც ხასიათდებიან აგზნებისა და შეკავების სიძლიერით. ხოლო იმ ცხოველებს, რომელთა აგზნებისა და შეკავების პროცესები გაუწონასწორებელია, ცალკე ტიპად გამოვყოფდით. გაწონასწორებული ნერვული სისტემის ცხოველებისათვის დამახასიათებელი უნდა იყოს გარემოსთან ჰარმონიული ურთიერთობა, ხოლო გაუწონასწორებელთათვის კონფლიქტური დამოკიდებულება.

კლასიფიკაცია უფრო სრული იქნებოდა თუ უმაღლესი ნერვული მოქმედების ტიპოლოგიისათვის ცნობილ სამ პრინციპს დავუმატებდით აგზნების სისწრაფეს. შექვევლია, რომ ცხოველთა ერთი ჯგუფის ნერვული სისტემა ადვილად აგზნებადია, მეორე ჯგუფისა — ძნელად აგზნებადი. უნდა ვიგულისხმოთ, რომ აგზნების სისწრაფე გამოიხატება დროებითი კავშირების ადვილად წარმოქმნაში, აგრეთვე ნერვული სისტემის ძვრადობაში — დადებითი და უარყოფითი პირობითი რეფლექსების გადაკეთების სიადვილე-სიძნელეში. საკითხის ყურადღებით განხილვისას ცხადი ხდება, რომ ნერვული სისტემის აგზნებადობა და დროებითი კავშირების წარმოქმნის ფაქტი ყოველთვის ერთმანეთს არ ემთხვევა. შეიძლება ნერვული სისტემა ადვილად აგზნებადი იყოს, მაგრამ დროებითი კავშირების წარმოქმნა, პირობითი რეფლექსების შემუშავება არცთუ ისე ადვილად ხდებოდეს. ნერვული სისტემის ქერქული ნაწილის გარდა პირობითი რეფლექსის შემუშავებისათვის საჭიროა უპირობო რეფლექსის პუნქტის აგზნება. ქერქული ნაწილიდან გზის გაკაფვა აგზნების ერთი პუნქტიდან მეორისაკენ. მათი დაკავშირება ქერქვეშასთან. სავსებით შესაძლებელია, რომ აგზნებადობის მიხედვით ეს პუნქტები, აგრეთვე ქერქისა და ქერქვეშას დამაკავშირებელი ნერვული გზები, განსხვავდებოდნენ ერთმანეთისაგან. ცნობილია, რომ ერთი და იგივე სუბიექტის სხვადასხვა

ანალიზატორი განსხვავდება გრძნობიერების მიხედვით: ყველაზე მგრძნობიარეა მხედველობის ორგანო, მაგრამ სწორედ ოპტიკურ სფეროშია უფრო ძნელი პირობითი რეფლექსის შემუშავება. ამიტომ, ჩვენი აზრით, უფრო ადექვატური იქნებოდა, თუ დროებითი კავშირების წარმოქმნას შევისწავლიდით თითოეული ანალიზატორის ფარგლებში.

როგორც აღვნიშნეთ, ნერვული სისტემის აგზნებადობა ცალკეულ ანალიზატორში და დროებითი კავშირების წარმოქმნის სისწრაფე (განსაკუთრებით, როცა საქმე ეხება პირობით რეფლექსური კავშირების წარმოქმნას) შეიძლება ერთიმეორეს არ ემთხვეოდეს. ამ მხრივ საყურადღებოა ის შედეგები, რომლებიც მიღებულია ფოტო-ქიმიური პირობითი რეფლექსის მეთოდით ჩატარებული ცდებით, აგრეთვე თანმიმდევარი მხედველობითი ხატის აღმოცენებისა და ჩაქრობის ინდივიდუალურ თავისებურებათა შესწავლით. აღმოჩნდა, რომ ადამიანები ერთმანეთისაგან განსხვავდებიან მხედველობითი აგზნებადობის მიხედვით. განსხვავებული შეგრძნების ზღურბლის ადამიანებს ფოტო-ქიმიური პირობითი რეფლექსი ერთნაირი უმუშავდებათ, ერთნაირი აგზნებადობის ადამიანებს კი — სხვადასხვანაირად. ეს მოწმობს არაპირდაპირ დამოკიდებულებას აგზნებადობასა და დროებითი კავშირების წარმოქმნას შორის. საგულისხმოა ის ფაქტიც, რომ ხან ძლიერი და ძვრადი ნერვული სისტემის მქონე პირების თანმიმდევარი მხედველობითი ხატი უფრო ხანგრძლივია, ვიდრე სუსტი ნერვული სისტემის ადამიანებისა (ბჟალავა, ნორაკიძე). რას აქვს ამ შემთხვევაში გადამწყვეტი მნიშვნელობა — აგზნების ინტენსიობას თუ ძვრადობას? ობიექტური სინამდვილის ადექვატური ასახვისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობისაა ძვრადობა. თანმიმდევარი კვალის კანონზომიერების შესწავლისას მხედველობაში უნდა მივიღოთ ის ფაქტი, რომ აქ საქმე გვაქვს შემდგომი მოქმედების ფიზიოლოგიურ პროცესთან და ამიტომ გასაგებია, რომ კვალის ხანგრძლიობა დამოკიდებული იქნება აგზნების სიძლიერეზე. ეს უკანასკნელი კი ძლიერ და ადვილად აგზნებად ნერვულ სისტემაში მგტია, ვიდრე სუსტში. ეს განაპირობებს შემდგომი მოქმედების ხანგრძლიობასაც.

ბავშვების უმაღლესი ნერვული მოქმედების ტიპოლოგიური შესწავლისას სხვადასხვა ანალიზატორის მოქმედების შესწავლის საპირობაზე მიუთითებს ნ. ი. კრასნოგორსკი. „ბავშვების უმაღლესი ნერვული მოქმედების ფიზიოლოგიური ანალიზისათვის, —

წერს იგი, — ძირითადი მნიშვნელობა აქვს სხვადასხვა ანალიზატორის უპირობო და პირობითი რეფლექსების დახასიათებებს... ბავშვის უმაღლესი ნერვული მოქმედების მთავარი მიმართულება განისაზღვრება ყველაზე ძლიერი, წამყვანი და ყველაზე უფრო ზუსტად მოქმედი ანალიზატორით...“¹

ამავე საკითხს ეხება ბ. მ. ტეპლოვი. მისი აზრით, „...ზოგად ტიპოლოგიურ თვისებებთან ერთად, რომელიც დამახასიათებელია მოცემული ნერვული სისტემისათვის მთლიანად, არსებობს „ნაწილობრივი“ ტიპოლოგიური თვისებები, რომლებიც ახასიათებს ქერქის მხოლოდ ცალკეული არეების მუშაობას (მხედველობითი, სმენითი, მოძრაობითი და ა. შ.).

თუ ზოგადი ტიპოლოგიური თვისებები განსაზღვრავენ იმას, რასაც ჩვეულებრივ ადამიანის ტემპერამენტი ეწოდება. მაშინ ქერქის ცალკეული არეების „ნაწილობრივი“ ტიპოლოგიური თვისებები შეიძლება მივაკუთვნოთ ნასახებს, რომლებიც საფუძვლად უდევს „სპეციალურ ნიჭიერებას“ (მუსიკალურს, ხატვის ნიჭს, მოძრაობას და ა. შ.). ამჟამად ჩვენს ლაბორატორიაში წარმოებს მუშაობა ამ ჰიპოთეზის შესამოწმებლად“.²

ამგვარად. ანალიზატორების აგზნებადობა ცალ-ცალკე და დროებითი კავშირების წარმოქმნის სისწრაფე, ზოგჯერ შეიძლება ერთიპეორეს არ ემთხვეოდეს, მაგრამ ვინაიდან ურთიერთობა გარემოსთან დროებითი კავშირების ბაზაზე მიმდინარეობს და ანალიზატორის ყოველ აგზნებას არ აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა, ამიტომ ფიზიოლოგიური კლასიფიკაციის პრინციპად უნდა მივიღოთ დროებითი კავშირების წარმოქმნის სისწრაფე, ხოლო ადამიანთა ფსიქოლოგიური კლასიფიკაციის საფუძვლად. ფიქსირებული განწყობის თავისებურებანი.

ყურადღებით უნდა განვიხილოთ ნერვული სისტემის ძვრადობისა და მასთან დაკავშირებული სიმკვირცხლის, ცხოველის ჰარბი მოძრაობის საკითხი. ი. პ. პავლოვი და მისი მოწაფეები. ნერვული სისტემის ტიპოლოგიაზე კვლევითი მუშაობის ადრეულ პერიოდში ცხოველთა მოჭარბებულ ძვრადობას ცვალებად სიტუაციაში და ძილის გამოწვევას ერთგვაროვან გარემოში დიდ დიაგნოსტიკურ მნიშვნელობას ანიჭებდნენ. ძვრადობა, გადანაცვლება ზოგჯერ თვით ნერვული სისტემის შინაგანი აუცილებლობითაა გამოწვეუ-

¹ Живн. ВНД. т. 3. вып. 2. 1955 г., стр. 70—71.

² Журн. „Народное образование“, № 1, 1957 г., стр. 30

ლი, ზოგჯერაც გარეგანი აგენტების ზემოქმედებით; ი. პ. პავლოვი თავისი სიცოცხლის ბოლო წლებში ამ ფაქტს ტიპოლოგიისათვის აღარ აძლევდა მნიშვნელობას (ჩვენი აზრით კი ამ მოვლენას დიდი ღირებულება უნდა ჰქონდეს ტიპოლოგიური თვისებების დასადგენად). ი. პ. პავლოვისა და მისი მოწაფეების ადრეულ შრომებში ვხვდებით ამ ფაქტის აღწერას და ახსნას. მაგალითად, მ. კ. პეტროვა 1914 წელს თავის სადისერტაციო ნაშრომში ძაღლის ქცევის შესახებ წერს: „თავისუფალ მდგომარეობაში „ბუიანი“ მეტად მოძრავი და მოუსვენარია, მაშინ როდესაც საცდელ დაზგაზე იგი ისე სწრაფად იძინებს, რომ ჩვენ გვიხდებოდა ცდის შეწყვეტა.“ საინტერესოა, რომ ამ ტიპის ცხოველები — სანგვინიკები (ი. პ. პავლოვის მაშინდელი ტერმინით) მიაკუთვნეს სუსტი ნერვული სისტემის ტიპებს, როგორც ნაკლებ გაწონასწორებული ცხოველები.

სწორი მოსაზრება იმის შესახებ, რომ სანგვინიკის მოქარბებული ძვრადობა არის მისი ნერვული უჯრედების გამოფიტვისაგან თავდაცვის საშუალება (ამ შემთხვევაში ძვრადობა და სიმკვირცხლე როგორც ქცევის გარეგანი კომპონენტები ნერვული სისტემის შინაგანი აუცილებლობით, ნერვული უჯრედის დარღვევისაგან თავდაცვის მოთხოვნილებითაა გაპირობებული), ჯერ კიდევ ადრე იყო ნაჩვენები ი. პ. პავლოვის მიერ. იგი წერდა: „შეიძლება ვაღიაროთ, რომ ამ ძაღლების სიმკვირცხლე და მოუსვენრობა შემდეგნაირად წარმოიქმნება: ადვილი აგზნებადობის გამო ჩქარა იწყება მოცემული გალიზიანებული პუნქტის გამოფიტვა, რასაც თან მოჰყვება შეკაეების აღმოცენება. ეს უკანასკნელი ინდუქციის გზით იწყებს საერთო აგზნებას. ეს აგზნება აიძულებს ცხოველს იმოძრაოს და ამგვარად სხვა ნერვულ უჯრედებს დაუხვედრებს ახალი გამლიზიანებლობის მოქმედებას. რითაც თავისუფალ პირობებში თავიდან აიცილებს შეკაეების გავრცელებას — ძილს. დაზგაში ყოფნისას ამგვარი მოქმედებას შეუძლებლობისა და როგორც გარეგანი, ისე შინაგანი გამლიზიანებლებს აუცილებელი ერთფეროვნების გამო. ბუნებრივია, ასეთ ძაღლებს, რომელთა ნერვული სისტემა სუსტია, ჩქარა ეძინებათ“.¹

მ. კ. პეტროვას მეორე ძაღლი „მირტა“ მეტად მოძრავი იყო. იგი წინათ ძლიერი ტიპის ცხოველად მიჩნდათ. ცდებით დამტკიცდა, რომ „მირტა“ სუსტი ნერვული სისტემის ცხოველი ყოფილა. პეტროვა ამის შესახებ წერს: „ეს ძაღლი იყო მკვირცხლი.

¹ И. П. Павлов. Полное собрание сочинений, изд. 2, т. III, стр. 11.

ნეტად მოძრავი. როგორც ვერცხლის წყალი, არც ერთი წუთით მწვიდად არ იჭდა ადგილზე, არამედ მოუსვენრად დარბოდა და აველას მიაშურებდა წმებუტუნითა და ლაქუცით, თანაც ცდილობდა გველოცა მისი ასეუ...: „იბრტას“ მაგალითი გვიჩვენებს, რომ ნერვული სისტემის სიძლიერის შესახებ მსჯელობისას აუცილებელია ერთიმეორისაგან განვასხვაოთ აგზნებული ცხოველები მოუსვენართაგან. პირველნი ძლიერებია, ხოლო მეორენი — სუსტები. ამ უკანასკნელთ არა აქვთ თავიანთი მოქმედების მოწესრიგების ნეესაფილბლობანი.² ეს დახასიათება პირდაპირ სანგვინიკის ფსიქოლოგიური დახასიათებაა. სანგვინიკი ცხოველი არის მგრძნობიარე, მკვირცხლი, მერყევი, დაუდგარი, გარეგამღიზიანებლების ცვალებადობას მიმყოლი. ამასთან, ძვრადობას და გარეგამღიზიანებლების სწრაფ ცვალებადობას სანგვინიკი დადებით გრძნობად განიცდის. ასეთი ცხოველი ვერცხლის წყალივით მოძრავი და მეტად ლაბილურია.

ნემოთქმულის შემდეგ ხომ არ შეიძლება ეკვი შევიტანოთ იმაში, რომ სანგვინიკი ძლიერი ნერვული სისტემის ტიპს მიეკუთვნება? ხომ არ უნდა გადავიყვანოთ იგი სუსტი ნერვული სისტემის ჩჯუფში? ეს საკითხი შემდგომ შესწავლას მოითხოვს.

ი. პ. პავლოვის მიერ დადგენილი უმაღლესი ნერვული მოქმედების ტიპოლოგია უსათუოდ მრავალმხრივ საინტერესოა და, ბუნებრივია, ამ ტიპოლოგიის განვითარებაზე მრავალი მკვლევარი მუშაობს. ჩვენ არ გვაქვს შესაძლებლობა, რომ ყველა მკვლევარის ბიერ ამ მხრივ ჩატარებული მუშაობის რეფერატულ გადმოცემას წევუდგეთ. განვიხილავთ მხოლოდ იმ ძირითად მიმართულებებს, რომლებიც დაისახა უმაღლესი ნერვული მოქმედების ტიპების განვითარებაში. ადამიანის ნერვული სისტემის ტიპების დადგენის საქმეში. თითქმის ყველა მკვლევარი, რომლებიც უმაღლესი ნერვული მოქმედების ტიპოლოგიაზე მუშაობენ, პავლოვისიული კლასიფიკაციისა და საკლასიფიკაციო პრინციპების ერთგულია. მხოლოდ ამ ბოლო დროს იგრძნობა იმის აუცილებლობა, რომ უნდა შეიტანონ ცვლილება ადამიანთა ნერვული სისტემის ტიპების შესწავლის საქმეში.

მკვლევარები დიდ ყურადღებას აქცევენ ადამიანის ნერვული სისტემის ტიპოლოგიას და ამ მიმართულებით შესაფერისი მეთოდების ძიებას.

¹ Петрова М. К., Стучай экспериментального невроза, паточение при помощи дрожа. «Архив биологических наук», т. 34, вып. 1—3, 1934 г., стр. 26.

² იქვე, გვ. 26.

აღსანიშნავია, რომ ბავშვთა უმალღესი ნერვული მოქმედების ტიპოლოგიისათვის პირობითი რეფლექსის მეთოდი ჯერ კიდევ 1917 წელს იყო გამოყენებული ნ. ი. კრასნოგორსკის მიერ. რომელმაც მოგვცა ორი ტიპის, აგზნებითი და ინერტულ-შეკავებითი ტიპების აღწერა.

ღიღი ტვინის ქერქისა და ქერქქვეშას ურთიერთდამოკიდებულების საფუძველზე კრასნოგორსკიმ დაადგინა ოთხი ტიპი: 1. ცენტრალური ტიპი, 2. ქერქული ტიპი, 3. ქერქქვეშა ტიპი, 4. სუსტა ტიპი.¹

თავისი კლასიფიკაცია ნ. ი. კრასნოგორსკიმ შეუსაბამა ი. პ. პავლოვისა და ჰიპოკრატეს ტიპოლოგიას, მაგრამ ეს შესაბამისობა აშკარა ნაძალადეობის შთაბეჭდილებას სტოვებს. მაგალითად, ფლეგმატიკის სიღინჯესა და ემოციების სისუსტეს იგი ქერქქვეშა-ზე ქერქის მარეგულირებელი მოქმედებით ხსნის. ეს სინამდვილეს არ უნდა შეეფერებოდეს: ფლეგმატიკის როგორც ქერქი, ასევე ქერქქვეშა ნაწილები დაბალი აგზნებადობით ხასიათდებიან. რომ ფლეგმატიკური ტემპერამენტის ბავშვებში ქერქული პროცესები ძნელად აღმოცენდება, ეს დადასტურდა ჩვენს მიერ ჩატარებულ ცდებში, როცა გამღიზიანებელთა მრავალათეულჯერ მიწოდება შეიძენა საპრობო ფიქსირებული ანწყობის შესაძლებლობად. ფლეგმატიკის ინერტულობა გაპირობებული უნდა იყოს როგორც ქერქის, ასევე ქერქქვეშას ძნელი აგზნებადობით. გაკვირვებას იწვევს ის, რომ ავტორს ფლეგმატიკი განხილული აქვს როგორც ნორმალური აგზნების ტიპი.²

ბავშვების უმალღესი ნერვული მოქმედების ტიპების ინტენსიური შესწავლა წარმოებს ა. გ. ივანოვ-სმოლენსკის ლაბორატორიაში. აქ გამოიყენეს სპეციალური მეთოდი — მოძრაობითი-პირობითი რეფლექსის სიტყვიერ-მეტყველებითი გამღიზიანებლით განმტკიცება. ამ მეთოდის საფუძველზე ივანოვ-სმოლენსკიმ გამოყო შემდეგი ტიპები:

ა) ლაბილური ტიპი, როდესაც დადებითი და შეკავებითი პირობითი კავშირები ერთნაირად აღვილად და სწრაფად გამომუშავდება.

ბ) ინერტული ტიპი — ორივე კავშირის — დადებითი და შეკავებითი — განმტკიცება ძნელად ხდება.

¹ Н. И. Красногорский. О типовых особенностях ВВД у детей. „Журнал ВВД.“ т. III, вып. II, стр. 170.

² Н. И. Красногорский. О типовых особенностях ВВД у детей. „Журн. ВВД.“ т. III, вып. II, стр. 170.

გ) აგზნებითი ტიპი — დადებითი კავშირები ადვილად და სწრაფად უმუშავდებოდა, შეკავებითი კი ძნელად და ნელა.

დ) შეკავებითი ტიპი — დადებითი კავშირების შემუშავება და განმტკიცება ხდება ნელა, ხოლო შეკავებითი კავშირებისა — ადვილად და სწრაფად.¹

ავტორი აღნიშნავს, რომ ეს კლასიფიკაცია ასახავს ნერვული პროცესების ძვრადობასა და წონასწორობას, მაგრამ იგი არაა ნერვული სისტემის დასრულებული ტიპოლოგია.

უნდა შევნიშნოთ, რომ ჩვენ არაადექვატურად მიგვაჩნია კვლევის ის მეთოდი, რომელიც ძირითად მეთოდადაა გამოყენებული ივანოვ-სმოლენსკის ლაბორატორიაში.

ადამიანის ნერვული სისტემის ტიპოლოგიის საკითხებზე მუშაობა, მართალია, ყველაზე გვიან დაიწყო რსფსრ პედაგოგიკურ მეცნიერებათა აკადემიის ფსიქოლოგიის ინსტიტუტმა (მოსკოვი). მაგრამ, ამის მიუხედავად, აქ მნიშვნელოვანი მიღწევებია მოპოვებული. როგორც ამ ინსტიტუტის უმაღლესი ნერვული მოქმედების განყოფილების გამგე აკად. ბ. მ. ტეპლოვი ამბობს, ახლა ძირითად ამოცანას შეადგენს ადამიანის ნერვული სისტემის შესწავლისათვის ადექვატური მეთოდის გამოჩვენება.

ამრიგად, აღნიშნული მკვლევარები, გამოდიან რა პავლოვის დებულებიდან, რომ ცხოველთა ნერვული სისტემის ტიპოლოგია შეიძლება გავრცელდეს ადამიანებზე, დღის წესრიგში აყენებენ ძირითადი ნერვული პროცესების — აგზნებისა და შეკავების სიძლიერის, წონასწორობისა და ძვრადობის შესწავლას ადამიანებთან.

მკვლევართა ერთმა ნაწილმა მუშაობა ჩაატარა ნერვული სისტემის ტიპოლოგიის სამივე პრინციპის მიხედვით. სხვებს განხილული აქვთ პირველი და მეორე სასიგნალო სისტემების ურთიერთობა. ამ ბოლო დროს ინტენსიური კვლევა-ძიება წარმოებს კლასიფიკაციის თითოეული პრინციპის (ძალა, წონასწორობა, ძვრადობა) საფუძველზე ადამიანთა ინდივიდუალური განსხვავებულობის დასადგენად. სერიოზული ყურადღება ექცევა აგრეთვე ნერვული პროცესების წონასწორობის შესწავლას ადამიანებში. ცხოველებთან გამოყენებული მეთოდები ადამიანის ნერვული სისტემის ტიპების შესწავლისას ვერ ევაძლევის სასურველ შედეგს. ამიტომ ფართოდ იყენებენ ფოტოქიმიური პირობითი რეფლექსის მეთოდს. ცხოველების ნერვული სისტემის შესასწავლად ამ მეთოდ-

¹ А. Г. Иванов-Смоленский. Об изучении типов ВНД животных и человека. „Журн. ВПД.“ т. III, вып. I, М. 1953, стр. 46—47.

დით პირველად ისარგებლა დოლინმა. ფოტოქიმიური პირობითი რეფლექსის მეთოდს პირობითი რეფლექსის სხვა მეთოდებთან შედარებით. აქვს რიგი უპირატესობანი. ამ მეთოდით ადამიანის ნერვული სისტემის ტიპოლოგიური კვლევა პირველად აწარმოვა ნ. ა. მაიზელმა პროფ. ბ. ნ. ტეპლოვის ხელმძღვანელობით 1952 წელს. ფოტოქიმიური პირობითი რეფლექსის მეთოდით ავტორს შეუსწავლია 10 ცდის პირი. მათ შორის აღმოჩნდა განსხვავებულობა. რის საფუძველზედაც დაადგინა სამი ტიპი. „გამოკვლევის შედეგად, — წერს მაიზელი, — ჩვენს მიერ გამოყოფილი იყო სამი ტიპოლოგიური ჯგუფი, რომლებიც გალიზიანებითი და შეკავებით პროცესების გარკვეული შესაბამისობით ხასიათდებიან.

ა) აგზნებითი, რომელთა აგზნებითი პროცესი ძლიერია შეკავებით პროცესზე.

ბ) შეკავებითი, როცა შეკავებითი პროცესი ძლიერია აგზნებით პროცესზე.

გ) გაწონასწორებული. რომლის გალიზიანებითი და შეკავებითი პროცესი შეფარდებითს წონასწორობაშია.

ეს ჯგუფები იდენტიურია ა. გ. ივანოვ-სმოლენსკის ლაბორატორიებში დადგენილ ბაეშვთა ჯგუფებისა.¹

როგორც ვხედავთ, ტიპოლოგიური, თვალსაზრისით ნ. ა. მაიზელის გამოკვლევა ახალს არაფერს იძლევა. აქ მხოლოდ ფოტოქიმიური პირობითი რეფლექსის მეთოდის ვარგისიანობას აქვს ხაზი გასმული.

ექსპერიმენტული კვლევის შედეგად ნერვული სისტემის სამი ძირითადი ჯგუფი მიიღეს აგრეთვე ბორიაგინმა² და მ. ნ. ბორისოვამ³. დაახლოებით ასეთ დასკვნამდე მივიდა ა. გ. კოვალოვიც.⁴ ჩამოთვლილი გამოკვლევები და ის შრომები, რომელთა შესახებ ქვემოთ გვექნება საუბარი. არ ადასტურებენ სხვა ტიპებს, გარდა პავლოვისეულ კლასიფიკაციით ნაგულისხმევი ტიპებისა და ქვიტობისა. ყველა ცდილობს თავისი ექსპერიმენტული მასალა სამი ან ოთხი ტიპის ფარგლებში მოათავსოს.

¹ Н. А. Майзель. Исследование типологических различий по уравновешенности процессов возбуждения и торможения методикой фотохимического условного рефлекса, канд. диссертация, М., 1952, стр. 105.

² Борягин Г. И., Исследования индивидуальных различий в выполнении точных движений, Институт психологии АПН РСФСР, 1953 г.

³ Борисова М. И., К вопросу о типах ВНД характеризующихся соотношением первой и второй сигнальных систем, канд. диссертация, М., 1951 г.

⁴ Ковалев А. И., Проблема темперамента в свете павловского учения о типах нервной системы, уч. записки ЛГУ, № 1-17, 1953 г.

ი. პ. პავლოვი შეეხო ადამიანის უმაღლესი ნერვული სისტემის ტიპოლოგიის საკითხს პირველი და მეორე სასიგნალო სისტემების ურთიერთდამოკიდებულების თვალსაზრისით. ესაა ამ სარჩევაც გაშლილია კვლევითი მუშაობა. ნ. ა. ბორისოვას ნაშრომი ამ საკითხისადმი მიძღვნილი.

პ. გ. პოპესკუმ (ლენინგრადი) თავის ნაშრომში¹ გამოიყენა რა ივანოვ-სმოლენსკის მიერ შემუშავებული მოძრაობითი რეაქციების სიტყვიერი განატიკციების, აგრეთვე სიტყვიერ-ასოციაციური ექსპერიმენტული მეთოდი, ცდის შედეგები დააჯგუფა პავლოვისეული საკლასიფიკაციო პრინციპების მიხედვით. უნდა აღინიშნოს, რომ ავტორი როდესაც განიხილავს ადამიანთა ნერვული სისტემის ტიპებს I და II სასიგნალო სისტემების ურთიერთმიმართების ასპექტში, აღნიშნავს, რომ პირველი სასიგნალო სისტემის ფარგლებში ადამიანმა შეიძლება სხვა თვისებები გამოავლინოს, მეორეში — კიდევ სხვა. ამიტომ, ასკვნის ავტორი, ადამიანის ნერვული სისტემის ტიპების განსაზღვრისას მნიშვნელობა აქვს სასიგნალო სისტემების ურთიერთმიმართებასაც (ნერვული სისტემის სხვა თვისებებთან ერთად).

პ. გ. პოპესკუს გამოკვლევით, აზროვნებითი ტიპის სხვადასხვა წარმომადგენლების შედარებით შესწავლის შედეგად გამოიკო სხვა ტიპოლოგიური თავისებურებანი მხოლოდ II სასიგნალო სისტემის ფარგლებში... ამის შედეგად არის საფუძველი აზროვნებითი ტიპის ფარგლებში სამი ქვეტიპის — ანალიზური, სინთეზური და ანალიზურ-სინთეზურის გამოყოფისათვის. მართალია, ამ შემთხვევაში პ. გ. პოპესკუ ცდილობს განავითაროს ი. პ. პავლოვის მოძღვრება ადამიანის უ. ნ. მ. ტიპების შესახებ. იგი ანალიზს უკეთებს მოაზროვნე ტიპის თავისებურებებს, ადგენს ქვეტიპებსაც. მაგრამ, ჩვენი აზრით, ამ შემთხვევაში საქმე ეხება არა ადამიანის ნერვული სისტემის ტიპოლოგიას, არამედ მხოლოდ და მხოლოდ ინტელექტის თავისებურებებს. ამიტომ ჩვენ შეუძმინველად გადავდივართ ნერვული სისტემის ტიპოლოგიის პრობლემიდან უნარისა და ნიჭიერებათა პრობლემაზე. ადამიანის გარემოსთან ურთიერთობის ფორმალური მხარეები კი არ დგას წინა პლანზე, რაც ჩვენი აზრით ნ. ს. ტიპოლოგიისათვის ძირითადი დამახასიათებელი ნიშანია, არამედ მოქმედიანობის შინაარსი. ნერვული

¹ Попеску П. Г., Опыт исследования типологических особенностей высшей нервной деятельности человека, Автореферат канд. диссертации, 1953.

სისტემის ტიპს აქვს მნიშვნელობა შინაარსეული მხარის განსაზღვრისთვისაც, მაგრამ ეს იმდენად, რამდენადაც კავშირია ნ. ს. საერთო ტიპებსა, ნასახებსა და უნარს შორის. ნ. ს. ტიპი მისი ფსიქოლოგიური კომპონენტი — ტემპერამენტი ყოველმხრივ გაუღენას ახდენს ადამიანის მოქმედებთანობაზე, თავისებურ ელფერს აძლევს მას, განაპირობებს აქტივობის ფორმალურ მხარეებს, მაგრამ როგორი იქნება ადამიანის აზროვნებითი ოპერაციები — ანალიზური თუ სინთეზური, ან ანალიზურ-სინთეზური — ამის განმსაზღვრელად ტემპერამენტი და მისი ფიზიოლოგიური საფუძველი — ნერვული სისტემის ტიპი ვერ გამოდგება, ეს მოვლენები უფრო ინტელექტითაა გაპირობებული.

უმაღლესი ნერვული მოქმედების ტიპებისა და ტემპერამენტის ცნების სწორად გაგებას იმ დასკვნამდე მივყავართ, რომ ნერვული სისტემის პავლოვისეული ტიპოლოგია, რომელიც ორი ძირითადი ნერვული პროცესის — აგზნებისა და შეკავების სიძლიერის ურთიერთშეფარდებისა და ძვრადობის მიხედვით არის გაშუქებული, წარმოადგენს ტემპერამენტის, როგორც იმპულსური ფსიქიკური აქტივობის დინამიკურ თავისებურებათა განმსაზღვრელი თვისების, ფიზიოლოგიურ საფუძველს. ამიტომ ადამიანის ნერვული სისტემის ტიპოლოგიურ შესწავლას დიდი მნიშვნელობა აქვს ადამიანის ფსიქიკურ თავისებურებათა გაგებისათვის. ამასთან უნდა აღინიშნოს, რომ უმაღლესი ნერვული მოქმედების ფიზიოლოგიური ტიპოლოგია მთლიანად ვერ ამოწურავს ადამიანის ტემპერამენტისეულ ტიპოლოგიას. უმაღლესი ნერვული მოქმედების ფიზიოლოგია მხოლოდ პირობაა, ფიზიოლოგიური საფუძველია ტემპერამენტისეული თვისებების აღმოცენებისა და განვითარებისათვის და არავითარ შემთხვევაში არაა ტემპერამენტული თვისება. ეს რომ ასეა, იქიდანაც ჩანს. რომ ი. პ. პავლოვი ნერვული ტიპების დახასიათებისას არ იყო შეზღუდული დიდი ტვინის ქერქში მიმდინარე ფიზიოლოგიური პროცესების აღწერითა და ახსნით, არამედ ვრცლად გადმოსცემდა ცოცხალი ორგანიზმის ქცევის ფსიქოლოგიურ დახასიათებასაც.

ნერვული სისტემის ტიპსა და ტემპერამენტს შორის ამგვარი ურთიერთდამოკიდებულების გამო გასაგებია, რომ მკვლევარები არ კმაყოფილდებიან ტემპერამენტის მხოლოდ და მხოლოდ ფიზიოლოგიური საფუძველების შესწავლით და იკვლევენ მას დაკვირვებისა და ფსიქოლოგიურ-ექსპერიმენტული მეთოდებით.

ჩვენი საკვლევე საკითხის თვალსაზრისით საინტერესოა გ. იაკუშევას დისერტაცია თემაზე „Темперамент старших школьников“¹ შრომა დაწერილია სასწავლო-სააღმზრდელი მუშაობის პროცესში დაკვირვების მეთოდით შეგროვილი მასალის საფუძველზე. ავტორი გამოდის ტემპერამენტის ცნების აღიარებული ფსიქოლოგიური განსაზღვრებიდან და კლასიფიკაციიდან. იგი ძირითად ტიპებს გარდა აღიარებს სხვა ტიპებს, კერძოდ, შერწყმულ ტემპერამენტებს.

ამ მოსაზრებას ავტორი შემდეგნაირად გადმოსცემს: „ტიპოლოგიურად გარკვეულ ტემპერამენტებს გარდა უფროს სსსკოლაში ასაკში გვხვდება ტემპერამენტების უფრო რთული ფორმებიც. რთული აგებულების ტემპერამენტები შეიცავენ ტიპოლოგიურად განსხვავებულ თვისებებს. ტიპოლოგიურად განსხვავებული თვისებების შემდგომ შერწყმას ვხვდებით ინდივიდუალურ ტემპერამენტებში:

- 1) ქოლერიკული, სანგვინიკური და მელანქოლიკური ტემპერამენტების შენაერთი.
- 2) ქოლერიკული და მელანქოლიკური თვისებების შენაერთი.
- 3) ქოლერიკულ და ფლეგმატიკურ თვისებათა შენაერთი.
- 4) სანგვინიკური და ქოლერიკული თვისებების შენაერთი.
- 5) სანგვინიკურის და ფლეგმატიკურის შენაერთი.
- 6) მელანქოლიკურისა და სანგვინიკურის შენაერთი.
- 7) ფლეგმატიკური და მელანქოლიკური თვისებების შენაერთი.¹

ავტორი შენიშნავს, რომ შერწყმული ტემპერამენტები ზემოხსენებული შეუღლებებით არ ამოიწურება, არამედ არსებობს მათი კომბინაციის მრავალი შესაძლებლობა.

ე. წ. შერეული და შერწყმული ტემპერამენტის არსებობა ფაქტია. მაგრამ, ჩვენი აზრით, უმართებულოდ მიგვაჩნია ისეთი კლასიფიკაციის შემოღება, როდესაც ერთ ინდივიდში თავმოყრილია ქოლერიკის თავშეუკავებლობა, სანგვინიკის ზერელობა და მელანქოლიკის განმარტობეულობა. ასეთი ადამიანის არსებობა საიშოა. ადამიანის ცხოვრების ცალკეულ ეპიზოდებზე დაკვირვებანი არ შეიძლება საფუძველად დაედოს ტიპოლოგიას. თუ მხო-

¹ Якушева Г., Темперамент старших школьников, канд. диссертация, 1953 г.

ლოდ და მხოლოდ დაკვირვების მეთოდით. გესურს ტემპერამენტის დადგენა (ჩვენი აზრით, მარტო დაკვირვებით ვერ დავადგენთ საბოლოოდ ტემპერამენტს, საჭიროა ექსპერიმენტი), ხანგრძლივი დროის განმავლობაში უნდა ვაკვირდებოდეთ პიროვნებას, მისი თავისებურებების გამოვლენის დამახასიათებელ და არა შემთხვევით ფორმებს. თუმცა მარტო დაკვირვების მეთოდი ვერ მოგვცემს პიროვნების ტემპერამენტის სწორად დადგენის შესაძლებლობას, რადგან სუბიექტის ცალკეული აქტების თავისებურებანი შეიძლება გაპირობებულ იყოს არა ტემპერამენტისეული თვისებით, არამედ სხვა გარემოებით. ამიტომ სავესებით გასაგებია, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ფსიქოლოგიურ ექსპერიმენტს. ექსპერიმენტში შეიძლება სუბიექტის თვისებები გამომჟღავნდეს, რომელიც მიუწავდომელია ჩვეულებრივი დაკვირვებისათვის.

8. ტემპერამენტი აკად. დ. უზნაძის განწყობის თეორიის შუქზე. მოძღვრებას განწყობის შესახებ დიდი მნიშვნელობა აქვს პიროვნების ფსიქიკური თვისებების, კერძოდ, ტემპერამენტის შესწავლისათვის.

30-იან წლებში საბჭოთა ფსიქოლოგის აკად. დ. უზნაძის მიერ შემუშავებულ იქნა ცოცხალი ორგანიზმების გარემოსთან ურთიერთობის ახალი ფსიქოლოგიური თეორია — განწყობის თეორია. იგი უარყოფს მექანიციზმს, რომელიც ერთმანეთისაგან არ განასხვავებს არაორგანულ და ორგანულ ბუნებას, რომელსაც ცოცხალი ორგანიზმების გარემოსთან ურთიერთობა მექანიკურ კანონზომიერებამდე დაჰყავს. განწყობის თეორია ასევე ილაშქრებს ვიტალიზმის წინააღმდეგ, რომელიც აღიარებს სასიცოცხლო ძალას — ენტელექიას, როგორც ცოცხალი ორგანიზმების მოქმედების წარმმართველსა და მომწესრიგებელ ფაქტორს.

განწყობის თეორიის თანახმად ცოცხალ ორგანიზმსა და გარემოს შორის არ არსებობს ისეთი უშუალო მექანიკური ურთიერთობა, როგორცაა არაორგანულ ბუნებაში. მაღალგანვითარებული ცოცხალი ორგანიზმების ურთიერთობა გარემოსთან გაშუალებულია ორგანული მატერიის იმ თვისებებით, რომლებზედაც მიუთითებდა ფ. ენგელსი.

„სიცოცხლე ცილოვან სხეულთა არსებობის წესია. რომლის არსებით მომენტს შეადგენს ნივთიერებათა განუწყვეტელი ცვლა გარემო ბუნებასთან და ნივთიერებათა ცვლის შეწყვეტასთან ერთად სიცოცხლეც წყდება. რაც ცილის დაშლას იწვევს“... „არაორგანულ სხეულებშიც შეიძლება მოხდეს ნივ-

ოიერებათა ამგვარი ცვლა და ხდება კიდევაც დროის განმავლობაში სველგან- ვინაიდან ყველგან აქვს ადგილი ქიმიურ მოქმედებებს, თუმცაღა ძალიან ნელა. მაგრამ განსხვავება იმაში მდგომარეობს, რომ არაორგანულ სხეულებში ნივთიერებათა ცვლა მათ შლის, ორგანულ სხეულებში კი იგი მათი არსებობის აუცილებელი პირობაა“¹

რადგან ნივთიერებათა ცვლა არაორგანულსა და ორგანულ ბუნებაში დიამეტრალურად საწინააღმდეგო შედეგს გვაძლევს, განსხვავებული ბუნების უნდა იყოს ორგანიზმის რეაქციაც. „ბუნების დიალექტიკის“ იმავე თავში ვკითხულობთ:

„... ფიზიკური რეაქცია (alirs (სუფიანირად) სითბო და ა. შ.) თავის თავს ამოსწურავს რეაქციის ყოველი აქტით. ქიმიური რეაქცია სეკლის მარეაგირებელი სხეულის შემადგენლობას და განახლდება მხოლოდ მაშინ, როდესაც მისი ახალი რაოდენობა შეიძლება. მხოლოდ ორგანული სხეული რეაგირებს დამოუკიდებლად — რასაკვირველია მისი ძალღონის ფარგლებში (ძილი) და საკვების მიმატების პირობით — მაგრამ საკვების ეს მიმატება მხოლოდ მას შემდეგ მოქმედებს. რაც იგი ასიმილირებულია და არა უშუალოდ, როგორც დაბალ საფეხურებზე, ასე, რომ აქ ორგანულ სხეულს აქვს რეაგირების დამოუკიდებელი ძალა; ახალი რეაქცია მისგან გაშუალებული უნდა იყოს“²

ცოცხალი ორგანიზმების გაშუალებული რეაქციების მარქსისტული დებულების დადასტურებას საბჭოთა ფსიქოლოგიაში წარმოადგენს აკად. დიმიტრი უზნაძის მიერ შემუშავებული განწყობის თეორია, რომლის მიხედვით ფსიქიკის მოქმედება მთლიანად განაპირობებულია როგორც განწყობით გაშუალებული მოვლენა. ეს ამოცანა ძირითადად შეასრულა ამ თეორიის ავტორმა და მისმა მოწაფეებმა. განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს აკად. დ. უზნაძის მონოგრაფიას „განწყობის თეორიის ექსპერიმენტული საფუძვლები“ (ფსიქოლოგიის ინსტიტუტის შრომები, ტ. VI, 1949 წ.), რომელშიც დ. უზნაძის მიერ გადმოცემულია საკუთარი და მისი ხელმძღვანელობით ჩატარებული ექსპერიმენტული კვლევა-ძიების მასალები თეორიული განზოგადებით. განწყობის ცნების ზოგად ფსიქოლოგიურსა და დიფერენციალურ-ფსიქოლოგიურ მნიშვნელობას ასაზოთიებს აგრეთვე რ. ნათაძის, ზ. ხოჯაგას, ი. ბეალავას, ელ. ნორა-

1 დ. ენგელსი ბუნების დიალექტიკა. 1950, გვ. 212-213.

2 იქვე, გვ. 205.

კიძის, ბ. ხაჭაპურიძის, შ. ჩხარტიშვილისა და სხვათა საყურადღებო გამოკვლევები.

ბავშვთა ტიპოლოგიის კვლევის პირველი ცდა ეკუთვნის ვლ. ნორაკიძეს. მის მიერ შესწავლილი იყო კონფლიქტის მატარებელი ბავშვები. ტიპოლოგიის დროს ის ხელმძღვანელობდა ფსიქოპათოლოგიაში ცნობილი ტემპერამენტის კლასიფიკაციით (ციკლოიდური, შიზოიდური, რეაქტიულად ლაბილური და ეპილეპტიოიდური ტემპერამენტები).¹

ფსიქოზითა და ნევროზით შეპყრობილი ადამიანების ტიპოლოგიას განწყობის ცნების საფუძველზე მრავალი გამოკვლევა უძღვნა პროფ. ი. ბეალაფან.²

ჩვენი პრობლემისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს პროფ. ვლ. ნორაკიძის გამოკვლევებს. იგი თავის ნაშრომში „ფიქსირებულ განწყობა და ხასიათი“ არსებითად განიხილავს ხასიათის სტრუქტურის საკითხს — იმპულსური ფსიქიკური აქტივობისა და ნებისმიერ-ცნობიერი ფსიქიკური აქტივობის ურთიერთდამოკიდებულებას. ფაქტიურად ეს არის პიროვნების ტემპერამენტისა და ხასიათის ურთიერთობის საკითხი, რადგან ტემპერამენტი პიროვნების ფიქსირებული განწყობის ფორმალურ თავისებურებებში ვლანდება.

ვლ. ნორაკიძემ თავისი გამოკვლევების შედეგად დაადგინა ადამიანის ხასიათის სტრუქტურის სამი მთავარი ჯგუფი:

1) ჰარმონული ჯგუფი, როდესაც ადამიანის იმპულსური ფსიქიკური აქტივობის ფორმალური თვისება და ხასიათისეული თვისებები ერთმანეთს ემთხვევა:

2) კონფლიქტური ჯგუფი, როდესაც იმპულსურ და ნებისმიერ ფსიქიკურ აქტივობას შორის ანტაგონისტური დამოკიდებულებაა და ხასიათის სოციალურ იმპულსური ფსიქიკის შეკავება შეუძლებელია.

3) ვარიაბილური ჯგუფი, როდესაც პიროვნების იმპულსურ და ნებისმიერ ფსიქიკურ აქტივობას შორის არაა განსაზღვრული ურთიერთობა. ეს ძირითადი ჯგუფები მრავალ სახეა და ქვესახეს შეიცავენ.³

განწყობა როგორც ახსნილი ცნება, ნაყოფიერად იქნა გამოყენებული ფსიქოლოგიის სხვადასხვა დარგში რიგი პრობლემების გა-

1 ვლ. ნორაკიძე, კონფლიქტის მატარებელ ბავშვთა განწყობა, საანდოლო დისერტაცია, 1927 წ. „ბათუმის პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები“, 1931 წ.

2 ი. ბეალაფან, ფიქსირებული განწყობის ფორმალური მნიშვნელობა სტრუქტურისა და ეპილეპსიის ვაიფენაისათვის, ფსიქოლოგიის ინსტიტუტის შრომები, ტ. 3, 1944:

3 ვლ. ნორაკიძე, ფიქსირებული განწყობა და ხასიათი (სადოქტორო დისერტაცია), 1948, ხელნაწერი.

დასაქრელად, ამიტომ, ბუნებრივია, დღის წესრიგში დადგა საკითხი მოსწავლეთა ტემპერამენტის კვლევის საქმეში ამ ცნების გამოყენების შესახებ. პირველი ცდები ამ მიმართულებით ჩაატარეს, ბათუმის პედაგოგიური ინსტიტუტის სტუდენტებმა ე. ტულუშმა¹ (1950 წელი) და ე. ცირეკიძემ² (1951 წელი) ვლ. ნორაკიძის ხელმძღვანელობით. მათი მუშაობის შედეგები მოისმინეს სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენციებმა და მოწონებულ იქნა ამ ექსპერიმენტში იყო იმის ცდა, რომ დადგენილიყო გარკვეული კანონზომიერი ჯამოკიდებულება ტემპერამენტის ტიპებსა და ფიქსირებული განწყობის ტიპებს შორის. ამაზე მიუთითებდა ე. ტულუშისა და ე. ცირეკიძის მიერ ჩატარებული ექსპერიმენტები. მაგრამ მასალა ჯერ კიდევ მეტად მცირე იყო. მისი თეორიული განზოგადება — შეზღუდული. ამ კანონზომიერების დადგენისათვის საჭირო დარჩა ინტენსიური ექსპერიმენტული კვლევა და შედეგების განმტკიცება დაკვირვების, საუბრისა და ბიოგრაფიული მეთოდით მოპოვებული მასალებით.

ვლ. ნორაკიძემ აწარმოვა ტემპერამენტისა და ფიქსირებული განწყობის ურთიერთობის ინტენსიური კვლევა ზრდადასრულებულ ადამიანებთან. შედეგები გამოქვეყნებულია საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის დ. უზნაძის სახელობის ფსიქოლოგიის ინსტიტუტის XI სამეცნიერო სესიის (1954 წ.) თეზისების კრებულში და ამავე ინსტიტუტის შრომების IX და X ტომებში. მან დაადგინა გარკვეული მიმართების არსებობა ტემპერამენტის ტიპებსა და ფიქსირებული განწყობის ტიპებს შორის. ნორაკიძის გამოკვლევების მიხედვით დამტკიცდა, რომ სანგვინიკური ტემპერამენტის ადამიანის ფიქსირებული განწყობა არის პლასტიკურ-დინამიკური, საშუალო აგზნებადობის (10-15 ექსპოზიცია), მტკიცე, სტაბილური, კონსტანტური. იგი კონსტანტურია ინტერმოდალურადაც (ტ. IX გვ. 208-209).

მელანქოლიკური ტემპერამენტისათვის დამახასიათებელია ადვილი აგზნებადობა (2-5 ექსპოზიცია), ტლანქი — სტატიკურა, კონსტანტურა, სტაბილური, ირადირებული ფიქსირებული განწყობა (გვ. 211-212).

ფლეგმატიკური ტემპერამენტის ადამიანს ძნელად უმუშაობდა განწყობა. მისი აგზნების ზღურბლი მაღალია. გამღიზიანებელთა ოპტიმალური რაოდენობით შექმნავეებული განწყობა მტკიცე, დინამიკური; დამახასიათებელია ტლანქი-დინამიკური ან პლასტიკურ-დინამიკური განწყობის ტიპი. პლასტიკურობა სუსტად იჩენს თავს,

¹ ე. ტულუში, სასკოლო ასაკის ბავშვთა ტემპერამენტო და ფიქსირებული განწყობა (ხელნაწერი) 1951.

² ე. ცირეკიძე, სასკოლო ასაკის ბავშვთა ტემპერამენტის კვლევის მეთოდოლოგია (ხელნაწერი) 1952 წ.

განწყობის პლასტიკურ-დინამიკური მიმდინარეობა ტლანქ-დინამიკური განწყობის ტიპს უახლოვდება. ასეთი განწყობა სუსტად ირადირებულია (ტ. X, გვ. 257-258).

ქოლერიკული ტემპერამენტის ფიქსირებული განწყობა ადვილად აგზნებადი, მეტად მტკიცე, ტლანქი-დინამიკური ანდა ტლანქი-სტატიკური, ლოკალურია (ტ. X, გვ. 283).

ელ. ნორაჟიძის რჩევით 1953 წელს ჩვენ შევუღდექით მოსწავლეთა ტემპერამენტის კვლევას ფიქსირებული განწყობის საფუძველზე. პირველ ყოვლისა მოვახდინეთ მეთოდის აპრობაცია. შედეგები მოხსენდა ბათუმის პედაგოგიური ინსტიტუტის პროფესორ-მასწავლებელთა სამეცნიერო სესიას 1954 წელს.

ჩვენს გამოკვლევებში, რამდენადაც 1953 წელს ჩატარებული აღწერები მეთოდის აპრობაციისათვის ინტენსიური ხასიათის არ იყო, დავადგინეთ საორიენტაციო შესატყვისობა მოსწავლეთა ტემპერამენტის ტიპებსა და ფიქსირებული განწყობის ტიპებს შორის. ამ გამოკვლევის მიხედვით მელანქოლიკური ტემპერამენტის ბავშვის განწყობა სტატიკურია, მეტად გაძნელებულია განწყობის გადანაცვლება, მაგრამ ახალი (არა ფიქსირებული) გამოიხიანებლების ხანგრძლივი ზემოქმედება მაინც იწვევს ფიქსირებული განწყობის აღკვეთას, რასაც ნახტომის ხასიათი აქვს. ფიქსირებული განწყობა ხანგრძლივი წინააღმდეგობის შემდეგ ერთბაშად უთმობს ადგილს ახალს. სიტუაციის შესაბამის განწყობას. თუ საერთოდ მელანქოლიკური ტემპერამენტისათვის განწყობის სტატიკურობა და აბსოლუტური ურყეობა იყო აღიარებული, ამ გამოკვლევების მიხედვით მელანქოლიკის განწყობა აბსოლუტურად სტატიკური არ უნდა იყოს. ფიქსირებული განწყობა ძნელად ძვრადი, მაგრამ მაინც ძვრადი აღმოჩნდა მეთოდის აპრობაციის დროს.

ქოლერიკული ტემპერამენტის ბავშვის განწყობა ტლანქი-დინამიკურია, მაგრამ მელანქოლიკის ფიქსირებული განწყობისაგან განსხვავებით მასში ილუზიების აღკვეთა შედარებით ადვილად ხდება. 10-15 კონტრასტული ილუზიის შემდეგ პიროვნება ადექვატურ აღქმას აღწევს.

სანგიინიკური და ფლეგმატიკური ტემპერამენტის ფიქსირებული განწყობა პლასტიკურ-დინამიკურია. ორივე შემთხვევაში საგრძნობო ორმხრივ ძვრადობასთან გვაქვს საქმე, მაგრამ პლასტიკურობის რაოდენობრივ განსხვავებულობაში უნდა ვეძიოთ ფლეგმატიკისა და სანგიინიკის თავისებურება. სანგიინიკური ტემპერამენტის ბავშვის განწყობა უფრო პლასტიკურია. ილუზიათა რხევები სწრაფი. ხოლო ფლეგმატიკური ტემპერამენტის ბავშვის ფიქსირებული განწყობის ძვრადობა რამდენადმე გაძნელებულია, ილუზიათა მონაცვლეობა ნელა, შეფერხებებით მიმდინარეობს.

აღნიშნული გამოკვლევების საფუძველზე ჩვენ მიგვაჩინია, რომ

ფიქსირებული განწყობის მეთოდი შეიძლება წარმატებით გამოვიყენოთ მოსწავლეთა ტემპერამენტის დადგენისათვის.

ვლ. ნორაკიძე და სხვები, რომლებიც ფიქსირებული განწყობის მეთოდით იკვლევდნენ ტემპერამენტს, ეძიებდნენ იმას, თუ რომელი ტემპერამენტის ადამიანისათვის როგორი ტიპის ფიქსირებული განწყობაა დამახასიათებელი. დაკვირვებით, კლინიკური საუბრისა და ბიოგრაფიული მეთოდების საშუალებით განისაზღვრებოდა ამა თუ იმ პიროვნების ტემპერამენტი და შემდეგ ხდებოდა უკვე დადგენილი ტემპერამენტის პიროვნების ფიქსირებული განწყობის ტიპის განსაზღვრა. ამგვარად, პიროვნების ტემპერამენტი წინასწარ დადგენილი იყო სხვა მეთოდებით და შემდეგ წარმოებდა ამ პიროვნების ფიქსირებული განწყობის თავისებურებათა შესწავლა. კვლევის ამ ეტაპზე მთავარი ამოცანა იყო არა იმდენად თვით ტემპერამენტის განსაზღვრა ექსპერიმენტული მეთოდით, არამედ ტემპერამენტისა და ფიქსირებული განწყობის ტიპების ურთიერთდამოკიდებულების დადგენა. როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, გამოკვლევების შედეგად აღმოჩნდა, რომ გარკვეულ ტემპერამენტს ფიქსირებული განწყობის გარკვეული ტიპი შეესაბამება. ტემპერამენტის ტიპებსა და ფიქსირებული განწყობის ტიპებს შორის ურთიერთობის შესწავლის შემდეგ დაისვა საკითხი გავსკილებლით მათი ფორმალური დამოკიდებულების საზღვრებს და მოგვეჩვენა არსებითი კავშირი ამ ორ ფსიქიკურ მოვლენას შორის. ვლ. ნორაკიძის გამოკვლევებში (იხ. ფსიქოლოგია, ტ. IX და X) აღიარებულია, რომ ტემპერამენტსა და ფიქსირებულ განწყობას შორის არის არსებითი კავშირი. „ჩვენი გამოკვლევების შედეგადაც დასტურდება, რომ მკვეთრად განსხვავებული განწყობის ტიპს მკვეთრად განსხვავებული ტემპერამენტის ტიპი შეესაბამება. ეს შესატყვისობა არსებითი ხასიათისაა. პლასტიკურ-დინამიკური განწყობის ტიპის ადამიანისათვის სანგვინიკური ტემპერამენტია დამახასიათებელი, ტლანქი-სტატიკური განწყობის ტიპის ადამიანისათვის კი — მელანქოლიკური ტემპერამენტი, შეიძლება ვიგულისხმოთ, რომ განწყობაში ასახულია სპეციფიკური იმპულსური ქცევის შესაძლებლობა, რომელიც ტემპერამენტისეული ქცევის ფორმაში პოულობს რეალიზაციას“.¹

ტემპერამენტის ტიპებსა და ფიქსირებული განწყობის ტიპებს შორის გარკვეული ურთიერთდამოკიდებულების დადგენა და მათ შორის არსებითი კავშირის აღმოჩენა, რაც ვლ. ნორაკიძემ მრავალრიცხოვანი ექსპერიმენტული გამოკვლევის შედეგად მოახდინა, საშუალებას გვაძლევს ფიქსირებული განწყობის მეთოდით წარმატებით ვიკვლიოთ ადამიანის ტემპერამენტი, ფიქსირებული განწყობის ტიპების მიხედვით მივაკუთვნოთ ადამიანები ამა თუ იმ ტემპერამენტს.

ტემპერამენტის შესწავლისას მნიშვნელოვანი ადგილი უნდა

¹ ვლ. ნორაკიძე, პიროვნების ტემპერამენტი და ფიქსირებული განწყობის მეთოდი, ფსიქოლოგია, ტ. IX, გვ. 212.

დაეთმოს განწყობათა რეალიზაციის თვისებურების. აქტივობის ფორმალური მხარეების შესწავლას. ისე როგორც ემოციების თავისებურებათა შესწავლას. სასურველია ან თვისებათა, განსაკუთრებით მოძრაობათა შესწავლა ექსპერიმენტული მეთოდით. მაგრამ შესაძლოა ეს დაკვირვების დაკვირვების გზითაც. ფორმალურად მსგავსი ფიქსირებული განწყობის სუბიექტები შეიძლება განწყობათა რეალიზაციის ტემპის მიხედვით განსხვავებული იყოს. ილუზიათა აღკვეთისა და განწყობის რეალიზაციის პროცესი ერთნაირია თუ არა. ეს კიდევ ვადასაპირელი საკითხია. მაგრამ, ჩვენი აზრით, ტემპერამენტის შესწავლისათვის ყველაზე მნიშვნელოვანია სუბიექტის იმპულსური გამოვლინება — პიროვნების მოქმედებების მიმართულების განსაზღვრულობა. ერთი მიმართულებიდან მეორე მიმართულებით გადანაცვლების თავისებურება. ამასთან მნიშვნელოვანია, თუ როგორ ხდება თქვენი განწყობის აღკვეთა (როდესაც იგი არ შეესაბამება ობიექტურ პირობებს) და ახალი, სიტუაციის შესაბამისი განწყობის შემუშავება. გადანაცვლების შესწავლისათვის ფიქსირებული განწყობის კანონზომიერებათა გათვალისწინების განსაკუთრებული მნიშვნელობის შესახებ მიუთითებს ნ. ელიაშვილს თავის გამოკვლევაში „გადანაცვლების ფსიქოლოგიური ბუნებისათვის“.¹

როგორც ცნობილია, განწყობა სუბიექტის ქცევის წინასწარი განსაზღვრულობაა. იგი სუბიექტის მზაობაა გარკვეული მოქმედებისათვის. ამიტომ ეს ცნება სუბიექტის გარემოსთან ურთიერთობის ამხსნელი ცნებაა და ამ ასპექტში უნდა განვიხილოთ პიროვნების ფსიქიკური აქტივობა. პირველ ყოვლისა იმპულსური მოქმედება და მისი თავისებურებანი. იმპულსური ფსიქიკური აქტივობის დინამიკური თავისებურება არსებითად დამოკიდებულია ტემპერამენტზე. იგი პიროვნებისეული ორმა ფსიქიკური თვისებაა და ფსიქიკური აქტივობის სხვადასხვა ფორმაში მქლავნდება. ამიტომ ტემპერამენტი არსებითად დაკავშირებული უნდა იყოს სუბიექტის მიმართულებასთან, მზაობასთან. გარემოსთან მისი ურთიერთობის წარმმართველ ფაქტორთან — განწყობასთან.

დ. ჯონსონის შეხედულებით სუბიექტის მოთხოვნილებებისა და მისი დამაკმაყოფილებლის პირობების გარეშე განწყობა ვერ აღმოცენდება. საჭიროა ამ ორი ფაქტორის სივრცესა და დროში ურთიერთდამთხვევა. ამავე დროს ექვს არ იწვევა, რომ ადამიანის მოთხოვნილებების დინამიკა, მისი ტემპი და ძალა ტემპერამენტთანაა დაკავშირებული. ტემპერამენტი გამონახავს მოთხოვნილებას დინამიკურ ასპექტს (რუბინშტიინი). ტემპერამენტი მკუდრო კავშირშია განწყობის სუბიექტურ ფაქტორთან — მოთხოვნილებასთან. ამის გამო იგი არის განწყობის შექმნის სუბიექტური ფაქტორის კომპონენტი და ჩართულია განწყობით გაპირობებულ ქცევაში.²

1 ფსიქოლოგია, ტ. IX, 1954 წ., გვ. 219-234.

2 ამ საკითხის შესახებ იხილეთ ვლ. ნიკოლაის „სპორტის სოციალური ფსიქოლოგია“, 1959 წ.

ბიოპლაზმის კლასიფიკაციის საკითხი

საგნებისა და მოვლენების დაჯგუფებას ადამიანი კაცობრიობის განვითარების ადრეულ საფეხურზეც მიმართავდა.

პირველ ყოვლისა იგი ყურადღებას აქცევდა საგნების თვალსაჩინო ნიშნებს და დაჯგუფებასაც ამის მიხედვით ახდენდა. საგულისხმოა, რომ გრძნობად ნიშანს უსათუოდ გარკვეული მნიშვნელობა აქვს საგნებისა და მოვლენების დაჯგუფებაში. რამდენადაც მოვლენა არსის გამოვლენა და გარეგანი შინაგანთან კავშირშია, მაგრამ გარეგანსა და შინაგანს შორის მუდამ ერთმნიშვნელოვანი დამოკიდებულება როდია, ამიტომ აუცილებელია მეცნიერული კვლევა-ძიება წარმოებდეს არსებითი თვისებების შემეცნების გზით. სინამდვილას კლასიფიკაციას საფუძვლად უნდა დაედოს საგნებისა და მოვლენებისათვის დამახასიათებელი არსებითი ნიშნები. ამიტომ წვენ უმართებულოდ მიგვაჩნია ვ. შტერნის შეხედულება საკლასიფიკაციო ნიშნისა და პერსპექტივის თვითნებური არჩევის შესახებ. იგი ამბობს: „არის ისეთი სტრუქტურა, რომ მთელ პიროვნებას მოიცავს. მას, ასე ვთქვათ, ერთ განსაზღვრულ პერსპექტივაში ამარტოვებს: აი, მაგალითად, ბიოლოგი რომ „კონსტიტუციაზე“ ლაპარაკობს. ფსიქოლოგი — „ტიმპერამენტზე“, გონის მეცნიერებათა ადვოკატი — ადამიანის გონით ტიპზე.“

იმისდამიხედვით, თუ რა პერსპექტივას აირჩევ, შეიძლება იგივე ადამიანი სხვა სტრუქტურულ ტიპს მიეკუთვნოს. ამიტომაც შემცდარია ზოგიერთი ახალი ტიპოლოგიური მოძღვრების ცდა ერთი გარკვეული საყოველთაო ტიპოლოგიური კლასიფიკაცია შეიმუშაოს.“

თუმცა შტერნის შეხედულება საკლასიფიკაციო ნიშნების თვითნებური არჩევის შესახებ მცდარია, მაგრამ იგი სწორად მიუთითებს ადამიანის უნივერსალური კლასიფიკაციის — ბიოლოგიური და ფსიქოლოგიური, სოციალური და სხვა ერთიანი კლასიფიკაციის დადგენის შესაძლებლობაზე. თავის მხრივ ფსიქოლოგიას ევ-ლინა მოგვცეს ადამიანის, როგორც ქცევის სუბიექტის, ამომწურავი კლასიფიკაცია. ასეთი მოძღვრების ამოსავალი შეიძლება იყოს ისეთი მთლიანი სუბიექტური მდგომარეობა, რომელიც განწყობის სახელითაა ცნობილი, ე. ი. აკად. დ. უზნაძის შიერ დადგენილი განწყობის ცნება. „მთლიანი ფსიქოლოგიური ტიპების დადას-

1 დასავლეთ ევროპის თანამედროვე ფსიქოლოგიური მიმართულებანი, დ. უზნაძის რედაქციით, გვ. 62.

ტურების შესაძლებლობას საფუძველი აქვს ისეთ პერსონალისტურ ფსიქოლოგიურ კონცეპციაში, რომელიც პიროვნების ყველა ფსიქიკურ ფუნქციასა წარმართველად გულისხმობს ერთ, ზოგად, პიროვნულ დისპოზიციას, რომელიც შეიძლება იყოს საწყისი ყველა ფსიქიკური ფუნქციისა. ეს შეიძლება ისეთი ფსიქოლოგიური კონცეპციის ნიადაგზე, რომელიც პიროვნების „შინაგანი“ და „გარეგანი“ ქცევის საფუძველად გულისხმობს ერთ ისეთ „ცენტრს“ რომლისგანაც მომდინარეობს პიროვნების აქტივობა. ასეთი ცენტრის ძიების ცდა, თანამედროვე მთლიანობის ფსიქოლოგიის მრავალი მიმდინარეობიდან, მხოლოდ განწყობის ფსიქოლოგიაში დაგვირგვინდა დამაჯერებელი შედეგებით... პიროვნების ზოგადი დისპოზიცია შეიძლება იყოს დასაბამი როგორც ხასიათისა, ისე სხვა პიროვნული თვისებებისა“.¹

როგორც წინათ მოვიხსენიეთ, ტემპერამენტის პირველი დაჯგუფება მოხდა ჰიპოკრატეს ჰუმორალურ-პათოლოგიური დოქტრინის საფუძველზე. ჰიპოკრატეს შეხედულება, როგორც ი. პ. პავლოვი აღნიშნავს, მეცნიერული არაა. მიუხედავად ამისა, ჰიპოკრატემ გენიალურად განსკვრიბა ტემპერამენტთა ტიპები, რომლებიც ჯერჯერობით სავსებით არავის უარუყვია.

ჩვენი წილთაღრიცხვის მეორე საუკუნეში გაღენმა შემოიტანა ახალი კლასიფიკაცია და აღიარა 9 ტემპერამენტი: ერთი ნორმალური, ოთხი წმინდა და 4 შერეული.

მე-19 საუკუნის მიწურულიდან ტემპერამენტთა კლასიფიკაციას საფუძველად უდებენ კანსტიტუციის მოხდრებას. მეცნიერების განვითარების შემდგომ საფეხურზე, როგორც კონსტიტუციის მოძღვრება, ისე მის საფუძველზე მოცემული ტემპერამენტთა კლასიფიკაცია უარყოფილ იქნა.

ტემპერამენტთა კლასიფიკაციის საკითხებით დანიტერესებული იყო აკადემიკოსი ი. პ. პავლოვი. მან პირობითი რეფლექსის კვლევისას დაადგინა თვალსაჩინო განსხვავება ცხოველთა შორის და ამის საფუძველზე მოახდინა უმაღლესი ნერვული მოქმედების კლასიფიკაცია. რომელიც შეუფარდა ჰიპოკრატისეულ ოთხ ტიპს. ნერვული პროცესებს სიძლიერეს, წონასწორობისა და სგრადობის მიხედვით შეიძლება დაფიქსირდეს 6 ტიპი (თუმცა მან ოთხი ძირითადი ტიპი გაპოყა). სიღრმე „თუ ანგარიშს არ გავუწევთ გრადაციებს და ავიღებთ მხოლოდ კიდურ შემთხვევებს, პერყვობათა სახდრებს: ორივე პროცესის ძალასა და სისუსტეს, ტალობასა და უტალობას, ლაბილობასა და ინერტულობას, ჩვენ უკვე გვიჩვენა ნერვული სას-

¹ ვლ. ნორაიუ, ფიქსირებული განწყობა და ხასიათი, სადოქტორო დისკურტაცია (ხელნაწერი), 1917 წ., გვ. 67. ასევე საკითხი იხ. ალ. ფრანკოვილი, განწყობის ცნების ზოგადფსიქოლოგიური მნიშვნელობა, სსრ მეც. აკად. მუშაუბ.

ტივის ძირითად თვისებათა რვა შეხამება. რვა შესაძლებელი კომპლექსი, რვა ტიპი ამ სისტემისა. თუ ამას დაემატებთ, რომ უწყონაწარმოების დროს შეიძლება სჭარბობდეს, საზოგადოდ რომ იტყვიან ხან გაღიზიანებითი პროცესი, ხან შეკავებითი, და ძვრადობის შემოხვევაშიც ინერციულობა თუ ლაბილობა შეიძლება იყოს ხან ერთი, ხან მეორე პროცესის თვისება—შესაძლებელ შეხამებათა რაოდენობა უკვე ოცდაოთხამდე გაიზრდება. ბოლოს თუ ავიღებთ საშივე ძირითადი თვისების მხოლოდ ტლანქ გრადაციებს. ამით უკვე უაღრესად გაადიდებთ შესაძლებელ შეხამებათა რიცხვს. მაგრამ მხოლოდ გულდასმით და რაც შეიძლება ფართოდ წარმოებულმა დაკვირვებამ უნდა დაადგინოს ნერვული მოქმედების ძირითად თვისებათა ამა თუ იმ ნამდვილი კომპლექსების, ნერვული მოქმედების ნამდვილი ტიპების არსებობა. მათი სიხშირე და სიმკვეთრე...¹

ი. პ. პავლოვს უმაღლესი ნერვული მოქმედების ტიპების დადგინებას მხედველობაში აქვს უკიდურესობანი. მაგრამ ეს სრულებით არ გამოირჩევა ჩვეულებრივის, ნორმალურის, ცენტრალური ტიპის არსებობას. ასეთი ტიპებრამენტი შეიძლება არა მარტო თეორიულად დაეუშვათ, არამედ პრაქტიკულადაც დასტურდება.

უმაღლესი ნერვული მოქმედების ტიპების არსებული კლასიფიკაციის უკარობასა და შუათანა (გარდამავალი) ტიპების არსებობასე მიუთითებს ვ. კ. ფედოროვი, იგა წერს:

.....ჩვენ ანგარიში გავუწიეთ სინამდვილეს და გამოვყავით უმაღლესი ნერვული მოქმედების შუალედი ტიპები, რაც საესებით ეთანხმება ი. პ. პავლოვის უკანასკნელ შეხედულებას, რომლებითაც გვიჩვენდა დაბეჭდებით შეგვესწავლა შუალედი ტიპების ვარიაციები...²

ვ. კ. ფედოროვი შემდეგნაირად ახასიათებს ამ შუალედურ ტიპს:ჩვენ ეხვლებით ადამიანებს, რომლებიც ხასიათდებიან შრომის, აქტიუობის, ინაიციატორობის, ემოციურობის საშუალო ენაობით, ქერქული ნერვული პროცესების ძალისა და ძვრადობის ნაძველად საშუალო ხარისხით, ამ პროცესების დამაკმაყოფილებელი წონასწორობის პირობებში...³

აქ გაუგებარია მხოლოდ ის, თუ რატომ თვლის ავტორი ამ ტიპს გარდამავალ, შუალედურ, ქვეტიპად და არა დამოუკიდებელ, ძირითად ტიპად.

თვით ი. პ. პავლოვს უმაღლესი ნერვული მოქმედების ძლიერი, გაწონასწორებული, ძვრადი ტიპი (1 ტიპი) განხილული ყავს, როგორც საშუალოეუმი ტემპეიაუნტი, მაგობ იგი დასტუოდ ერთგვარეანი, კი არ უნდა იყოს, არამედ შეიძლება მოიცავდეს სანგეინიკურსა და ნორმალურ ტიპებს.

საეიქრებელია, რომ 1 ტიპი განსხვავებული ნერვული სისტე-

1 ი. პ. პავლოვი, რწველი თხზულებანი, ობილესი, 1955 წ., გვ. 125.

2 Ильяев, «Вопросы физиологии», 1956, № 5, стр. 98.

მის ცხოველებს მოიცავს და, ნერვული პროცესების ძვრადობის ბუნების მიხედვით, შეიძლება ორად გაიყოს. სანგვინიკთა ჯგუფში უნდა მოთავსდნენ ის ცხოველები, რომელთა ძვრადობა, გადანაცვლება შინაგანი, აუცილებლობითაა გაპირობებული. ამ ჯგუფის ცხოველი ან ადამიანი ერთფეროვან სიტუაციას ვერ ეგუება, მოითხოვს გარემოს ცვალებადობას. წინააღმდეგ შემთხვევაში ღუნდება და იწყებს თვლემას. როგორც პავლოვი აღნიშნავს. ამ ტიპის ცხოველთა ნერვული უჯრედები ადვილად იფიტება ერთფეროვანი მუშაობისას. ეს რომ არ მოხდეს, საჭიროა გადანაცვლება. არსებობს ამის საპირისპირო ტიპი. რომელიც ადვილად ახერხებს ერთი მიმართულებით მუშაობას. ერთგვაროვან სიტუაციაში მოქმედებს. ამასთან თავისუფლად შეუიღია დროული, დაუგვიანებელი გადანაცვლება. რაც „შინაგანი აუცილებლობით“ არაა გამოპირობებული. ამგვარ პირს შეუიღია სიტუაციის შესაბამისად მოქმედოს, სწრაფად განიცადოს სინამდვილის შემოქმედება. იგი არაა არც „ობიექტური“ და არც „სუბიექტური სინამდვილია“ მონა და თავისუფლად. ნორმალურად, უმტკივნეულოდ ამყარებს ადექვატურ ურთიერთობას გარემოსთან. ამიტომ ამგვარი ტიპი უნდა ჩაითვალოს ნორმალურ ტემპერამენტად.

ტემპერამენტის ბუნების შესწავლისათვის, კერძოდ, მისი ტიპების დადგენისათვის არსებითი მნიშვნელობა აქვს განწყობის მოძღვრებას. რომელიც საბჭოთა ფსიქოლოგების ქართული სკოლის მერაა შემუშავებული. დ. უხნაძის მიერ დადგენილი განწყობის თეორია საფუძვლად უნდა დაედოს პიროვნების ფსიქოლოგიურ კლასიფიკაციას შთლიანად და, კერძოდ, ტემპერამენტის კლასიფიკაციას. ხასიათის კლასიფიკაცია, ფიქსირებული განწყობის ტიპების მიხედვით. დაადგინა ვლ. ნორაკიძემ. ხასიათის ტიპოლოგია იყო დინამიკური. სტატიკური და ვარიაციული ფიქსირებული განწყობების ტიპებთან მიმართებაში. ამ ტიპოლოგიაში ფაქტურად განხილულია ხასიათის სტრუქტურა. ტემპერამენტისა და ხასიათის ურთიერთდამოკიდებულება — განსახლვრულების საკითხი. მრავალრიცხოვანი ექსპერიმენტებით დადგინდა გარკვეული განწყობის ტიპისა და გარკვეული ხასიათის შესაბამისობა.

განწყობა, როგორც „პიროვნების ზოგადი დისპოზიცია შეიძლება იყოს დასაბამი როგორც ხასიათისა, ისე სხვა პიროვნული თვისებებისა“. ამიტომ, ცხადია, განწყობა ტემპერამენტის თვისებებსაც მოიცავს და იგი შეიძლება განხილულ იქნას ფიქსირებული განწყობის ტიპებთან მიმართებაში; ტემპერამენტისეული თვისებები ფიქსირებული განწყობის თვისებებურებებში ვლინდება. ამ თვალსაზრისით შეიძლება და ტემპერამენტები სამ დიდ ჯგუფად — დინამიკური, სტატიკური და ვარიაციული ფიქსირებული განწყობის შესატყვის ტემპერამენტებად დაგვეყო. ფიქსირებული განწყობის აგზნებადობის, ჩაქრობის მიმდინარეობის,

სტაბილობისა და ირადიაციის მიხედვით. თუ მოვახდენთ დაჯგუფებას. ავიღებთ 40-ზე მეტ სახეობას და, მაშასადამე. მის შესაბამის ტემპერამენტებს. მაგრამ კვლევის ამ ეტაპზე ჩვენი ექსპერიმენტული მასალა თავისი მოცულობის სიმცირის გამო, არ იძლევა ასე ფართო ვარიაციების საშუალებას. ეს საკითხი მომავალი კვლევის საგანია.

ცდებით მოპოვებული მასალის დამუშავების შედეგად შესაძლებელია ჩამოყალიბდეს ბევრთა ტემპერამენტის შემდეგი ძირითადი ტიპები, რომლებსაც ფიქსირებული განწყობის გარკვეული ტიპები შეესაბამება.

1) ნორმალური. ცენტრალური. ჰარმონიული ტემპერამენტი, რომელსაც შეესაბამება ადვილად აგზნებადი, პლასტიკურ-დინამიკური. მტკიცე კონსტანტური, სტაბილური, ირადირებული ფიქსირებული განწყობის ტიპი;

2) სანგვინიკური ტემპერამენტი, ადვილად აგზნებადი. დინამიკური (უფრო ხშირად პლასტიკური). მტკიცე, კონსტანტური, სუსტი სტაბილობის, ირადირებული ფიქსირებული განწყობის შესატყვისი;

3) ქოლერიკული ტემპერამენტი — ადვილად აგზნებადი, მტკიცე. ტლანქი-დინამიკური, სტაბილური, კონსტანტური, სუსტად ირადირებული ან ლოკალური ფიქსირებული განწყობის ტიპის შესაბამისი;

4) ფლეგმატიკური ტემპერამენტი — შეესაბამება ძნელად აგზნებადი. მტკიცე, დინამიკური, სტაბილური, სუსტად ირადირებული ფიქსირებული განწყობის ტიპი;

5) მელანქოლიკური ტემპერამენტი — შეესაბამება ადვილად აგზნებადი. სტატიკური, კონსტანტური, სტაბილური, მტკიცე, ირადირებული ფიქსირებული განწყობის ტიპი.

ტემპერამენტის ამ ძირითად ტიპებს გარდა, გარდამავალი ტემპერამენტების სახით თეორიულად არსებობს სხვა მრავალი არაწმინდა ტემპერამენტი როგორც ძირითად ტიპებს შიგნით, ასევე თვით ძირითად ტიპებს შორის.

მ ე თ ო ლ ი

მოსწავლეთა ტემპერამენტის შესწავლისათვის ჩვენ გამოვიყენეთ ფიქსირებული განწყობის მეთოდი. დაკვირვებისა და ბიოგრაფიული მეთოდები. ფიქსირებული განწყობის მეთოდით შევისწავლეთ ცდის პირთა პატურნი და ოპტიკური სფეროები.

პატურნი სფეროში ფიქსირებული განწყობის შემუშავებისათვის ცდის პირს ვაწვდიდით ორ ერთიმეორისაგან მკვეთრად განსხვავებულ გამლიზიანებლებს — სფეროებს (58 მმ., 87 მმ.) მარჯვნივ დიდს. მარცხნივ — პატარას. სენსორულად ასიმეტრიულ ცდის პირებს დიდი გამლიზიანებელი ეძლეოდა იმ მხარეს. საითაც სიდიდის

გადაფასებას ამჟღავნებდა. ვიკვლიეთ განწყობის აგზნების მინიმუმი და ოპტიმუმი. მინიმუმის კვლევა დაიწყო ერთი საგანწყობო ექსპოზიციით. შემდეგ ნახტომისებურად ვზრდიდით საგანწყობო ცდების რაოდენობას: 2-5-10-15-20 ექსპოზიციამდე. ოპტიმალურ ზღურბლად ჩავთვალეთ გამლიზიანებელთა ის რაოდენობა, რომლის შემდეგ ზემოქმედების რაოდენობის ზრდა განწყობის ტიპის ცვალებადობას არ იწვევს.

საგანწყობო ექსპოზიციის შემდეგ ვიწყებდით კრიტიკულ ცდებს.

აგზნებადობის ოპტიმუმის დადგენის შემდეგ ვიკვლიეთ განწყობის სხვა თვისებები: კონსტანტობა, ვარიაბილობა, სტაბილობა და ირადიაცია. კონსტანტობის შესამოწმებლად თითოეულ ცდის პირთან ოთხჯერ ჩატარდა ცდა

სტაბილობის ცდები ასე ჩავატარეთ: ცდის პირს ეძლევა განსხვავებული სიდიდის ბურთები (ოპტიმალური რაოდენობით). კრიტიკულ ცდებს ვატარებდით საგანწყობო ექსპოზიციიდან 5-7 დღე-ღამის გასვლის შემდეგ. თუ ფიქსირებული განწყობის მოქმედება არ გამოძლეოდა, მაშინ საგანწყობო და კრიტიკულ ექსპოზიციას შორის ინტერვალს ვამოკლებთ ერთ დღე-ღამემდე; თუ აქაც არ გამოვიღონდა ფიქსირებული განწყობის მოქმედება, მაშინ ინტერვალს ვამოკლებთ ერთ საათამდეც კი. ერთ დღე-ღამეზე ნაკლები გამძლეობის ფიქსირებული განწყობა ლაბილურ განწყობად მიგვაჩნია.

ირადიაციის ცდებში წევისწავლეთ ფიქსირებული განწყობის გავრცელება ჰაპტური სფეროდან ოპტიკურში. ამისათვის საგანწყობა ექსპოზიციებს ვატარებდით ჰაპტურ სფეროში. კრიტიკულს — ოპტიკურში. თუ ოპტიკურ სფეროში სუბიექტს აღმოაჩნდებოდა ილუზია (ჰაპტურ სფეროში შემუშავებული განწყობის გავრცელების გამო). მაშინ განწყობა ირადირებულია. წინააღმდეგ შემთხვევაში — ლოკალური. ოპტიკურ სფეროში ფიქსირებული განწყობის თავისებურებანი ვიკვლიეთ ტაქისტოსკოპით. ასიმეტრიის დადგენის შემდეგ. ცდის პირს ტაქისტოსკოპში 2-5-10-15-20-25-30 და ზოგჯერ 40-ჯერაც ვუჩვენებდით განსხვავებული სიდიდის ორ წრეს (28 მმ და 43 მმ.). კრიტიკულ ცდებში ვუჩვენებდით ერთი სიდიდის წრეებს (28 მმ.).

ფიქსირებული განწყობების თავისებურებათა შესწავლა ოპტიკურ სფეროში იმავე გზით წარმოებს, როგორც ჰაპტურში.

ჩვენ დაგვაინტერესა ფიქსირებული განწყობის ჩაქრობის სიღრმე. ცდების პროცესში წავაწყდით ისეთ შემთხვევას, როდესაც ცდის პირი კრიტიკულ ცდებში ტოლი ობიექტების აღქმავატური აღქმის შემდეგ, სხვა სიდიდის ტოლი ობიექტების სწორად ასახვას ვერ ახერხებს: ტოლ გამლიზიანებლებს კვლავ არატოლად აღიქვამს, თანაც კონტრასტულ ილუზიათა დიდ რაოდენობას უჩვენებს

ზოგიერთი ცდის პირი. ზოგი კი მაშინვე ტოლად აღიქვამს ამ ახალ ტოლ ობიექტებს.

ამ ფაქტმა გვაფიქრებინა. რომ. მართალია, ფიქსირებული განწყობის აღკვეთა ხდება კრიტიკულ ცდებში, მაგრამ ზოგჯერ ეს ჩაქრობა მხოლოდ ზედპირულია და გარკვეული რაოდენობრივი ერთეულითაა შემოსახლვრული. სხვა. კრიტიკული ობიექტებისაგან რაოდენობრივად განსხვავებული. ტოლი გამლიზიანებლების მიმართ განწყობა კვლავ ძალაშია. ამგვარად, ჩვენ მივიღეთ კრიტიკული ცდების ორი სახე: პირველადი კრიტიკული ცდები და მეორადი კრიტიკული ცდები. მეორადი კრიტიკული ცდები ჩვენს კვლევით მუშაობაში, ეპინოდურად იყო გამოყენებული. ისიც მხოლოდ ჰაპტურ სფეროში და უფრო მეტოდის აპრობაციის მნიშვნელობა აქვს. საჭიროა ამ მეთოდით პიროვნების ფიქსირებული განწყობის ჩაქრობის სიღრმის შესწავლა. ეს. ალბათ, საგულისხმო შედეგს მოგვცემს პიროვნების ქცევის დახასიათებისათვის.

ბავშვის ფიქსირებული განწყობა და ტემპერამენტი¹

განწყობის აღმოცენებას. მის ფიქსაციას, რელიზაციას და განდინაცვლებას. ძველი განწყობის ჩაქრობისა და ახლის, ობიექტური სინამდვილის აღიქვით განწყობის, შემუშავებას გადაწყვეტი მნიშვნელობა აქვს გარემოსთან სუბიექტის ურთიერთობის მოწესრიგებისათვის. როგორც ცნობილია, მაღალგანვითარებულ. ნერვული სისტემის მქონე ორგანიზმებს უნარი აქვთ ასახონ ობიექტური სინამდვილის ზემოქმედება. ისინი განსაკუთრებით მკვეთრად ასახვენ მოთხოვნების დაკმაყოფილების პირობებს. ამ საფუძველზე წარმოიშობა სუბიექტის განწყობა გარკვეული მოქმედებისათვის — „მხოლოდ ასეთი და არა სხვაგვარი მოქმედებისათვის“. მოთხოვნების მქონე სუბიექტის მოქმედება გაპირობებულია გარკვეული სიტუაციის ასახვის შედეგად წარმოქმნილი განწყობით. ამიტომაც, რომ სუბიექტის აქტივობას მოკლებულთა ბუნებრივ მიმდინარეობაში შემთხვევითი და მერყევი ხასიათი კი არა აქვს. არანედ მისი მოქმედება მტკიცე, მიზანშეწონილი, კანონზომიერი ბუნებისაა. საცხოვრებო გარემო სტერეოტიპული არაა, იგი იცვლება, ვითარდება. სუბიექტზე მოქმედებს ახალი, სხვა ბუნების, სხვა თვისების გამლიზიანებლები. ვიდრე წინათ მოქმედებდა. სუბიექტი ახალ, სხვა გარემოშია. მან უნდა შექმნოს ამ ახალი გარემოს ასახვა, ახალ სიტუაციაში მოქმედების წარმართვა. პირინციპულად ეს შეუძლებელი არაა. მაგრამ საქმეს ართულებს ის, რომ თავს იჩენს გან-

¹ ექსპერიმენტულად ფიქსირებული განწყობის ქცევასთან მიმართების ფსიქოლოგიური ანალიზის დროს ჩვენ ფართოდ ვიყენებთ დ. უზნაძისა და მისი მოწაფეების. ეკოდ. რ. ნათაძის, ზ. სოჯავას, ი. ბეალაეას, ელ. ნორაკიძის. ბ. ხაკაპერიძის შრომებს.

წყობის ისეთი პიროვნული თვისება, რომელსაც ფიქსაცია ეწოდება.

ცოცხალი ორგანიზმების მიზანშეწონილ: ქცევა განწყობის ფაქტორითაა განპირობებული, ამიტომ მას ერთ-ერთი ძირითადი ბიოლოგიური მნიშვნელობა აქვს. ამ ფონზე დადებით მოვლენად ისახება განწყობის ფიქსაცია, მისი განმტკიცება. იგი, მაგალითად, სასურველი იქნებოდა იმ შემთხვევაში, თუ მისი გააქტივება მხოლოდ ადექვატურ სიტუაციაში მოხდებოდა. ეს ასეც ხდება და ამას დიდი ბიოლოგიური ღირებულება აქვს. მაგრამ ფიქსირებული განწყობა თავს იჩენს მაშინაც, როდესაც სხვა სიტუაციაა და სუბიექტის აქტივობა სხვა მიმართულებით უნდა წარმოებდეს. ფიქსირებული განწყობა სუბიექტს რიგ შემთხვევაში ხელს უშლის ახალი სიტუაციის სწორად ასახვასა და ადექვატურ აქტივობის გამოწვევაში.

განწყობის ეს თვისება — ფიქსაცია და ახალ სიტუაციაში ძველ განწყობის აქტივობის ტენდენცია თითქოს მისი უარყოფითი დახასიათების მასალას იძლევა. მაგრამ განა განწყობის ფიქსაცია მართლაც მისი უარყოფითი თვისებაა? განა იგი ხელშემშლელი ფაქტორია გარემოს სწორი ასახვისა თუ ქცევის ადექვატური წარმართვის საქმეში? ეს რომ მართლაც ასე იყოს, მაშინ ყველაზე უკეთეს მდგომარეობაში ე. წ. „ნულეული“ ადამიანები ანუ ისეთი სუბიექტები აღმოჩნდებოდნენ, რომელთაც განწყობა არ უმუშაუდებდათ და რომელთა რეაქციები მხოლოდ და მხოლოდ გარეგანი გამღიზიანებლების მოქმედებითაა გაპირობებული. ყოველი მაღალგანვითარებული ცოცხალი არსება ობიექტურად, ხოლო ადამიანი სუბიექტურადაც, უპირისპირდება გარემოს, ბუნებას. ეს დაპირისპირება შეუცლებელი იქნება. ცოცხალ ორგანიზმებს სინამდვილის მხოლოდ საჩივრებური ასახვის უნარი რომ ჰქონდეთ, მათი ურთიერთობა გარემოსთან რომ მხოლოდ უშუალო ფიზიკურ-ფიზიოლოგიური ან მექანიკური ხასიათისა იყოს. ფაქტურად სუბიექტის ურთიერთობა გარემოსთან გაშუალებული ხასიათისაა. გაშუალებულია პიროვნებით, მისი ისტორიით, რაც ავსახვით, განვიცადეთ, ვიმოქმედეთ, ვისწავლეთ და გავაკეთეთ. ყველაფერი ეს შემოქმედებით ხასიათს ატარებს. ყველაფერი ეს ჩვენი პიროვნების ისტორიას შეადგენს. რომლითაც გამოვეყოფით ობიექტურ სინამდვილეს და ვუპირისპირდებით ამ უკანასკნელს. ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში არსებითი მნიშვნელობა აქვს იმას, თუ რა პიროვნული ცოდნა-ჩვევებითა და ნიშანთვისებებით ვუპირისპირდებით ობიექტურ სინამდვილეს, როგორია ჩვენი მიზნები და ამოცანები, როგორია მისი განხორციელების გზები და აქტივობის ფორმები. ყველაფერი ეს მნიშვნელოვნად დამოკიდებულია პიროვნებისეულ თვისებებზე, რომელთა გარეშე ადამიანი ვერ შეიძლება უკუხემოქმედებას ბუნებაზე და საბოლოოდ დარჩებოდა სტატიკის მონა. ბუნებაზე უკუხემოქმედების ელემენტები მაღალგანვითარებულ ცხოველებშიც შეინიშნება. ამ ასპექტში განხილული განწყობის ფიქსა-

ცია ნათელს ხდის იმ ადამიანთა უმწიკო მდგომარეობას, რომელთაც განწყობა ძნელად უფიქსირდებათ (ექსპერიმენტულად კი სრულიადაც არ უფიქსირდებათ); ასეთ ადამიანებს ფაქტიურად არა აქვთ წარსული ისტორია. მათი განცდები მხოლოდ მომენტური და სწრაფად წარმავალია. არა აქვთ მოქმედების შინაგანი ღერძი. ისინი მოვლენათა ბუნებრივ თვითდინებას მიყვებიან. არ შეუძლიათ ბუნებრივ (მით უმეტეს სოციალურ) გარემოს ოდნავ დაუპირდაპირდნენ. ამ ტიპის ადამიანები შთაგონებადი არიან. მუდამ სხვისი გავლენის ქვეშ იმყოფებიან და საბოლოო ანგარიშით გარეგანი საღებავს სათანამშრომლობის წარმოადგენენ. როგორც ვხედავთ, განწყობის ფიქსაციას, ადამიანის უნარს — შემოინახოს წარსული შთაბეჭდილებანი. გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს გარემოსთან ადამიანის ურთიერთობაში, განსაკუთრებით გარემოზე უკუხელოქმედებისა და თავისი ინტერესების შესაბამისად მისი გარდაქმნისათვის. მაგრამ ყველაფერს თავისი საზღვარი აქვს, რომლის ფარგლებში იგი დადებითად შეიძლება დახასიათდეს, ხოლო მისი უზომოდ გაძლიერება უარყოფით შედეგებამდე მიგვიყვანს. იგივე ითქმის განწყობის ფიქსაციის ხარისხის შესახებაც: როგორც ფიქსაციის სრული უუნარობა, ასევე მისი გადაჭარბებული ფიქსაცია ხელშემშლელი მოვლენაა გარემოსთან სუბიექტის ურთიერთობის საქმეში. არსებითი მნიშვნელობა აქვს იმას, თუ როგორი იქნება განწყობის აღმოცენების, ფიქსაციისა და ჩაქრობის, დაჩრდილვის მიმდინარეობა: როგორც ცნობილია, გარკვეული კავშირი არსებობს განწყობის ამ თვისებებსა და ტემპერამენტს შორის. ტემპერამენტი სირითადად განწყობის აღმოცენების, განმტკიცების, ჩაქრობისა და ახალი განწყობით მისი შეცვლის თავისებურ მიმდინარეობაში ელანდება. დანარჩენი ფსიქიკური ფუნქციები თავის აქტივობის პროცესში განწყობას ემყარება. ტემპერამენტი, რომელიც განწყობის ფორმალურ მხარეებში ვლინდება, განსასაზღვრავს იმპულსური ფსიქიკის საერთო ტემპს, მისი აღმოცენებისა და მიმდინარეობის თავისებურებების სირითად ნიშნებს. მაგრამ იგი არსებით გავლენას ვერ ახდენს მოქმედების მიმართულებაზე, მის შინაარსსა და მაღალი ფსიქიკური ფუნქციების ძირითად თვისებებზე. კიდევ მეტი, განვითარების უფრო მაღალ საფეხურზე უკვე ფორმალურ თავისებურებათა თვალსაზრისითაც ტემპერამენტს არა აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა, რადგან ამ საფეხურზე ფსიქიკური აქტივობის მოწესრიგებას, მათ შორის ტემპერამენტისეულ თვისებებთან მოწესრიგებას, აწარმოებს ხასიათი და ნებისყოფა.

განწყობის ინერტულობა, მისი სტატიკურობა უარყოფითი თვისებაა და პიროვნების უსიამოვნების, გარემოსთან კონფლიქტური დამოკიდებულების წყაროს წარმოადგენს. ამ შემთხვევაში სუბიექტი ხანგრძლივი დროის განმავლობაში (დღეები, კვირები, თვეები და შეიძლება წლებიც) იმყოფება ერთხელ ფიქსირებული განწყობის გავლენის ქვეშ. მისი განწყობისეული დონის მოქმედე-

ბა სიტუაციის ადექვატური არაა, ამიტომ სუბიექტი იძულებულია მოქმედება გადაიტანოს ობიექტივაციის პლანზე. ასეთი ადამიანის აქტივობა თითქმის ყოველ ნაბიჯზე მოითხოვს ცნობიერების კონტროლს იმიტომ, რომ შეუსაბამობაა განწყობისეულ და ცნობიერ-ობიექტივაციის დონეს შორის. მტკიცე ნებისყოფის ადამიანი ახერხებს იმპულსების შეკავებას, მათს ალაგმვას და მოქმედების მიზანშეწონილად წარმართვას; სუსტი ნებისყოფის ადამიანები ვერ ახერხებენ ამას. მაგრამ საზოგადოება, მახლობლები კონტროლს უწყვენ. უკარნახებენ. მიუთითებენ და ეს უკანასკნელნიც როგორც სოციალური არსებანი ახერხებენ საზოგადოების სრულფასოვან წევრებად დარჩენას.

ზემოაქმულიდან უნდა დაგასვენათ, რომ უარყოფითად შეიძლება დახასიათდეს განწყობის როგორც განუმტკიცებლობა, ასევე უდემეტი სიმტკიცე. როგორც ქარბი ძვრადობა, აგრეთვე სტატიკურობა. მაშ როგორი ტიპი შეიძლება დახასიათდეს დადებითად? ყველა ის ტიპი, რომელიც განწყობის როგორც ფიქსაციის, ასევე გადანაცვლების უნარითაა აღჭურვილი. მაგრამ ასეთი ტიპები მრავალ საფეხურს მოიცავს დაწყებული უკიდურესობათა (1. განწყობა არ ფიქსირდება. 2. განწყობა არ იცვლება) მოსაზღვრე მდგომარეობიდან მას ცენტრალურ მდგომარეობამდე. ჩვენს მიზანს სხვა ტიპებთან ერთად „ცენტრალური“ ტიპის განხილვა შეადგენს.

ი. 3. პავლოვი ცხოველთა ნერვული სისტემის კლასიფიკაციისას ხელმძღვანელობდა აგზნებისა და მეკავების პროცესების სიძლიერის წონასწორობისა და ძვრადობის უკიდურესი ფორმებით. ი. 3. პავლოვი აღიარებდა შუალედი ტიპების ანუ ქვეტიპების არსებობას და მიუთითებდა ასეთ ქვეტიპებზე. იგი ძირითადად ნერვული სისტემის ოთხ ტიპს აღიარებს. საკითხი ისმის: რატომ მხოლოდ უკიდურესობანი უნდა შეადგენდეს ძირითად ტიპებს? ჩვეულებრივიდან. ნორმალურიდან მკვეთრად განსხვავებული ტიპი ძირითად ტიპად ითვლება. ხოლო ნორმალური, ჩვეულებრივი, თითქმის ყველა დადებითი თვისებით აღჭურვილი არსება კი — ქვეტიპად ან შუალედურ. გარდამავალ ტიპად ითვლება ან სრულიად გამორიცხულია ტიპოლოგიიდან. როგორც ეს წინა თავში აღვნიშნეთ. ადამიანი (და ცხოველიც), რომელიც გარემოსთან ურთიერთობაში ამგვარენებს აშკარად დადებით ტემპერამენტისეულ თვისებებს და არაა გადახრილი რომელიმე უკიდურესობისაკენ, ჩვენი აზრით, აღიარებულ უნდა იქნას ცენტრალური, ნორმალური ტემპერამენტის ტიპად. ხოლო ყველა დანარჩენი ტემპერამენტები — მეტნაკლებ გადახრილად ამ ნორმალური (ცენტრალური) ტემპერამენტრიდან.

ჩვენს ექსპერიმენტებში ცდის პირთა შორის გამოიკვეთა ბავშვთა გარკვეული ჯგუფი, რომლებიც შეიძლება აღიარებულ იქნას

როგორც ნორმალური (ცენტრალური) ტემპერამენტის მქონენი. ექსპერიმენტული მუშაობის პროცესში ჩვენი ყურადღება მიიპყრა, ხოლო ერთი ბავშვის ფიქსირებული განწყობის ფორმალური თვისებების ზომიერმა გამოვლინებამ: როგორც განწყობის შემუშავების, ასევე ფიქსირებული განწყობის ჩაქრობის პლასტიკურმა მიმდინარეობამ. ამ ფაქტების წინასწარმა ანალიზმა მიგვიყვანა იმ დასკვნამდე, რომ უნდა არსებობდეს ტემპერამენტისეულ დადებით თვისებათა ერთობლიობით აღჭურვილი ადამიანები ანუ ისეთი პიროვნებები, რომლებიც ძირითადად ამქლავნებენ როგორც ქოლერიკისა და სანგვინიკის, ასევე მელანქოლიკის და ფლეგმატიკის დადებით თვისებებს. ბავშვების ამ თვისებათა შესწავლას ვაწარმოებდით დეკორაციისა და ბიოგრაფიული მეთოდებით.

ცენტრალური (პარამონიული, ნორმალური)

ტემპერამენტი

(5 ცდის პირი)

ფიქსირებული განწყობის ნორმალურ თვისებათა მიხედვით ცენტრალური (ნორმალური) ტემპერამენტის ადამიანებს შეიძლება მიეცეს შემდეგი დახასიათება:

ფიქსირებული განწყობის აგზნებადობა. ცდის პირთა განწყობის აგზნებადობა ვიკვლიეთ ოპტიკურ და პაპტურ სფეროებში. განწყობის აგზნებადობის მიხედვით ცდის პირები მაღალი მგრძობიარობის აღმოჩნდნენ. მათი აგზნებადობის ზღურბლი ორთავე სფეროში. განსაკუთრებით კი პაპტურში დაბალია. ხუთივე ცდის პირისათვის უტოლო ბურთების ორი საგანწყობო ექსპოზიცია: საკმარისია განწყობის ფიქსაციისათვის. ორ საგანწყობო ექსპოზიციაზე 4 ცდის პირის განწყობის სიმტკიცე გამოიხატა 4-10 კონტრასტული ილუზიით. ხოლო ერთი ცდის პირი გვიჩვენებს 7 კონტრასტულ ილუზიას. ხუთიდან სამი ცდის პირის ფიქსირებული განწყობა 2 საგანწყობო ექსპოზიციაზე პლასტიკურ-დინამიკურია. აშკარად ჩანს რხევა კონტრასტულ და ასიმბლაციურ ილუზიებს შორის. ამ გზით ხდება ილუზიის აღკვეთა და ტოლი ობიექტების ადექვატური აღქმა. ორი ცდის პირი კი ტლანქ-დინამიკურ განწყობას ავლენს ექსპოზიციათა ამ რაოდენობაზე. ფიქსირებული განწყობის ჩაქრობა ამ ორ ცდის პირთან ნახტომისებურად, ყველა ფაზის გავლის გარეშე ხდება.

ოპტიკურ სფეროშიც უტოლო წრეების 2 საგანწყობო ექსპო-

სიცოცხლის 4 კლასის პირისათვის საეკონომიკური საკარისი შეიქმნა ფიქსირებული განწყობის აღმოცენებისათვის. ყველა მათგანი კონტრასტულ ილუზიებს უჩვენებენ (1-2-3 კონტრასტულ ილუზიას). მხოლოდ ერთ კლასის პირს დასჭირდა 5 საგანწყობო ექსპოზიცია, რომელსაც ამ რაოდენობაზე უმუშავდება სუსტი ფიქსირებული განწყობა. იგი ტოლობის ორჯერ დადასტურების შემდეგ უჩვენებს ილუზიას, შემდეგ ტოლობა, ისევ ილუზია და შემდეგ უკვე საბოლოოდ აღიარებს ტოლობას. ამ ჯგუფის კლასის პირთა 80 პროცენტის აგზნებადობა ოპტიკურ სფეროში 2 საგანწყობო ექსპოზიციაა, მხოლოდ ერთისა (20 %) უდრის 5-ს. აგზნებადობის ამ დონეზე შემუშავებული ფიქსირებული განწყობა 2 შემთხვევაში (40 %) არის პლასტიკურ-დინამიკური, 3 შემთხვევაში (60 %) ტლანქი დინამიკური. ასეთი სურათია ფიქსირებული განწყობის აღმოცენების დასაწყისის საფეხურზე. შემდეგ კი, გამაღვიანებლის მოქმედების რაოდენობრივ ზრდასთან ერთად, იცვლება განწყობის ზოგიერთი თვისება. კერძოდ, რიგ შემთხვევაში მატულობს განწყობის სიმტკიცე. თუმცა ხდება ისეც, რომ აგზნებადობის მინიმალურ ზღურბლზე კლასის პირები ამჟღავნებენ გაცილებით მეტი სიმტკიცის ფიქსირებულ განწყობას, ვიდრე შემდგომ ცდებში. ამის მიზეზი უნდა ვეძიოთ სუბიექტისათვის წინათ უცნობი სიტუაციის პირველადი მოქმედების შემთხვევაში განწყობის გენერალიზაციისა და ნაკლები დანაწევრებულობის ფაქტში. შემდგომ ცდებში თანდათან სდება განწყობის გამოკვეთა და ნამდვილი განწყობისეული თვისებების გამოვლენა.

აგზნებადობის ოპტიმუმი. თუ აგზნებადობის ქვედა ზღურბლის ძიებისას მხედველობაში გვექონდა საგანწყობო მასალის ექსპოზიციათა ის მინიმალური რაოდენობა, რომელიც საჭირო იყო მინიმალური სიმტკიცის ფიქსირებული განწყობის აღმოცენებისათვის. ოპტიმუმის კვლევისას ვგულისხმობთ საგანწყობო ექსპოზიციათა იმ რაოდენობას, რომელიც საჭიროა პირთა მათგანისათვის ტიპური ფიქსირებული განწყობის შესამუშავებლად. ასეთ ექსპოზიციათა რაოდენობა ჩვენს კლასის პირებთან მაინც და მაინც დღე არაა: ოპტიკურ სფეროში იგი უდრის 10-15-ს (2 კლასის პირთან — 10-ს, 3 კლასის პირთან — 15-ს). ხოლო ჰაბტურ სფეროში — 5-10-ს (2 კლასის პირთან 5-ს, 3 კლასის პირთან 10-ს). ოპტიკურ სფეროში ექსპოზიციათა აღნიშნულ რაოდენობაზე ყველა კლასის პირს უმუშავდება მტკიცე ფიქსირებული განწყობა. ამრიგად, კლასის პირ-

როცა ეს ჯგუფი შეიძლება დავახასიათოთ როგორც ფიქსირებული განწყობის მხრივ ადვილად აგზნებადი.

ოპტიკურ სფეროში აგზნებადობის გამოსაკვლევად განსახილველი ჯგუფის ცდის პირებთან ჩატარდა თითო, ხოლო ერთ ცდის პირთან 2 ცდა (ვინაიდან 2 საგანწყობო ექსპოზიცია საკმარისი არ აღმოჩნდა). ოპტიკუმის გამოსაკვლევად კი 3-4 ცდა თვითთულთან. ასეთსავე პროცედურას ჰქონდა ადგილი ჰაბტურ სფეროში განწყობის აგზნებადობის მინიმუმისა და ოპტიკუმის გამოკვლევის დროსაც. მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ 2 საგანწყობო ექსპოზიცია ყველა ცდის პირისათვის საკმარისი შეიქნა ფიქსირებული განწყობის შემუშავებისათვის, ხოლო 5 საგანწყობო ექსპოზიცია ოპტიკუმში 2 ცდის პირისათვის, 3 ცდის პირისათვის კი — 10 საგანწყობო ექსპოზიცია. ოპტიკურ სფეროში ცდები ჩატარდა 2-5-10-15-20 ექსპოზიციებზე, ჰაბტურ სფეროში 2-5-10-15 ექსპოზიციებზე. გამლიზიანებელთა ის რაოდენობა, რომლის შემდეგ ვინაა ზრდა აღარ იწვევდა განწყობის ტიპის არსებით შეცვლას, არამედ მხოლოდ 1-2 კონტრასტული ილუზიის მომატებაში გამოიხატებოდა. ჩვენ მივიღეთ როგორც ოპტიმალური და დანარჩენი ცდებიც გამლიზიანებელთა ამ ოპტიმალური რაოდენობის მიხედვით ჩავატარეთ.

ფიქსირებული განწყობის ჩაქრობის თავისებურება. ცდის პირთა ტემპერამენტისეული თვისებების დახასიათებისათვის მნიშვნელოვანია შევიწავლოთ ფიქსირებული განწყობის მიმდინარეობა.

როგორც ცნობილია, ადამიანისათვის და ყველა მაღალგანვითარებული ცხოველისათვის დამახასიათებელია განწყობის არა ნარტო ფიქსაცია, არამედ გადანაცვლება, ძველი, ფიქსირებული განწყობის ჩაქრობა და ახლის აღმოცენება. ეს პროცესი სხვადასხვა ცდის პირებში განსხვავებულად მიმდინარეობს. ცდის პირთა იმ ჯგუფისათვის, რომელსაც ჩვენ ნორმალური ტემპერამენტის ადამიანები ვუწოდეთ, დამახასიათებელია ფიქსირებული განწყობის არა უცაბედი და ერთბაში შეცვლა, არა ტლანქი, ნახტომისებური გადასვლა ერთი მდგომარეობიდან მეორეზე, კონტრასტული ილუზიებიდან გამლიზიანებელთა ადექვატურ აღქმამდე, არამედ თანდათანობითი, „გეგმაზომიერი“ სვლა ილუზიურიდან ადექვატურ მდგომარეობამდე.

ოპტიკურ სფეროში. მიუხედავად იმისა, რომ ყველა ცდის პირისათვის დამახასიათებელია პლასტიკურ-დინამიკური ფიქსირე-

ბული განწყობის ტიპი. განწყობის ჩაქრობის გზა მაინც საკმაოდ განსხვავებულია ერთი მეორისაგან. ოპტიკურ სფეროში გამლიზიანებელთა ოპტიმალურ რაოდენობაზე შემუშავებული ფიქსირებული განწყობის ჩაქრობის წმინდა პლასტიკურ-დინამიკურ მიმდინარეობას ამ ჯგუფის ვერც ერთი ცდის პირთან ვერ ვხვდებით. ზუთივე ცდის პირთან ფიქსირებული განწყობის ჩაქრობის სხვადასხვა ვარიანტი მეღავენდება. კერძოდ, კონტრასტული ილუზიების შემდეგ ტოლობის ფაზა მოდის 20-დან 12 შემთხვევაში. მხოლოდ რვა შემთხვევაში ხდება კონტრასტული ილუზიიდან ასიმილაციურზე გადასვლა და ასე გრძელდება შემდეგი რხევები, რომელიც ტოლობის აღქმით სრულდება. დებულება, რომლის თანახმად კონტრასტული ილუზიის ფაზას უნდა ცვლიდეს ასიმილაციური ილუზიების ფაზა, ხოლო ამ უკანასკნელს კი ტოლობის ფაზა, ოპტიკურ სფეროში მხოლოდ გამონაკლის შემთხვევაში ხორციელდება. თანაც ისეთი ნორმალური ტემპერამენტისა და ფიქსირებული განწყობის ცდის პირებთან, როგორც აქაა წარმოდგენილი. აღნიშნული ჯგუფის ცდის პირები კრიტიკულ ცდებში გამლიზიანებელთა ადექვატურ აღქმამდე მიდიან განწყობის არა საეხებით ერთბაშად და მოულოდნელი შეცვლით. არამედ ერთგვარი რყევით ორ უკიდურეს მხარეს შორის — კონტრასტულ და ასიმილაციურ ილუზიას შორის. გზადაგზა ტოლობის აღქმათა მეტ-ნაკლები გამოვლინებით.

პატურ სფეროში. ამ ჯგუფის ყველა ცდის პირი უფრო გამოკვეთილად (ვიდრე ოპტიკურში) ამეღავენებს ფიქსირებული განწყობის დინამიკურობას, ცვალებადობას, ძველის ჩაქრობისა და ახალი განწყობის აღმოცენების უნარს. თანაც ფიქსირებული განწყობის ეს ცვალებადობა პლასტიკურია ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით. ამ შემთხვევაში ჩვენ ვგულისხმობთ იმ ფაქტს, რომ კონტრასტულ ილუზიათა რყევა უშუალოდ ტოლობის აღქმაში კი არ გადადის (თუმცა ასეთ შემთხვევებსაც აქვს ადგილი), არამედ ჯერ ადგილს უთმობს ასიმილაციურ ილუზიებს და მხოლოდ შემდეგ ხდება ტოლობის უტყუარი დადასტურება. ხუთ მოსწავლესთან 20 ცდის ჩატარების შემდეგ (თითოეულთან 4 ცდა), გამოიკვია, რომ 15 შემთხვევაში პირველად აღმოცენებულ კონტრასტულ ილუზიას სცვლის ასიმილაციური, რომელიც კონკურენციას უწევს კონტრასტულს და, ბოლოს და ბოლოს პროცესი ვითარდება ფიქსირებული განწყობის თანდათანობით შესუსტებისა და გამლიზიანებელთა ადექვატური აღქმისაკენ.

საილუსტრაციოდ მოვიტანოთ ერთ-ერთი ცდის მაგალითი: ცდის პირი გ. ა. (10 წლის) 10 საგანწყობო ექსპოზიციის შემდეგ კრიტიკულ ცდებში უჩვენებს 11 კონტრასტულ ილუზიას, შემდეგ 2 ასიმილაციურს, 7 კონტრასტულს, 1 ასიმილაციურს, ერთ კონტრასტულს, 5 ასიმილაციურს. ორ კონტრასტულს, 7 ასიმილაციურს და შემდეგ უკვე ტოლობას.

ამ ჩგუფია სამ ცდის პირთან ჩატარებულია მეორადი კრიტიკული ცდები. ეს შემდეგნაირად წარმოებს. ჩვეულებრივ, ფიქსირებული განწყობის შემუშავების შემდეგ იწყება კრიტიკული ცდები. უტოლო ობიექტების ნაცელად ოპტიკურ თუ პაპტურ სფეროში ცდის პირს შესაძარებლად ეძლევა ტოლი ობიექტები. ცდის პირთა დიდ უმრავლესობას უჭრება ფიქსირებული განწყობა სხვადასხვა ფაზების გავლის შემდეგ და ადასტურებს ტოლობას (ადექვატური აღქმა). ჩვენს წინაშე ასეთი საკითხი წამოიჭრა: ტოლობის მტკიცე აღქმა ეს თუ არამტკიცე. პიროვნების სრული განთავისუფლება ილუზიებისაგან თუ მხოლოდ გარკვეული საგნების ადექვატურად ასახვა შეუძლია? ფაქტიურად ჩვენ გვაინტერესებდა ფიქსირებული განწყობის ჩაქრობის სიღრმე. ამის შესამოწმებლად, მას შემდეგ, როცა ცდის პირი 4-5-ჯერ ზედიზედ აღიარებს ტოლობას კრიტიკულ ცდებში, ცდას.კი არ ვწყვეტთ, არამედ განვავრცობთ. მაგრამ არა იმავე სიღრმის ობიექტებით. არამედ რამდენადმე განსხვავებულით: უფრო დიდებით ან უფრო პატარებით (ობიექტები ურთიერთშორის ტოლია, როგორც ეს ჩვენს კრიტიკულ ცდებშია მიღებული). ასეთ ცდებს ჩვენთან, სამწუხაროდ, სისტემატური ხასიათი არ ჰქონდა. ეს აზრი ჩვენ წამოგვეპრა მას შემდეგ, რაც ცდის პირთა საერთო რიცხვის ნახევარზე მეტთან ექსპერიმენტული მუშაობა დამთავრებული გექონდა, მაგრამ დანაოჩენებთან ამ მეთოდითაც ვაწარმოებდით კვლევას.

განაახილველ ჩგუფში (5 ცდის პირი) მეორადი კრიტიკული ცდები ჩატარებულია 4 ცდის პირთან. ამათგან სამმა მოკლე ხნით ისევ გამოამყდავან კონტრასტული ილუზიები 1-დან 6-მდე. ეს იმაზე მიუთითებს, რომ ფიქსირებული განწყობა, რომელიც გამდიოზიანებელთა რაოდენობრივ მიმართებაზე იყო შემუშავებული, პირველ კრიტიკულ ცდებში მთლიანად არ დაჩრდილულა ტოლი ობიექტების ზემოქმედებით, მან დროებით ადგილი დაუთმო უშუალოდ მოქმედ ობიექტებს. მაგრამ რაოდენობრივ მიმართებათა ილუზიური აღქმა ჯერ კიდევ საესებით არაა ლიკვიდირებული და

საჭიროა ტოლი გამღიზიანებლების კიდევ და კიდევ ზემოქმედება. რათა ფიქსირებული განწყობის ილუზია დაირღვეს არა მხოლოდ განმსაზღვრელი ობიექტების მიმართ, არამედ ობიექტების რაოდენობრივ მიმართებისადმი საერთოდ. აღსანიშნავია, რომ როგ შემთხვევებში მეორადი კრიტიკული ცდების დროს თავს იჩენს ცდის პირისათვის ტიპური ფიქსირებული განწყობა. ასეთი მდგომარეობა ჩანს სამ ცდის პირთან, რომლებმაც ფიქსირებული განწყობა გამოავლინეს მეორადს კრიტიკულ ცდებშიც. მათი განწყობა არის პლასტიკურ-დინამიკური, ორ ცდის პირთან იგი საკმაო სიმტკიცესაც აღწევს, მაგალითად +7 და +6. შემდეგ მოდის ასიმილაციური ილუზია და ბოლოს ტოლობის აღიარება. ეს მდგომარეობა გვაფიქრებინებს, რომ ფიქსირებული განწყობის ჩაქრობის ფაქტა დიდი სიფრთხილით უნდა იქნას დადასტურებული, რომ მიუხედავად კონტრასტული აგენტების მოქმედებისა, იგი მაინც იჩენს თავს ყოველ შესაძლო მომენტში და რომ ტოლი ობიექტების ზემოქმედებით როგ შემთხვევაში ხდება განწყობის მხოლოდ დაჩრდილვა და არა აღკვეთა ან სრული ჩაქრობა. მის საბოლოო ლიკვიდაციასზე ჩვეულებრივ პირობებში ხომ ლაპარაკიც ზედმეტია.

განწყობის სიმტკიცე. ფართო გაგებით განწყობის სიმტკიცე გამოიხატება მის გამძლეობაში. მის უნარში, კონკურენცია გაუწიოს სხვა გამღიზიანებლის მოქმედებას. ფიქსირებული განწყობა ნაშინვე არ უთმობს ადგილს სიტუაციის შესაბამის განწყობას. მისი სიმტკიცე ჩვენს ცდებში იმით გამოიხატება, თუ ექსპოზიცი-ათა რამდენად მეტი რაოდენობა არის საჭირო ფიქსირებული განწყობის ჩაქრობისა და ადექვატური განწყობის შემუშავებისათვის. მაგრამ არსებობს ფიქსირებული განწყობის სიმტკიცის უფრო სპეციფიკური ცნება. ამ თაოსაზრისით განწყობის სიმტკიცეში იგულისხმება ახალი გამღიზიანებლებისადმი მისი გამძლეობა. ვიდრე არ მოხდება პირველი ძარა განწყობის ჩაქრობისაკენ. ეს კი გამოიხატება კონტრასტული ილუზიიდან ასიმილაციურ ილუზიებზე გადანაცვლებისა ანდა პირდაპირი ტოლობის აღიარებაში. თუ ამ უქანასკნელი თვალსაზრისით განვიხილავთ ჩვენი ცდის პირების ფიქსირებული განწყობის სიმტკიცეს, მაშინ ასეთი სურათი წარმოგვიდგება: ოპტიკურ სფეროში კონსტანტობის ცდებისას განწყობის საშუალო სიმტკიცე მერყეობს 5.5-დან 16.5 კონტრასტულ ილუზიამდე. 16.5 კონტრასტულ ილუზიას აჩვენებს ორი ცდის პირი, ერთიც 14.5-ს. დანარჩენი ორი კი 7 და 5.5-ს შესაბამისად.

არითმეტიკული საშუალო ხუთი ცდის პირის განწყობის სიმტკიცისა ოპტიკურ სფეროში უდრის 12. ეს მაშინ, როდესაც მაქსიმალური საგანწყობო ექსპონიცია 15-ია. შეიძლება დაბეჭითებით ითქვას, რომ ნორმალური ტემპერამენტის ტიპთა ფიქსირებული განწყობა ოპტიკურ სფეროში მტკიცეა. ამ შემთხვევაში ჩვენ არა მარტო საერთო არითმეტიკულ საშუალო მაჩვენებელს ვემყარებით, არამედ თითოეული ცდის პირის საშუალო მაჩვენებელსაც. ყველაზე უფრო დაბალი მაჩვენებელი ამ ხუთი ცდის პირიდან 5.5 კონტრასტული ილუზიაა. რაც საგანწყობო ცდებში საშუალო სიმტკიცის მაჩვენებლად ითვლება. ცდის ცალკე შემთხვევებში ფიქსირებული განწყობის სიმტკიცის სხვადასხვა ხარისხს ვხვდებით. ყველაზე დაბალი არის 3 კონტრასტული ილუზია, ყველაზე მაღალი კი — 17. ამ ჯგუფის 20 საგანწყობო ცდიდან მხოლოდ საბჭერ ვხვდებით დაბალ მაჩვენებელს: 3,3 და 4 კონტრასტულ ილუზიას, დანარჩენი მაჩვენებელი ყველა შემთხვევაში ექვსს აღემატება. ასეთია საქმის მდგომარეობა ოპტიკურ სფეროში განწყობის აბსოლუტური სიმტკიცის მიხედვით. მაგრამ თუ ჩვენ ჩაუვყვირდებით საქმის ვითარებას. ნათელი გახდება, რომ ფიქსირებული განწყობის სიმტკიცის მაჩვენებლად მხოლოდ და მხოლოდ შეურყეველი კონტრასტული ილუზიების აბსოლუტური რაოდენობა ვერ იქნება საკმარისი, რამდენადაც მასში არაა ასახული განწყობის გამძლეობისა და სიმტკიცის სრული სურათი. ამისათვის საჭიროა ფიქსირებული განწყობის სიმტკიცე განვიხილოთ შეფარდებით თვალსაზრისითაც. ე. ი. შეურყეველ კონტრასტულ ილუზიით რაოდენობა უნდა შევუფარდოთ იმ საგანწყობო ცდების ოპტიმალურ რაოდენობას, რომელიც საჭიროა ტიპური განწყობის შესამუშაებლად. ამგვარად. ამ ჯგუფის ცდის პირთა საშუალო შეფარდებითი სიმტკიცე იქნება 12:13-ზე. ე. ი. 1-ზე ცოტათი ნაკლები. მინიმალური შეფარდებითი საშუალო სიმტკიცე ცალკე ცდის პირებთან არის $\frac{1}{3}$, მაქსიმალური საშუალო შეფარდებითი სიმტკიცე კი — 1.65. ცალკეულ ცდებში მინიმალურ და მაქსიმალურ ოდენობას შორის სხვაობა კიდევ უფრო იზრდება. მინიმუმში სიმტკიცე არის $\frac{1}{5}$ (ორჯერ). მაქსიმალური კი — 1.7 და 1.2.

ცალკეულ ცდებში ზოგიერთი რყევისა და დაბალი მაჩვენებლების მიუხედავად. შეიძლება ითქვას, რომ პლასტიკურ-დინამიკური ფიქსირებული განწყობის ადამიანები ოპტიკურ სფეროში ხასიათდებიან განწყობის სიმტკიცის საკმაოდ მაღალი ხარისხით.

განსახილველი ჯგუფის ცდის პირები გაცილებით მეტ სიმტკიცეს ამჟღავნებენ ჰაპტურ სფეროში. საშუალო აბსოლუტური სიმტკიცე თითქმის თოთხმეტს უდრის. მინიმალური საშუალო სიმტკიცე ცალკეული ცდის პირისა უდრის +8, მაქსიმალური +20,6. სულ განწყობის კონსტანტობაზე ჩატარებულია 20 ცდა (4 თითოეულ ცდის პირთან). ამათგან მხოლოდ ერთადერთი შემთხვევაა, როდესაც ცდის პირი ამჟღავნებს სუსტ ფიქსირებულ განწყობას — 2 კონტრასტული ილუზიის შემდეგ განწყობა უკვე რყევას იწყებს. დანარჩენ 19 შემთხვევაში ექვს კონტრასტულ ილუზიაზე ნაკლებს არც ერთი ცდის პირი არ უჩვენებს. კონტრასტული ილუზიების მაქსიმუმს წარმოადგენს 27. განწყობის სიმტკიცე იმითაც გამოიხატება, რომ თუმცა კონტრასტული ილუზია პირველი რყევის შემდეგ ადგილს უთმობს ასიმილაციურ ილუზიას (უმრავლეს შემთხვევაში) ან ტოლობის აღქმას (ერთეულ შემთხვევაში), მაგრამ განწყობის ამგვარი რყევა მხოლოდ დროებითი უკანდახევია და არა საბოლოო. ცდის შემდგომ პროცესში კონტრასტული ილუზია ისევ რჩენს თავს და არის შემთხვევები, როდესაც მეტი რაოდენობით და, მაშასადამე, მეტი სიძლიერითაც, ვიდრე იგი პირველ რყევაში იყო. ასე, მაგალითად, ერთ-ერთი ცდის პირი (ქ. გ.) კრიტიკულ ცდაში პირველად ამჟღავნებს 9 კონტრასტულ ილუზიას, რომლის შემდეგ იწყება ასიმილაციური და კონტრასტული ილუზიების მონაცვლეობა. საკონტროლო ობიექტების 42-ე მიწოდებაზე უჩვენებს კონტრასტულ ილუზიას და ეს გრძელდება 12-ჯერ ზედიზედ. ე. ი. განწყობის პირველად სიმტკიცეს კრიტიკულ ცდებში 42 ექსპოზიციაზე გამოვლენილმა კონტრასტულმა ილუზიამ სამი ერთეულით გადააჭარბა. ეს ფაქტი იმაზე მიუთითებს, რომ ფიქსირებული განწყობა მეტად მტკიცე და ღრმა ხასიათის მოვლენაა და მთელ თავის პოტენციას იგი თავიდანვე. ე. ი. იმ პერიოდში, რომელსაც ჩვენ განწყობის სიმტკიცის პერიოდად ვთვლით, ვერ ავლენს.

ჰაპტურ სფეროში ფიქსირებული განწყობის შეფარდებითი სიმტკიცის სურათი ასეთია: საშუალო სიმტკიცე მთელი ჯგუფისათვის უდრის $14:8 = 1.75$ -ს. ცალკეულ ცდის პირებთან მინიმალური შეფარდებითი საშუალო უდრის $8:5 = 1,6$ -ს, მაქსიმალური საშუალო — 2-ს. ამრიგად, განსხვავება არის ცალკეული ცდის პირის ფიქსირებული განწყობის როგორც აბსოლუტურ, ასევე შეფარდებითს სიმტკიცეში და იგი უფრო გამოკვეთილად ჩანს აბსოლუტური სიმტკიცის განხილვისას, ვიდრე შეფარდებითი სიმტკი-

ცხას. ცალკეულ ცდის პირებთან სხვადასხვა ცდებში გკხვდება ფიქსირებულა განწყობის შეფარდებითა სიმტკიცის დიდი რხვევა. ზოგ ცდის პირთან შედარებით ზომიერებაა დაცული. მაგალითად ერთ-ერთი ცდის პირის ფიქსირებული განწყობის შეფარდებითი სიმტკიცე მერყეობა 0.4 და 2.6 ოდენობას შორის, მეორე ცდის პირისა კი მხოლოდ 1.6 და 2.3 შორის. ამ ფაქტსაც უსათუოდ დიდა მნიშვნელობა აქვს პიროვნების ტემპერამენტის თვისებების შესასწავლად. მართალია. ესა თუ ის პიროვნება სშირად საშუალო მონაცემების ნორმაში თავსდება. მაგრამ საკითხი ისმის, ნომ არაა ეს საშუალო მონაცემები მიღებული ორი უკიდურესი მდგომარეობის შეჯამების ბაზაზე? თუმცა ნორმალური ტემპერამენტის განსახილველი ჩგუფის მიმართ ასეთი ეკვი ნხოლოდ განწყობის შეფარდებით და აგრეთვე აბსოლუტური სიმტკიცის შესახებ შეიძლება დაიბადოს მხოლოდ ერთადერთი ცდის პირის შესახებ და ისიც მარტო ერთ ცდაში. ჰაპტურ სფეროში ამ ცდის პირთან ჩატარებულია 9 ცდა და მხოლოდ ერთ-სელ ამჟოავნებს განწყობის სისუსტეს (2 ილუზია). ამის გამო სუსტი ფიქსირებული განწყობის გამოვლენა შემთხვევით ფაქტად ჩავთვალეთ. მაგრამ არ უგულვებელგვეყვია და ისე შევიტანეთ ცდის პირის ფიქსირებულ განწყობათა დახასიათებაში. როგორც ეს თვით სუბიექტმა გამოამჟღავნა. მიუხედავად ამისა, ჩვენი აზრით. აღნიშნული ცდის პირის მთლიანი დახასიათება (როგორც ჰაპტურის. ისე ოპტიკური სფეროსი) საფუძველს იძლევა მიჯაყუთვნოთ იგი ნორმალური ტემპერამენტის ჩგუფს.

კონსტანტობა. განვიხილოთ როგორია ნორმალური (ცენტრალური) ტემპერამენტის ადამიანთა ფიქსირებული განწყობის კონსტანტობა. კონსტანტობაში იგულისხმება განწყობის როგორც აღმოცენების. ასევე ჩაქრობის ერთნაირობა, ილუზიათა ცვალებადობისა და ადექვატური აღქმით მისი შეცვლის გზის ერთნაირობა. შეიძლება ითქვას. რომ ძირითადად ჩვენი ცდის პირების ფიქსირებული განწყობანი და მათი ცვალებადობის გზა ერთნაირია ორთავე სფეროში — ოპტიკურსა და ჰაპტურში, რომ ყველა ცდაში ხდება ფიქსირებული განწყობის ჩაქრობა პლასტიკურად. ილუზიათა თანდათანობითი მონაცვლეობით და ილუზიის არაუცაბელი აღკვეთით. მიუხედავად ამისა. ცალკეულ ცდის პირებსა და მათი ცდების ცალკეულ შემთხვევებში შეინიშნება ერთგვარი განსხვავებულობანი, რომელთაც შეიძლება მიენიკოთ მეორეხარისხოვანი

მნიშვნელობა, რამდენადაც იგი ფაქტიურად საბოლოოდ ვერ განსაზღვრავს ფიქსირებული განწყობის კონსტანტობის ბედს. მიუხედავად ამისა, საჭიროდ მიგვაჩნია მოვახდინოთ მისი კონკრეტული ანალიზი. ოპტიკურ სფეროში, პირველ ყოვლისა, განსხვავება იგრძნობა ფიქსირებულ განწყობის აგზნებადობის მინიმუმსა და ოპტიმუმს შორის. ხუთიდან სამ ცდის პირთან მინიმალური აგზნებადობისას აღმოცენებული ფიქსირებული განწყობა ტლანქი-დინამიკურია, ორ ცდის პირთან კი — პლასტიკურ-დინამიკური. აგზნებადობის ოპტიმუმის დროს კი ყველგან შედგენდება განწყობის პლასტიკური ჩაქრობის ტენდენცია, რაც კონსტანტობის 20-დან ათ ცდაში სავსებით გამოკვეთილი სახით გვხვდება, ხოლო დანარჩენ ათში კონტრასტული ილუზიების შემდეგ მოდის ტოლობის აღქმა, რის შემდეგაც იწყება ასიმილაციური ილუზიების გამოვლინება. კონსტანტობის ცდის ყველა შემთხვევაში ცდის პირები, ასიმილაციური ილუზიების ადრე თუ გვიან გამოვლენის გზით მიდიან ტოლობის აღიარებამდე (ადექვატურ აღქმამდე), ოპტიკურ სფეროში სტაბილობის ცდებში კი ცდის პირთა 80 პროცენტი (4 ცდის პირი) ტლანქი-დინამიკური განწყობისაა. თითქმის ყველა შემთხვევაში პლასტიკურ-დინამიკური განწყობის თვისებას ამკლავნებს მხოლოდ ერთი ცდის პირი. საბოლოოდ მაინც ასეთი დასკვნა უნდა გამოვიტანოთ. რომ აღნიშნულ ცდის პირთა დამახასიათებელი განწყობა პლასტიკურ-დინამიკური ტიპისაა.

პაპტურ სფეროში ფიქსირებული განწყობის პლასტიკურ-დინამიკურობა განსაკუთრებით გამოკვეთილი სახითაა წარმოდგენილი აგზნებადობის ოპტიმალურ საფეხურზე. კონსტანტობის 20 ცდიდან 14 (70 %) წმინდა პლასტიკურ-დინამიკური ტიპის ფიქსირებული განწყობაა. 6 კი განწყობის ჩაქრობის სხვადასხვა საფეხურზე ტოლობის შერწყმითა და შემდგომი ასიმილაციური ილუზიების გამოვლენით ხასიათდება. განწყობის მინიმალური აგზნებადობის საფეხურზე შემდეგი სურათი გვაქვს: 3 ცდის პირთან (60 %) ფიქსირებული განწყობა პლასტიკურ-დინამიკურია; 2-თან კი — ტლანქი-დინამიკური. სტაბილობის ცდებში განწყობის პლასტიკურობა 5 ცდის პირთან ვლინდება მხოლოდ ორ შემთხვევაში. სტაბილობის ცდებში 3 ცდის პირის ფიქსირებული განწყობის ჩაქრობა კი ტლანქი დინამიკური გზით მიმდინარეობს.

როგორია ფიქსირებული განწყობის კონსტანტობის საკითხი მეორადი კრიტიკული ცდების დროს? მეორადი ილუზიების ცდები ამ ჩვეულებაში ჩატარებულია 3 ცდის პირთან, სულ 11-ჯერ. აქედან

განწყობის პლასტიკურ-დინამიკურობა ელინდება 9 შემთხვევაში, განწყობის ტლანქი-დინამიკური ჩაქრობის მხოლოდ 2 შემთხვევაა. თუმცა ამ შემთხვევაში განწყობის პლასტიკურ-დინამიკურობა ყოველთვის არ იჩენს თავს და ამით იგი დაბლა დგას ფიქსირებული განწყობის კონსტანტობის ცდების შედეგებზე (ოპტიმალური აგზნების დონეზე), მაგრამ მისი უპირატესობა ამ უკანასკნელთან შედარებით იმაშია, რომ 80 %-ზე მეტ შემთხვევაში ფიქსირებული განწყობის ჩაქრობა ზუსტად პლასტიკურ-დინამიკური გზით მიმდინარეობს.

ფიქსირებული განწყობის კონსტანტობის ცდების მასალის შედარებითი ანალიზი გვაფიქრებინებს, რომ ყოველი კონკრეტული პიროვნება განწყობის ფიქსაციის სხვადასხვა დონეზე სხვადასხვა თვისებებს ამჟღავნებს. ილუზიების აღკვეთის გზა სხვადასხვაგვარია. ამ მრავალგვარი გამოვლინებიდან პიროვნებისათვის ტიპიურ განწყობად შეიძლება ის ჩაითვალოს, რომელსაც იგი ამჟღავნებს გამღიზიანებელთა ოპტიმალური რაოდენობის ზემოქმედებით შემუშავებული განწყობის ჩაქრობისას. ამ თვალსაზრისით შეგიძლია დავასკვნათ, რომ ჩვენი ცდის პირების ფიქსირებული განწყობა კონსტანტურია, მათთვის დამახასიათებელია პლასტიკურ-დინამიკური ტიპის განწყობა, ჯგუფის ფიქსირებული განწყობა ძირითადად ერთნაირია ოპტიკურსა და ჰაპტურ სფეროში და ამიტომ ნორმალური ტემპერამენტის ადამიანთა ფიქსირებული განწყობანი კონსტანტურია ინტერმოდალურადაც. ამასთან დაკავშირებით დგება განწყობის ვარიაბილობის საკითხი. როგორც განხილული მასალიდან დავინახეთ, ვარიაბილობა საწყის ფორმებში თითქმის ყველა ცდის პირს ახასიათებს. მაგრამ იგი არაა ისეთი ხარისხის, რომ თავი იჩინოს გარემოსთან პიროვნების ურთიერთობის მეტად თუ ნაკლებად ინტენსიური მიმდინარეობისას. ვარიაბილობის ერთ-ერთი მიზეზი, ჩვენი აზრით, განწყობის სიმტკიცის ცვალებადობაში უნდა მდგომარეობდეს, რაც განპირობებული უნდა იყოს განწყობის სუბიექტური ფაქტორის მერყევი თავისებურებით. თანაც განწყობის სხვადასხვა სიმტკიცისას სუბიექტმა შეიძლება სხვადასხვა თვისებები გამოამჟღავნოს. ზემოთ მოტანილ ცდებში, მაგალითად, ერთმანეთს უახლოვდება აგზნების მინიმუმისა და სტაბილობის ცდების შედეგები. ორთავე შემთხვევაში საქმე გვაქვს შედარებით დაუსრულებელი განწყობის გამოვლენასთან

და ამიტომაც მივიღეთ მსგავსი შედეგი, მტკიცე განწყობისას კი სხვა შედეგი.

სტაბილობა. ფიქსირებული განწყობის დროში გამძლეობის ანუ სტაბილობის კვლევისას ჩვენ შემოვიფარგლეთ ცდების ორი სერიით: განწყობის სტაბილობას ვსწავლობდით საგანწყობო ექსპოზიციებიდან 1 დღე-ღამისა და 5-7 დღე-ღამის გასვლის შემდეგ (ცალკეულ შემთხვევაში 8-9 დღე-ღამე). ცდები ჩატარდა როგორც ოპტიკურ, ისე პაპტურ სფეროში. პლასტიკურ-დინამიკური ფიქსირებული განწყობის შესატყვისი ტემპერამენტის ცდის პირებისათვის დამახასიათებელია განწყობის სტაბილობა (100 %). ყველა ცდის პირი აღჭურვილია ერთხელ მიღებული მტკიცე შთაბეჭდილების შედარებით ხანგრძლივად შემონახვის უნარით. ასეთი ტენდენცია აშკარადაა მოცემული ისეთ ლაბილურ სფეროშიც კი, როგორც ოპტიკური სფეროა. ოპტიკურ სფეროში ფიქსირებული განწყობის სტაბილობა ასეთია: ერთი დღის ინტერვალით 5 ცდის პირიდან 4 გვიჩვენებს მტკიცე ფიქსირებულ განწყობას (6-ი კონტრასტული ილუზია). ერთი ცდის პირი აქვდავენებს სუსტ (+3) პლასტიკურ-დინამიკურ განწყობას, დანარჩენი კი ტლანქ-დინამიკურს. ხუთი-ექვსი დღის შემდეგ ყველა ცდის პირი აქვდავენებს ფიქსირებულ განწყობას, მაგრამ უკვე სუსტი ხარისხით: 4 ცდის პირი — ოთხი-სამი კონტრასტული ილუზიით და ერთი ცდის პირი კი ტოლობის აღიარებით იწყებს, მხოლოდ ორჯერ ტოლობის აღიარების შემდეგ ორ კონტრასტულ ილუზიას უჩვენებს. რომლის შემდეგაც ფიქსირებული განწყობა მტკიცედ უთმობს ადგილს ადექვატურ განწყობას.

სტაბილობის ცდები მოწმობენ, რომ ცდის პირები პაპტურ სფეროში უფრო მტკიცე სახით ინარჩუნებენ ფიქსირებულ განწყობას, ვიდრე ოპტიკურში. ერთი დღის შემდეგ განწყობის სიმტკიცე ოდნავ აღიარების ფიქსირებული განწყობის შემუშავების თანადროულ მომენტთან შედარებით. განწყობის ძირადობა არსებითად პლასტიკურ-დინამიკურიდან ტლანქი დინამიკურობისაკენ ცვალებადობაში გამოიხატება. ფიქსირებული განწყობის შემუშავებიდან 5-7-8 დღე-ღამის გასვლის შემდეგ მისი სიმტკიცე უმრავლეს შემთხვევაში მნიშვნელოვნად ეცემა (მაგალითად ორ ცდის პირთან — 2 და 3-მდე), რაც განწყობის აშკარა სისუსტის გამოიხატება. მაგრამ 2 შემთხვევაში (40 %) განწყობა ძირითადად ინარჩუნებს თავის სიმტკიცეს (+6 და +7), ხოლო ერთი ცდის პირის განწყობა გაცილებით მტკიცე ხდება საგანწყობო ექსპოზი-

ციიდან 6 დღის შემდეგ, ვიდრე იგი 1 დღის შემდეგ იყო. ცდის პირი გ. ს. საგანწყობო ექსპოზიციიდან ერთი დღის შემდეგ უჩვე-
ლებს 11 კონტრასტულ ილუზიას და სხვა რხევებს, 6 დღის შემდეგ
კი 13 კონტრასტულ ილუზიას, თანაც ამ უკანასკნელ ცდაში გან-
წყობის ჩაქრობა ზუსტად პლასტიკურ-დინამიკური გზით მიდის.
ჩვენს ცდებში სტაბილობის ზღვარი არაა დადგენილი. მაგრამ მო-
ტანილი მასალის საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ცენ-
ტრალური ტემპერამენტის ჯგუფის ადამიანთა განწყობა სტაბილუ-
რია (ობტიკურსა და ჰაპტურ სფეროებში).

ყურადღებას იპყრობს ფიქსირებული განწყობის გაძლიერე-
ზის ფაქტი საგანწყობო ექსპოზიციებიდან ხანგრძლივი დროის გა-
სვლის შემდეგ. ასეთ შემთხვევას სხვა ცდის პირებთანაც ვხვდებით.
ამასთან დაკავშირებით შეიძლება ვიგულისხმოთ, რომ ე. წ. „რე-
ზინისცენცია“ სუსტად ფიქსირებული განწყობის შემდგომ პერიო-
დში გაძლიერებით უნდა იყოს გაპირობებული.

განწყობის ირადიაცია. დადგენილია, რომ ადამიანთა დიდი ნა-
წილისათვის დამახასიათებელია განწყობის ირადიაცია. შეგრძნების
ერთი ორგანოს გზით შემუშავებული განწყობა, რომელიც გარკვე-
ულ სიმტკიცეს აღწევს, ვრცელდება სხვა ორგანოზეც. მხედველო-
ბის სფეროში შემუშავებული ფიქსირებული განწყობა ვრცელდე-
ბა შეხების, სმენისა და სხვა სფეროში და, პირიქით. ჩვენ ვიკვლი-
ეთ განწყობის ირადიაცია ჰაპტური სფეროდან ობტიკურში. ამისა-
თვის ცდის პირებს არაბოლო სიდიდეების ვუმუშავებდით განწყო-
ბას ჰაპტურ სფეროში, ხოლო კრიტიკულ ცდებს ვატარებდით
ობტიკურ სფეროში (ტოლი წრეების ჩვენება). თუკი ჰაპტურ სფე-
როდან ობტიკურში განწყობის ირადიაციას აქვს ადგილი, მაშინ
ამ ფონზე ცდის პირმა ტოლი წრეები არატოლად უნდა აღიქვას. მა-
რთლაც, ამ ჯგუფის ყველა ცდის პირი ამჟღავნებს განწყობათა მეტ-
ნაკლებ ირადიაციას — დაწყებული 3 და დამთავრებული 7 კონტ-
რასტული ილუზიით. როგორც ვხვდავთ, განწყობის ირადიაცია,
თუმცა არა მაღალი, მაგრამ საშუალო ხარისხის მაინც არის. გან-
წყობის სიმტკიცე და ჩაქრობის პროცესი ირადიაციის ცდებში თი-
თოეულ ცდის პირთან განსხვავებულია. ძირითადად მჟღავნდება
განწყობის ჩაქრობის ტლანჭი დინამიკურობა. მაგრამ არის პლას-
ტიკურობის ორი შემთხვევა. განსხვავებულობა არის სიმტკიცის
ნზრვიაც. ყველაზე დაბალი მაჩვენებელი ჯერ კიდევ შეურყევე
ფიქსირებული განწყობისა არის +2. მაღალი კი +7 (ერთი შემთხვე-
ვა). დარჩენილი უდრის +3, +4, +5.

ამრიგად, შეიძლება წაითქვას, რომ განსახილველი ჯგუფის ცდის პირთა ფიქსირებული განწყობა დაახლოებით საშუალო ხარისხით ირადირებული განწყობაა.

ფიქსირებული განწყობის ცალკეულ თვისებათა ზემოთ მოტანილი მასალის სუმარული განხილვის საფუძველზე უნდა დავასკვნათ, რომ ამ ჯგუფის ცდის პირები ეკუთვნიან ადვილად აგზნებადი, მტკიცე (საშუალო სიმტკიცე), პლასტიკურ-დინამიკური, კონსტანტური, სტაბილური, ირადირებული განწყობის ადამიანთა ჯგუფს. ეს ჯგუფი სასაბუნებისმეტყველო განწყობის დადებითი თვისებებით. გარემოსთან სუბიექტის ურთიერთობას საფუძვლად უდევს განწყობა, კერძოდ, ფიქსირებული განწყობა, პიროვნების ტემპერამენტიც ჩართულია განწყობისეულ ქცევაში, იგი ნელაუნდება ფიქსირებული განწყობის ფორმალურ თვისებებში. ამიტომ გასაგებია, რომ ბავშვთა განხილული ჯგუფი თავისი დადებითი და ნორმალური განწყობისეული თვისებების გამო უნდა ნიექუთენოს ნორმალური განწყობისა და ასეთი განწყობის ფორმალურ ნიშნებში გამოვლენილ ნორმალურ (ცენტრალური) ტემპერამენტის ადამიანთა ჯგუფს. ყველა სხვა გადახრა ფიქსირებულ განწყობათა ფორმალურ მხარეებში უჩვენებს ამ ნორმალური ფიქსირებული განწყობისა და ნორმალური ტემპერამენტის ტიპისაგან გადახრას და ისინი უნდა მოთავადაწინ ფიქსირებული განწყობისა და ტემპერამენტის შესაბამის ჯგუფებში.

იმის დასამტკიცებლად, რომ მართლაც არსებითი კავშირია ბავშვთა ფიქსირებული განწყობების ტიპებსა და ტემპერამენტის ტიპებს შორის. განიხილოთ აქვეყნებული აგზნებადი, მტკიცე პლასტიკურ-დინამიკური, კონსტანტური, სტაბილური, ირადირებული ფიქსირებული განწყობის ერთ-ერთი პიროვნების (რომელიც ჩვენი აზრით, ნორმალურ ტემპერამენტს ეკუთვნის). ქცევის დახასიათება, ტემპერამენტის გამოვლინება ემოციურსა და ნოტორულ სფეროში.

გ. ა. 10 წლის. მე-3 კლასის მოსწავლეა. კლასში ჰყავს ახლო ამხანაგები. ერთ-ერთა მათგანი გოგონაა რომელთან ერთად სწავლობს მე-2 კლასიდან. სხვა ბავშვები ახლო ცხოვრობს მასთან. ამიტომ ეშვებობობთ. რომ პირველი კლასიდან ერთად ესწავლებობ და ერთმანეთი თავიდან გვიყვარდა, — ამბობს ცდის პირი. ა. ხუთოსანია. ეს ბავშვები ერთად თამაშობენ. ერთმანეთს პატივს სცემენ. მაგრამ ზოგჯერ უკმაყოფილებაც მოსდით. ერთ-ერთ ჩემს ამხან-

ნაგს ე-ს ველოსიპედი ჰყავდა, — ამბობს ა., — გაკვეთილების დამთავრების შემდეგ ჩემთან წამოვიდა და ველოსიპედიც თან წამოიყვანა. ჩემთან სახლში რომ მივედი, წიგნები შევინახეთ, საკმელო ვკამეთ და ველოსიპედით სეირნობის დაწყება გვინდოდა, მაგრამ რომელიღაც ნაწილი აკლდა და ველოსიპედის ტარება შეუძლებელი იყო. ორთავეს გვეწყინა, არ ვიცოდით, რაში იყო საქმე, მაგრამ ვხედავდით, რომ ველოსიპედს რაღაცა აკლდა. ე-მ მე დამაბრალა, შენ მოიპარეო. მე ვუთხარი: „არ მომიპარავს, ე., მაგი არ უნდა გეტქვა“. მან მითხრა: შენ რატომ თქვი არ მომიპარავსო, 'შენ გაქვს წაღებულო. ისიც ნაწყენი იყო და მეც. ერთიმეორეს დავემდურეთ. მეც ძალიან მწყინდა, რატომ დამაბრალა, სინამდვილეში მე არაფერი ვიცოდი, სად და როდის დაიკარგა ველოსიპედის ნაწილი ამრიგად, ჩვენი თამაში და სეირნობა ჩაიშალა, თანაც, ორივე ნაწყენი დავრჩით. რატომღაც მან ჩემზე მოიტანა ექვი. 'უ არაფერ შუაში ვიყავი. ე-მ თავისი დაზიანებული ველოსიპედი წაიყვანა და წავიდა სახლში. ველოსიპედს ხრახნი თურმე გზაში მოძრობოდა და ე-ს მის ეზოსთან ახლოს უნახავს. მან თავი დამნაშავედ იგრძნო, თუმცა შერიგებას არ ცდილა. მეორე დღეს ისევ მე ვუთხარი, რომ შენ ცდები. მე არაფერ შუაში ვარ-მეთქი. მან დარცხენით მიპასუხა, მართლა შეეცდი, ხრახნი გზაში დაკარგულიყო და ვნახეო. ამის შემდეგ ისევ კარგი მეგობრები ვართ“. ეს მიუთითებს ა-ს კეთილშობილებასა და გრძნობების ზომიერებაზე. მისი გრძნობები წუთიერი არაა. მაგრამ არც უსაზღვროდ ზანგრძლივი და იგი გამუდმებით არ იმყოფება ერთხელ აღმოცენებული უარყოფითი გრძნობების გავლენის ქვეშ. არ იცის „აფეთქება“. როგორც ეს ქოლერიკული ტემპერამენტისათვისაა დამახასიათებელი და არც ისე ზერელე გრძნობებისა. როგორისაც სანგვინიკია. მიუხედავად იმისა, რომ ამხანაგმა უმართებულოდ მიიტანა ექვი მასზე და ცუდი საქმე დასწამა. მას წონისწილობა მაინც არ დაუკარგავს. არც „აფეთქებულა“ თა არც ბუზოზონი დაუწყია: პირდაპირ და გადაპრით უთხრა: ცდები, მე ეს არ გამიკეთებია. კარგად დაფიქრიდი, რას ამბობ და სხვა, მაგრამ ა. არც გულგრილად მოკიდებია ამ ბრალდებას. როგორც ზოგჯერ ფლეგმატიკისაგან არის მოსალოდნელი. ეწყინა, რომ მის ცუდ საქციელში დაექვდა ამხანაგი. მის ცნობიერებაში გარკვეული ადგილი დაიკავა უსიამოვნების გრძნობამ. ამან გავლენა მოახდინა მის მოქმედებაზე, სხვა ადამიანებთან ურთიერთობაზე. გაკვეთილებს აშალებდა, მაგრამ თანაც გზადავხა

ამხანაგის მიერ მიყენებული შეურაცხყოფაც ამოტივტივდებოდა ცნობიერებაში, ოღონდაც არა ისეთი სიძლიერით, რომ ხელი შეეწალა ძირითადი საქმიანობისათვის, თუმცა ასუსტებდა კი მის ენერჯიას ამ მიმართულებით. მშობლებთან, სხვა ამხანაგებთან საუბრობდა, მაგრამ ისეთი თავისუფალი და ხალისიანი არ იყო, როგორც წინათ, იგრძნობოდა მისი ნაწილობრივი შიგნით ჩაღრმავება, ყურადღების შეჩერება ცალკეულ მომენტებზე, განსაკუთრებით განცდის უსიამოვნო შინაარსზე. ასეთი იყო მოქმედებასა და სხვებთან ურთიერთობაში მხოლოდ საღამომდე (დღის მეორე ნახევრიდან), მეორე დღეს კი ჩვეულებრივ შეუდგა საქმიანობის შესრულებას, თუმცა წინა დღეს განცდილი უსიამოვნო შინაარსი ნათლად ახსოვდა, მაგრამ უსიამოვნო გრძნობითი ტონი მეტად უმნიშვნელო ინტენსიობის იყო, ისე რომ მის ქცევაზე არსებითი გავლენის მოხდენა უკვე აღარ შეეძლო.

გ. ა. არაა მორცხვი. უცხო ადამიანებთან, უფროსებთან თათი თავისუფლად, თანაც მორიდებულად უჭირავს, პასუხს იძლევა აჩქარების, შეშფოთების, თავის თავზე ძალდატანების გარეშე. არ არის ჭიუტი. ადვილად ეგუება ახალ გარემოს, ამხანაგების ახალ წრეს. იგი არაა თავშეუკავებელი და დაუდევარი, გულგრილი ან განურჩეველი, როგორც ეს შესაბამისად ქოლერეიკული, სანგვინიკური და ფლეგმატიკური ტემპერამენტების ადამიანებისთვისაა დამახასიათებელი. თავისი გრძნობების აღმოცენების, გამძლეობის, ინტენსიობის ზომიერების გამო ნორმალური ტემპერამენტის ტიპური წარმომადგენელია.

სანგვინიკური ტემპერამენტი

(4 ცდის პირი)

განწყობის აგზნებადობა. ოპტიკურ სფეროში ფიქსირებული განწყობის აგზნებადობის მინიმუმი 2 ცდის პირისათვის არის ორა საგანწყობო ექსპოზიცია. მეორე ორისათვის კი — 5. ექსპოზიციათა ამ რაოდენობაზე სამ ცდის პირს უმუშავდება სუსტი ტლანქი-დინამიკური განწყობა ($-7+2$), ხოლო ერთს — სუსტი პლასტიკურ-დინამიკური განწყობა. 10 საგანწყობო ექსპოზიციაზე ყველა ცდის პირის განწყობა პლასტიკურ-დინამიკურია. მაგრამ ჭერ კიდევ სუსტი, ხოლო საგანწყობო გამღიზიანებლების 15-20 მიწოდება იწვევს დაახლოებით საშუალო სიმტკიცის ფიქსირებული გან-

წყობის შედეგებს. ოპტიკურ სფეროში ფიქსირებული განწყობა ოპტიკურ ალბინიზმულ ქვეყნისათვის ხარშადგენს გამლიზიანებელთა 15-20 ექსპოზიცია.

პატურ სფეროში ფიქსირებული განწყობის აგზნებადობა ძალიან. სამ ცდის პირს ორ საგანწყობო ექსპოზიციაზე უმუშავდება ფიქსირებული განწყობა, ხოლო ერთ ცდის პირს დასჯირდა საგანწყობო ობიექტების ხუთჯერ მიწოდება. სამ ბავშვთან ფიქსირებული განწყობა პლასტიკურ-დინამიკურია, ერთთან კი ტლასტიკურ-დინამიკური. 5 და 10 საგანწყობო ექსპოზიციისას სხვადასხვა სუთათი გვაქვს: ცდის პირთა უძრავლესობის განწყობა ჯერ კიდევ არაა მტკიცედ ჩამოყალიბებული, მხოლოდ ერთი ცდის პირისათვის წარმოადგენს გამლიზიანებელთა 10 საგანწყობო ექსპოზიცია ოპტიკურ-ალბინიზმის (იხილ იმ ცდის პირისათვის, რომლის ფიქსირებული განწყობის აგზნებადობის მინიმუმი 5 ექსპოზიციას უდრის). დანარჩენებისათვის ფიქსირებული განწყობის აგზნებადობის ოპტიკურ რაოდენობა არის 15 საგანწყობო ექსპოზიცია.

განწყობის ჩაქრობის მიმდინარეობა. თუმცა საერთო დახასიათებით ამ ქვეყნის ცდის პირთა ფიქსირებული განწყობა პლასტიკურ-დინამიკურია, მაგრამ ცდების ყველა შემთხვევაში პლასტიკურობა არ აღინიშნება. სამი ცდის პირის ფიქსირებული განწყობა აგზნებადობის მინიმალურ სტურბლზე ტლასტიკურ-დინამიკურია. მხოლოდ ერთი ცდის პირი ავლენს პლასტიკურ-დინამიკურ განწყობას. 5-10 და 15 საგანწყობო პოზიციის დროსაც ვხვდებით განწყობის ჩაქრობის სიტლასტიკის ერთეულ შემთხვევებს. მაგრამ ოპტიკურ სფეროში ამ ქვეყნის ფიქსირებული განწყობის აგზნებადობის ოპტიკურ დონეზე ჩვენ ყველა შემთხვევაში პლასტიკურ-დინამიკური განწყობა ვხვდებით.

პატურ სფეროში განწყობის აგზნებადობის განხილვისას უკვე აღვნიშნეთ რომ სამი ცდის პირისათვის (75%) საგანწყობო ექსპოზიციითაა მინიმალურ რაოდენობა 2-ს უდრის. ერთისათვის კი 5-ს.

ოპტიკურ-ალბინიზმის განწყობის აგზნების მინიმალურ სტურბლზე 4-დან 3 ცდის პირს განწყობის ჩაქრობა მიმდინარეობს პლასტიკურად, ხოლო ერთისა — ტლასტიკურად. 5 და 10 საგანწყობო ექსპოზიციისას ოპტიკურ ვხვდებით სხვადასხვა ცდის პირთან განწყობის ტლასტიკურ ჩაქრობის შემთხვევებს. ყველა დანარჩენ შემთხვევაში. მათ შორის აგზნების ოპტიკურ დონეზეც. ფიქსირებული განწყობის ჩაქრობა მიმდინარეობს პლასტიკური გზით. ე. ი. აღნი-

შნული ჭგუფის ფიქსირებული განწყობა პლასტიკურ-დინამიკურია.

განწყობის სიმტკიცე. საშუალო მაჩვენებლების მიხედვით ბავშვთა იმ ჭგუფის განწყობა ოპტიკურ სფეროში არის საშუალო სიმტკიცის, მაგრამ გვხვდება სიმტკიცის ხარისხის დიდი მერყეობა (0-დან 15-მდე). ასე, მაგალითად, ერთ-ერთი ცდის პირი კონსტანტობის ნორმე ცდაში პირველად ულობზას ადასტურებს ორჯერ ზედიზედ. კონტრასტული ილუზიების გამომკვლავნება კი ამის შემდეგ იწყება. ეს იმაზე მიუთითებს, რომ ცდის პირი ამ შემთხვევაში განწყობის სისუსტეს ავლენს, მაგრამ ამ სუსტი განწყობის გვერდით არის ისეთი შემთხვევები, როდესაც იგივე ცდის პირი 12-15 კონტრასტულ ილუზიას ამკვლავნებს ზედიზედ და ფიქსირებული განწყობა ამას შემდეგ იწყებს რყევას. ასეთია საქმის მდგომარეობა ფიქსირებული განწყობის აბსოლუტური სიმტკიცის მხრივ ოპტიკურ არეში. ახლა განვიხილოთ, როგორია მისი შეფარდებითი სიმტკიცე. ამ ჭგუფისათვის საშუალო შეფარდებითი სიმტკიცე უდრის 0,33-ს. ცალკეულ ცდის პირებთან საშუალო შეფარდებითი სიმტკიცე მერყეობს 0,26 და 0,4-0,6 შორის. ერთეულ შემთხვევებში ზოგიერთ ცდის პირთან განწყობის შეფარდებით სიმტკიცე 0-მდე ეცემა. მაგრამ ზოგჯერ 1-საც აღწევს. ფაქტიურად ფიქსირებული განწყობის შეფარდებითი სიმტკიცე ოპტიკურ სფეროში მერყეობს 0-სა და 1-ს შორის, ხოლო ცალკეულ ცდის პირებთან იგი მთელი ჭგუფის საშუალო დონესთან შეფარდებით სამჯერ მეტია.

ჰაპტურ სფეროში განწყობის საშუალო აბსოლუტური სიმტკიცე უდრის +7-ს. თუმცა ოპტიკური სფეროს მსგავსად, ფიქსირებული განწყობის სიმტკიცის მკვეთრ რყევასთან აქაც გვაქვს საქმე. განწყობა ყოველთვის მტკიცე არაა. განწყობის საშუალო აბსოლუტური სიმტკიცე +5-ზე ნაკლებია და +9-ზე მეტი არაა. ე. ი. ფაქტიურად საშუალო სიმტკიცის ფარგლებშია მოქცეული. მაგრამ ცალკეულ ცდებში ვხვდებით სიმტკიცის ნორმადე დატემს შემთხვევებსაც (ერთხელ). აბსოლუტური მაქსიმალური სიმტკიცე ცდათა ცალკეულ შემთხვევაში გამოიხატება +12 ილუზიით.

შეფარდებითი სიმტკიცე ჰაპტურ სფეროში შემდეგ სურათს გვიძლევს: საშუალო შეფარდებითი სიმტკიცე უდრის 0,5-ს. ცალკეულ ცდის პირებთან იგი ეცემა 0,4-მდე და იზრდება 0,6-მდე. უფრო მეტად მერყეობს ფიქსირებული განწყობის შეფარდებითი სიმტკიცე კონსტანტობის ცდებში (3-სა და 0,9-ს შორის). ეს მაჩვენებელი უსათუოდ დაბალია. განსაკუთრებით ჰაპტური სფეროსა-

თვის, მაგრამ აბსოლუტური სიმტკიცის თვალსაზრისით ნორმალურად უნდა ჩაითვალოს. ამრიგად, ამ ჯგუფის ცდის პირების ფიქსირებული განწყობა მიჩნეული უნდა იქნას მტკიცე ფიქსირებულ განწყობად როგორც პაპტურ, ასევე ოპტიკურ სფეროში. ცხედველობაში უნდა მივიღოთ მისი იფთვარდებითი სისუსტე და მერყეობა ორთავე სფეროში.

კონსტანტობა. ოპტიკურ სფეროში ოპტიმალური რაოდენობის გამლიზიანებლებზე შემუშავებული ფიქსირებული განწყობა კონსტანტურია, ტიპის მიხედვით — პლასტიკურ-დინამიკური. მაგრამ ამ ძირითადი ტიპის განწყობიდან გადახრებაც ვხვდებით (რომლებიც ყურადღების გარეშე არ უნდა დაგვრჩეს). ასე, მაგალითად, მინიმალური აგზნების დონეზე ტლანქი დინამიკური განწყობა გვაქვს საი ცდის პიოთან, ხოლო ეოთახ — პლასტიკურ-დინამიკური, შემდგომ კი, დაწყებული 10 საგანწყობო ექსპოზიციიდან ყველა ცდის პირთან მქლავნდება პლასტიკურ-დინამიკური განწყობა.

უნდა შევნიშნოთ, რომ ფიქსირებული განწყობის მინიმალურსა და ოპტიმალურ დონეს შორის ორი ცდის პირი თითოჯერ (5 და 10 საგანწყობო ექსპოზიციაზე) გვიჩვენებს ტლანქ-დინამიკურ განწყობას.

პაპტურ სფეროში მინიმალური აგზნებადობის საფეხურზე მქლავნდება პლასტიკურ-დინამიკური განწყობა სამ ცდის პირთან და იგი ინარჩუნებს თავის სახეს გამლიზიანებელთა ოპტიმალური რაოდენობის ზემოქმედებით შემუშავებული ფიქსირებული განწყობის ჩაქრობის დროსაც. ფიქსირებული განწყობის აგზნებადობის მინიმალურ დონეზე მხოლოდ ერთი ცდის პირი ავლენს განწყობის სიტლანქეს, ხოლო ოპტიმუმზე კი მისი განწყობაც პლასტიკურ-დინამიკურია. ამავე ტიპის განწყობა ვლინდება მეორადი კრიტიკული ცდების ზოგიერთ შემთხვევაშიც. ამრიგად, ჩვენ საუბრებით სამართლიანად მიგვაჩნია ცდის პირთა ამ ჯგუფის განწყობა კონსტანტურ პლასტიკურ-დინამიკურ განწყობად, რომელიც ძირითადად დამახასიათებელია როგორც პაპტური, ასევე ოპტიკური სფეროსათვის. მართალია, ამ ჯგუფის ცალკეულ წარმომადგენლებს რიგ შემთხვევაში ახასიათებთ განწყობის პლასტიკურ-დინამიკური ტიპიდან გადახრა. მაგრამ ეს მხოლოდ ცალკეულ შემთხვევად უნდა ჩაითვალოს, რომელსაც არსებითი მნიშვნელობა არ უნდა ჰქონდეს პიროვნების ცხოვრებაში, თუმცა ეს გადახრანიც მხედველობაში უნდა იქნას მიღებული პედაგოგებისა და მშობლების.

ზეერ, რათა სწავლა-აღზრდის პროცესში სწორად იქნას გათვალისწინებული ბავშვის ფიქსირებულ განწყობაში გამოვლენილი ტემპერამენტის თავისებურებანი. საჭიროა, რომ ბავშვთან ურთიერთობაში მხედველობაში გვქონდეს არა მხოლოდ საშუალო მონაცემების საფუძველზე შედგენილი სქემა და სქემატური დახასიათებანი. ყოველი გადახრა ბავშვის ძირითადი დახასიათებიდან ჩვენთვის მოულოდნელობას არ უნდა წარმოადგენდეს და უნდა შეგვეძლოს მეცნიერული ანალიზის საფუძველზე ბავშვის ქცევისა და მოქმედებისათვის სწორი მიმართულებების ძიება.

სტაბილობა. განსახილველ ბავშვთა ფიქსირებული განწყობის სტაბილობის ცდები ჩატაოცული იყო ორივე სფეროში (ოპტიკურსა და ჰაპტურში) 1 და 5 დღე-ღამის ინტერვალით. ყველა ცდია პირმა გამოავლინა ფიქსირებული განწყობა 1 დღე-ღამის შემდეგ როგორც ჰაპტურ, ასევე ოპტიკურ სფეროში. განწყობა ორთავე სფეროში სუსტია, თუმცა რამდენადმე უფრო ძლიერია ჰაპტურში. 5 დღე-ღამის შემდეგ მხოლოდ ერთი ცდის პირი უჩვენებს სუსტი ხარისხის ფიქსირებულ განწყობას ჰაპტურ სფეროში. კრიტიკულ ცდებში იგი პირველად ავლენს ტოლობას და შემდეგ გვიჩვენებს 2 ასიმეტრიულ ილუზიას. საგანწყობო ცდებიდან 5 დღე-ღამის შემდეგ კრიტიკულ ცდებში არც ერთ ცდის პირს ოპტიკურ სფეროში არ გამოუვლენია ფიქსირებული განწყობა.

საჭიროდ მივიჩინეთ ფიქსირებული განწყობის დროში გამძლეობის უფრო დახუსტება. ამ მიზნით სტაბილობა შევამოწმეთ ოპტიკურსა და ჰაპტურ სფეროებში ჩატარებული საგანწყობო ცდებიდან 2 დღე-ღამის შემდეგ. ორი ცდის პირი ავლენს ფიქსირებულ განწყობას ორი დღე-ღამის შემდეგ ორივე სფეროში, მაგრამ სიმტკიცის ხარისხი კიდევ უფრო სუსტია, ვიდრე ერთი დღე-ღამის შემდეგ იყო. ამიტომ ჩვენ მეტად აღარ გვიწარმოებია სტაბილობის კვლევა ამ ცდის პირებთან და ჩავთვალეთ, რომ მათი ფიქსირებული განწყობის დროში გამძლეობა 1-2 დღე-ღამით განისაზღვრება ეს გარემოება საშუალებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ აღნიშნულა ჯგუფის ფიქსირებული განწყობა თუმცა ლაბილურად არ შეიძლება ჩაითვალოს. მაგრამ სუსტი სტაბილობისაა. პლასტიკურ-დინამიკური ფიქსირებული განწყობის სუსტი სტაბილობა. ჩვენი აზრით. დამახასიათებელი უნდა იყოს ჰიპოკრატე-გალენის მიერ დადგენილ სანგვინიკური ტემპერამენტისათვის და საფიქრებელია. რომ ისეთი სუსტი სტაბილობის (ან ლაბილური) ფიქსირებული განწყო-

ბის ცდის პირები, რომლებიც ამ ჯგუფშია წარმოდგენილი, მიეკუთვნება სანგვინიკური ტემპერამენტის ტიპს.

ირადიაცია. როგორც სხვებთან ისევე ამ ბავშვთა ჯგუფთანაც ირადიაციის ცდები ჩატარებული იყო ჰაპტურ სფეროში შემუშავებული ფიქსირებული განწყობის ოპტიკურ სფეროში გავრცელების შესასწავლად. ცდის პირებს არატოლი ბურთების 10-15 საგანწყობო ექსპონირებით ჰაპტურ არეში შევსებული ფიქსირებული განწყობა. კლინიკური ცდები ჩატარეთ ოპტიკურ სფეროში. გაივლინდა ტიპური პლასტიკურ-დინამიკური განწყობა. რომლის სიმტკიცის ხარისხი სხვადასხვა ცდის პირებთან ძერყეობს — 2-დან — 7-მდე. ეს ერთხელ კიდევ მიუთითებს იმაზე, რომ აღნიშნული ცდის პირებისათვის დამახასიათებელია განწყობის პლასტიკურ-დინამიკური ტიპი.

მოტანილი მასალის საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ განსახილველი ჯგუფის ცდის პირები არიან ადვილად აგზნებადი. მტკიცე. პლასტიკურ-დინამიკური, კონსტანტური, სუსტი სტაბილობის, ირადირებული ფიქსირებული განწყობის პირები.

ფიქსირებული განწყობის აღნიშნული ტიპი რომ სანგვინიკური ტემპერამენტის ადამიანისთვისაა დამახასიათებელი. ეს დასტურდება ცდის პირთა ემოციური და მოტორული გამოვლენის დახასიათებით. სანიშნოდ მოვიტანთ ჯგუფის ერთ-ერთი წარმომადგენლის ემოციებსა და მოქმედების ტემპზე დაკვირვების შედეგს.

ვ. გ. 7 წლისა და 3 თვის, სწავლობს 1-ლ კლასში, ხუთოსანია. ბავშვი მოუსვენარია, წრიალებს, საუბრის დროს დადის საცდელ ოთახში, ათვალეირებს ხელსაწყო-მოწყობილობას, თუმცა წინათ რამდენიმე ათეულჯერ ყოფილა ამ ოთახში. თავი თავისუფლად უპირავს. იჩენს ცნობისმოყვარეობას. ცდილობს გაეცნოს ყოველ ხელსაწყოს. კითხულობს, თუ რა არის ესა თუ ის ნივთი. ხელით ეხება. მაგადან ირგვლივ უღლას და თავს იქეთაქეთ აქიციანებს. ვ. ჩარატებულია ინტერნატულ ჯგუფში. სადაც დილის ცდაში მომუშავე მშობელთა ბავშვები სწავლობენ. იგი ჩამოყალიბებულია სკოლასთან. მოსწავლეები გაკვეთილებს ამზადებენ მასწავლებლებს ზედამხედველობით. გაკვეთილების დამზადების შემდეგ ბავშვები ჩვეულებრივ თანაშობენ. სათამაშოები გოგონებისათვისაც აქვთ და ბავშვისათვისაც. ეყიბს დიდი ბურთი აქით. 1957 წლის 10 აპრილს გაკვეთილების დამზადების შემდეგ მასწავლებელმა ბურთი ჩააბარა ვ.-ს. ბავშვებს ებოში უნდა ეთამაშათ. სათამაშოდ გამოვიღენ როგორც პირველკლასელები, ასევე მეორე.

მესამე და მეოთხეკლასელებიც. ვ. თითქმის ყველაზე უმცროსი იყო მოთამაშეთა შორის. ბავშვებმა მას ბურთი ხელიდან გამოსტაცეს და დაიწყეს თამაში ისე, რომ ვ-ს აღარ აწვდიდნენ. ეს ეწყინა ვ-ს. იგი ცდილობს ბურთი ჩაიგდოს ხელში და სხვას აღარ მისცეს, მაგრამ დიდხანს ვეღარ ახერხებს. გაბრაზებულია, ჭავრობს, ტირილით ამბობს: „მომეცი ბურთი“, „მასწავლებელმა მე მომცა იგი“. პიუხედავად იმისა, რომ ბურთი ხელში ვერ ჩაიგდო, სასოწარკვეთილებასი არ ჩავარდნილა, სრული პასიურობა არ გამოუჩენია. გარბის მოთამაშეებისაკენ, და, აი, ბურთის დაუფლებაც მოახერხა, მაგრამ ერთ-ერთმა ბავშვმა ხელი ჰკრა, ვ. წაიქცა, ბურთი ხელიდან გაუვარდა. ისევ განახლდა თამაში. ვ. ერთი წამით თითქოს გაშვშდა, ხელებით თვალებს ისრესს და ისევ გარბის ბურთისაკენ. მაგრამ იგი სხვა მოთამაშეებზე უმცროსია და ფიზიკურადაც უფრო სუსტი. ბოლოს, ვ. რომ აღარ მოსცილდა მოთამაშეებს, ერთ-ერთ მოთამაშეთაგანს შეებრაღა იგი და ბურთი მისცა. ვ-მ ცოტა ხნით ბურთი გააჩერა ხელში. თითქოს ჟინი მოიკლავ. შემდეგ თვითონვე დაიწყო ბურთის მიწოდება და, ამრიგად, ჩაება თამაშში. თითქოს უსიამოვნება არც კი განეცადოს, მის სახეზე გამოიხატა კმაყოფილების გრძნობა. იგი ხომ ბურთსაც დაეუფლა და თამაშშიც ჩაება!

ვ. ემოციურად ადვილად აგზნებადია. მცირე ინტენსიობის გამღიზიანებლებიც ადვილად იწვევს როგორც დადებით, ისე უარყოფით ემოციებს. ემოციები თუმცა საკმაოდ ძლიერი და ირადირებულია, მაგრამ არ ახასიათებს დროში ვამძლეობა, ადვილად აქვს ემოციების სწრაფ მონაცვლეობას. ეს მით უფრო საგულისხმოა, რომ ემოციური გადანაცვლება დიამეტრალურად საწინააღმდეგო მიმართულებით წარმოებს. უსიამოვნების გრძნობასა და განრისხებას მალე ცვლის სიამოვნების გრძნობა და სიხარული ან კმაყოფილება. ეს მდგომარეობა სავსებით შეესაბამება ვ. ვ-ს ფიქსირებული განწყობის სუსტ სტაბილობას (მტკიცე ფიქსირებული განწყობა მხოლოდ ერთი დღე-ღამის ხანგრძლივობისაა).

ვ. გ. მაღალი აგზნებადობით და ძვრადობით ხასიათდება მოტორულ სფეროშიც. ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ იგი ცელქია, მო-

უსვენარი, ერთ ადგილზე ვერ დგება, ე. ი. მობრუნული აქტივობა თითქმის უწყვეტი ხასიათისაა და მისთვის უცხოა მოდუნება, სიზანტე. საყურადღებოა მობრუნული აქტივობის ის თავისებურება, რომელიც ვ. გ.-ს სწრაფ ძვრადობასთანაა დაკავშირებული. ბავშვი მოძრაობს. ცელქია, მოუსვენარი, მაგრამ დროდადრო მის მოძრაობაში შეინიშნება ერთგვარი პაუზები. ეს იმიტომ, რომ ბავშვის მაღალი მობრუნული აგზნებადობის და ძვრადობის გამო შესაბამისი ნერვული ცენტრები ადვილად იღლება (სანგვინიკის ნერვული სისტემა ხომ ადვილად იფიტება) და თუმცა ამ გადაღლისაგან თავდაცვის ერთ-ერთი საშუალება გადანაცვლებაა, იგი მაინც გაძნელებულია. ამის მიზეზი მთელი ნერვული სისტემისა და ფსიქიკის მუშაობის უნარიანობის საერთო დაქვეითებაა. ამიტომ მისი მოუსვენრობა და ცელქობა, გადაჭარბებული ძვრადობა და დაუდევრობა პერიოდულ ხასიათს ატარებს.

ვ. გ. მეგობრობს რამდენიმე თანაკლასელთან. თუმცა მათთანაც მოსდის კონფლიქტი, რომელიც მალე ავიწყდება (მისი გრძნობები შედარებით ზერელეა და ხანმოკლე).

ქოლერაიული ტემპერამენტი

ამ ჯგუფის ცდის პირების ფიქსირებული განწყობა ტლანქი-დინამიკური ტიპისაა. ესაა ნორმალური ტემპერამენტისაგან მისი ძირითადი განსასხვავებელი სიშანი. ფიქსირებული განწყობის ტიპის ერთნაირობის მიუხედავად, ამ ცდის პირების გაერთიანება ერთ ტიპოლოგიურ ჯგუფში შეუძლებელი გახდა მათი ფიქსირებული განწყობის სხვა თვისებების (სიმტკიცე, დროში გამძლეობა, ირადიაცია, ლოკალიზაცია) განსხვავებულობის გამო. უფრო მიზანშეწონილად მივიჩნით გამოგვეყო ძირითადი ჯგუფი, რომელიც ქოლერიკული ტემპერამენტის დამახასიათებელი თვისებისაა მთლიანად, და ერთიკ ქვეჯგუფი, რომელიც ჩავთვალეთ ქოლერიკული ტემპერამენტის მეორე ვარიანტად..

ძირითადი ჯგუფი

(11 ცდის პირი)

ფიქსირებული განწყობის აგზნებადობა. ცდის პირთა ეს ჯგუფი ოპტიკურ სფეროში აგზნებადობის მიხედვით სამად იყოფა:

1) 3 ცდის პირს (27,3 %) განწყობა ოპტიკურ სფეროში უფიქსირდება 2 საგანწყობო ექსპოზიციაზე; 5-ს (45,4 %) — 5 საგანწყობო

ექსპოზიციაზე, ხოლო სამს (27,3 %) — 10-ზე. ამრიგად, შეიძლება ითქვას, რომ ჯგუფის უმრავლესობის ფიქსირებული განწყობის აგზნებადობა ოპტიკურ სფეროში საშუალო ხარისხისაა. პირველ ქვეჯგუფთან ფიქსირებული განწყობის სიმტკიცე აგზნებადობის მინიმალურ ზღურბლზე ასეთია: ორ საგანწყობო ექსპოზიციაზე ორი ცდის პირი გვიჩვენებს 2-3 კონტრასტულ ილუზიას და შემდეგ ტოლობას, ერთ-ერთი ცდის პირი ტოლობის არამტკიცე აღქმის შემდეგ ასიმულაციურ ილუზიასაც ავლენს, ხოლო უკვე შემდეგ მტკიცედ ადასტურებს ტოლობას. II ქვეჯგუფიდან 5 საგანწყობო ექსპოზიციაზე ერთადერთი სუბიექტი გვიჩვენებს ასიმულაციურ და კონტრასტულ ილუზიებს, თანაც პირველი ილუზიები ასიმულაციურია. 10 საგანწყობო ექსპოზიციაზე III ქვეჯგუფის 3 ცდის პირიდან ორი 2-3 კონტრასტულ ილუზიას ავლენს, ხოლო ერთი მხოლოდ ასიმულაციურს.

ოპტიმალური აგზნებადობა ოპტიკურ სფეროში 5 ცდის პირისათვის 15 ექსპოზიციაა, 5-სათვის — 20, ხოლო ერთისათვის — 30. ამ ჯგუფს ცდის პირებს. გაპოულებლად უმუშავედებათ მტკიცე, ტლანქი-დინამიკური ფიქსირებული განწყობა. ჯგუფისათვის ფიქსირებული განწყობის აგზნებადობის დამახასიათებლად ოპტიკურ სფეროში შეიძლება ჩაითვალოს მინიმალურ ზღურბლზე 5 ექსპოზიცია. ოპტიმალურზე — 15-20, ოპტიკურ სფეროში ბავშვთა ამ ჯგუფის ფიქსირებული განწყობა საშუალო აგზნებადობით ხასიათდება. ასეთი საშუალო დონესთან ახლოს დგას ოპტიმალური აგზნებადობის ზღურბლიც.

ჰაპტურ სფეროში საქმე გვაქვს აგზნებადობის უფრო მაღალ ხარისხთან. თითქოს ეს პარალიქსელი მოვლენაა: თვალა მილიონჯერ მგრძნობიარეა. ვიდრე შეხების რომელიმე ორგანო. თუ ვინღისეთი განვითარებული ორგანო. რეკორდ ხელია. მაგრამ განწყობის აგზნებადობის მხრივ მხედველობის ორგანო ჩამორჩება ხელს. სომ არ თამაშობს არსებით როლს აქ ის გარემოება, რომ ფიქსირებული განწყობის შემუშავება რაოდენობრივ მიმართებაზე წარმოებს? ალბათ. ამ შემთხვევაში მეტი მნიშვნელობა ეძლევა განსხვავებულობის დადასტურებას. მის ფიქსაციას და არა უბრალო მინიმალურ მგრძნობიარობას, შეგრძნების აღმოცენების ქვედა ზღურბლს. საქმე იმაშია. თუ როგორია განსხვავების ზღურბლის ხარისხი, მხედველობის სფეროშია უფრო მაღალი თუ ხელით შეხების შეგრძნების მოდალობაში. ამას გარდა მნიშვნელობა აქვს შთაბეჭდილების სიძლიერეს. მისი გავლენის ხარისხს მთელს ფსიქიკაზე,

მის უდაბლეს და უმაღლეს სფეროში, და იმ ფიზიოლოგიურ ენერ-
გიასაც, რომელიც ნერვული სისტემის ინერციულობას განაპირო-
ბებს და რომელიც საფუძვლად უდევს ფსიქიკური ძალების გარ-
კვეული მიმართულებით მოქმედებას. ჩვენი აზრით, ჰაპტურ სფე-
როში იმიტომაცა შთაბეჭდილების ფიქსირება უფრო ადვილი, რომ
ამ სფეროდან მიღებული შთაბეჭდილება მთელ ფსიქიკურ მექა-
ნიზმს უფრო იპყრობს, იგი პიროვნების უფრო ღრმა „პრიმი-
ტიულ“ ფენას ეხება, ვიდრე ოპტიკურ სფეროდან მომდინარე
შთაბეჭდილებანი. ოპტიკური სფეროს შთაბეჭდილებანი, რო-
გორც ფსიქიკის განვითარების მაღალი საფეხური, ძნელად იპყრობს
პიროვნებას მთლიანად, უმრავლეს შემთხვევაში ვერ აღწევს მის
სიღრმემდე. ამ თვალსაზრისით საინტერესოა შეგვესწავლა ოპტი-
კურ არეში ფიქსირებული განწყობის ფაქტი ჰიპნოზურ მდგომარე-
ობაში და შეგვედარებინა ამავე მდგომარეობაში ჰაპტურ სფეროში
შემუშავებული ფიქსირებული განწყობისათვის. ჰაპტურ სფერო-
ში ფიქსირებული განწყობა უფრო მტკიცეა, ვიდრე ოპტიკურ სფე-
როში და ამას თავისი ფიზიოლოგიური საფუძველი აქვს. ნუ და-
გვავიწყდება, რომ მხედველობის ორგანო პირდაპირაა დაკავშირე-
ბული დიდ ტვინთან, ზურგის ტვინის და თავის ტვინის ზოგიერთი
ნაწილის გავლის გარეშე, ხოლო ხელის შეხების შეგრძნებები აღ-
მოცენდება დიდი ტვინის ქერქულ ნაწილში მას შემდეგ, როცა
აგზნება გაივლის ზურგის ტვინსა და თავის ტვინის ქვედა ფენებს.

ჰაპტურ სფეროში 9 ცდის პირს (82 %-ს) განწყობა უფიქსი-
რდება 2 ექსპოზიციასზე. 2 ცდის პირს კი — 5 ექსპოზიციასზე. სა-
ყურადღებოა ის ფაქტი, რომ 2 საგანწყობო ექსპოზიციასზე კრიტი-
კულ ცდებში 9 ცდის პირიდან 7-თან განწყობა პლასტიკურ-დინა-
მიკურია, ხოლო იმავე ცდის პირებიდან 5 საგანწყობო ექსპოზი-
ციასზე მხოლოდ ორი გვიჩვენებს პლასტიკურ-დინამიკურ განწყო-
ბას. იმ ცდის პირების ფიქსირებული განწყობა, რომელთა აგზნე-
ბადობის მინიმალური ზღურბლი 5 ექსპოზიციას უდრის, თავიდა-
ნვე ტლანქი-დინამიკურია. აგზნების ოპტიმუმი ერთ ცდის პირთან
უდრის 5 ექსპოზიციას, ოთხთან 10-ს, დანარჩენებთან კი 15-ს. აგზ-
ნებადობის მინიმალური ზღურბლი ოპტიკურ სფეროში არის 2,
ოპტიმალური — 10-15 საგანწყობო ექსპოზიცია. ამრიგად, ჩვენი
ცდის პირები ჰაპტურ სფეროში ადვილად აგზნებადი ფიქსირებუ-
ლი განწყობისანი არიან.

განწყობის ჩაქრობის მიმდინარეობა. ფიქსირებული განწყობის აგზნებადობის მინიმალურ ზღურბლზე ოპტიკურ სფეროში ორი ცდის პირის განწყობა პლასტიკურ-დინამიკურია, მაგრამ ერთ შემთხვევაში ილუზია იწყება მეორე ფაზით, ასიმულაციური სახით, რომელსაც ტოლობა ცვლის და შემდეგ გამოერევა კონტრასტული ილუზიები, რაც ფიქსირებული განწყობის ჩაქრობას პლასტიკურობის ელფერს აძლევს. მეორე ცდის პირი ტოლობას აღიარებს კონტრასტული ილუზიების შემდეგ, რასაც თან ასიმულაციური ილუზიები (რამდენიმე ერთეული) მოყვება, რომლებიც ბოლოს ადგილს უთმობენ ტოლობის აღქმას. არც ერთ შემთხვევაში არა გვაქვს ფიქსირებული განწყობის თანმიმდევარი პლასტიკური გზით ჩაქრობის ფორმა. ყველა დანარჩენ ცდის პირთან (9 ცდის პირი) აგზნებადობის მინიმალურ ზღურბლზე ფიქსირებული განწყობის ჩაქრობა ტლანქად მიმდინარეობს. აგზნებადობის ოპტიმალურ დონეზე ფიქსირებული განწყობის ჩაქრობა ყველა ცდის პირთან ტლანქად, ერთბაშად, მყისთანადად ხდება, მაგრამ აგზნებადობის მინიმუმისა და ოპტიმუმის გარდამავალ საფეხურებზე (რიგ შემთხვევაში მინიმალურ ზღურბლზე როგორც უკვე მოხსენებული იყო) შეინიშნება პლასტიკურობის ტენდენცია. ამ მოვლენას ვხვდებით ორ ცდის პირთან ცდის თითო შენთხვევაში 10 საგანწყობო ექსპოზიციაზე. კრიტიკულ ცდებში 1-2 ასიმულაციური ილუზიის აღიარების სახით.

ჰაპტურ სფეროში ფიქსირებული განწყობის აგზნებადობის მინიმალურ ზღურბლზე ჩაქრობა უმეტეს შემთხვევაში პლასტიკურ-დინამიკურად მიმდინარეობს. 11-დან 7 ცდის პირი (63 %) მეტწილად პლასტიკურობას ამჟღავნებს. 5 ექსპოზიციაზე მხოლოდ ორი გვიჩვენებს განწყობის პლასტიკურობას. ხოლო აგზნებადობის ოპტიმუმის მიხედვით ფიქსირებული განწყობის ჩაქრობა ყველა ცდის პირთან და ყველა ცდის ტლანქი-დინამიკური გზით მიმდინარეობს, თუმცა აქაც შეინიშნება ერთგვარი განსხვავებულობა. ეს იმით გამოიხატება, რომ ზოგიერთი ცდის პირის ფიქსირებული განწყობა, რაკი ერთხელ შეირყევა, საბოლოოდ უთმობს ადგილს ადექვატურ განწყობას. ჰაპტურ სფეროში განწყობის ასეთი ერთბაში და საბოლოო ცვალებადობა 11 ბავშვთან ჩატარებული 44 ცდიდან (აგზნებადობის ოპტიმუმის საფეხურზე) 34-ია. ოპტიკურში კი 44 ცდიდან — 32, დანარჩენ შემთხვევაში ფიქსირებული განწყობის პირველი რყევა თუმცა ტოლობის დადასტურებით იწყება, მაგრამ ეს ჭერ კიდევ არაა ტოლობის საბოლოო დადასტურება, გზადაგზა თავს იჩენს

კონტრასტული ილუზიების სხვადასხვა რაოდენობა, რომელიც ბოლოს და ბოლოს ვერ უძლებს სხვა ბუნების გამლიზიანებელთა კონკურენციას და ადგილს უთმობს ადექვატურ განწყობას. ამ ჯგუფის სუბიექტების ფიქსირებული განწყობის ჩაქრობა სტაბილობისა და ირადიაციის ცდებშიც (გამონაკლისს გარდა) ტლანქად მიმდინარეობს. ეს უფლებას გვაძლევს ამ ცდის პირების ფიქსირებული განწყობა ოპტიურსა და ჰაპტურ სფეროებში ტლანქ-დინამიკურად ვალიაროთ.

განწყობის სიმტკიცე. აგზნებადობის მინიმალურ ზღურბლზე განწყობის სიმტკიცე ოპტიურ სფეროში სუსტია. ის ცდის პირები, რომელთა ფიქსირებული განწყობის აგზნებადობის მინიმუმი 2 ექსპოზიციაა (3 ბავშვი), კრიტიკულ ცდებში გვიჩვენებენ 2-3 კონტრასტულ შეურყეველ ილუზიას. ისინი კი, რომელთა აგზნებადობა 5 ექსპოზიციაა (5 ბავშვი), კრიტიკულ ცდებში ორი გვიჩვენებს თითო კონტრასტულ ილუზიას, ერთთან ჩაქრობა ასიმპლაციური ილუზიით იწყება, ერთიც ტოლობას აღიქვამს თავიდანვე და ტოლი ბურთების მხოლოდ მეოთხე ექსპოზიციაზე ერთ კონტრასტულ ილუზიას აღნიშნავს. მხოლოდ ერთი ცდის პირი გვიჩვენებს 4 კონტრასტულ ილუზიას. 10 საგანწყობო ექსპოზიციის მინიმალურ ზღურბლზე 3 ცდის პირიდან ერთი აღნიშნავს 3 კონტრასტულ ილუზიას, ორი კი პირველსავე კრიტიკულ ცდებში ტოლობას აღიარებს. ამრიგად, ფიქსირებული განწყობა, აგზნებადობის მინიმალურ ზღურბლზე აშკარა სისუსტიით ხასიათდება.

ჰაპტურ სფეროში ფიქსირებული განწყობის აგზნების მინიმუმს 9 ცდის პირთან (82 %) წარმოადგენს უტოლო ბურთების ორი ექსპოზიცია. ამათგან 5 ბავშვს უმუშავდება მტკიცე განწყობა (5-დან 15 კონტრასტული ილუზიით). აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ 15 კონტრასტულ ილუზიას ამ ცდის პირთან აგზნებადობის ოპტიმუმის მიხედვით ჩატარებულ ცდებშიც ვერ ვხვდებით. მისი უმაღლესი მაჩვენებელი ოპტიმუმის დონეზე 14-ია. სამ ცდის პირთან ვხვდებით განწყობის სიმტკიცის მაჩვენებელ 1-2 კონტრასტულ ილუზიას, ხოლო ერთი ცდის პირი სიმტკიცის ნასახსაც არ ავლენს (პირველადვე უჩვენებს ტოლობას, შემდეგ კი 1-2 კონტრასტულ და 3 ასიმპლაციურ ილუზიას). ორი ცდის პირის აგზნებადობის მინიმუმი 5 ექსპოზიციაა, ამათგან კრიტიკულ ცდებში ერთი ტოლობის აღიარებით იწყებს, მეორე კი 4 კონტრასტულ ილუზიას აღნიშნავს. ჰაპტურ სფეროში ფიქსირებული განწყობის აგზნებადობის მინიმალურ ზღურბლზე 6 ცდის პირისათვის დამახასიათ-

ბელია საშუალო და ზოგ შემთხვევაში მაღალი სიმტკიცე. დანარჩენი 5 ცდის პირის ფიქსირებული განწყობა აშკარა სუსტია. აღნიშნული ჯგუფის ცდის პირებთან ფიქსირებული განწყობის სიმტკიცე ოპტიმალურ საგანწყობო ცდებში არაჩვეულებრივი მაღალი ხარისხისაა. მათი საშუალო აბსოლუტური სიმტკიცე ოპტიკურ სფეროში = +16-ს. ცალკეული ცდის პირების მინიმალური საშუალო აბსოლუტური სიმტკიცე არის +8, მაქსიმალური კი — +34, +35. თუმცა მინიმალურ, საშუალოსა და მაქსიმალურ სიმტკიცეს შორის დიდი განსხვავებაა (4-ჯერ მეტი), მაგრამ საყურადღებოა ის ფაქტი, რომ აბსოლუტური საშუალო სიმტკიცე ყველგან მაღალი ხარისხითაა წარმოდგენილი. ცალკეულ ცდებს შორის მძაფრი განსხვავებაა. მინიმალური აბსოლუტური სიმტკიცე ერთ-ერთ ცდაში 2 კონტრასტული ილუზიით გამოიხატება, მაქსიმალურ აბსოლუტურ სიმტკიცეს ვხვდებით სხვა ცდის პირებთან და იგი უდრის 48 კონტრასტულ ილუზიას. თუ მაქსიმალური აბსოლუტური სიმტკიცის საშუალო არითმეტიკული სიდიდე მინიმალურს ოთხჯერ სჭარბობდა, აქ ცალკეულ ცდებში მინიმალურ და მაქსიმალურ სიმტკიცეს შორის სხვაობა 24-ს უდრის. მიუხედავად ასეთი მკვეთრი რყევის ცალკეული შემთხვევებისა (რომელიც გამონაკლისი სახით გლინდება), ძირითადად განწყობის აბსოლუტური სიმტკიცე ცდის პირთა უმრავლეს შემთხვევაში საშუალოზე მაღალი მაჩვენებლით ხასიათდება და. რაც შეტად საგულისხმოა. ოპტიკურ სფეროში ფიქსირებული განწყობის სიმტკიცე კრიტიკულ ცდებში 0-მდე არც ერთ შემთხვევაში არ დადის.

განსახილველი ჯგუფის ფიქსირებული განწყობის საშუალო შეფარდებითი სიმტკიცე ოპტიკურ სფეროში 1-ს უახლოვდება (16:17). ცხადია, ცალკეული ცდის პირების ფიქსირებული განწყობის შეფარდებითი სიმტკიცე ამ საშუალო დონიდან მეტ-ნაკლებ გადახრას გვაძლევს. მინიმალური შეფარდებითი საშუალო სიმტკიცე = 0,4-ს, მაქსიმალური კი = 2,3-ს. ცალკეული ცდების მიხედვით (სიმტკიცის განსაზღვრისას ამ შემთხვევაში ჩვენ მხედველობაში გვაქვს ფიქსირებული განწყობის აგზნებადობის ოპტიმალური დონე) სურათი ასეთია: მინიმალური შეფარდებითი სიმტკიცე უდრის 0,1-ს, მაქსიმალური — 3,2-ს.

ჰაპტურ სფეროში ფიქსირებული განწყობის საშუალო აბსოლუტური სიმტკიცე = +24-ს. მინიმალური საშუალო სიმტკიცე ცალკეულ ცდის პირებთან უდრის +10-ს, ხოლო მაქსიმალური

+68. ცალკეულ ცდებში მინიმალური აბსოლუტური სიმტკიცე +6-ია. მაქსიმალური სიმტკიცე გამოხატულია კონტრასტულ ილუზიათა კოლოსალური რაოდენობით +126. ფიქსირებული განწყობის საშუალო შეფარდებითი სიმტკიცე უდრის 1,6-ს. ცალკეულ ცდის პირთა მაჩვენებლების მიხედვით ჯგუფში საშუალო მინიმალურია 0,8-1, ხოლო მაქსიმალური — 12 (ერთი ცდის პირის აგზნების ოპტიმუმი ჰაპტურ სფეროში არის უტოლო ბურთების 5 ექსპოზიცია, რის შედეგად ცდის პირი საშუალოდ 68 კონტრასტულ ილუზიას გვიჩვენებს კონსტანტობის ცდებში. სხვადასხვა ცდის პირის ფიქსირებული განწყობის შეფარდებითი სიმტკიცის მინიმუმი=0,4-ს, მაქსიმუმი — $126:5=25$). მაქსიმალური მაჩვენებელი (როგორც აბსოლუტური, ისე შეფარდებითი სიმტკიცისა), რომელიც მოტანილია ცალკეული ცდების მიხედვით, გამონაკლის შემთხვევას შეადგენს. ამიტომ იგი არ შეიძლება ჯგუფის დამახასიათებელ მოვლენად ჩაითვალოს.

კონსტანტობა. ყველა ცდის სერიაში სავსებით ერთგვაროვანი განწყობა არც ოპტიკურსა და არც ჰაპტურ სფეროში არა გვაქვს. ეს მდგომარეობა მოწმობს პიროვნების გამოვლენათა შესაძლებლობის მრავალგვარობას განწყობის აგზნებადობისა და სიმტკიცის სხვადასხვა საფეხურზე. მაგალითად, თუ ადამიანი განწყობის ფიქსაციის მინიმალურ ზღურბლზე პლასტიკურ-დინამიკური განწყობისაა, ხოლო აგზნებადობის ოპტიმალურ დონეზე ტლანქი-დინამიკურის ან სტატიკურისა, ეს იმის მაჩვენებელია, რომ იგი განსხვავებულ თვისებებს ავლენს ფსიქიკური ცხოვრების ინტენსივობის სხვადასხვა ხარისხის დროს. ზღვრული ოდენობანი, რომლის მიხედვითაც ი. პ. პავლოვმა მოახდინა ნერვული სისტემის კლასიფიკაცია (თუმცა სხვა შინაარსით და ფორმით), ფორმალურად ძალაში რჩება ფიქსირებული განწყობის ცდებში, განსაკუთრებით აგზნებადობის ოპტიმუმის შემთხვევაში, მაგრამ ფიქსირებული განწყობის ცდების უპირატესობა იმაში მდგომარეობს, რომ მისი კვლევა იწყება მინიმალური ზღურბლიდან და მთავრდება ოპტიმალური ზღურბლის დადგენით. მაშინ, როდესაც პავლოვის ცდებში მხოლოდ მაქსიმალური ზღურბლია კლასიფიკაციის პრინციპად აღებული. თუმცა ცდის პირთა დახასიათება ძირითადად მხოლოდ ფიქსირებული განწყობის ოპტიმალური აგზნებადობის დონით წარმოებს, მაგრამ, როგორც ვნახეთ, იგი შესაძლებელია როგორც ოპტიმალური, ისე მინიმალური, აგრეთვე აგზნებადობის გარდამა-

ვლი დონის მიხედვითაც (მაგალითად, 2-5-10-15 და სხვა საგან-წყობო ექსპოზიციებზე).

ოპტიკურ სფეროში აგზნებადობის მინიმალურ დონეზე ფიქსირებული განწყობა 2 ცდის პირთან (18,2 %) პლასტიკურ-დინამიკური თვისებების შემცველია, 9 ცდის პირის (81,8 %) განწყობა — ტლანქი-დინამიკური. აგზნებადობის გარდამავალ საფეხურზე ორ სხვადასხვა პირთან კიდევ მკლავდებდა დინამიკურობის სუსტი ტენდენცია, ხოლო ოპტიმალური აგზნებადობის ზღურბლზე ყველა ცდაში ფიქსირებული განწყობის ჩაქრობის გამოკვეთილ სიტლანქესთან გვაქვს საქმე. ყოველ შემთხვევაში, პლასტიკურ-დინამიკური განწყობა ოპტიკურ სფეროში ეპიზოდური ხასიათისაა, განწყობის ძირითადი ფორმა ტლანქი-დინამიკურია.

პაპტურ სფეროში განწყობის აგზნებადობის მინიმალურ ზღურბლზე 7 ცდის პირს (63,6 %) პლასტიკურ-დინამიკური განწყობა უმუშავდება, ხოლო დანარჩენ 4-ს (36,4 %) — ტლანქი-დინამიკური. როგორც ვხედავთ, ამ საფეხურზე განწყობა ერთგვაროვანი არაა და თუ პროცენტული შემადგენლობის მიხედვით ვიმსჯელებთ, მაშინ ამ ჯგუფისათვის პლასტიკურ-დინამიკური განწყობა უნდა იყოს ტიპური. მაგრამ ამას ეწინააღმდეგება ის ფაქტი, რომ განწყობათა 37-მდე პროცენტი ტლანქი-დინამიკურია. კვლევის დღევანდელ ეტაპზე შეიძლება მცირედ განსხვავებული ამ ვარიანტების ერთ ჯგუფში მოქცევა, მაგრამ შემდგომში, ძირითადი საკითხების უფრო ღრმად შესწავლისას, შეიძლება ცალკე ჯგუფად გამოყონ ადამიანები, რომელთა ფიქსირებული განწყობა აგზნებადობის მინიმალურსა და ოპტიმალურ ზღურბლზე ანდა ზღურბლებს შორის, ტიპოლოგიურად განსხვავებულია. ამ ჯგუფის ცდის პირებთან გარდამავალ საფეხურზე (კერძოდ, 5 ექსპოზიციებზე) განწყობის პლასტიკურობას ადგილი აქვს მხოლოდ ორ ცდის პირთან თითო ცდაში. აგზნებადობის ოპტიმუმის დონეზე კი — 3 ცდის პირთან სულ 4 ცდაში. ე. ი. კონსტანტობის 36 ცდაში პლასტიკურ-დინამიკური განწყობის მხოლოდ 4 შემთხვევაა. სტაბილობის 11 ცდიდან 4 პლასტიკურ-დინამიკური განწყობა. და 7 ტლანქი-დინამიკური ტიპის განწყობაა. ცდის პირების ამ ჯგუფის ფიქსირებული განწყობა შემუშავებული აგზნებადობის ოპტიმუმის მიხედვით, შეიძლება კვალიფიცირებულ იქნას როგორც ტლანქი-დინამიკური განწყობა.

სტაბილობა. ცდის პირთა ეს ჯგუფი განხილული ჯგუფებისაგან გამოირჩევა სტაბილობის შედარებით მაღალი მაჩვენებლებითაც.

სტაბილობის ცდები ჩატარებული იყო ოპტიკურსა და ჰაპტურ სფეროში 1 და 5-6 დღე-ღამის ინტერვალით. ერთი დღის შემდეგ ათი ცდის პირის განწყობა მტკიცე იყო. როგორც ოპტიკურ, ისე ჰაპტურ სფეროში აღინიშნებოდა კონტრასტულ ილუზიათა დიდი რაოდენობა. ერთი ცდის პირის ფიქსირებული განწყობის სტაბილობა 1 დღე-ღამეზე ნაკლებია. განწყობის შედარებით ნაკლები სიმტკიცე გამოვლინდა ოპტიკურ სფეროში, უფრო მეტი — ჰაპტურში. ოპტიკურ სფეროში საგანწყობო ექსპოზიციებიდან სამი-ოთხი დღე-ღამის შემდეგ თითქმის საშუალო სიმტკიცის განწყობა (4-5 კონტრასტული ილუზია) გვიჩვენა 6 ცდის პირმა, 5-მა კი უფრო სუსტი (ორი ასიმილაციური ილუზიიდან 2 კონტრასტულ ილუზიამდე).

ჰაპტურ სფეროში 5-6 დღის შემდეგ 5 ცდის პირმა გამოავლინა მაღალი სიმტკიცის განწყობა (+13-დან +42-მდე), სამმა — საშუალო სიმტკიცისა (+5), ხოლო კიდევ სამმა — სუსტი ფიქსირებული განწყობა.

ჰაპტურ სფეროში განწყობას სტაბილობის ოთხ შემთხვევაში პლასტიკურ-დინამიკური ფორმა აქვს, ხოლო ოპტიკურ სფეროში სტაბილობის ცდებში ფიქსირებული განწყობა ერთადერთ შემთხვევაშია პლასტიკურ-დინამიკური. ცდის პირმა 3-მ, რომლის ფიქსირებული განწყობის სტაბილობა ოპტიკურ სფეროში ერთ დღე-ღამეზე ნაკლებია, ჰაპტურ სფეროში ერთი თვის შემდეგ გამოავლინა მტკიცე ფიქსირებული განწყობა. მისი სიმტკიცე 23 კონტრასტულ ილუზიას უდრის (კონსტანტობის ცდებში მისი ფიქსირებული განწყობის სიმტკიცის უმაღლესი მაჩვენებელია +26).

აღნიშნული ჯგუფი ოპტიკურ სფეროში ხასიათდება საშუალო სტაბილობით, ჰაპტურ სფეროში კი სტაბილობის, შეიძლება ითქვას, მაღალი ხარისხით.

განწყობის ირადიაცია. აღნიშნული ჯგუფის ცდის პირთა ფიქსირებული განწყობა გამოკვეთილად ლოკალურია. მხოლოდ სამი ცდის პირი გვიჩვენებს უსუსტეს ირადიაციას (-1 და -3 ილუზია), კონტრასტული ილუზიის გამოვლენის არც ერთ შემთხვევას არ ვხვდებით. მართალია, ირადიაციის ცდებში შემოვისაზღვრეთ ფიქსირებული განწყობის ჰაპტურ სფეროდან ოპტიკურში გავრცელების შესწავლით. პირუკუ ცდები, აგრეთვე სხვა გრძნობის ორგანოთა ურთიერთ ზეგავლენის შესწავლა შეავსებდა ჩვენს ცოდნას ამ საკითხზე და უფრო დაბეჭიბებით დასკვნის შესაძლებლობას მოგვცემდა. მაგრამ ეს მომავლის საქმეა. არსებული კონკრეტული

მასალა კი იმ შედეგს გვაძლევს, რომ ამ ჯგუფის ცდის პირებთან ჰაპტურ სფეროში ფიქსირებული განწყობა არ ვრცელდება ოპტიკურ არეში. ამიტომ მათი ფიქსირებული განწყობა ლოკალურია. სწორედ ამ ჯგუფში გვხვდება დინამიკური ტიპის ყველაზე უფრო მაღალი სიმტკიცის განწყობა. საკითხი ისმის, ხომ არაა რაიმე კავშირი ცალკეულ სფეროებში განწყობის ლოკალობასა და სიმტკიცეს შორის?

თუ ვიგულისხმებთ, რომ საერთოდ განწყობას გარკვეული ოდენობის სიმტკიცე აქვს და იგი პიროვნების არა მარტო სიღრმეში, არამედ ანალიზატორულ სფეროებზედაც ვრცელდება, მაშინ, ცხადია, რომ ადგილი ექნება განწყობის ირადიაციას და სხვა სფეროს ანალიზატორებიც ამ განწყობის შესაბამისად მოიმართებიან. შესაძლოა ამ მოვლენამ შეასუსტოს განწყობა თვით იმ ანალიზატორში, საიდანაც იგი აღმოცენდა. შესაძლებელია ეს იყოს იმის მიზეზი, რომ ფიქსირებული განწყობა მეტად მაღალი ხარისხისაა განსაკუთრებით მაშინ, როდესაც იგი ლოკალურია და მნიშვნელოვნად სუსტი სიმტკიცისაა დინამიკური ტიპის განწყობის ირადიაციის საშუალო დონის შემთხვევაში. ამის დაშვება ორი საკითხის გადაჭრის შემდეგ შეიძლება.

1) როგორ უნდა გავიგოთ მტკიცე, სტატიკური, ფართოდ ირადირებული ფიქსირებული განწყობა და 2) თუ განწყობა მთლიანპიროვნული მდგომარეობაა, მაშინ როგორ ხდება, რომ განწყობა პიროვნების გრძნობის ერთ ორგანოში მქლავდება, მეორეში კი არა? ადგილი ხომ არა აქვს პიროვნების დანაწევრებას, გაყოფას? ან იქნებ სხვა ფაქტორთან გვაქვს საქმე? პიროვნება, ცხადია, ერთია, მაგრამ მნიშვნელობა აქვს იმას, თუ როგორია მისი ფსიქიკური სტრუქტურა.

ამრიგად, ამ ჯგუფის ბავშვების ფიქსირებული განწყობა არის მტკიცე, ტლანქი-დინამიკური, ლოკალური, სტაბილური (ოპტიკურ სფეროში საშუალო და ჰაპტურში მაღალი სტაბილობის), კონსტანტური, ჰაპტურ სფეროში ადვილად აგზნებადი, ოპტიკურში კი აგზნებადობის საშუალო ხარისხისა. ამასთან მხედველობაში უნდა ვიქონიოთ, რომ აგზნებადობის ოპტიმალურ ზღურბლზე და გარდამავალ საფეხურზეც ცალკე შემთხვევაში ადგილი აქვს განწყობის პლასტიკურობის გამოვლინებას.

მეორადი კრიტიკული ცდები. ამ ჯგუფის 8 ცდის პირთან ჩატარდა მეორადი კრიტიკული ცდები. კრიტიკულ ცდებში, ტოლობის აღიარების შემდეგ, მათ ხელში ვაწოდებდით აგრეთვე ტოლს, მაგ-

რამ უფრო დიდი მოცულობის ბურთებს, ე. ი. მეორად კრიტიკულ ცდებს ვატაობდით შეცვლილ პირობებში. აღმოჩნდა, რომ 5 ცდის პირი ისევ ილუზიურ ჩვენებას იძლევა, 3 კი ადექვატურად აღიქვამს გამღიზიანებლებს. ეს გარემოება იმაზე მიუთითებს, რომ ფიქსირებული განწყობის ჩაქრობის სიღრმე ერთ შემთხვევაში (5 ცდის პირი) უმნიშვნელოა, ხოლო მეორე შემთხვევაში (3 ცდის პირი) ღრმა ხასიათისაა; პიროვნების აქტივობის განმსაზღვრელ ფაქტორად წინათ ფიქსირებული განწყობა უკვე აღარ გვევლინება. მეორად კრიტიკულ ცდებში გამოვლინებული 5 ცდის პირის ფიქსირებული განწყობა სხვადასხვა ტიპობრივადაც და სიმტკიცითაც. ერთ-ერთი ცდის პირი 17 კონტრასტულ ილუზიას გვიჩვენებს ზედიზედ და ექსპოზიციათა ამ რაოდენობით ვერ მიდის ტოლობის აღქმამდე. მეორე 18 კონტრასტული ილუზიის შემდეგ აღიარებს ტოლობას, მესამე — 15 კონტრასტული ილუზიის შემდეგ, მეოთხე — 4 კონტრასტული ილუზიის შემდეგ, ხოლო ერთი ცდის პირი ავლენს სუსტ პლასტიკურ-დინამიკურ განწყობას. იმ პირების 30 პროცენტისათვის, რომლებსაც მეორად კრიტიკულ ცდებში ფიქსირებული განწყობა აღმოაჩნდათ, დამახასიათებელია მისი ჩაქრობის ტლანქი მსვლელობა, რომლის სიმტკიცე ცალკეულ ცდის პირებთან მაღალ დონეს აღწევს.

ადვილად აგზნებადი, ტლანქი-დინამიკური, ლოკალური, სტაბილური ფიქსირებული განწყობის ცდის პირები ემოციურად ადვილად აგზნებადი არიან. მცირე საბაზიკ მათში იწვევს ემოციების მოზღვაებას, განსაკუთრებით უარყოფითი ხასიათის ემოციებისას. გრძობები დიდ სიღრმეს აღწევს. ხშირად აფექტშიც გადადის, ხოლო მისი ჩაქრობის შემდეგ დიდხანსაა შემონახული გუნება-განწყობილების სახით. ხშირად იგი პიროვნებისათვის შურისძიების წყაროსაც შეიძლება წარმოადგენდეს. დამახასიათებელია ემოციების მკვეთრი სხეულებრივი გამოსახულება, ემოციური გადაწვავილების სიმკაფრე. რასაც თან ახლავს ემოციურად უსიამოვნო გრძნობები.

ამჟამი ფიქსირებული განწყობის და მისი შესაბამისი ტემპერამენტის ცდის პირთა მოტორულ აქტივობა ადვილი აგზნებადობითა და დიდი სისწრაფითა და თანმიმდევრობით ხასიათდება. ამასთან ერთად. მოძრაობათა აქტების და ერთი აქტიდან მეორეზე გადასაცვლების სიმკვეთრე აღნიშნული ტემპერამენტის სიმპტომატური ნიშანია.

ცდის პირი პ. დ. (დაბადებული 1946 წლის 20 იანვარს) ოჯახის უმცროსი შვილია. სწავლობს მე-4 კლასში, აქვს „სამი“, „ოთხი“ და „ხუთი“. ადვილად იცის გულის მოსვლა. „სახლში სკამზე წინდები ეწყო, — მოგვითხრობს იგი, — მე იატაკზე დავყარე. ეს დაინახა ჩემმა უფროსმა ძმამ და მითხრა, აიღეო. მე არ ავიღე. ცემა მომიწოდო. მე განვრისხდი, შევეწინააღმდეგე და შევეპიდე. არ დავთმე“. ერთხელ მერვეკლასელს დ-სათვის ქუდი წაურთმევია და თანაც თავში ჩაურტყამს. ამან ძალზე განარისხა იგი. მომხდურს ფეხებში ეტაკა, ცალი ფეხი ზევით აუწია და კინალამ ძირს დასცა ამოდენა ყმაწვილი. ამ ყმაწვილს დასცინეს მაყურებლებმა. მას ამხანაგი გამოექომაგა, მაგრამ დ. იმასაც გაუმასპინძლდა, სწვდა ჯოხს და თავში ჩასცხო გამომქომაგებელს. რაკი საქმე ძალიან გართულდა, იგი გაიქცა თავისი ეზოს სიღრმეში. გაბრაზება დიდხანს არ ავიწყდება — „მინდა სამაგიერო გადაუხადო“. ამბობს დ. მაგრამ ეს მხოლოდ სიტყვიერი თქმა როდია. მან არა ერთი მაგალითი მოგვითხრო, სამაგიეროს გადახდის შემთხვევის შესახებ. თუ როგორ წარიმართა უკმაყოფილების შემდეგ ურთიერთობა მის „მოწინააღმდეგეებთან“, ამაზე არაფერს ამბობს. „მერე არც მხედებიან ისინი“, — ამბობს იგი. მართალია, ცნობიერებაში შემონახულია განცდილი უკმაყოფილების შინაარსი, მაგრამ როგორც გრძნობა. როგორც გარკვეული დამოკიდებულების განმსაზღვრელი ფაქტორი, რამდენიმე კვირის ან თვის გასვლის შემდეგ იგი უკვე არ არსებობს. ძმას ადვილად შეურიგდა (შეწინააღმდეგებისა და ჩხუბის შემდეგ) და სხვებსაც დიდხანს არ დამდურებია. მაგრამ მათგან ცუდს წოელის და ამიტომ ფრთხილობს. ექვით უყურებს. ცრემლით ტირილი განსაკუთრებულ შემთხვევაში იცის. ამხანაგებთან ჩხუბის დროს განრისხდება და თუ ვინღა გაილახოს. ცრემლი არ გადმოუვარდება. როცა ბებია მოუკვდა. მხოლოდ მაშინ იტირა ცრემლით. არ ეშინია. დამითაც თავისუფლად დადის ქუჩაში. უცხო პირებთან თავი თავისუფლად უქირავს და ადვილად ამყარებს მათთან კონტაქტს.

აღნიშნული ჯგუფისათვის დამახასიათებელია სტაბილური ფიქსირებული განწყობა. იგი უნდა გამოიხატოს დაწყებული აქტივობისა და აღმოცენებული გრძნობების განსაკუთრებულ ხანგრძლივობაში, გამძლეობაში. ამ ჯგუფში ასეთი ცდის პირები მრავალადაა. კერძოდ. ასეთია შ. ი. იგი 8 წლისა და 10 თვისაა, II კლასის მოსწავლეა. I კლასში იყო ხუთოსანი, მეორეში კი ოთხოსანია. მისი სურათი წარჩინებულთა დაფაზე იყო გამოკრული. მაგრამ ახლა

სურათი ჩამოიღეს. ამას მწვავედ განიცდის ბავშვი. გადაწყვეტილი აქვს ისევ ხუთოსანი გახდეს, რათა მისი სურათი კვლავ გამოაფინონ წარჩინებულ მოსწავლეთა დაფაზე.

მოჩუბარი ბავშვი არაა, მაგრამ დათმობაც არ იცის. უფრო სწორად, თვითონ არ გამოდის ჩხუბის წამომწყებად, მაგრამ თუ ვინმემ უმართებულოდ აწყენინა, არ აპატიებს. წელს ჩხუბი მოუვიდა მის ძმობილთან (ჯ. ა.). „ცემით არ გვიცემია, მაგრამ ერთი-მეორეს ვეტაკეთ, ხან წავაქცევდი, ხან წამაქცევდა. დაახლოებით 20 წუთს გაგრძელდა ეს ქიდაობა. ბოლოს დავიღალენით და წავედით ჩვენ-ჩვენთვის. მეორე დღეს შევერიგდით. სულ არ ახსოვს ჩხუბის შესახებ ჯ-ს. მე კი მახსოვს და თანაც გული მტკივა. ნეტავი არ მეჩხუბა. თუ ვინმე მომერია და დამჩაგრა, სულ იმაზე ვფიქრობ, ნეტავი მაგრად გამალახვია. გავიზრდები და ოდესმე მოვერევი. სანაგიეროს გადავუხდომეთქი. ვინც მეჩხუბება და მერევა, იმათ ხან გვერდს აუღელი და ხან ვსინჯავ კიდევ, იქნება მოვერიო ან გავუტოლდე“.

შ. ი. სწრაფია, მოძრავი, ახასიათებს მოტორული სფეროს ადვილი აგზნებადობა. ამ სისწრაფეს ავლენს როგორც თამაშობაში, ასევე სხვა სახის აქტივობის დროსაც.

ჰოლერიკული ტემპერამენტის II ვარიანტი (18 ცდის პირი)

ამ ჯგუფის ცდის პირებისათვის დამახასიათებელია ადვილად აგზნებადი, მტკიცე, ტლანქი-დინამიკური, კონსტანტური (ზოგიერთი ეპიზოდური გადახრებით), სუსტად ირადირებული ფიქსირებული განწყობა, რომლის სტაბილობა ოპტიკურ სფეროში სუსტი, ხოლო ჰაპტურში — საშუალო ხარისხისაა.

ფიქსირებული განწყობის თვისებების საილუსტრაციოდ მოვიტანოთ ერთ-ერთი ცდის პირის მოტორულ-ემოციური სფეროსა და მოქმედების დახასიათება.

ჯ. ა. 8,8 წლისა. სწავლობს საშუალოდ, ცელქი, მოუსვენარი, თამამი და თავშეუკავებელი ბავშვია. უძრავად გაჩერება ძალიან უჭირს, ფეხებს ინაცვლებს, მხრებს ამოძრავებს (თუ სხვაგვარი მოძრაობის საშუალება არა აქვს). მოძრაობა გამოკვეთილი და მძაფრი ხასიათისაა, უყვარს ბურთის თამაში, ლელო და სხვა მოძრავი

თამაშობანი. 'ინიციატივიანია, ბურთს ხშირად ეუფლება, ცდილობს შორს წაიღოს ან გატყორცნოს, ბევრ მოწინააღმდეგეს უსხლტება, დამხედურს რომ გვერდს ვერ აუვლის, ეჭახება, რათა წააქციოს ან განზე გააგდოს და ამგვარად მოიშოროს თავიდან. ტოლებთან თამაშში წინამძღოლობას ჩემულობს, ძახილით ამცნობს ამხანაგს, საით წაიღოს ბურთი და საით გადასცეს. თუ მისმა მხარემ ვერ გაიმარჯვა, ცუდ გუნებაზე დგება, გაჯავრებულია და სამაგიეროს გადახდას ემუქრება, თანაც მუქარაში დარწმუნებულობა იგრძნობა და არა მხოლოდ სინანული, როგორც ეს მელანქოლიკს ახასიათებს.

ბავშვის დედა ამბობს, რომ ა. ჯ. არის უაღრესად კეთილი. მაგრამ უაღრესად ნერვიული ბავშვი. თამაშის დროს ზოგჯერ ჩხუბიც მოსდის, მაგრამ მოჩხუბარი ბავშვი არაა. რამდენიმე დღის წინათ ერთ-ერთ ამხანაგთან ჩხუბი მოუვიდა, თამაშში ვერ შეთანხმდნენ. თამაშის წესის დამრღვევი ჩვენი ცდის პირი აღმოჩნდა. ამხანაგმა მიუთითა და უნდოდა იძულებით გაეკეთებინებია გარკვეული მოძრაობები. ა. არ დაემორჩილა. მაშინ მისმა ამხანაგმა ჩხუბი დაიწყო. ა. არ დაიბნა, გაბედულად შეებრძოლა, ერთმანეთს ცემა დაუწყეს. ამასობაში უფროსები მოვიდნენ და გააშველეს. ა. ამ შემთხვევას უკმაყოფილოდ იგონებს. ამხანაგს არც დამღურებია: „მცემა — ვცემე, მერე რა მოხდა, არც ერთი გალახული არ ვყოფილვართ, — ამბობს იგი, — მე მას ტოლა არაფერში დავუვადებ. მისი არ მეშინია, ვერაფერს მიზამს, მე კი ჩხუბს არ დავუწყებ, გულში წყენა მის შესახებ არ მაქვს. ერთხანს კი მწყინდა. მაგრამ ეს ერთ-ორ დღეს, მერე არა.“ როგორც ჩანს ა.-ს გრძნობების ადვილი აგზნებადობა ახასიათებს. ძლიერი და ღრმა ხასიათის გრძნობები აქვს, მაგრამ მისი დროში გამძლეობა დიდი არაა. იგი შედარებით ადვილად თავისუფლდება უარყოფითი ძლიერი გრძნობების გავლენისაგან (განსხვავებით ქოლერიკული ტემპერამენტის ძირითადი ჯგუფისაგან) და თავისუფლად ებმება ჩვეულებრივ ყოველდღიურ საქმიანობაში. შეუძლია სიძნელეების გადალახვა, გაჭირვების ატანა. განზრახ ვარჯიშობს ამ თვისების გასაძლიერებლად. დედის გადმოცემით, ბავშვი სარეცხის 20-მდე „შპილკას“ სახის სხვადასხვა ნაკვეთზე იმაგრებს და დიდხანს დადის ასე, რათა განიცადოს ფიზიკური ტანჯვა. ამ წვალებას ვაჟაკურად იტანს და „შპილკებს“ ძალით ახსნევინებენ. წყენასაც და სიხარულსაც მკვეთრად გამოხატავს, ძლიერი გრძნობების ბავშვია, მაგრამ გრძნობათა სტაბილობა ხანგრძლივი არაა.

ა. ჯ. გაბედული ბავშვია. ღამით ქუჩაში გამოსვლა თავისუფლად შეუძლია. ზოგჯერ სხვა ბავშვებთან ერთად კუყუმალობანას თამაშობს ღამით და ამ დროს შიშის განცდა სრულებით არა აქვს. ანბანაგებთან კონტაქტში ადვილად შედის. უცხო პირებთან შეხვედრისას შიშსა და სიმორცხვეს არ განიცდის, არც გაკვეთილზე დამსწრე შემპოწმებლის ეშინია. „რა უნდა მიქნას, მე რაც ვიცი იმას ვიტყვი და ისაა“; — ამბობს ა. — არც მასწავლებლის ეშინია და საერთოდ არავისი არ ეშინია“.

ჩამოთვლილი ნიშნები ქოლერიკული ტემპერამენტის ძირითადი ნიშნებია. იმ განსხვავებით, რომ ა.-ს გრძნობები დროში დიდ გამძლეობას ვერ იჩენს.

განხილული ჯგუფის ცდისპირები როგორც ფიქსირებულ განწყობის სტაბილობის, ისე გრძნობათა გამძლეობის მიხედვით, განსხვავდებიან ქოლერიკული ტემპერამენტის ძირითადი ჯგუფისაგან და ამიტომაც მიზანშეწონილად ჩავთვალეთ მათი ცალკე გამოყოფა და განხილვა.

ფლეგმატიკური ტემპერამენტი

ფიქსირებული განწყობის აკზნებადობა. ფლეგმატიკური ტემპერამენტის ცდის პირს ოპტიკურ სფეროში საგანწყობო გამლიზიანებელთა 2-5 და 10 ექსპოზიციაზე არ უმუშავდება ფიქსირებული განწყობა. ასეთივე ნდგომარეობაა 15-20 ექსპოზიციის დროსაც. უტოლო ბურთების 25-ჯერ ნიწოდებისას მას უმუშავდება სუსტი ფიქსირებული განწყობა (ერთი კონტრასტული ილუზია). ამ ცდის პირმა გამლიზიანებელთა 30 ექსპოზიციის შედეგად ორი კონტრასტული ილუზია გამოავლინა. რამდენიმე ცდის ჩატარების შემდეგ განწყობა კიდევ უფრო სუსტი გახდა და ბოლოს ბავშვი კრიტიკულ ცდებში ტოლობას აღიქვამდა თავიდანვე (თუმცა, ტოლობის აღიარების შემდეგ რამდენიმე კონტრასტულ ილუზიასაც აღნიშნავდა). მიზანშეწონილად ეცანით საგანწყობო ექსპოზიციათა რაოდენობის 40-მდე გაზრდა. ცდის პირმა ამ შემთხვევაშიც განწყობის სუსტი ფიქსაცია გვიჩვენა, მაგრამ რამდენიმე კონტრასტულ ილუზიას მაინც ავლენდა კრიტიკულ ცდებში, საგანწყობო ექსპოზიციათა რაოდენობა მეტად აღარ გაგვიდიდებია და იგი მიგვაჩნია ოპტიმალურ რაოდენობად.

ფიქსირებული განწყობის აგზნებადობა ჰაპტურ სფეროშიც დაბალია. ორ საგანწყობო ექსპოზიციაზე ილუზიური აღქმა არ ხდება, ხუთზე—მხოლოდ ერთადერთ კონტრასტულ ილუზიას გვიჩვენებს, 10 ექსპოზიციაზე — ასიმულაციურ ილუზიებს ტოლობის გამოჩენით, მხოლოდ 15 ექსპოზიციაზე უმუშავდება საშუალო სიმტკიცის (+5) ფიქსირებული განწყობა. ამ შემთხვევაში აგზნების ქვედა ზღურბლად უნდა ჩაითვალოს 5 — 10 ექსპოზიცია. ექსპოზიციათა რაოდენობა თანდათან გავზარდეთ 30-მდე, რამაც ზოგიერთ შემთხვევაში გამოიწვია განწყობის სიმტკიცის ხარისხის ზრდა. რაიმე სხვა ცვლილებას ადგილი არ ჰქონია. ოპტიმალურ რაოდენობად ჰაპტურ სფეროში უნდა ჩაითვალოს 25—30 ექსპოზიცია. ნათელია, რომ ფლეგმატიკური ტემპერამენტის ადამიანი როგორც ოპტიკურ, ასევე ჰაპტურ სფეროში ფიქსირებული განწყობის ძნელი აგზნებადობით ხასიათდება.

განწყობის ჩაქრობის მიმდინარეობა. ოპტიკურ სფეროში ფიქსირებული განწყობის აგზნებადობის ქვედა ზღურბლზე, რომელიც 25 ექსპოზიციას უდრის, ჩვენი ცდის პირის განწყობის ჩაქრობა სიტლანქით ხასიათდება. აგზნების ოპტიმალურ დონეზე განწყობის ჩაქრობა ორ შემთხვევაში ტლანქო, ხოლო ერთხელ პლასტიკურ-დინამიკური გზით მიმდინარეობდა. ოპტიკურ არეში განწყობის სიტლანქესთან ერთად ზოგჯერ თავს იჩენს პლასტიკურობაც. მაგრამ გაბატონებული მდგომარეობა მაინც სიტლანქეს უჭირავს.

ჰაპტურ სფეროში ცდის პირი 5 საგანწყობო ექსპოზიციაზე ერთ კონტრასტულ ილუზიას აღნიშნავს. ხოლო შემდეგ — ტოლობას (ასეთი ფიქსირებული განწყობა ტლანქია). 10 საგანწყობო ექსპოზიციაზე მხოლოდ ასიმულაციურ ილუზიებს და ტოლობას გვიჩვენებს, ამ ცდაში არაა კონტრასტული ილუზიის გამოვლენის არც ერთი შემთხვევა, 15-20-25 და 30 ექსპოზიციაზე კი ყოველთვის ააღენს მეტნაკლები სიმტკიცის ტლანქ-დინამიკურ განწყობას. ამრიგად, ფლეგმატიკური ტემპერამენტის ცდის პირის ფიქსირებული განწყობა ოპტიკურსა და ჰაპტურ სფეროში არის ტლანქი-დინამიკური.

განწყობის სიმტკიცე. ოპტიკურ სფეროში განწყობის აგზნებადობის მინიმალურ ზღურბლზე (გამღიზიანებელთა 25 ექსპოზიცია) განწყობის სიმტკიცე ერთი კონტრასტული ილუზიით გამოიხატება, 30 საგანწყობო ექსპოზიციაზე — 2 კონტრასტული ილუზიით, ხო-

ლო სხვა შემთხვევაში კრიტიკულ ცდებში პირველი ჩვენება ტოლობის აღიარებით იწყება და მხოლოდ შემდეგ ვლინდება რამდენიმე კონტრასტული ილუზია. ფიქსირებული განწყობის აბსოლუტური სიმტკიცის უმაღლესი ხარისხი ოპტიკურ სფეროში არის 2 კონტრასტული ილუზია. არის რამდენიმე შემთხვევა, როდესაც ცდის პირის ფიქსირებულ განწყობას სიმტკიცე სრულებით არ გააჩნია. მისი ფიქსირებული განწყობის საშუალო აბსოლუტური სიმტკიცე 0,66-ს უდრის, ე. ი. ერთ კონტრასტულ ილუზიასაც ვერ აღწევს. შეიძლება ითქვას, რომ მოცემულ პირს ოპტიკურ სფეროში ფიქსირებული განწყობის სიმტკიცის ხარისხი სრულებით არ გააჩნია. ამიტომ აღარაა საჭირო ამავე სფეროში ფიქსაციის შეფარდებით სიმტკიცეზე შევჩერდეთ.

ჰაპტურ სფეროში აგზნებადობის მინიმალურ ზღურბლზე (გამლიზიანებელთა 5 ექსპოზიცია) ფიქსირებული განწყობის აბსოლუტური სიმტკიცე უდრის 1 კონტრასტულ ილუზიას; 10 საგანწყობო ექსპოზიციაზე — 0-ს, რამდენადაც კრიტიკულ ცდებში არც ერთ კონტრასტულ ილუზიას არ გვიჩვენებს. 15 ექსპოზიციაზე სიმტკიცე = +5-ს. შემდეგ კი აგზნებადობის ოპტიმალურ დონეზე საშუალო აბსოლუტური სიმტკიცე = 6-ს, ე. ი. საშუალო სიმტკიცისაა. კონსტანტობის ცდებში აბსოლუტური სიმტკიცის მინიმალური ოდენობა უდრის 4 კონტრასტულ ილუზიას, მაქსიმალური კი — 9-ს. განწყობის საშუალო შეფარდებითი სიმტკიცე უდრის 0,2-ს (6:30). ცალკეულ შემთხვევაში შეფარდებითი სიმტკიცე დადის 0,16 და იზრდება ორჯერ (აღწევს 0,3-ს).

თუმცა ცდის პირის ფიქსირებული განწყობის აბსოლუტური სიმტკიცე ჰაპტურ სფეროში საშუალოა, მაგრამ მისი შეფარდებითი სიმტკიცე ძალიან დაბალია. ის გარემოება, თუ რამდენი შთაბეჭდილების მიღებაა საჭირო ფიქსაციის რამდენადმე მოსახდენად, უმნიშვნელო როდია.

კონსტანტობა. ჩვენი ცდის პირი ოპტიკურ სფეროში აგზნებადობის ქვედა ზღურბლზე ტლანქ-დინამიკურ განწყობას ავლენს, აგზნებადობის ოპტიმალურ ზღურბლზე კი ერთ შემთხვევაში — პლასტიკურ-დინამიკურს, ორჯერ კი ტლანქ-დინამიკურს. სტაბილობის ცდებშიც თავს იჩენს დინამიკურობის ტენდენცია. მაგრამ იქ, სადაც პლასტიკურობა ვლინდება, ასიმპლაციურ ილუზიებს ყველგან წინ უსწრებს ტოლობის აღქმა, რაც სიტლანქის მომასწავებელია. ფიქსირებული განწყობა დინამიკურია ყველა ცდაში, ხოლო დინამი-

კურობის ორი ფორმიდან რაოდენობის მიხედვით სიტლანქე გაცილებით მეტადაა წარმოდგენილი და ამიტომ უნდა ჩაითვალოს იგი განწყობის ჩაქრობის ფორმად ოპტიკურ სფეროში.

ჰაპტურ სფეროში აგზნების მინიმალურ ზღურბლზე ტლანქი-დინამიკური განწყობა გვაქვს. ათი საგანწყობო ექსპოზიციისას ასიმულაციური ილუზია და ტოლობები მონაცვლეობენ. ამ შემთხვევაში კონტრასტული ილუზია სრულებით არ გამოვლენილა. ამავე სფეროს ყველა სხვა ცდაში განწყობის ტლანქ-დინამიკურ მიმდინარეობასთან გვაქვს საქმე. ასეთივე მდგომარეობაა სტაბილობის ცდებშიც. ამიტომ ჩვენი ცდის პირის ფიქსირებული განწყობა კონსტანტურია. მისთვის დამახასიათებელია ტლანქი-დინამიკური განწყობის ფორმა ოპტიკურ და ჰაპტურ სფეროში. მისი ფიქსირებული განწყობა კონსტანტურია ინტერმოდალურადაც.

სტაბილობა. ფიქსირებული განწყობის დროში გამძლეობის ცდები ჩატარებული იყო ოპტიკურსა და ჰაპტურ სფეროებში საგანწყობო ექსპოზიციებსა და კრიტიკულ ცდებს შორის 1-5-6 დღე-ღამის ინტერვალით. ოპტიკურ სფეროში ცდის პირს ერთი დღე-ღამის სტაბილობაც არ აღმოაჩნდა, მხოლოდ ერთი საათის შემდეგ (20 საგანწყობო ექსპოზიციით) კრიტიკულ ცდებში აღნიშნა ერთი კონტრასტული ილუზია. შენდევ ორი ტოლობა, ერთიც ასიმულაციური ილუზია და შემდეგ ტოლობა საბოლოოდ. საგანწყობო ექსპოზიციებიდან ერთი დღე-ღამის გასვლია შემდეგ იგი პირდაპირ ტოლობას უჩვენებს.

ჰაპტურ სფეროში სტაბილობა უფრო ხანგრძლივი აღმოჩნდა. საგანწყობო ექსპოზიციიდან ექვსი დღის შემდეგ კრიტიკულ ცდებში გვიჩვენა ერთი კონტრასტული ილუზია და შემდეგ ტოლობის მტკიცე აღიარება. თუმცა სუსტი სიმტკიცით, მაგრამ განწყობა ჰაპტურ სფეროში 6 დღე-ღამის განმავლობაში მაინც შემოინახა.

ირადიაცია. ცდა ჩავატარეთ განწყობის ჰაპტურიდან ოპტიკურ სფეროში გავრცელებაზე. კრიტიკულ ცდებში ბავშვი თავიდანვე ტოლობას აღიარებს. ასე გავიმეორეთ რამდენიმეჯერ, მაგრამ ირადიაციის შემთხვევა არც ერთხელ არ დადასტურდა, ე. ი. ცდის პირის ფიქსირებული განწყობა არის მკვეთრად ლოკალური.

მოტანილი მასალის სუმარული ანალიზის საფუძველზე იმ დასკვნამდე მივედით, რომ ფლეგმატიკური ტემპერამენტის ცდის პირისათვის დამახასიათებელია ძნელად აგზნებადი, ტლანქი-დინამიკური, კონსტანტური, ლოკალური, ფიქსირებული განწყობა

(ობტიკურ სფეროში მისი განწყობა. სუსტია და ლაბილური, ჰაპტუ-
რში მტკიცეა, სტაბილობა კი საშუალო ხარისხისაა).

მოვითანოთ ფლეგმატიკური ტემპერამენტის ცდის პირის ქცე-
ვის და გრძნობების დახასიათების ერთი შემთხვევა:

ზ. ა. II კლასის მოსწავლე, მშობლები ჰყავს, აგრეთვე ორი
და და ერთი ძმა. იგი მეორე შვილია. ბავშვობისას ჰქონდა რაჟიტა
და სიარული დიდხანს ვერ შეძლო. სწავლობს სამებზე, საერთოდ
სწავლა უჭირს. ქართული და არითმეტიკა ეძნელება. აპათიური
და თანაც ჯიუტი ბავშვია. ზის მისთვის წყნარად, გარინდებული,
არც სხვას აწუხებს და სხვის ჩვეულებრივ ზემოქმედებაზეც რეა-
ქციას არ ავლენს. შესვენების დროს ხშირად არც კი გამოდის
საკლასო ოთახიდან, მერხიდან ადგომაც კი ეზარება. გარეგნული
ნიშნებით გაფანტული ყურადღების მქონე ბავშვის შთაბეჭდილე-
ბას ტოვებს. ხანდახან სკოლის ეზოში გამოდის და თამაშობს, თა-
მაშში სიმკვირცხლე და მოქნილობა აკლია, თუმცა მისი რეაქციები
მძლავრია, თუ თამაშში ჩაება, ძალასაც ავლენს, მაგრამ ძვრადობა
დაბალი ხარისხისაა. დიდი დაინტერესება და მონდომება სჭირია,
რათა თამაშის სისწრაფეში სხვებს გაუტოლდეს და ყოველთვის
დამარცხებული არ გამოვიდეს. თუ ინტერესი ან მონდომება აქვს;
მაშინ სხვა ამხანაგებს არ ჩამორჩება, ზოგჯერ ჯობნის კიდევ.

საშინაო დავალების შესრულება ეზარება, სწავლის ინტერესს
არ იჩენს. თავისუფალ დროს სახლში თამაშობს მეზობლის ბავშვე-
ბთან. ისეთი თამაში უყვარს, რომელსაც დაუფლებული და შეჩვე-
ულია. იცის, როგორ შეასრულოს საყვარელი თამაშისათვის საჭი-
რო მოძრაობები. ახალი სახის თამაშში ჩაბმა უჭირს, შეცდომებს
უშვებს. მოძრაობები ტლანქია, შემდეგ თანდათან ებმება და კარგა-
დაც თამაშობს.

ახალი სიტუაციის და ჩვეულებრივი ინტენსიობის გამღიზიანე-
ბლების მოქმედების ასახვა უჭირს, ცნობიერების გააქტივება მის-
თვის დიდ სიძნელეებთანაა დაკავშირებული. იგი აღქმის სუბი-
ექტურ ტიპს უფრო მიეკუთვნება. როდესაც ახალ, მისთვის უცნობ
ტექსტს კითხულობს (ჩვენი დავალებით), სიტყვებს დამახინჯებუ-
ლად გამოთქვამს. ტექსტს (სიტყვებს) კითხვის პროცესშივე გარდა-
ქმნის, კითხულობს არაადექვატურად. ხასიათდება ძნელი ძვრადო-
ბით. უჭირს მასალის გაცნობიერება, ხოლო რაც მტკიცედ აღებეჭ-
დება ცნობიერებაში, მისი შეცვლა და ახლის ადექვატური ასახვა
ძალიან უჭირს. თუ ფიქსაცია დიდ სიმტკიცეს აღწევს, იგი დიდხანს
ვერ თავისუფლდება ილუზიებისაგან. თუ რაიმე კარგად დაისწა-

ვლა (შეიძლება შეცდომითაც), დიდხანს ახსოვს, მაგრამ კარგად დასწავლა, შთაბეჭდილებათა ფიქსაცია ეძნელება. მტკიცე შთაბეჭდილების შექმნა ძნელია სუბიექტის დაბალი აგზნებადობის გამო (განწყობის სუბიექტური ფაქტორი სუსტია). მაგრამ თუ კი მოხერხდა შთაბეჭდილების განმტკიცება მრავალი განმეორებით ანდა პიროვნების მოთხოვნილებათა გაძლიერებით, აგრეთვე გარეგანი სტიმულით და სხვა, შემდეგ მისი შეცვლა გაძნელებულია.

ა. ზ-ს ასეთი მოქმედება სავსებით შეესაბამება მისი ფიქსირებული განწყობის თვისებებს: განწყობის აღმოცენების, გამძლეობის, სიმტკიცისა და გადანაცვლების ნიშნებს. როგორც უკვე ვთქვით, ა. ზ-ს ფიქსირებული განწყობა არის ძნელად აგზნებადი. ტლანქი-დინამიკური. კონსტანტური, ლოკალური ფიქსირებული განწყობა.

მელანქოლიკური ტემპერამენტი

ერთ-ერთი ჭგუფის ცდის პირები აქტივობის განწყობისეულიმპულსურ დონეზე მეტისმეტ ინერტულობას იჩენენ. მათი ფიქსირებული განწყობა პაპტურ და ოპტიკურ სფეროში სტატიკურია. სტატიკური ფიქსირებული განწყობის ბავშვების ტემპერამენტი წარმოადგენს ნორმალური ტემპერამენტიდან უკიდურეს გადახრას. ეს გარემოება კიდევ უფრო საინტერესოს ხდის ამ ტიპის ბავშვების ფიქსირებული განწყობისა და ტემპერამენტის შესწავლას. სტატიკური ფიქსირებული განწყობის შესაბამისი ტემპერამენტის მრავალი ვარიანტია შესაძლებელი როგორც თეორიულად, ისე პრაქტიკულადაც. მაგრამ ჩვენს ექსპერიმენტებში ცდის პირთა განწყობისეული თვისებების მეტ-ნაკლები განსხვავებულობის ნიადაგზე ორი ვარიანტი გამოვლინდა.

მელანქოლიკური ტემპერამენტის I ვარიანტი

(6 ცდის პირი)

ფიქსირებული განწყობის აგზნებადობა. ამ ჭგუფის ცდის პირთა ფიქსირებული განწყობა ოპტიკურ სფეროში ადვილად აგზნებადი. ორ საგანწყობო ექსპოზიციასზე ხდება ყველა ცდის პირთა განწყობის მეტ-ნაკლები ფიქსაცია. აგზნების ოპტიმუმი სამი ცდის-

პირისათვის 5 საგანწყობო ექსპოზიციაა, მეორე სამისათვის კი — 10 (ერთ ცდის პირს 10 საგანწყობო ექსპოზიციის შემდეგ 15-ჯერ მივაწოდეთ უტოლო წრეები ტაქისტოსკოპურად, მაგრამ კრიტიკულ ცდებში თითქმის იგივე შედეგი მივიღეთ. ამიტომ მისი აგზნების ოპტიმუმად 10 ექსპოზიცია მიგვაჩნია, თუმცა კონსტანტობის რამდენიმე ცდა 15 ექსპოზიციით ჩავატარეთ). ჭგუფი ფიქსირებული განწყობის ადვილი აგზნებადობით ხასიათდება პაპტურ სფეროში. გამლიზიანებელთა ორი ექსპოზიცია ყველა ცდის პირთან სავსებით საკმარისია განწყობის აღმოცენებისათვის. ოპტიმალური აგზნების მიხედვით ჭგუფი ორად იყოფა, ისე როგორც ოპტიკურ სფეროში. სამი ცდის პირისათვის ოპტიმუმს წარმოადგენს გამლიზიანებელთა 5 ექსპოზიცია. მეორე სამისათვის — 10. ამრიგად, ამ ჭგუფის ცდის პირთა ფიქსირებული განწყობა ოპტიკურსა და პაპტურ სფეროში ადვილად აგზნებადია, ხოლო აგზნებადობის ოპტიმალური ზღურბლი — საკმაოდ დაბალი.

ფიქსირებული განწყობის ჩაქრობის მიმდინარეობა. მელანქოლიკური ტემპერამენტის ბავშვების ურთიერთობა გარემოსთან გენოკვეთილი თავიანებებულებით ხასიათდება ფიქსირებული განწყობის თავისებურებია გამო.

ამ ჭგუფის ცდის პირთა ფიქსირებული განწყობა სტატიკურია. ე. ი. ინერტული. იგი თავის გაბატონებულ მდგომარეობას ინარჩუნებს მრავალრიცხოვან კრიტიკულ ცდებში და ადვილს არ უთნობს ადექვატურ განწყობას. ოპტიკურ სფეროში ფიქსირებული განწყობის აგზნებადობის მინიმალურ ზღურბლზე ჩაქრობა და ადექვატური განწყობის აღმოცენება დასტურდება სამ ცდის პირთან (50 %), ტლანქი-სტატიკური განწყობისა — ერთთან და პლასტიკურ-სტატიკურისა — 2 ცდის პირთან. აგზნების მინიმალურ ზღურბლს გარდა, ოპტიმალური აგზნების წინა საფეხურზე ორ ცდის პირთან კიდევ ვხვდებთ ტლანქი-დინამიკური განწყობა, ხოლო ყველა სხვა შემთხვევაში, მათ შორის აგზნების ოპტიმალურ დონეზე. ფიქსირებული განწყობა სტატიკურია. პაპტურ სფეროში ფიქსირებული განწყობა, მისი მინიმალური აგზნებადობისას, დინამიკურია (ტლანქი-დინამიკური) ორ ცდის პირთან, 4-თან კი — სტატიკური. ამას გარდა, ოპტიმალური აგზნების წინა საფეხურზე ერთ-ერთ ცდის პირთან კიდევ ვხვდებით ერთადერთ ტლანქი-დინამიკურ განწყობას, დანარჩენ ცდებში ფიქსირებული განწყობა სტა-

ტიკურია მისი გამოვლენის ორი ფორმით (ტლანქი და პლასტიკური).

განწყობის ოპტიმალური აგზნების ცდებში ოპტიკურ სფეროში ჩატარებული 22 ცდიდან პლასტიკურ-სტატიკურია 6. ტლანქი-სტატიკური — 16, ჰაპტურ სფეროში ჩატარებული 23 ცდიდან პლასტიკურ-სტატიკურია 13, ტლანქი-სტატიკური — 10. სავსებით ერთგვაროვანი სტატიკური განწყობა ორივე სფეროში არც ერთ ცდის პირთან არაა დადასტურებული. შეგარძნებათა ცალკეულ სფეროში ვხვდებით ერთგვაროვნობის მცირე შემთხვევებს: პლასტიკურ-სტატიკურ განწყობას ჰაპტურ სფეროში — ერთ ცდის პირთან, ტლანქ-სტატიკურს ოპტიკურ სფეროში — 2 ცდის პირთან. ყველა სხვა შემთხვევაში პლასტიკურ-სტატიკური და ტლანქი-სტატიკური განწყობის ნარევთან გვაქვს საქმე, ე. ი. ჩვენს ექსპერიმენტებში არა გვყავს ერთი სახის სტატიკური განწყობის ცდის პირები. მაგრამ თუ მოვლენის არსს ჩაუვუკვირდებით, ნათელი იქნება, რომ ტემპერამენტისეული ნიშნების მიხედვით რამდენადმე მნიშვნელოვანი განსხვავება არ უნდა იყოს ტლანქი-სტატიკური და პლასტიკურ-სტატიკური განწყობის ცდის პირებს შორის. რამდენადაც მათთვის ძირითადად დამახასიათებელია ფიქსაციის ჰარბი სიმტკიცე. ილუზიურ აღქმათა „დაუსრულებლად“ გაბატონებული მდგომარეობა. ადექვატური აღქმის მიუღწევლობა. პლასტიკურ-სტატიკური განწყობისას ადგილი აქვს ერთგვარ გადანაცვლებას. კონტრასტული ილუზიებიდან ასიმილაციურზე გადასვლას (და პირიქითაც). მაგრამ ასეთი „ძვრადობა“ ახალს არაფერს არ გვაუწყებს. ცდის პირი მაინც ხანგრძლივად იმყოფება ფიქსირებული განწყობის გავლენის ქვეშ, თუმცა ზგი გამოიხატება ასიმილაციით და არა კონტრასტული ილუზიით. დინამიკურობა აღკვეთილია როგორც ტლანქი. ასევე პლასტიკურ-სტატიკური განწყობის დროს. სტატიკური განწყობის სიტლანქეს ან პლასტიკურობას შეიძლება მნიშვნელობა ჰქონდეს მხოლოდ განწყობის სიმტკიცის ხარისხისათვის (სიმტკიცის თანამედროვე აღიარებული გაგებით). სტატიკური განწყობა ტლანქი იქნება თუ პლასტიკური, ამას არსებითი მნიშვნელობა არ უნდა ჰქონდეს გარემოსთან სუბიექტის ურთიერთობისათვის. ვინაიდან ვერც ერთ შემთხვევაში ვერ ახერხებს ადექვატურ ასახვას.

განსახილველი ჯგუფის ცდის პირების ფიქსირებული განწყობა ძირითადად კონსტანტურია. მათთვის დამახასიათებელია სტატიკური ფიქსირებული განწყობა ორივე სახით — სიტლანქით და

პლასტიკურობით. მაგრამ გვხვდება დინამიკური განწყობის ეპიზოდური გამოვლენაც. ეს გარემოება მხედველობაში უნდა მივიღოთ სტატიკური განწყობის შესატყვისი ტემპერამენტის ადამიანებთან ურთიერთობის დროს.

განწყობის სიმტკიცე. ოპტიკურ სფეროში აღნიშნული ჯგუფის ბავშვების ფიქსირებული განწყობის საშუალო აბსოლუტური სიმტკიცე უდრის 40 კონტრასტულ ილუზიას (ცალკეულ ცდის პირთან მინიმალურია 17 და მაქსიმალური 55 კონტრასტული ილუზია). არის ერთეული შემთხვევები, როცა ცდის პირის განწყობის სიმტკიცე ნოლამდე ეცემა, კრიტიკულ ცდებში ჩვენებას ასიმილაციური ილუზიების გამოვლენით იწყებს, მაგრამ ტოლობას მაინც ვერასდროს ვერ აღასტურებს. მაქსიმალური სიმტკიცე გამოიბატება 65 კონტრასტული ილუზიით. განწყობის საშუალო შეფარდებითი სიმტკიცე ბავშვთა ამ ჯგუფისათვის უდრის 5-ს, ჯგუფში საშუალო შეფარდებითი სიმტკიცის მინიმუმი = 2-ს, მაქსიმუმი -- 11-ს. ოპტიკურ სფეროში ფიქსირებული განწყობა ზემტკიცეა (როგორც აბსოლუტური. ასევე შეფარდებითი).

ჰაპტურ სფეროში საშუალო აბსოლუტური სიმტკიცე უდრის 46 კონტრასტულ ილუზიას. ამ ჯგუფის წევრთა მინიმალური აბსოლუტური სიმტკიცე 23, მაქსიმალური—68 კონტრასტული ილუზიაა. სხვადასხვა ცდაში აბსოლუტური სიმტკიცე მერყეობს 2 და 113 კონტრასტულ ილუზიას შორის. ჯგუფის საშუალო შეფარდებითი სიმტკიცე უდრის 6-ს, საშუალო მინიმალური — 3,4, მაქსიმალური — 13,5-ს. ცალკეული ცდების მიხედვით მინიმალური სიმტკიცე არის 0,1, მაქსიმალური = 22,5. ჯგუფში გაერთიანებული ცდის პირების ფიქსირებული განწყობა ოპტიკურსა და ჰაპტურ სფეროებში ზემტკიცეა. მაგრამ, მიუხედავად ამისა, ერთეულ შემთხვევებში ვხვდებით სიმტკიცის ხარისხის მკვეთრ დაქვეითებას, მის ნოლამდე დასვლასაც კი. ეს იმაზე მიუთითებს, რომ განწყობის მყარ სიმტკიცესთან ყოველთვის არა გვაქვს საქმე, და, შესაძლებელია. სიმტკიცე ცალკეულ შემთხვევებში ცვალებადი, მერყევი იყოს.

სტაბილობა. ოპტიკურ სფეროში სტაბილობა შემოწმდა საგანწყობო ცდებიდან 1 და 4-5 დღე-ღამის გასვლის შემდეგ. ერთი დღე-ღამის შემდეგ ყველა ცდის პირს აღმოაჩნდა მტკიცე. სტატიკური ფიქსირებული განწყობა. 4-5 დღე-ღამის შემდეგაც კრიტიკულ ცდებში ყველა ცდის პირი გვიჩვენებს ფიქსირებულ განწყობას, მაგრამ ორი ცდის პირი ასიმილაციურ ილუზიებს ამჟღავნებს

და ტოლი ობიექტების ათეულჯერ მიწოდების შემდეგაც ვერ თავისუფლდება ასიმილაციური ილუზიებისაგან. მაგრამ განწყობის ტიპის დადგენისათვის ამ შემთხვევაში საგულისხმოა ის ფაქტი, რომ ორივე ცდის პირი ოპტიკურ სფეროში ასიმეტრიულია და ძნელი გასარკვევია — კრიტიკული ცდების ჩვენს ექსპერიმენტებში ასიმილაციური ილუზიებია ფიქსირებული, განწყობის მოქმედების შედეგია იგი. თუ ასიმეტრიის გამოვლინება. ამიტომ ამ ორი ცდის პირის განწყობას პირობითად ვთვლით სტაბილურად. დანარჩენი 4 ცდის პირის ფიქსირებული განწყობა 5 დღე-ღამის შემდეგ გამოკვეთილად ვლინდება კრიტიკულ ცდებში $+15+20+45$ ილუზიის სახით. რომელთა შორის მნიშვნელოვანი ნაწილი, ზოგ ცდაში კი მთლიანადაც, კონტრასტული ილუზიაა. ხოლო ტოლობა არც ერთ შემთხვევაში არ ვლინდება.

ჰაპტურ სფეროში ერთი დღე-ღამის შემდეგ ყველა ცდის პირს (6 ცდის პირი) აღმოაჩნდა მტკიცე სტატიკური ფიქსირებული განწყობა. საგანწყობო ექსპოზიციებიდან 5-6 დღე-ღამის გასვლის შემდეგ ყველა ცდის პირი აგრეთვე ავლენს სტატიკურ ფიქსირებულ განწყობას. ამათგან მტკიცე არის 3. შედარებით სუსტი, პირველადი კონტრასტული ილუზიების 3-4 ოდენობით — 2, ერთიც, ფუმკა ტოლობის ჩვენებას იწყებს, მაგრამ შემდეგ ზედიზედ 6 კონტრასტულ ილუზიას აღიარებს. ამრიგად, განსახილველი ჯგუფის ფიქსირებული განწყობა ოპტიკურსა და ჰაპტურ სფეროში სტაბილურია (შეიძლება ითქვას მტკიცე სტაბილური).

ირადიაცია. ჩვეულებრივ, ირადიაციის ცდის ჩატარება არავითარ სიძნელეს არ წარმოადგენს. მაგრამ სტატიკური განწყობის სუბიექტებთან საქმე იმითაა გართულებული, რომ ილუზიები ორივე შესასწავლ სფეროში ჰარბ სიმტკიცეს იჩენენ და ამიტომ განწყობის ერთი სფეროდან მეორეში გავრცელების გარეშეც თითოეულ მათგანში უკვე არსებობს განწყობა. ამიტომ ჩვენ სტაბილობის ცდებში ცდის პირებს მრავალ ათეულჯერ ვაწოდებდით ტოლი ობიექტებს, რომლის ზემოქმედებას უნდა შეესუსტებინა ფიქსირებული განწყობა. განწყობის სიმტკიცეზე უთუოდ უარყოფითად მოქმედებს დროის ფაქტორი (თუ სუბიექტზე არ მოქმედებს ფიქსირებული განწყობის მსგავსი სიტუაცია). აღნიშნული გარემოების გამო ირადიაციის ცდები ჩავატარეთ სტაბილობის ცდებიდან 1-1.5 თვის გასვლის შემდეგ. ფიქსირებული განწყობის გავრცელება ჰაპტურიდან ოპტიკურ სფეროში დადასტურდა ყველა ცდის პირთან. ამასთან ირადირებული განწყობა მტკიცე იყო. (პირველად

კონტრასტული ილუზია 5-ზე მეტია). ეს ფაქტი იმაზე მიუთითებს, რომ სტატიკური ფიქსირებული განწყობა ამ ჯგუფის ცდის პირებთან ფართოდ და მტკიცედ ირადირებულა.

განსახილველი ჯგუფი შეიძლება დახასიათდეს ოპტიკურსა და ჰაპტურ სფეროებში როგორც ადვილად აგზნებადი, ზემტკიცე, სტატიკური, კონსტანტური, სტაბილური, ფართოდ ირადირებული ფიქსირებული განწყობის ცდის პირები, ფიქსირებული განწყობის აღნიშნული ნიშნები კი მელანქოლიკური ტემპერამენტის თვისებათა გამოვლენად უნდა ჩაითვალოს.

იმის საილუსტრაციოდ, რომ აღნიშნული ჯგუფის ცდის პირები მელანქოლიკურ ტემპერამენტს მიეკუთვნებიან, მოვიტანთ ერთ-ერთი ცდის პირის ემოციური და მოტორული სფეროს დახასიათებას.

ცდის პირი დ. ნ. 8 წლის გოგონაა, 11 კლასის მოსწავლე. აკადემიურად ასწრებს, ზოგიერთ საგანში 4 და 5-ც აქვს მიღებული. უყვარს თამაში. სკოლიდან რომ მოვა, თუ მშობლები სახლში არ დახვდა, მაშინვე სათამაშოდ მირბის მეზობელ გოგონებთან. სახლში და მეზობელ გოგონებთან ცელქობს და მოუსვენარია. მაგრამ თუ უცხო პირი ჩაერია თამაშში, არ სიამოვნებს და შებოკილობას, უხერხულობას გრძნობს. ერთხელ მეზობელ გოგონას სოფლიდან ნათესავი ბავშვი ესტუმრა. ეს არ იცოდა ნ-მ. გამოვიდა ეზოში და ამხანაგი გამოიწვია სათამაშოდ. მაგრამ მისი ამხანაგი გოგონა რომ სტუმართან ერთად გამოვიდა, ნ-ს შერცხვა, ეუხერხულა და მოიმიწეზა სახლში რალაც საქმე მაქვსო. იგი წავიდა და იმ დღეს სულ აღარ მოსულა. საერთოდ მორცხვი ბავშვია, განსაკუთრებით მაშინ, თუ სტუმრადაა. უცხო და შეუჩვეველ ადამიანებთან წითლდება, მოკრძალებულია, ძლივსძლივობით იძლევა პასუხს. ზოგჯერ აჩქარებით, ზოგჯერ კი შეფერხებით. ძნელად ეგუება ახალ პირობებს, ახასიათებს ლოდინი. უცხო სიტუაციაში სხვების პასიურად მიმყოფია. აქვს უკმარობისა და უსიამოვნების განცდა. ერთ-ერთ გაკვეთილს ესწრებოდა განათლების სამინისტროს მუშაკი. მასწავლებელს ნ-სათვის გაკვეთილი არ უკითხავს. მაგრამ რომ ეკითხა, საეჭვოა, უპასუხებდა თუ არა იმას, რაც მან ნამდვილად და კარგად იცოდა. გაკვეთილის გამოსვლის შემდეგ იგი ამბობდა. რომ დამსწრე პირის მრცხვენოდა. ვაითუ მასწავლებელმა მკითხოს და კარგად ვერ ვუპასუხო-თქო. მთელი გულისყური იქეთკენ მქონდა მოპყრობილიო.

ამხანაგებთან ჩხუბი არ იცის, მაგრამ მისი ამხანაგი გოგონები ზოგჯერ ეჩხუბებიან, თანაც ოროსანს ეძახიან. ნ. მაშინვე გაიქცევა სახლში, ჩაიკეტავს კარსა და ფანჯარას. მოჩხუბარ გოგონებს აქტიურ წინააღმდეგობას ვერ უწევს, პასიურ თავდაცვას მიმართავს. ამ ნიადაგზე აღმოცენდება უსიამოვნების გრძნობა, რომელიც ღრმა და ხანგრძლივია. ტირის, თავდახრილია, სახეზე ხელები აქვს მიფარებული. მოჩხუბარი გოგონების მისამართით გამოკვეთილად არა იერს ამბობს. მხოლოდ აღნიშნავს, რომ ისინი უსამართლოდ მოექცნენ მას. იგი არაფერ შუაში იყო და სხვა.

გულჩათხრობილია. სინანულსაც და სიხარულსაც ძნელად უზიარებს მშობლებს, ამხანაგებს, მახლობლებს. სხვის შესახებ თუ რაიმე ჰკითხე, არაფერს არ ამბობს, არ ვიცო, გიპასუხებს. კონფლიქტურია. შიგნით ჩაკეტილია, საერთოდ გრძნობების გამომქვანება უჭირს. მისი მოძრაობა ნელია. დუნე, გარეგნულად მშვიდის შთაბეჭდილებას ტოვებს. მაგრამ არსებითად ძლიერი განცდების პიროვნებაა, ხოლო ამ განცდების გამოსახვა და საერთო აქტივობა სუსტია.

მელანქოლიკური ტემპერამენტის II ვარიანტი (3 ტლის პირი)

ბავშვთა ამ ჯგუფის ფიქსირებული განწყობა არის ოპტიკურ სფეროში საშუალო, პაპტურში კი ადვილად აგზნებადი, ზემტკიცე. სტატიკური, კონსტანტური, სტაბილური, მტკიცედ ირადირებული.

ფიქსირებული განწყობის განხილული ფორმალური თვისებების საცხოვრებო პირობებში განოვლენის ნათელსაყოფად დაეახსიათოთ ერთი ცდის პირი.

ს. თ. 8 წლისა და 11 თვის ბიჭუნაა. მოშიშარი ბავშვია. ღამით ბნელ ეზოში მარტო გამოსვლისა ეშინია. ბნელ ოთახში დარჩენაც არ შეუძლია. ერთხელ ეზოში ღამით გამოსვლა დააპირა. მაგრამ უმალვე შევარდა ოთახში. ბავშვი შეშინებული იყო. მის გულს ბაგა-ბუგი გაჰქონდა, სუნთქვა აჩქარებული ჰქონდა. მორცხვი და მორიდებულია. განსაკუთრებით. უცხო პირებთან. თუ არ შეეჩვია, ისე ამხანაგებთან ვერ ითამაშებს. სხვებთან კონტაქტში ძნელად შედის. ჩხუბს თვითონ არ დაიწყებს, საწყენს გულში ინახავს. ბოლმა აესებს. მაგრამ აქტივობას მაინც ვერ იჩენს. არა აქვს აგრესიულობის ტენდენცია. იმ შემთხვევაში თუ მის მიმართ რომელიმე

ამხანაგმა ძალა გამოიყენა, მაშინ ახერხებს შეწინააღმდეგებას და სათანადო პასუხს აძლევს მოძალადეს. „ერთხელ ჩემმა ამხანაგმა ტ. მ., — მოგვითხრობს თ., — ჩემს რეველში შენიშნა, რომ დაკალება სწორად არ მქონდა შესრულებული. ეს მასწავლებელს უთხრა. მასწავლებელმა კი იცოდა, რომ მე შეცდომა დავეუშვი აძოცანის გადაწყვეტაში, მაგრამ ამხანაგისაგან ასეთი დასმენა ძალიან შეწყინა და გაკვეთილის გამოსვლის შემდეგ საყვედური ვუთხარი, როგორ დამსმინე, ეს რა ამხანაგობაა, მასწავლებელი უშენოდაც კარგად შენიშნავს შეცდომას-თქო. ტ-მ დამიწყო ჩხუბი და გალახვაც მომინდომა, მე უკან არ დავიხიე, თუმცა პირველად წამაბორძიკა, მაგრამ მალე მოვიკრიბე ძალა და შევეუტიე. მოვერიე. წავაქციე. გულზე დავაჭექი, ჭავრი ვიყარე. შემდეგ აღარ მეჩხუბებია“. თ-ს ახასიათებს ჭიუტობა. თავისი სურვილის საწინააღმდეგო მოქმედების შესრულება ძალიან უჭირს. ცდილობს მოქმედების აღებუ-ლი გეზი შეინარჩუნოს, ჩვეული მოქმედება შეასრულოს. მშობლები: მოთხოვნებს ნაძალადევად ასრულებს, შინაგან წინააღმდეგობას გრძნობს, ხშირად თითქოს უყურადღებობას იჩენს, თითქოს არ ეს-მის დედ-მამის და უფროსების ბრძანება, მოთხოვნა. მაგრამ შემდეგ იძულებულია ანგარიში გაუწიოს მათ და შესაბამისი მოქმედება შეასრულოს. მასწავლებლის ერიდება, მაგრამ მის მოთხოვნებს ხალხით არ ასრულებს; მისი მოძრაობები ნელია, შეკავებული, დუნე. იგი შინაგანად კონფლიქტურია. ახასიათებს უსიამოვნო გრძნობები, უკმარობის განცდა. აკლია სიმხნევე. დარწმუნებულობა თავის ძალებში. მაგრამ კრიტიკულ მომენტში. როცა მის მიმართ ძალას იყენებენ, იძულებულია ძალითვე უპასუხოს და ერთგვარ წარმატებასაც აღწევს. აქტიური თავდაცვის უნარი აქვს, წინააღმდეგობას უწევს მოძალადეს, ზოგჯერ ჭიუტობასაც იჩენს. ეს ცდის პირი ამ თვისებებით განსხვავდება მელანქოლიკური ტემპერამენტის I ვარიანტის ცდის პირებისაგან.

დ ა ს კ ე ნ ა

განხილული ექსპერიმენტული მასალის საფუძველზე შემდეგი დასკვნა შეიძლება გამოვიტანოთ:

1. არსებობს ბავშვთა (აგრეთვე მოზრდილთა) სხვადასხვა ტემპერამენტი, რომლებიც 5 მთავარ ჯგუფად შეიძლება დაიყოს.

1) ცენტრალური (ნორმალური, პარმონიული) ტემპერამენტი.

2) სანგვინიკური ტემპერამენტი.

3) ქოლერიკული ტემპერამენტი.

4) ფლეგმატიკური ტემპერამენტი.

5) მელანქოლიკური ტემპერამენტი.

ჩვენი აზრით, ძირითად ტემპერამენტად ცენტრალური, პარმონიული ტემპერამენტი უნდა ჩაითვალოს. ხოლო დანარჩენი დასახელებული ტემპერამენტები და მათი ვარიაციები, რომელთა შეტანა საკლასიფიკაციო ცხრილში არაა აუცილებელი. წარმოადგენს მისგან მეტ-ნაკლებ გადახრას.

გარდა წმინდა ტემპერამენტებისა, გვხვდება ნაწარმოები ტემპერამენტები, რომლებიც ორ ძირითად ჯგუფად იყოფიან:

ა) როდესაც ბავშვები ერთდროულად ემოციური და მოტორული გამოვლენის სფეროებში ორი ან მეტი ტემპერამენტის თვისებას ამჟღავნებენ.

ბ) როდესაც მოცემულ მომენტში ბავშვის ტემპერამენტის ტიპი ერთია. მაგრამ დროში ცვალებადია. სხვადასხვა დროს სხვადასხვა ტემპერამენტის თვისებებს ავლენს.

2. უმცროსი სასკოლო ასაკის ბავშვების ფიქსირებული განწყობის ტიპებსა და ტემპერამენტის ტიპებს შორის გარკვეული კანონზომიერი დამოკიდებულებაა, არსებითი კავშირია; ტემპერამენტის ფსიქიკური თვისებები ფიქსირებული განწყობის განსაზღვრული ტიპის თვისებებში ვლინდება. ფიქსირებული განწყობის აღმოცენებისა და მიმდინარეობის თავისებურებანი შესაბამისი ტემპერამენტის ინდიკატორია.

ჩვენს გამოკვლევაში ფიქსირებული განწყობის ტიპებსა და ტემპერამენტის ტიპებს შორის ურთიერთდამოკიდებულება შემდეგნაირად გამოიხატა:

ა) ადვილად აგზნებადი, მტკიცე (საშუალო სიმტკიცე) პლასტიკურ-დინამიკური. კონსტანტური, სტაბილური, ირადირებული ფიქსირებული განწყობის შესატყვისია ცენტრალური (ნორმალური) ტემპერამენტი. ამ ტემპერამენტის ბავშვების ემოციურ-მოტორული სფეროსა და ფიქსირებული განწყობის აღმოცენებისა და მიმდინარეობის დახასიათებანი შეესაბამებიან ერთიმეორეს. კერძოდ, ამ ტემპერამენტის ადამიანებისათვის დამახასიათებელია ფიქსირებული განწყობის ადვილი აღმოცენება. გამლიზიანებელთა მოქმედება ადვილად იწვევს სუბიექტში განწყობის აღმოცენებასა და ფიქსაციას. მისი აგზნებადობის ზღურბლი დაბალია. ფიქსირებული განწყობის აგზნებადობის მინიმალურ ზღურბლზე პიროვნების აქტივობის მიმართულების განსაზღვრულობა სუსტია. რადგან ფიქსირებული განწყობაც სუსტია. სისტემატურად მოქმედ გამლიზიანებლებს მალე უთმობს ადგილს წინათ შემუშავებული განწყობა.

ფიქსირებული განწყობის აგზნების ოპტიმალური დონე დაბალია როგორც ჰაპტურ. ასევე ოპტიკურ სფეროში. გამლიზიანებელთა 5-10 ექსპოზიცია მტკიცე განწყობის შემუშავებას იწვევს. ფსიქიკური აქტივობის მიმართულება მტკიცეა და განსაზღვრული არა მარტო მოცემულ მომენტში, არამედ მომავლისთვისაც. იგი დროში გამძლეა. მაგრამ განწყობის სიმტკიცე და დროში გამძლეობა აბსოლუტური არაა. ახალი გამლიზიანებლებისა და დროის ზემოქმედების შედეგად განწყობა იცვლება. იგი დინამიკური ხასიათისაა. ნორმალური ტემპერამენტის ბავშვების ფიქსირებულ განწყობა დინამიკურობასთან ერთად პლასტიკურიცაა. სუბიექტის ფიქსირებული განწყობა ერთბაშად, უცაბედად, ტლანქად კი არ იცვლება. არამედ თანდათანობით, პლასტიკურად, შედარებით „უმტკიცუნელო“ შესუსტების გზით და ბოლოს ადგილს უთმობს ახალი სიტუაციის შესაბამის განწყობას.

ფიქსირებული განწყობის ისეთი თვისებების მეშვეობით, როგორცაა სიმტკიცე და დროში გამძლეობა, სუბიექტი უპირისპირდება ობიექტურ სინამდვილეს. ცხოველებთან ეს დაპირისპირება ობიექტური ხასიათისაა. ადამიანებთან კი იგი სუბიექტურობის ბუნებას იძენს. სინამდვილისადმი ობიექტური დაპირისპირების განვითარება-გაძლიერებაში უნდა ვეძიოთ ბუნებაზე ადამიანის უკუზემოქმედების საწყისი და საფუძველი.

მტკიცე განწყობის პიროვნებას გააჩნია თავისი მეობა, იგი

გარეგანი მოვლენების სათამაშო როლია. მაგრამ ობიექტური გარემო ცვალებადია. ხოლო იმპულსური ფსიქიკური აქტივობის საფუნდურზე არც ცხოველს და არც ადამიანს არ შეუძლია გარემოს გარდაქმნა. ამ შემთხვევაში საჭიროა მოცემულის რეალური ასახვა და მის შესაბამისად მოქმედება. წარსულ შთაბეჭდილებათა აღკვეთა და აღექვატური განწყობის შემუშავება ხდება ფიქსირებული განწყობის ჩაქრობის გზით. ფიქსირებული განწყობა დინამიკურია. ამ ჯგუფის ბავშვების ფსიქიკური აქტივობა მიმართულებას იცვლის, მისი შინაარსი სხვა ხდება. ამ შემთხვევაში ჩვენ ის კი არ გვაინტერესებს. თუ რომელი შინაარსი რომელს ცვლის (ვიციტ, რომ ილუზიური უნდა შეცვალოს აღექვატურმა შინაარსმა). არამედ ის, თუ როგორ ხდება მათი შეცვლა. ნორმალური ტემპერამენტის ყველა ცდის პირთან დასტურდება სიტუაციის შეუსაბამო ფიქსირებული განწყობის დაძლევა და აღექვატურის დამკვიდრება. ექსპერიმენტის პირობებში ეს პროცესი მიმდინარეობს თანდათანობით. ილუზიების სიმტკიცის ნელი კლებით და აღექვატურობის გაძლიერებით. მკვეთრად შეცვლილ პირობებში ცდის პირთა ასახვითი მოქმედება განიცდის თანდათანობით რყევას კონტრასტული და ასიმბალური ილუზიების მონაცვლეობის სახით. რომელიც ბოლოს სრულდება გამაღიანებლების სწორი აღქმით. შემდეგ ხდება აღექვატური განწყობის გამოვლინება.

ასეთი ტემპერამენტის ცდის პირების ქცევა არ ხასიათდება ინერტობით. ხოლო თუ ეს თვისებები მაინც გამოვლინდა, ადრევე ქრება და სიტუაციის შესაბამის აქტივობას უთმობს ადგილს. გარემოსთან ურთიერთობა წინააღმდეგობათა თანდათანობითი შესუსტებისა და აღკვეთის გზით მიმდინარეობს. არაა მკვეთრი და უსასრულო შეუსაბამობა პიროვნების მიმართულობასა და სამოქმედო გარემოს შორის. ეს ურთიერთობა პლასტიკურ-ჰარმონიული ბუნებისაა. პიროვნების ამგვარი ჰარმონიული ურთიერთობა გარემოსთან გაპირობებულია მისი ფიქსირებული განწყობისა და ტემპერამენტის თვისებებით.

ნორმალური ტემპერამენტის ადამიანებისათვის დამახასიათებელია ფსიქიკის ტემპის ერთგვაროვნება და შეგრძნებათა მოდალობის ყველა სფეროში გაჯრცელება. ამიტომ იგი კონსტანტური და ირადირებულიცაა. ტემპერამენტის თვისებათა გამოვლენა-გამომჟღავნება არ შემოიფარგლება იმ მოდალობით, რომელიც მოცემულ მომენტში, წარმმართველია სუბიექტის გარემოსთან ურ-

თავრობაში. მისი მოქმედება სხვა მოდალობაშიც ვლინდება. ეს მიუთითებს ფსიქიკური აქტივობის ღრმა და ფართო ხასიათზე. ჰაპტური სფეროდან შთაბეჭდილება ვრცელდება ოპტიკურში, შე-
ტებს-ს შეგრძნებითი მასალის საფუძველზე შემუშავებული ფიქსი-
რებული განწყობა გავლენას ახდენს ოპტიკური გამლიზიანებლების
ასახვაზე (ეს გავლენა ნაკლები ინტენსიობისაა, ვიდრე ჰაპტურ
სფეროში).

ფიქსირებული განწყობის ზემოთ აღნიშნულ თავისებურებებს
სახსებით შეესაბამება ნორმალური ტემპერამენტის ბავშვების ემო-
ციებს-ს აგზნებადობა, მიმდინარეობა და მოტორული აქტივობა. ამ
ტემპერამენტის ბავშვები ემოციურად ადვილად აგზნებადი, ემო-
ციები ღრმა და ღროში გამძლეა, მაგრამ ისინი აფექტებში იშვია-
თად ან სულ არ გადადიან, „ნორმის“ ფარგლებში რჩებიან. ეს გამ-
ძლეობა ისეთი არაა. როგორც მაგალითად, ქოლერიკული ან მე-
ლანქოლიკური ტემპერამენტის ადამიანისათვისაა დამახასიათებე-
ლი. ნორმალური ტემპერამენტის ბავშვის ემოციები უმთავრესად
დასუბითი შინაარსისაა, მისი მოძრაობები სწრაფია. მოქნილი. ად-
ვილად ეგუება ახალ გარემოს. ამ მოძრაობებს გარკვეული სიმტკი-
ვე ჯაანხიან და თითქმის ყოველთვის მიზანშეწონილი ხასიათისაა.

ბ) ნორმალური ტემპერამენტიდან გადახრა იწყება განწყობის
პლასტიკურ-დინამიკური მიმდინარეობის რომელიმე ფორმალური
თვისების მნიშვნელოვნად გაძლიერება-შესუსტებით. ჩვენს ექსპე-
რიმენტში ასეთი გადახრა რამდენიმე ვარიანტში გამოვლინდა.
ერთ-ერთი მათგანია ადვილი აგზნებადობის, მტკიცე, პლასტიკურ-
დინამიკური, კონსტანტური, სუსტი სტაბილობის, ირადირებული
ფიქსირებული განწყობა. ასეთი ტიპის განწყობა შეესაბამება სან-
გვინიკურ ტემპერამენტს. ნორმალურ ტემპერამენტთან მისი ძირი-
თადი მსგავსება არის ფსიქიკური აქტივობის პლასტიკურ-დინამი-
კურობა, გარემოსთან ურთიერთობის უკონფლიქტო მოწესრიგება,
პლასტიკურ-პარამონიულობა, იმპულსური ფსიქიკური აქტივობის
უმტკივნეულო ძვრადობა და ახალ პირობებთან შეგუება. ამ ურთი-
ერთობაში პიროვნება გარკვეულ სიმტკიცეს იჩენს, მისი აქტივობა
შინაგანად განსაზღვრულია, იმპულსური ფსიქიკის დონეზე ინდივი-
დი ობიექტურად უპირისპირდება გარემოს, მაგრამ ობიექტის ზე-
მოქმედების შედეგად, დაპირისპირებულობის საფუძველი, ფიქსი-
რებული განწყობა, თანდათან სუსტდება და ადგილს უთმობს ადე-
ქვატურ ფსიქიკურ აქტივობას. ცენტრალურ ტემპერამენტთან მსგა-

ვსება, აგრეთვე, გამოიხატება ღრმა ფსიქიკური მოვლენების ირადიაციამ სუბიექტის გამოვლენის ყველა სფეროში. ცენტრალური ტემპერამენტისაგან სანგვინიკური ტემპერამენტის გადახრა გამოიხატება იმპულსური ფსიქიკური აქტივობის დროში გამძლეობასა და განწყობის ნაკლებ სიმტკიცეში. თუ ნორმალური ტემპერამენტის ცდის პირების ფიქსირებული განწყობა დროში გამძლეობას იჩენს ჰაპტურსა და ოპტიკურ სფეროებში, აღნიშნული ჯგუფის ცდის პირთა ფიქსირებული განწყობა დროში სუსტი გამძლეობაა. ხასიათდება: ოპტიკურ სფეროში განწყობის სტაბილობა განისაზღვრება ერთი დღე-ღამით. ჰაპტურში 1-2 დღე-ღამით. ეს გარემოება იმაზე მიუთითებს, რომ სუბიექტის ფსიქიკური აქტი. როგორც გარკვეულ სიმტკიცეს აღწევს, შეიძლება წარმოადგენდეს პიროვნების იმპულსური აქტივობის წარმმართველს ხანმოკლე დროის განმავლობაში. ამ აქტის რეალიზაციის დაგვიანება იმის მომასწავებელია, რომ განწყობა თავისთავად ჩაქრება, დროის ფაქტორის გავლენით და სუბიექტი ვერ ახდენს მის რეალიზაციას. ბავშვების ამ ჯგუფისათვის, ისე როგორც ნორმალური ტემპერამენტის ბავშვებისათვის. დამახასიათებელია განწყობის ადვილი აგზნებადობა. ეს გარემოება უშუალო კავშირშია სანგვინიკური ტემპერამენტის ბავშვების მაღალ გრძნობიარობასთან. ამ ჯგუფის ადამიანების ფიქსირებული განწყობის შესატყვისია მათი ემოციურ-მორტორული დახასიათებაც. გრძნობების ადვილი აღმოცენება. სწრაფი ცვალებადობა. გრძნობათა არასაკმაო სიღრმე და გამძლეობა, მოქმედების მიმართულების ხშირი გადანაცვლება. ახალ პირობებთან ადვილად შეგუება. პარმონიულობა, სწრაფი მოძრაობები. მოუსვენრობა, მოქარბებული სიმკვირცხლე. სანგვინიკური ტემპერამენტის დამახასიათებელი თვისებებია, რომლებიც პირდაპირ კავშირშია ფიქსირებული განწყობის ადვილად აგზნებადობასა. პლასტიკურ-დინამიკურობასა, საშუალო სიმტკიცესა და დროში სუსტ გამძლეობასთან.

გ) მტკიცე ტლანქი-დინამიკური, ლოკალური, სტაბილური (ოპტიკურ სფეროში საშუალო და ჰაპტურში მაღალი სტაბილობის), კონსტანტური, ჰაპტურ სფეროში ადვილად აგზნებადი, ოპტიკურში კი აგზნებადობის საშუალო ხარისხის ფიქსირებული განწყობის ცდის პირები ქოლერიკული ტემპერამენტის ბავშვებია.

ქოლერიკული ტემპერამენტის ადამიანების ერთ-ერთ დამახასიათებელ თვისებას შეადგენს ფიქსირებული განწყობის სიტლანქე და დინამიკურობა. ამ შემთხვევაში ფიქსირებული განწყობის

შეცვლა ერთბაშად. ტლანქად, უცაბედად, მკვეთრად ხდება, წინააღმდეგ პლასტიკურ-დინამიკური ფორმის განწყობისა. როცა იგი მიმდინარეობს თანდათანობით, ფიქსირებულ შთაბეჭდილებათა ნელი შესუსტების გზით და ბოლოს მთავრდება ადექვატური აღქმით. ფიქსირებული განწყობის სიტლანქე სუბიექტის ისეთი თვისებაა, რომელიც გარემოსთან მის ურთიერთობას განსაკუთრებულ მკვეთრ ფორმას აძლევს. ზემოქმედი გამლიზიანებლების ასახვა ფიქსირებული განწყობის ფონზე მტკიცედ და დიდხანს წარმოებს, რის გამოც იგი სინამდვილის დიამეტრალურად საწინააღმდეგო ხასიათს ღებულობს. იგი „ულტრაპარადოქსალური“ ხასიათისაა. ფიქსირებული განწყობის ფონზე ზემოქმედი ახალი გამლიზიანებლების ამგვარი ასახვა განაპირობებს სუბიექტის აქტივობის კონტრასტულობას ობიექტური სინამდვილის მიმართ. ეს გამოწვეულია იმპულსური ფსიქიკური აქტის სიმტკიცით (რაც ამ შემთხვევაში გამოხატულია კონტრასტულ ილუზიათა დიდი რაოდენობით). გარემოსთან სუბიექტის ურთიერთობის მოწესრიგების ჩვეულებრივი ნორმალური გზა გამოიხატება განმტკიცებული იმპულსური ფსიქიკური აქტივობის, ფიქსირებული განწყობის შესუსტებაში, ობიექტური სინამდვილის კონტრასტულად საწინააღმდეგო მოქმედების აღკვეთაში და პარალელური შეუსაბამო აქტივობის საფეხურზე მის გადასვლაში, რომლის შემდეგაც ხდება ადექვატური ასახვა. ტლანქი-დინამიკური განწყობის დროს „ნახტომი“ ხდება, ქცევის თანდათანობითი ცვალებადობა უარყოფილია და ობიექტური სინამდვილის დიამეტრალურად საწინააღმდეგო ასახვიდან (კონტრასტული ილუზიიდან) ადექვატურ აღქმაზე გადასვლა პირდაპირ წარმოებს. ასეთი ნახტომისებური გადასვლა განაპირობებს ფიქსირებულ განწყობათა ცვალებადობის უცაბედობას. მყისთანადობას და სიმძლავრეს. იმპულსური ფსიქიკური აქტების ცვალებადობა ტლანქი-დინამიკური ფორმისაა.

ფიქსირებული განწყობის ტლანქი-დინამიკურობა სხვა ძირითად თვისებებთან. კერძოდ, განწყობის აგზნებადობასა, დიდ სიმტკიცესა, ლოკალობასა და სტაბილობასთან ერთად, დამახასიათებელია ქოლერიკული ტემპერამენტის ადამიანებისათვის.

ამ ტემპერამენტის ადამიანებს ადვილად უფიქსირდებათ მოთხოვნილებებს შესაბამისი გამლიზიანებლების ზემოქმედების შედეგად გამოწვეული შთაბეჭდილებანი. ისინი გარკვეული მოქმედებისადმი პიროვნების მზაობას განაპირობებენ; ამ მზაობის ხარისხი

მაღალია, იმპულსური ფსიქიკური აქტივობა დიდი სიმტკიცით ხასიათდება. რის შედეგადაც სუბიექტსა და გარემოს შორის კონტრასტული ურთიერთდამოკიდებულებაა. დიდხანს ვერ ხერხდება გარემოს ადექვატური აღქმა. სუბიექტი მოქმედებს ფიქსირებული განწყობის პლანზე. მოქმედი გამლიზიანებლების ასახვა სინამდვილის დიამეტრალურად საწინააღმდეგოა და ასეთი ასახვით განპირობებული აქტივობაც. ცხადია, კონფლიქტურ-კონტრასტული იქნება. მაგრამ საბოლოოდ ფიქსირებული განწყობა ადგილს უთმობს ადექვატურ აღქმას. როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, ფიქსირებული განწყობის აღკვეთა ტლანქად, ერთბაშად ხდება. განწყობის თანდათანობით შესუსტების, კონტრასტულიდან ასიმილაციურ ილუზიებზე გადასვლის გარეშე, რაც პიროვნების აქტივობის სიმკვეთრესა და სიტლანქეს განაპირობებს. იმპულსური ფსიქიკური აქტივობის მიმართულების ტლანქი. უხეში. ერთბაში ცვლილება ელინდება ასეთი განწყობის პიროვნების „ნახტომისეულ“ ქცევაში. ეს კი, თავის მხრივ, განაპირობებს მძაფრი განცდების წარმოშობას. რაც ხშირად უსიამოვნების გრძნობითაა აღბეჭდილი.

განსახილველი ტემპერამენტის ბავშვების ფიქსირებული განწყობა ოპტიკურ სფეროში შედარებით ნაკლებ გამძლეობას იჩენს დროში. თუმცა სტაბილობა საშუალო ხარისხის მაინც არის (3-4 დღე-ღამე). ეს მოწმობს, რომ განმტკიცებული განწყობა შედარებით ადრე კარგავს სუბიექტის იმპულსური აქტივობის წარმართვის უნარს.

ასეთი ტემპერამენტის ბავშვი ხასიათდება ფიქსირებული განწყობის ლოკალობით. განმტკიცებული შთაბეჭდილების, ფიქსირებული განწყობის ლოკალობა სუბიექტის ფსიქიკური აქტივობის ცენტრის თავისებურებაზე მიუთითებს. თუ პიროვნება ყველა სფეროში ერთნაირია და გარემოსთან ურთიერთობის ყველა გზას ერთნაირი ინტენსიობით განიცდის, მაშინ შთაბეჭდილების ირადიაციას ექნება ადგილი. მაგრამ ამ შემთხვევაში ირადიაცია ან სულ არაა, ანდა მეტად სუსტია. ე. ი. სუსტია ერთდროულად ყველა მიმართულებით პიროვნების გამოვლენის ხარისხი. სუბიექტის ფიქსირებული განწყობა მტკიცეა, მაგრამ ერთდროულად ყველა სფეროში მძლავრი გამოვლენის შესაძლებლობა არა აქვს და ამიტომაც ფიქსირებული განწყობა ძირითადად ერთი მიმართულებითაა აქტიური. სხვა სფერო მისი გავლენის გარეშე რჩება. ქოლერიკული ტემპერამენტის ბავშვის ფიქსირებული განწყობის გამოვლინებას შეესაბამება ემოციურ-მოტორული სფეროს მთელი რიგი თავისე-

ზურებები. ამ ჯგუფის ცდის პირები ემოციურად ადვილად აგზნებადია. მათი გრძნობები ძლიერი და ხანგრძლივია, პიროვნება დიდხანს იმყოფება გრძნობების გავლენის ქვეშ. ტოლებთან. თანაკლასელებთან და სხვებთანაც ხშირად კონფლიქტში. ჰარბად აქვს სიაშოვნების გრძნობები. მოქმედებაში სწრაფია, მოძრაობს აქტიურად. მშაფრად და გამოკვეთილად. უჭირს თავის შეკავება. სურს თავის ნება-სურვილზე იყოს, უჭირს გარკვეული წესრიგისადმი დამორჩილება. განსაკუთრებით მაშინ. როცა საქმიანობა მის ინტერესებს არ შეესაბამება. მასწავლებლისა და ხელმძღვანელის მითითება. რა და როგორ აკეთოს, არ სიაშოვნებს, მაგრამ აკეთებს ავტორიტეტის გავლენისა და ავტორიტეტის მოხვეჭისათვის. უფრო უკეთესად გრძნობს თავს და ნასიაშოვნებია, როცა თავისუფალი მოქმედების საშუალება აქვს ან როცა თვითონ ხელმძღვანელობს გარკვეულ ჯგუფს ამა თუ იმ დავალების შესასრულებლად.

ჩვენ ცალკე გამოვყავით ქოლერიკული ტემპერამენტის ერთი ჯგუფი. რომელიც ძირითადი თვისებებით თუმცა ქოლერიკული ტემპერამენტისაა, მაგრამ მისგან განსხვავდება ზოგიერთი თვისებით. რაც ქოლერიკული ტემპერამენტის ბავშვების ფიქსირებული განწყობისაგან განსხვავებს ამ ჯგუფის ბავშვთა ფიქსირებულ განწყობას.

კერძოდ. ამ ჯგუფისათვის დამახასიათებელია ადვილად აგზნებადი მტკიცე, ტლანქი-დინამიკური, კონსტანტური, (ზოგიერთი ეპიზოდური გადახრებით), სუსტად ირადირებული ფიქსირებული განწყობა. რომლის სტაბილობა ოპტიკურ სფეროში სუსტი, ხოლო ჰაპტურში — საშუალო ხარისხისაა. ამ ჯგუფის ბავშვების გრძნობები, მართალია, სიმტკიცით თითქმის არაფრით არ განსხვავდება ქოლერიკული ტემპერამენტის ძირითადი ჯგუფის ბავშვების გრძნობებისაგან. მაგრამ გრძნობების დროში გამძლეობა შედარებით სუსტია. გრძნობის თავისებურების განმსაზღვრელი ფიქსირებული განწყობის ზოგიერთი ნიშნის განსხვავებულობის გამო საჭიროდ ჩავთვალეთ ცდის პირების ეს ჯგუფი გამოგვეყო ქოლერიკული ტემპერამენტის II ვარიანტად.

დ) ძნელად აგზნებადი, ტლანქი-დინამიკური, კონსტანტური, ლოკალური, ოპტიკურ სფეროში სუსტი და ლაბილური. ჰაპტურში კი სიმტკიცისა და სტაბილობის საშუალო ხარისხის ფიქსირებული განწყობის ბავშვის ტემპერამენტი ფლეგმატიკურია.

ფლეგმატიკური ტემპერამენტის ბავშვის ფიქსირებული გან-

წყობა „ნელად აგზნებადია. ოპტიკურ სფეროში განწყობის აგზნებადობა მინიმუმში 25 საგანწყობო ექსპოზიციას. ოპტიკუმში — 30-40, კაპტურ სფეროში განწყობის აგზნებადობის მინიმუმში 5-10, ოპტიკურში 25-30 საგანწყობო ექსპოზიციას. შთაბეჭდილებათა ფიქსაციისათვის, სუბიექტის გარკვეული პოზიციის წარმოქმნისათვის საჭიროა გამლიზიანებელთა მოქმედების დიდი რაოდენობა. ასეთი ტემპერამენტის ზრდადასრულებულ პიროვნებას ბევრი ნებელობითი ძალისხმევა სჭირდება იმისათვის. რათა მიაღწიოს ობიექტურ სინამდვილესთან დაპირისპირებას, მასზე უკუზემოქმედების მიზნით, მაგრამ განსახილველი ასაკი დაბალია, სუბიექტი მოუმწიფებელია ნებელობითი აქტივობისათვის. მისი ტემპერამენტის უარყოფითი თვისებების გაუმჯობესებაზე ძირითადად მასწავლებელმა უნდა იზრუნოს.

ფლეგმატიკური ტემპერამენტის ერთ-ერთი უარყოფითი თვისებაა შთაბეჭდილების სისუსტე და ლაბილობა. ოპტიკურ სფეროში გამლიზიანებლის რამდენიმე ათეულჯერ ზემოქმედებაც ვერ ქმნის მტკიცე შთაბეჭდილებას, იგი სუსტია და ადვილად უთმობს ადგილს სხვა განწყობებს, რომლებიც, თავის მხრივ, აგრეთვე სუსტნი არიან და ასევე ადვილად მიდიან მოქმედების ასპარეზიდან. ეს მიუთითებს პიროვნებისეული ფაქტორის სისუსტეზე.

ოპტიკურ სფეროში ცოტად თუ ბევრად განმტკიცებული შთაბეჭდილება დროში გამძლე არაა და განისაზღვრება ერთი საათით. იგი ლაბილურია, ამიტომ მხედველობითი შთაბეჭდილებანი ვერ ასწრებენ მნიშვნელოვნად განმტკიცებას, სერიოზული გავლენის მოხდენას პიროვნებაზე და „ქრებიან“ ფსიქიკის სფეროდან. ასეთი ტემპერამენტის პიროვნების ფსიქიკური აქტები ოპტიკურ სფეროში „მფრინავი“ ხასიათისაა. მის შთაბეჭდილებას, განსაკუთრებით ოპტიკურ სფეროში, აკლდა სიმტკიცე და დროში გამძლეობა.

ფლეგმატიკური ტემპერამენტის ბავშვი არის უინტერესო, გულგრილი, დუნე, ზანტი; უჭირს როგორც მოქმედების დაწყება, ასევე გადანაცვლება. მასწავლებლის, მშობლების მრავალგზისი მითითებაა საჭირო, რათა შეუდგეს გაკვეთილის შესწავლას. ამავდროს მაინცდამაინც გართობა-თამაშიც არ იზიდავს. ახალ თამაშობაში ჩაბმას არ ცდილობს, ზის წყნარად, არც სხვას უშლის და არც სხვისი მოქმედებით ეშლება ხელი. ეს იმიტომ, რომ უყურადღებოა. ინაქტურია. მეტად ინტენსიურ გამლიზიანებელს თუ შეუპოვია მისი მობილიზება გარკვეული მიმართულებით სამოქმედოდ.

ჩვეულებრივი გამლიზიანებლები მისთვის ამ თვისებას მოკლებულა.

ე) ცენტრალური (ნორმალური) ტემპერამენტისაგან უკიდურესად განსხვავებულია შეადგენს მელანქოლიკური ტემპერამენტი, რომელსაც შეესაბამება ადვილად აგზნებადი, ზემტყიე. სტატიკური, კონსტანტური, სტაბილური, ფართო ირადირებული ფიქსირებული განწყობა.

სტატიკურობით აღინიშნება ფიქსირებული განწყობის სიმკვარე. ინერტულობა, მოქმედი გამლიზიანებლებისადმი მისი ჰარბი გამძლეობა. ასეთი განწყობის შესაბამისი ტემპერამენტის პიროვნება იმპულსური ფსიქიკური აქტივობის დონეზე ვერ ახერხებს ახალ სიტუაციასთან შეგუებას. ფიქსირებულ შთაბეჭდილებათაგან განთავისუფლებას და ობიექტური სინამდვილის აღქვავატურ აღქმას. მელანქოლიკური ტემპერამენტის ბავშვების ფიქსირებული განწყობა ზემტყიეცა და დროში დიდ გამძლეობას იჩენს. სინამდვილის ასახვა წარმოებს შემუშავებული, განმტყიეცებული და გაბატონებული განწყობის ფონზე. ასეთი სუბიექტების ურთიერთობა გარემოსთან თითქოს დაუსრულებლად ილუზიური ხასიათის უნდა იყოს. ეს ასეც იქნებოდა, ადამიანის ფსიქიკური აქტივობა რომ მხოლოდ განწყობისეულ--იმპულსური დონით იყო განსაზღვრული. მაგრამ ადამიანისათვის, ცხოველებისაგან განსხვავებით, დამახასიათებელია გარემოსთან ურთიერთობის ობიექტივაცია-ნებისმიერი დონე. პიროვნება ამ უკანასკნელის საშუალებით ახერხებს გარემოსთან ურთიერთობის მიზანშეწონილად წარმართვას და მოწესრიგებას. მელანქოლიკური ტემპერამენტის პიროვნებაში აშკარა კონფლიქტია ფიქსირებული განწყობის იმპულსურ მოქმედებასა და ობიექტივაცია-ნებისმიერ აქტივობას შორის. ადამიანი სოციალური არსებაა და იმპულსური აქტივობა ექვემდებარება ნებისმიერ-ცნობიერ ფსიქიკურ აქტივობას. ამ უკანასკნელის გარეშე სტატიკური ფიქსირებული განწყობის ადამიანის ურთიერთობა გარემოსთან არაადექვავატური იქნებოდა და იგი ვერ შეინარჩუნებდა სიცოცხლეს. უნდა ვიგულისხმოთ, რომ სტატიკური, ირადირებული სტაბილური განწყობის ტემპერამენტის ცხოველები არ არსებობენ. მათი ურთიერთობა გარემოსთან უსასრულოდ ილუზიური იქნება და ამიტომ მიზანშეუწონელიც, ხოლო ამის შედეგად ცხოველი ფიზიკურადაც განადგურდებოდა. ადამიანს ასეთ შემთხვევაში შეუძლის ობიექტივაციის უნარი. ცხოველს ეს უნარი არ გააჩნია. სტატიკური ფიქსირებული განწყობის და მისი შესატყვისი — მელან-

ქოლიკური ტემპერამენტის ადამიანის იმპულსური ფსიქიკური აქტივობა თითქმის ვერ იცვლის ერთხელ განსაზღვრულ მიმართულებას. სტატიკური ფიქსირებული განწყობის ფონი წარმოადგენს ილუზიურ აღქმათა დაუშრეტელ წყაროს. ასეთი ადამიანის იმპულსური ფსიქიკური აქტივობა ერთგვაროვანია, მის ცნობიერებას ერთი რომელიმე შინაარსი ავსებს. აქტივობის მზაობა მუდამ ერთი მიმართულებით მიდის. გარემო, როგორც სოციალური, ასევე ბუნებრივი, მუდმივ მოძრაობასა და განვითარებაშია. სტატიკური ფიქსირებული განწყობის ადამიანის იმპულსური ფსიქიკის დონე არ იძლევა გარემოს სწორი ასახვისა და შეგუების საშუალებას. სწორი ასახვა და შეგუება. მიზანშეწონილი ურთიერთობის წარმართვა ამ შემთხვევაში ობიექტივაციის და ნებელობის საშუალებით უნდა განხორციელდეს. ასეთი განწყობისა და მისი შესატყვისი ტემპერამენტის ადამიანები შინაგანად გახლეჩილი პირებია. ფსიქიკის განწყობისა და ობიექტივაციის დონე — კონფლიქტურ დამოკიდებულებაში არიან: ადამიანს სურვილი აქვს აკეთოს ერთი (იმპულსების კარნახით), აკეთებს კი მეორეს (ნებელობის ძალით), რადგან ამ შემთხვევაში სოციალურად დაუშვებელია იმპულსურ განწყობისეული აქტივობის რეალიზაცია. პიროვნების აქტივობა ნებისმიერი მოტივაციითაა განპირობებული. ამ შემთხვევაში ნებელობის როლი ნეგატიურიც არის და პოზიტიურიც. პიროვნებამ უნდა შეაკავოს, შეაფერხოს იმპულსური აქტივობა (ნებელობის ნეგატიური როლი) და მორალურად მისაღები მიმართულებით წარწართოს იგი (პოზიტიური აქტივობა). განსახილველ ასაკში პიროვნების ნებელობითი თვისება და ობიექტივაციის უნარი საკმაოდ დაბალ დონეზეა. ამიტომ საჭიროა სწორად წარიმართოს სტატიკური ფიქსირებული განწყობის ტემპერამენტის ბავშვის ურთიერთობა სოციალურ და ბუნებრივ გარემოსთან, რათა მოქმედების მიმართულების მიმცემი არ დარჩეს იმპულსური ფსიქიკა, მისი ურყევი, სტატიკური ფორმით, რაც სინამდვილის დამახინჯებელი ასახვის საფუძველია.

მელანქოლიკური ტემპერამენტის ბავშვების ფიქსირებული განწყობის სტატიკურობა სავსებით შეესაბამება მათი ემოციებისა და მოტორული აქტივობის თავისებურებას. მელანქოლიკი ძნელად ეგუება ამხანაგებს, უჭირს მათთან კონტაქტში შესვლა, აქტიურ წინააღმდეგობას ვერ უწევს, მიმართავს პასიურ თავდაცვით რეაქციას. ამ ნიადაგზე აღმოცენდება ამ ტემპერამენტის ბავშვისათვის

დამახასიათებელი უსიამოვნების გრძნობა, რომელიც ღრმა და ხანგრძლივია. გრძნობების, განსაკუთრებით უსიამოვნების გრძნობის, აღმოცენება ადვილად ხდება. მათი გარე გამოვლინება კი სუსტია. ბავშვი ჩაკეტილია თავისთავში, გულჩათხრობილია. თავის განცდებს სხვებსაც არ უზიარებს, კონფლიქტურია, თუმცა კონფლიქტურობას აქტიურ ფორმებში ვერ ავლენს.

მოძრაობები სუსტი, ნელი, ღუნე, ძნელად გადანაცვლებადია, გარეგნულად მშვიდის შთაბეჭდილებას ტოვებს, შინაგანად კი დიდ მღელვარებასა და ტანჯვას განიცდის.

ჩვენს ცდის პირებს შორის გამოიყო მელანქოლიკური ტემპერამენტის მეორე ვარიანტიც, რომელიც რამდენადმე განსხვავდება დახასიათებული ძირითადი ჯგუფისაგან.

ფიქსირებული განწყობის ნიშნების მიხედვით, ეს ჯგუფი მელანქოლიკთა ძირითადი ჯგუფისაგან განსხვავდება ოპტიკურ სფეროში აგზნებადობის მიხედვით. თუ ძირითადი ჯგუფის ფიქსირებული განწყობა როგორც პაპტურში, ასევე ოპტიკურ სფეროში ადვილად აგზნებადია, ამ ჯგუფის აგზნებადობა ოპტიკურ სფეროში საშუალო ხარისხისაა. ამდენად, განსახილველი ჯგუფი რამდენადმე შეიცავს ქოლერიკული ტემპერამენტის ნიშანს (თუმცა სუსტი ხარისხით).

მელანქოლიკური ტემპერამენტის ეს II ვარიანტი გარკვეულ თავისებურებებს იჩენს სხვა ადამიანების მიმართ დამოკიდებულებაში. განსაკუთრებით მათდამი აგრესიულად განწყობილ პირთა მიძპარტ არ არიან პასიურნი, ცდილობენ შეწინააღმდეგებას და ზოგჯერ სერიოზულადც, უფრო გაბედულნი არიან კრიტიკულ მომენტში. აქვთ აქტიური თავდაცვის უნარი.

3. კვლევა-ძიების შედეგად გამოიკვია, რომ ტემპერამენტის წმინდა ტიპების გვერდით არსებობენ შერეული ტემპერამენტების ბავშვები, რომლებიც ერთდროულად აერთიანებენ სხვადასხვა ტემპერამენტის თვისებებს. ასეთი ტემპერამენტების მოსწავლეების ფიქსირებული განწყობა ინტერმოდალურად ვარიაბილურია. შეგრძნების სხვადასხვა მოდალობაში კი განწყობა ერთი ტიპისაა. მათ გვერდით არსებობენ ისეთი ბავშვებიც, რომლებიც ტემპერამენტის სხვადასხვა თვისებებს ამჟღავნებენ დროის სხვადასხვა მონაკვეთში. ამის შესაბამისად მათი ფიქსირებული განწყობა ვარიაბილურია შეგრძნების ერთსა და იმავე მოდალობაში (ასეთი ფიქსირებული განწყობა ინტრავარიაბილურია). დადგენილია ინტერვარიაბილური ფიქსირებული განწყობის შესატყვისი შერეული და

ცვალებადი (არამყარი) ტემპერამენტების არსებობა. მისი დაწვრილებით შესწავლა მომავლის საქმეა.

4. ფიქსირებული განწყობის მეთოდით წარმეტებით შეიძლება ვიკვლიოთ ბავშვების ტემპერამენტი, რამდენადაც ფიქსირებული განწყობის აგზნებადობისა და მიმდინარეობის თავისებურებებში ელინდება ბავშვის ტემპერამენტის თვისებები. ასეთი დასკვნის გაკეთების საფუძველს გააძლევს მრავალი გამოკვლევა ტემპერამენტისა და ფიქსირებული განწყობის ურთიერთობის შესახებ, რომელიც ჩატარებული აქვს ელ. ნორაკიძეს. მან დაასაბუთა არსებითი კავშირის არსებობა ტემპერამენტის ტიპებსა და ფიქსირებული განწყობის ტიპებს შორის მოზრდილ ადამიანებთან. ამ მოსაზრების სასარგებლოდ ლაპარაკობს ჩვენი გამოკვლევაც, რის შედეგადაც დადგინდა გარკვეული შეუსაბამობა ბავშვების ფიქსირებული განწყობის ტიპებსა და ტემპერამენტის ტიპებს შორის. ამგვარად, ფიქსირებული განწყობის მეთოდის სახით ჩვენს ხელთ არის ადამიანის (მოზრდილი იქნება თუ მოზარდი) ტემპერამენტის განსაზღვრის უტყუარი ექსპერიმენტული საშუალება. რამდენადაც იგი იძლევა ტემპერამენტის წმინდა თავისებურებათა გამოვლენის შესაძლებლობას, ტემპერამენტის თვისების შესწავლის საშუალებას. რომელიც თავისუფალია ხასიათისა და ნებისყოფის გავლენისაგან.

ამგვარად, ჩვენ მოკლედ განვიხილეთ ექსპერიმენტული მეთოდით დადგენილი ბავშვის ტემპერამენტის ტიპები და გადმოვეცით მათი ფიქსირებული განწყობისა და ქცევის ძირითადი დამახასიათებელი ნიშან-თვისებები. აგრეთვე გაკვირვებულ შევეხეთ სხვადასხვა ტემპერამენტის ბავშვებისადმი პედაგოგიური მიდგომის საკითხსაც. მოსწავლეთა აღზრდაში გარკვეული მნიშვნელობა აქვს პიროვნების ტემპერამენტის თავისებურებათა შესწავლას და გათვალისწინებას. ეს დიდი მნიშვნელობის საკითხი ცალკე განხილვის ღირსია და ჩვენი მომავალი კვლევის საგანს შეადგენს.

შ ი ნ ა ა რ ს ი

	83-
წინასიტყვაობა	3
ტემპერამენტის პრობლემა	5
ტემპერამენტის კლასიფიკაციის საკითხი	62
მეთოდი	65
ბავშვის ფიქსირებული განწყობა და ტემპერამენტი	68
ცენტრალური (პარამონიული, ნორმალური)	
ტემპერამენტი	72
სანგვინიკური ტემპერამენტი	87
ქოლერიკული ტემპერამენტი	94
ძირითადი ჯგუფი	94
ქოლერიკული ტემპერამენტის II ვარიანტი	105
ფლეგმატიკური ტემპერამენტი	108
მელანქოლიკური ტემპერამენტი	113
მელანქოლიკური ტემპერამენტის I ვარიანტი	113
მელანქოლიკური ტემპერამენტის II ვარიანტი	117
დასკვნა	121

გამომცემლობის რედაქტორი ც. წუწუნავა

ტექნოლოგიური გ. კუნჭულია

კორექტორი შ. დარჩია

ხელმოწერილია დასაბეჭდად 1960 წლის 20 მაისს. ქალაქის ზომა 60X92¹/₁₆.
ნაბეჭდი თაბახი 8,5. სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 7,2.
დაკვ. № 2139. ემ 00622. ტ. 1000:

ფასი 0 მან.

საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს
მთავარბოლიგრაფსამმართველოს ბათუმის სტამბა-ლითოგრაფია
(ბათუმი, ლუქსემბურგის, 22).